F1191 w 11377


# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 35 (496) ◆ 30 აგვისტო – 5 სექტემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „სიყვარულია ამ კრიტიკაში და არა სიძულვილი, რეგვენო...“

**წაგებული გვაქვს ჯერ ბრძოლები და ასეთი სადღეგრძელოს თქმის უფლება არ გვაქვს...**



### კვირის ინტერვიუ ოტია იოსელიანთან

...ეს ქვეყანა კი არა, ჯერ ნანგრევებია. ვინმემ რომ ეს ნგრევა შეწყვიტოს და აგურები არსად წაიღოს, იმაზეც მადლიერი უნდა ვიყოთ...

...აგერ, პროვინციაში, იცით, რამდენია დასაჭერი? ისევ ძველებურად დანავარდობენ, რადგან მაგათთვის არავის სცალია. მადლობა ღმერთს, დასაჭმელი არაფერი დარჩათ, მაგრამ ვატყობ, ეგენი მალე ერთმანეთის ჭამას დაიწყებენ.

...ბენდუქიძე მომწონს. მეტი მსუქანი კია და საჭმელი არ დასჭირდება, ფულიც იმდენი აქვს, ჩვენ არ მოგვპარავს... მომეწონა მისი ნათქვამი, ნუ ვიმათხოვრებთო.

...ბოვშვებს ციკნებივით ვზრდით და მერე თხებივით ვყიდით... ჩვენ რომ პატარა ხელი შეგვეწყო, არც ი ბიჭი გეიქცეოდა და არც ი გოგო, ახლა რომ სხვა ქვეყნის სახელით გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები...

გვ.3

...ძალიან შემტევი ბიჭია მიშა, მაგრამ უკან დახევაც იცის თავის დროზე. მთლად დავით აღმაშენებლობას ნუ მოვთხოვთ. მოქნეული და მოზომილი არ არსებობს. კაცი ხმალს თუ იქნევს, იმ მოქნეულ ხმალს შეიძლება უდანაშაულო თავიც მოჰყვეს.

...ახლა მარტო ოსეთის კი არა, აფხაზეთის საკითხიც წყდება — ეგია...



## „ელოდებიან, რომ ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ ქართული დიასპორა ქუჩაში გამოვა“

გვ.7

როდესაც საპროტესტო აქციაზე შეურაცხყოფენ სხვა ქვეყნის პრეზიდენტს, პასუხისმგებლობა ეკისრება მასპინძელ მხარეს.

**გოგა გომიაშვილი**

ასეთი აღვირახსნილი უტაქტობა არსად მინახავს და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი თავმოყვარეობის შესალახად არის წამოწყებული...

ვფრთხილობ, რომ პროვოკაცია არ მოხდეს რომელიმე ქართველი დიპლომატის მიმართ.

**თეიმურაზ მამაცაშვილი**

### სამხედრო თემაზე:

გვ.5,8,9

## როგორ გადაარჩინეს მობილურით ქართველი მებრძოლები



...ბრძოლის მომენტში ქართველმა სპეციალისტებმა დააფიქსირეს, როგორ გადასცემდა ოსურ ენაზე სეპარატისტების ერთ-ერთი მებრძოლი: — ისე მივეპარე ამ ქართველებს, რომ არაფერი გაუგიათ, ხელი რომ გავწიო, მათ ჯავშანმანქანას შევეხები. რა ვქნა, ჩავცხრილო შიგ მსხდომებიო?..

*...ეს იყო ქართულ სამხედრო ისტორიაში ყველაზე ელვისებური რეაქცია მოსალოდნელ საფრთხეზე...*

## ისინი ჩვენთვის დაიღუპნენ...

„კომანდოს“ 21 წლის კაპრალს ზაზა დამენიას შეეძლო სანგრის ფსკერს გართხმოდა, როდესაც მოწინააღმდეგემ ხელყუმბარა სანგარში ჩაუგდო. მაგრამ ზაზამ არჩია, ხელყუმბარას გადაჰფარებოდა, რითიც ახლომახლო მყოფი 15-მდე თანამებრძოლი იხსნა მძიმე ჭრილობებისა თუ დაღუპვისგან...

## რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში პატრულმა ან მძღოლმა?!




**საქართველოში სანომრე ნიშნების დეფიციტია?**

გვ.5

## გურჯ მუჰაჯირს შვილისთვის იბერია დაურქმევია(!)

გვ.6,24

— კარგა ხანს არ ვიცოდით, რომ საქართველო არსებობდა. გვეგონა, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ჩვენ ვიყავით გურჯები და ვერ წარმოგვედგინა, თუ სადღაც კიდევ იყვნენ ქართველები. საქართველოს შესახებ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როდესაც ახმედ მელაშვილმა წიგნი „საქართველო“ დაწერა...

*„შუაგულ თურქეთში რომ შვილისთვის ამ სახელის დარქმევის და მერე მისი ტარების უფლებას მოგცემენ, ე. ი. გმირი ხარ.“*

### ქართველები ოლიმპიადაზე:

## სხვის ჯიბეში ჩურჩხელა ბქბილად ვერ დაგვაბერებს

გვ.33,34

### საქართველო—მამლუქები 4:5

ჩვენი ქვეყანა მსოფლიო კლასიფიკაციაში 31-ე ადგილზე გავიდა, რაც უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საქართველოს ექნებოდა... 5 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი(!). ამ პრობლემას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს... მწარე გაკვეთილიდან სასიკეთო დასკვნების გაკეთება მაინც არ უნდა გაგვიჭირდეს. ოლიმპოს მთიდან ჩინეთის კედელი უკვე კარგად ჩანს და ოთხი წლის შემდეგ, როცა პეკინი მიიღებს ოლიმპიურ ესტაფეტას, ეგებ იმაზე ვიზრუნოთ, რომ იქ მაინც სრულფასოვანი დელეგაციით წარვდგეთ...

## ქართველი „რვაფეხას“ საცეცები თანამემამულეების წინააღმდეგ

საწყალს ორმოცი კილოგრამი ხიზილალა აუფეთქეს მანქანაში

გვ.6

## უნიკალური ფრესკები არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიან

**რა, ატენის სიონშიც ბერძენი მღვდლები არ გვიშვებენ?!**

დავითის, ბაგრატის, გიორგი ჭყონდიდელის ფრესკების ადგილას მალე ცარიელი კედლებიღა დარჩება.

გვ.11,13

DURA LEX SED LEX

## სასამართლო ქრონიკა

გვერდი 17–20

### ეკონომიკა

გვ.27

## „არა მგონია, ვინმემ დამალულის ლეგალიზება ნებაყოფლობით მოახდინოს“

# თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## დაბრუნდით საქართველოში...

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 28 აგვისტოს ათენს ესტუმრა და ქართველ ოლიმპიელებს შეხვდა. „წაგების ეპოქა დასრულდა, თქვენი სპორტული გმირობა დაფასდება“, — მიმართა სპორტსმენებს სააკაშვილმა, რომელიც ოლიმპიადაზე ქართველების მიღწევებით კმაყოფილია და უცხოეთში წასულ ქართველ სპორტსმენებს და მწვრთნელებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებს. პრეზიდენტის მოწოდებას გამოეხმაურა გიორგი ასანიძის მწვრთნელი ვანო გრიქუროვი, რომელიც პოლონეთიდან საქართველოში დაბრუნებას აპირებს. მას დედაქალაქში არ აქვს ბინა და პრეზიდენტი ჩამოსვლისთანავე ამ პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა. საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობს ასევე საბერძნეთის სახელით მოასპარეზე კახი კახიაშვილი.

მიხეილ სააკაშვილი აუცილებლობად მიიჩნევს ყველა დიდ სოფელში სავარჯიშო დარბაზების გახსნას მოჭიდავეთა და მოკრივეთათვის. საქართველოს პრეზიდენტი ქართველ სპორტსმენებთან ერთად ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო.

## რუსეთის საგარეო უწყება ისევ მოითხოვს

„მოსკოვი თბილისთან მოლაპარაკებას არ გამართავს, ვიდრე საქართველოს დედაქალაქში რუსეთის საელჩოსთან ანტირუსული დემონსტრაცია მიმდინარეობს“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმირ კუზნეცოვმა.

მისი თქმით, ბოლო ერთი კვირაა, თბილისში რუსეთის საელჩოსთან გრძელდება „ხმაურიანი პროვოკაციული თავყრილობა რუსეთის საწინააღმდეგო ლოზუნგებით, 27 აგვისტოს კი ე. წ. საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს“, რის გამოც რუსეთის საელჩო „იძულებული გახდა 27 აგვისტოს სამუშაო დღე გაეუქმებინა, ვიზების გაცემა და სხვა საკონსულო მომსახურება შეეჩერებინა“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ დაბეჯითებით მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, ბოლო მოუღოს რუსეთის საელჩოსთან „ხულიგნურ გამოხდომებს(?!) და უზრუნველყოს აუცილებელი პირობები მისი ნორმალური მუშაობისათვის“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

## სამხედრო აკადემიაში არაქართველებიც ისწავლიან

26 აგვისტოს საქართველოს ეროვნული აკადემიის სასწავლო პოლკის პირველი კურსის სტუდენტებმა ვაკის პარკის ტერიტორიაზე ფიცი დადეს.

საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, ეროვნული აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე და აკადემიის პრორექტორი, შტაბის პოლკოვნიკი იბრააჰიმ უსტუნი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში პირველ კურსზე 181 კურსანტი ირიცხება. მათ შორის 13 არაქართველი მოქალაქეა — რუსები, ოსები და აზერბაიჯანელები. მათთვის სამხედრო აკადემიაში სწავლება ერთი წლის განმავლობაში სპეციალური პროგრამით წარიმართება. ისინი საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას და ქართულს შეისწავლიან, ხოლო ერთი წლის შემდეგ აკადემიაში გააგრძელებენ იმ ფორმატით სწავლას, რომელიც საქართველო-თურქეთის მთავრობებს შორის მიღებული შეთანხმების შედეგად, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 2002 წლიდან დაიწყო. სწავლება ეროვნულ აკადემიაში **NATO**-ს სტანდარტებით მიმდინარეობს.

## ჩვენები ავღანეთში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის ოცეული ავღანეთში გაემგზავრა, სადაც სამშვიდობო ოპერაციებში მიიღებს მონაწილეობას.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, გაძლიერებულ ოცეულში, რომელსაც კაპიტანი შავლეგ ტაბატაძე მეთაურობს, 50 სამხედრო მოსამსახურეა, მათგან 6 — ოფიცერი, 44 — რიგითი და სერჟანტი.

გაძლიერებული ოცეული თავდაპირველად გერმანიაში ჩაფრინდება, სადაც პირადი შემადგენლობა სპეციალურ მომზადებას გაივლის. ოცეულის პირადი შემადგენლობის მოვალეობა საკონტროლო-გამშვები პუნქტების კონტროლი და სამშვიდობოების ბაზის შიდაპატრულირება იქნება.

საშიშროების შემთხვევაში, გერმანული კონტინგენტის სარდლობის ბრძანებით, ქართველი მებრძოლები შეიძლება გამოიყენონ ავღანეთის სხვადასხვა რეგიონში დავალებების შესასრულებლადაც. სამშვიდობო ოცეული ავღანეთში 100 დღეს დაჰყოფს.

## ჭიაბერაშვილის „ომი“?

თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი უკანონო მშენებლობებთან ომს აგრძელებს. მისი გადაწყვეტილებით, ფალიაშვილის №90-ში მიმდინარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შეჩერებულია. ჭიაბერაშვილი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად მშენებლობით უკმაყოფილო მოსახლეობას შეხვდა.

ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას ამხანაგობა „ფალიაშვილი 90“ აწარმოებს. მშენებლობის ნებართვა 2002 წელს ქალაქის ყოფილმა მთავარმა არქიტექტორმა, ირაკლი როსტომაშვილმა გასცა. ამ ეტაპზე სახლის სამი სართულია აშენებული.

განაწყენებული სამშენებლო კომპანიებისა და ამხანაგობების განცხადებით, ჭიაბერაშვილი გამორჩევით კრძალავს მშენებლობებს. „თუ საზოგადოდ უკანონო მშენებლობების წინააღმდეგი არიან, მაშინ ყველა უკანონოდ ნაშენი შენობა დაანგრიონ. ჯობს, ნგრევა ალექსანდრეს ბაღიდან დაიწყონ, სადაც უკანონოდ აშენებულ კორპუსში წილი უცხოელ დიპლომატებსაც აქვთ“, — აცხადებენ ისინი.

## რეფორმირებულად გააკონტროლებენ

საქართველოს კონტროლის პალატაში ფართომასშტაბიანი რეფორმა განხორციელდა, რასაც კადრების შემცირება მოჰყვა.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ზურაბ სოსელიას განცხადებით, რეფორმა სტრუქტურულ და ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ საკადრო ცვლილებებს მოიცავდა.

სოსელიას თქმით, სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გაუქმდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტები, საგანგებო დავალებათა სტრუქტურული ერთეული და შეიქმნა გენერალური ინსპექცია.

გარდა ამისა, კონტროლის პალატაში კადრების ოპტიმიზაცია განხორციელდა. თანამშრომელთა რაოდენობა 37%-ით შემცირდა. დაგეგმილია თანამშრომელთათვის ტესტირების ჩატარებაც. „ეს ახალი კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვის საშუალებას მოგვცემს“, — განაცხადა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ.

ზურაბ სოსელიას თქმით, კონტროლის პალატამ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ბათუმის საზღვაო ნავსადგურსა და შპს „ბათნავთობიმპექსში“ მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეულმა ქარხანამ სახელმწიფოს 3-დან 12 მლნ ლარამდე ზარალი მიაყენა. შემოწმების მასალები შემდგომი მსვლელობისთვის გენერალურ პროკურატურას გადაეცა.

ამჟამად მიმდინარეობს შემოწმებები „თბილგაზში“, „ჭიათურმანგანუმში“, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, „მადნეულში“, ფოთის გემთმშენებელ და ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნებში.

## რა გველის ზამთარში

„თბილისის მოსახლეობას გაზმომარაგების მხრივ მძიმე ზამთარი ელის, თუ საქართველოს ხელისუფლება დაპირებას არ შეასრულებს და „გაზპრომის“ შვილობილ „გაზექსპორტს“ „თბილგაზის“ ვალს (12 მლნ დოლარი) არ გადაუხდის“, — განაცხადა „თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ.

ახალი ხელმძღვანელი საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს, კიდევ ერთხელ დაეხმაროს „თბილგაზს“ და საწარმოს მიმდინარე დავალიანება გაისტუმროს, რათა „გაზექსპორტმა“ თბილისის ბუნებრივი აირით მომარაგება არ შეწყვიტოს. „მე კი პირობას ვდებ, რომ მომავალში კომპანია ვალს არ დააგროვებს“, — აცხადებს მორჩილაძე.

დავით მორჩილაძე „თბილგაზის“ ხელმძღვანელად 2 კვირის წინ დაინიშნა. იგი საქართველოში ხელისუფლების თხოვნით ჩამოვიდა რუსეთიდან და უარყოფს გავრცელებულ ხმას იმის შესახებ, რომ თითქოს კახა ბენდუქიძის კაცია.

„ბენდუქიძეს ვიცნობ, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობა არასდროს მქონია. შეიძლება მას ჩემ შესახებ რამე ჰკითხეს და მან დადებითი პასუხი გასცა. ალბათ ამის გამო ვარაუდობენ ჩვენს ახლობლობას“, — აცხადებს მორჩილაძე.

## ექლესიას ლაზებიც დაინახავენ

სარფში საბჭოთა კავშირის სასაზღვრო საგუშაგოს ყოფილ ტერიტორიაზე ახალი ტაძარი აშენდება. ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულთან დაკავშირებით, 28 აგვისტოს, ახალი ტაძრის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალი გურიის ეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და ცენტრალური და აჭარის მთავრობის სხვა წევრები დაესწრნენ. „ბოლო ექვსი საუკუნის მანძილზე აჭარაში ეს იქნება იმდენად დიდი მართლმადიდებლური ტაძარი, რომელსაც საზღვრის იქით დარჩენილი ლაზებიც დაინახავენ“, — განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

## აფეთქება თბილისის ცენტრში

28 აგვისტოს დიდი აფეთქების ხმა გაისმა პარლამენტისა და უშიშროების სამინისტროს შენობებს შორის არსებულ სკვერში. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქებამ სკვერში მდებარე ჯიხური და ახლომდებარე საცხოვრებელი სახლების მინები დაამსხვრია. შემთხვევის ადგილზე უშიშროების სამინისტროს ექსპერტები, გამნაღმველები და კინოლოგები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. წინასწარი მონაცემებით, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა სტრატეგიულ ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი მი-2 სისტემის დეტონატორთან ერთად გამოიყენეს.

## 18 ტონა საშიში ტვირთი

სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის „წითელი ხიდის“ განყოფილებამ ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში 18 ტონა ტვირთი გამოავლინა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ცნობით, აღნიშნულ ტვირთებს, რომელთა იმპორტი საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის „წითელი ხიდის“ გამტარი პუნქტით უნდა განხორციელებულიყო, თან არ ახლდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები. დარღვეული იყო შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებიც.

პოტენციურად საშიშ ტვირთში კვერცხი, კარაქი, ყველი, რძის ფხვნილი, კანფეტი, ფქვილი, საკონდიტრო ნაწარმი, ტომატპასტა, გამომშრალი თევზი, თევზის ფქვილი, თევზის კონსერვი და ბავშვთა კვების პროდუქტები შედიოდა. სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის გადაწყვეტილებით, აიკრძალა ამ ტვირთის იმპორტი საქართველოში.

## ზოგს ათავისუფლებენ, ზოგს იჭერენ

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა 26 აგვისტოს 58 პატიმარი შეიწყალა. მათ შორის 43 კაცი სავსებით გათავისუფლდა სასჯელის დარჩენილი ვადის მოხდისგან, 15-ს კი გაუნახევრდა. გათავისუფლებულთაგან ხუთი ქალია. სასჯელთაღსრულებითი დეპარტამენტის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ამნისტია აღარ იგეგმება.

სანამ სააკაშვილი პატიმრებს იწყალებდა, ზუგდიდის №4 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მოქალაქე ნინო ღვამბერია დააკავეს, რომელიც შაქრის ფხვნილით ცდილობდა პატიმარი მეუღლისთვის, გელა ჩხარტიშვილისთვის 10 გ ნარკოტიკის, მარიხუანას გადაცემას.

## შეფუთულ ქვებს შეეწირნენ

გორში დაკავებულ სამ სამხედრო ოფიცერს სახელმწიფო ქონების დატაცება დასდეს ბრალად. დაკავებულთა შორის არის თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის სამხედრო ნაწილის საწყობის გამგე ამირან თედოშვილი. სწორედ ამ ბაზაში იპოვეს ყუთებში ხელყუმბარების ნაცვლად ჩალაგებული ქვები, რომლებიც თითქოსდა რუსი სამხედროების მიერ არის დატოვებული. დაკავებულთა შორის არის აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცეცხლის მართვის საწვავ-საპოხი საწყობის უფროსი გელა მაღლაფაძე და შსს-ს ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა ნიკოლაძე. ნიკოლაძეს ბრალად ედება საბრძოლო დანაყოფებისთვის გამოყოფილი ხის მასალის პირადი მიზნებისთვის გამოყენება, ხოლო გელა მაღლაფაძეს ჯარისთვის განკუთვნილი 2000 ლარის ღირებულების საწვავის მითვისება. ყველა მათგანს შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## ჯიქიას „კარუსელი“ ტრიალებს

ყოფილი სამხედრო პროკურორის, გია ჯიქიას თანამდებობრივი „კარუსელი“ ტრიალს განაგრძობს. გენერალურ პროკურატურაში საკადრო ცვლილებების დასრულების შემდეგ ჯიქია კიდევ ერთი საფეხურით დააქვეითეს. ამიერიდან ყოფილი სამხედრო პროკურორი თბილისის პროკურორის მოადგილედ იმუშავებს. ბოლოს იგი ქვემო ქართლის საოლქო პროკურორად მუშაობდა, მანამდე კი გენერალური პროკურორის მოადგილე გახლდათ.

## ანქვაბს დევნიან

აფხაზეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, ალექსანდრე ანქვაბის მხარდამჭერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აიტაირა“ ცესკოს არძინბას დაკვეთით ალექსანდრე ანქვაბის პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს და ცესკოს ლინგვისტური კომისიის გადაწყვეტილებას ანქვაბის მიერ აფხაზური ენის ცოდნაში ტესტირების გაუვლელობის შესახებ აპროტესტებს. „აიტაირას“ თანათავმჯდომარის, ლეონიდ ლაკერბაიას განცხადებით, ლინგვისტურმა კომისიამ, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატთა აფხაზურ ენაში გამოცდა ევალება, „არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება მიიღო“, რადგან ალექსანდრე ანქვაბმა ტესტირებისას მშობლიურ ენაზე 2 საათი და 20 წუთი ისაუბრა და უარი თქვა კომისიის წევრთა ტესტირების წესით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე ანქვაბი საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსით არ დაუშვეს, ცხადი გახდება, რომ ცესკომ და მისმა ლინგვისტურმა კომისიამ ხელისუფლების, კერძოდ კი ვლადისლავ არძინბას დავალება შეასრულეს.

## ბათუმში ისევ „ბაზარია“

საკოლმეურნეო ბაზრის მოვაჭრეების საპროტესტო აქციები ბათუმში გრძელდება. 29 აგვისტოს ბათუმის ახალ ბაზარში მისულ მოვაჭრეებს კარი დაკეტილი დახვდათ. სამართალდამცველები სავაჭროდ შესვლის უფლებას არავის აძლევდნენ. დირექტორის განცხადებით, დირექციამ ამ ხერხს მიმართა სავაჭრო ცენტრში მოვაჭრეთა თვითნებური შეჭრის აღკვეთის მიზნით. შედგენილია სიები, რომელთა მიხედვით შეუშვებენ მოვაჭრეებს ბონის სავაჭრო ცენტრში. ეს მოვაჭრეთა პროტესტს იწვევს. მათი განცხადებით, ბაზრის დირექცია მხოლოდ ნაცნობობის საფუძველზე შეუშვებს მოვაჭრეებს სავაჭრო ცენტრში. მოვაჭრეები ძველ ბაზარში დაბრუნებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციების გაგრძელებითა და აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის აღძვრით იმუქრებიან. ისინი იმედოვნებენ, რომ კანონის საშუალებით მაინც იპოვიან სამართალს — ეს იდეა მათ საქართველოს პარლამენტის წევრმა, კობა დავითაშვილმა შესთავაზა.

## საპრეზიდენტო არჩევნები ჩეჩნეთში



29 აგვისტოს იჩქერიის რესპუბლიკაში ვადამდელი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. პირველი პირის სავარძლისთვის 7 კანდიდატი იბრძოდა. წინასწარი მონაცემებით, გამარჯვება ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, ალუ ალხანოვს ხვდება წილად. იგი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული პირია. არჩევნების წინა ღამემ ჩეჩნეთში მშვიდად ჩაიარა. თუმცა არჩევნების დღეს 360-ე საარჩევნო უბანზე სისხლიანი ინციდენტი მაინც მოხდა. სამართალდამცველების მიერ დაფიქსირებულმა ტერორისტმა მხოლოდ საკუთარი თავის აფეთქება მოასწრო. არჩევნებთან დაკავშირებით ჩეჩნეთში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული, სპეციალური ინსტრუქციით მოქმედებდნენ ჟურნალისტებიც, თითოეულ მათგანს უშიშროების სამი თანამშრომელი აკონტროლებდა. ჩეჩენი ამომრჩევლები იმედოვნებენ, რომ ახალი პრეზიდენტი მათ მშვიდობას მოუტანს.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.**

**იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ვინ არიან და რა გეგმები აქვთ რუს კაზაკებს სამაჩაბლოში?!“ — 54 ხმა
2. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 50
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „პადუმაეშ, რეპეტიცია!.. დღეს ზურა ჩამოდის“ — 42

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა კვლავ **ზვიად ჩაკვეტაძეს,** მეორე — 20 ლარი — **ირაკლი ალადაშვილს,** ხოლო მესამე — 15 ლარი — **ლელა ჯიყაშვილს.**

***მკითხველის პრემიის მფლობელები 328 რესპონდენტმა გამოავლინა***

# წაგებული გვაქვს ჯერ ბრძოლები და ასეთი სადღეგრძელოს თქმის უფლება არ გვაქვს...

კოხტა გორაკის თავზე, რომელიც წყალტუბოს გადმოჰყურებს, წალკოტში ჩაფლული სახლი დგას. ხის ფართო ჭიშკართან შევჩერდით და მასპინძელს გავძახეთ: ეზოში მთვლემარე კავკასიურმა ნაგაზმა (მერე გავიგეთ, ეს „ბოხო“ ყოფილა) ზანტად გაახილა თვალი. თავი წამოსწია და რამდენიმე წამში ისევ თათებში ჩარგო — მიხვდა, საშიში ხალხი არ ვიყავით. ამ დროს სახლიდან ხმაური მოისმა — ვერანდაზე ორი ნაგაზი ყეფით გამოვარდა, მათ უკან კი აჩქარებული ნაბიჯით მომავალი მწერალი ოტია იოსელიანი დავინახეთ, თავისი განუყრელი ყალიონით. მწერალი ჭიშკრისკენ წამოვიდა, თან ძაღლებს გადასძახა, — ჩვენი სტუმრები არიანო. მათაც თითქოს გაიგეს, ყეფა მშვიდი წკმუტუნით და კუდის ქიცინით შეცვალეს, ბოხომაც ალერსიანად გაგვკრა გვერდი. მწერალმა ვერანდაზე მიგვიწვია, აქ უფრო გრილაო და დაჯდომა შემოგვთავაზა. რაკი ჯორკოზე არ დაგვსხა, მივხვდით, მწერალი კეთილგანწყობით შეგვხვდა. ვიცოდით, ჯორკო ხალხის საყვარელ შემოქმედს არასასიამოვნო სტუმრებისთვის რომ აქვს განკუთვნილი. თავად სავარძელში მოკალათდა, ყალიონი მოქაჩა და დაიწყო:

— სამწუხაროდ, ვერც ილიას, ვერც აკაკის და ვერც ვაჟას ენა და ნათქვამი ვერ გავიცნობიერეთ. თუ ისტორიას არ წაიკითხავ და წინაპრის გამოცდილებას არ გაითვალისწინებ, კისერს წაიმტვრევ... როდესაც მწერალი ან ჟურნალისტი გაკრიტიკებს, თვალში უნდა გამოიხედო კაცმა — სიყვარულია ამ კრიტიკაში და არა სიძულვილი, რეგვენო. შვილს ზოგჯერ იმიტომ გავლახავთ, რომ ცუდი არ გაიზარდოს. თუ ცუდი მოგიწონე, მაშინ ყველაზე მეტი მტერი ვარ შენი. მე ცუდის თქმას კარგის თქმა მირჩევნია, მაგრამ საამისოდ საბაბი უნდა მომცე. ტყუილად ვერ გაქებ, ვერ გაგიმეტებ ამდენად.

დაძაბულ და დაჭიმულ რიტმში ვართ. ყოველდღე იცვლება ცხოვრება. სად მცალია, მაგრამ მაინც მიგდებული მაქვს ყური, რა მოხდა ამ წუთში-მეთქი. საქართველოში მომხდარ რევოლუციაზე წიგნი დავწერე. იქ ვწერ, რომ სინამდვილეში ეს რევოლუცია სასწაული იყო. ამის გამკეთებლები არ ვიყავით. ერთმანეთის გვერდით კვირები როგორ დავდგებოდით იმ ქარწვიმაში, როდესაც ერთ საათსაც ვერ ვგუობთ ერთმანეთს-მეთქი. ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ. უფალმა მოგვხედა და იმიტომ მოხდა ყველაფერი, ასე მგონია მე... იმ 12 საშინელი წლის შემდეგ, როგორითაც საქართველომ იცხოვრა, სად გვქონდა ამისთანა რევოლუციის მოწყობის მონაცემები?! გამათხოვრებული, ზნეობადაკარგული, დაბნელებული, თავმოყვარეობაშელახული და ერთმანეთის ძარცვაში დახელოვნებული ერი იყო ამის გამკეთებელი? პარლამენტი რომ ქურდობას დაიწყებს, ისაა ქვეყანა? ერთმაც რომ იქურდოს, უნდა გადაასხა მდუღარე და დაწვა ასეთი პარლამენტი და ვაკეთებთ ამას? ან რაა ამდენი გამათხოვრებული ხალხი? რას ჰქვია, რომ მათხოვრობ ქართველი კაცი? მუდამ გვიჭირდა, მაგრამ მათხოვრობა არ გვიკადრია. ბოლოს კი ისე წავიდა საქმე, გვიხაროდა, ვილაც ნამათხოვრებს რომ გვაძლევდა. ქართველებმა სახარების სიტყვები დავივიწყეთ — ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი არსობისაო. ამერიკული პურით შეიძლება გაძღე, მაგრამ არსებობის პური აქ, შენს მიწაზე, უნდა აღმოცენდეს. მას უნდა ამოჰყვეს შენი ეროვნული გენეტიკა, მიწის ძალა თუ, გნებავთ, სისხლი და იგია შენი არსობა. შენ კი გაგიშვერია ხელი და კინკილებ საცხა. არაფერი ღირსი არ ხარ შენ არსებობისა.

ახლა ცოტა თვალში გამოვიხედეთ, ვაცალოთ პატარა მიშაიეს, სამართლიანები ვიყოთ, უსამართლობა გვღუპავს და ის, რომ მტყუან-მართალს, თეთრს და შავს ვერ ვასხვავებთ. თვალი გავახილოთ და ყველას მივუჩინოთ მისი ადგილი. გაზეთში ვკითხულობ და მესმის ხშირად, ჟურნალისტი ამას ჩოუსაფრდა, ესა და ეს თქვაო. თუ სიმართლე ვთქვით, რატომღაც სიძულვილი და ჩასაფრება ჰგონიათ. ამ „სიძულვილში“ რამხელა სიყვარულია, ვერ აცნობიერებენ. ცუდი რომ არ მინდა მოგივიდეს, იმიტომ გებრძვი. რამეს რომ გაწყენინებ, მიხარია გგონია? მაგრამ იძულებული ვარ. ჩემს ათ მცნებაში მიწერია, მტერსაც და მოყვარესაც პირში უძრახე-მეთქი. ჩვენ სიმართლე, სიყვარული დავკარგეთ და ამის დამკარგავი ხალხი იმ რევოლუციის მომხდენი იყო? არ ვარ ისეთი მორწმუნე, რომ ყველაფერში ღვთის სასწაულს ვხედავდე, მაგრამ ამ რევოლუციას სხვანაირი ახსნა ვერ მოვუძებნე. ეს უფლის ნება იყო. სხვანაირად არაფერს იგი არ ჰგავდა. ხიზანს რომ კაცი პურს შოუჭამს, ის რევოლუციის მომხდენი კი არა, დედის დამნდობი არ არის. ალბათ სადღაც გენეტიკურ კოდში არის მთვლემარე ეროვნული ენერგია, რომელიც ერთ და ორ თაობაში არ ისპობა და თუ ამინდი დოუდგა, უსათუოდ აღმოცენდება. ეტყობა, ჩვენშიც იყო ჩვენგან ნაცარწაყრილი ეს ძალა და როდესაც ამინდი დოუვარდა, იფეთქა. ყოველთვის ასე ხომ არ ვიყავით ქართველები?! ვიბრძოდით, ჩვენი წინაპრები ასე ხომ არ მათხოვრობდნენ? მებრძოლი კი მოიგებს თუ წააგებს, მაინც კარგი და ვარგისია. მე მიშას დამნდობი არ ვარ, თუ რამე ცუდი ქნა, მასაც ვეტყვი. შევარდნაძე ჩემზე გადაყოლილი იყო, მისგან განებივრებული ვიყავი. ლიტერატურაში რომ გამოვჩნდი, კომკავშირის მდივანი იყო და პირველი განხილვები მან მომიწყო. მერე შინაგან საქმეთა მინისტრობისას რეფერენტს მიგზავნიდა, ჩემი ხელნაწერები მიჰქონდა, კითხულობდა და უკან მიბრუნებდა, მაგრამ ისიც არ დავინდე.

თუ კაცს განათლება გაქვს და კითხულობ, არ უნდა უშვებდე შეცდომებს. სად წაიკითხა, ერთი იკითხე და მეორე აკეთეო — ეს მეტი დანაშაულია, იმიტომ, რომ რეგვენს უფრო ეპატიება, ვიდრე მცოდნეს. იმან რომ დააქცია ქვეყანა, გადავირიე და პირველი ოუჯანყდი. თავისი ფეხით მოდიოდა ჩემთან, მაგრამ ეზოში არ ვუშვებდი. ასლანმაც შემომითვალა, მეწვიე და სტამბულში გამოგიშვებ ტომებსო. მოვიდნენ ახალგაზრდები, საღამოების ჩატარება მთხოვეს. არ მითქვამს უარი. იმიტომ, რომ მწერლები ხალხის მსახურები ვართ, თან მაშინ ასლანი აშენებდა და კულტურასაც უწყობდა ხელს. ერთი ჩასვლა ჩავედი აჭარაში. მე გლეხი ვარ. სხვა განათლება კი არ მაქვს — მიწას, ყანას და ციტრუსებს თქვენ მასწავლით? შევხედე ჩაის და რას ვხედავ, ხელი არაა მოკიდებული, ტყეთ არის წასული. გულგახეთქილმა გავაჩერე მანქანა, რას აკეთებს ეს კაცი, ჩაის თუ არ მოკიდა ხელი-მეთქი. მარტის თვეში ხეები ციტრუსებით იყო დახუნძლული. ზედ იყო ჩამომპალი მანდარინი და ფორთოხალი. გადავირიე ამაზე — ჩაი არა, ციტრუსი არა, რას და რით აშენებს ეს კაცი-მეთქი. ამრეზილი ჩავედი ბათუმში, სუფრა გააწყვეს. საცაა ასლანიც უნდა მოსულიყო და ვთქვი, კარგია, რომ კულტურას ეხმარებით, მაგრამ თუ არც ხვნა-თესვა, არც ჩაი და არც ციტრუსების კრეფა არ გჭირდებათ, აქაურობას როგორ არჩენთ-მეთქი. აქ ისეთი ყაჩაღობა ყოფილა, მეც გამძარცვავთ. თუ არა და მითხარით ეს საიდუმლო-მეთქი. ასლანთან მიუტანიათ ეს ამბავი, აღარ მოვიდა იმ საღამოს და ამით დასრულდა ჩემი ურთიერთობა მასთან.



**„სიყვარულია ამ კრიტიკაში და არა სიძულვილი, რეგვენო...“**

**„რუსმა იცის, სამაჩაბლოს დათმობით აფხაზეთის დათმობაც მოუწევს“**

— **საქართველოში მომხდარი მოვლენები, ჩვენი სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და გამთლიანების მცდელობა რუსეთს თვალში არ მოსდის, ამიტომაც პრობლემებს არ გვილევს. წარმოდგენილი მაქვს, როგორი განცდა გექნებოდათ, როდესაც ცხინვალის რეგიონში ვითარება გამწვავდა.**

— ჩვენ კი არა, ვეებერთელა ჩინეთი ვერ წყვეტს საკითხებს ისე, როგორც უნდა. აქ მსოფლიო მასშტაბის გარიგებებზეა ლაპარაკი. ორი კვირა ვუძახეთ შევარდნაძეს, არ გვინდიხარო და ერთი რუსი დასჭირდა მის წასვლას — მოკიდა ხელი და პაიკივით გადასვა. მოგვეწონა ასე პრობლემების მოგვარება, მაგრამ სამაჩაბლოს საკითხში ისე იოლად არ არის საქმე, როგორც ჩვენ გვინდა. ახლა მარტო ოსეთის კი არა, აფხაზეთის საკითხიც წყდება — ეგია. რუსი ზღვაზე ვეღარ გადის და ამის შიში აზანზარებს. ასეთ დროს აფხაზეთი მისწრებაა მისთვის და ამიტომ ვერ ელევა. რუსებმა იციან, თუ სამაჩაბლოს დათმობენ, აფხაზეთის დათმობაც მოუწევთ. რუს მმართველს, რაგინდ ცუდიც უნდა იყოს, დაპყრობა ისე არ ეშლება, როგორც ძაღლს ნადირის კვალი. მას გენეტიკურად მოსდევს ზოგი მონღოლიდან, ზოგი თავისი, რომ უნდა დაგიპყროს, რაც მეტს იღებს, მეტი უნდა და მტერია შენი. ამიტომ ძნელია ასეთ მეზობელთან ურთიერთობა. ძალიან პოლიტიკოსობს ახლა მიშა, მშვიდობიანად უნდა საქმის მოგვარება. პუტინი თითქოს გადაკოცნა და მეგობრობაც აქვს, მაგრამ პოლიტიკაში კოცნა ყველაზე საშიშია. მაგას მე კახპის კოცნას ვეძახი. რთულ დღეშია ახლა რუსეთი. დსთ ენგრევა და გაავებულია. ამას წინათ, „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქტორმა მოინდომა ჩემთან შეხვედრა და არ მითქვამს უარი... კაი კაცია. ქვეყანაზე გული შეტკივა, გულწრფელია, მაიმუნი კი არა. ჩემთან ჭკუის საკითხავად მოვიდა. შენი რა ვიცი, ჩემი ვერაფერი გამიგიამეთქი. დაქცეული და დაღუპული ქვეყანა ვართ, თქვენ მოსკოვის და პეტერბურგის მეტი არ იცით და წარმოდგენაც არ გაქვთ, რა ხდება რუსეთში, წასულია ჩვენი საქმეო. მთელი საღამო ვილაპარაკეთ, არც ზედმეტად დაულევია იმ კაცს და არც არაფერი შეშლია. გულდათუთქული იყო თავის სამშობლოზე და ამისთანას პატივს ვცემ ყველას, გინდ მტერი იყოს და გინდ მოყვარე. რუსი კაცი ხომ ლოთი იყო, ახლა ქალიც გაგვილოთდა. კაცი მეორე დღეს მაინც აგნებდა სახლს, ქალი კი საერთოდ ვეღარ აგნებსო,. რა ვქნათო, მე მკითხა? რა ვიცი, მაგრამ ყველა ლოთი რავა იქნება-მეთქი. ახლა მასეაო. ვერ მივედით საბოლოოო დასკვნამდე მე და ის კაცი...

რუსეთი დაქცეულია თვითონ და ახლა გადარჩენისთვის იბრძვის. აქამდე ის „ნაცმენებით“ ივსებოდა. ქართველებს კი არ გვგავს, სომხები რომ გვეხვეწებოდნენ — ქართველებად დავეწერებით, აქ გავიზარდეთ, აქაურები ვართ და გვიყვარხართო. ჩვენ კი სიახლოვეს არ გავიკარეთ. რუსეთი სხვა პოლიტიკის ქვეყანაა, თოფით დაგვდევდა, გარუსდიო. მას ეროვნული უმცირესობები რომ შემოეცალოს, დაიღუპება. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რა რუსები ეგენი არიან — მონღოლებია ყველანი. რუსეთი კავკასიაში იყო ფეხმოკიდებული და ხედავს, ახლა აქ სხვა მოდის. გაავდება, აბა, რა მოუვა? ზურგს რომ გვიმაგრებს ამერიკა, დავდგეთ ჩვენც მაგრად და ნუ დავღუპავთ ეროვნულ სულს. გამათხოვრებულებს ფული რომ მოგვცა, საქმეში გამოვიყენოთ. ქვეყანას მოვახმაროთ და ნუ მოვიპარავთ. რუსეთი 100 მილიონი მაინცაა და ჩვენ რა ვართ, არ არის ის იოლად მოსარევი ქვეყანა.

ისეთი ხელშეკრულებები გვაქვს დადებული, ახლაც გვბოჭავს. სწორად გვედავებიან, თუ თქვენი იყო სამაჩაბლო და აფხაზეთი, 12 წელი უმისოდ როგორ გაძელით, ახლა გაგახსენდათო. ჩვენ არც დაგვვიწყებია, მაგრამ ი კაცმა ვერ მოაბა თავი. ახლა კი დაგვიანებულია და ძნელია ბრძოლა.

ერი ბრძოლის უნარს რომ დაკარგავს, განწირულია. ამან იმპერიები დააქცია, ჩვენისთანები კი არა.

> ჩვენც კი ვუკრავდით საბჭოთა კავშირს ტაშს, მაგრამ გვინდოდა? ჩეჩნების გარდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებსაც უდევს გულში დამოუკიდებლობის სურვილი. ეგაა, ჩეჩნებს ჭკუა არ ეყოთ. ამინდს არ დოუცადეს. სხვები კი ამინდს უცდიან და მერე წამოყოფენ თავს. ამის გამო რუსეთი ძალას დაკარგავს, ჩვენ კი ამასობაში უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ ნუ გვგონია, ისევ ყურში მოკიდებენ ხელს კოკოითს და წაიყვანენ. ასე რომ მოიქცნენ, მას არძინბაც უნდა მიაყოლონ და არ მოხდება ასე იოლად ეს საქმე.

ჩვენც კი ვუკრავდით საბჭოთა კავშირს ტაშს, მაგრამ გვინდოდა? ჩეჩნების გარდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებსაც უდევს გულში დამოუკიდებლობის სურვილი. ეგაა, ჩეჩნებს ჭკუა არ ეყოთ. ამინდს არ დოუცადეს. სხვები კი ამინდს უცდიან და მერე წამოყოფენ თავს. ამის გამო რუსეთი ძალას დაკარგავს, ჩვენ კი ამასობაში უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ ნუ გვგონია, ისევ ყურში მოკიდებენ ხელს კოკოითს და წაიყვანენ. ასე რომ მოიქცნენ, მას არძინბაც უნდა მიაყოლონ და არ მოხდება ასე იოლად ეს საქმე. ფული რომ გვქონდეს, სულ სამაჩაბლოში უნდა ჩავიტანოთ. ი ოსს ახლა საჭმელი უნდა. ძალიან შემტევი ბიჭია მიშა, მაგრამ უკან დახევაც იცის თავის დროზე. მთლად დავით აღმაშენებლობას ნუ მოვთხოვთ. მოქნეული და მოზომილი არ არსებობს. კაცი ხმალს თუ იქნევს, იმ მოქნეულ ხმალს შეიძლება უდანაშაულო თავიც მოჰყვეს. როდესაც ცხინვალის ახლოს მნიშვნელოვანი ადგილები დავიკავეთ და მერე უკან დავიხიეთ, ეს მთელი მსოფლიოს დასანახად გაკეთებული ჟესტი იყო — ა, ბატონო, ავიღე, მაგრამ ბოლომდე არ გავედიო. კიდევ არ გჯერათ ჩემიო? მაგრამ რა ვუყოთ, რით დავამშვიდოთ იმ ბიჭების მშობლები, რომელთაც სამშობლოსათვის დადეს თავი. ვაი, შვილო, ფრჩხილადაც არ მიღირს მათ სიცოცხლესთან არაფერი. 12 წლის წინაც დავკარგეთ მაგნაირი ოქრო ბიჭები, რომელთაც ქვეყნისათვის უნდა ეპატრონათ. ისინი იყვნენ ნამდვილი მამულიშვილები და ისინი კი არა, ვინც იმ დროს დუბაიში დაფრინავდა საქონლის ჩამოსატანად. რაი უნდა ვუთხრათ მათ გამზრდელებს გარდა იმისა, რომ ჩვენც ვიღებთ ამ ბიჭების გამო სამძიმარს. იმიტომ, რომ ჩვენც მათი ჭირისუფლები ვართ.

— **ზემოთ მოპარვა ახსენეთ და ბევრი დღეს ციხეშია, ან კიდევ დიდი საზღაურის გადახდის ფასად ეღირსა თავისუფლება. რას ფიქრობთ დაპატიმრებებზე?**

— ცოტას იჭერენ... ციხეები არ გვაქვს, თორემ მეტს დაიჭერდნენ. უამრავია დასაჭერი, მაგრამ ფიზიკურად არ არის მაგის საშუალება. ხომ გახსოვთ, შევარდნაძის სიძემ ცალკე საკანი მოითხოვა, ქურდებთან არ შევალო. პატიმრის ასე მოწყობა ძალიან ძნელია — სინათლეც უნდა, წყალიც და დღეში სამჯერ ჭამა-სმაც. ვინ აუვა ამას? ვინც ეს ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო, ყველა დასაჭერია. საკუთარ ხალხს რომ სული ამოწვალე, ვალები დაადევი და ფული შეუჭამე, დასაჭერი ხარ, აბა, რა ხარ? რუსეთს რომ გამოვეყავით, თუ არაფერი გვქონდა, ვალიც არ გვქონია. ახლა კი ისეთ ვალში ვართ ჩაცვენილი, ძველი დრო გაგვიხდა სანატრელი. აგერ, პროვინციაში, იცით, რამდენია დასაჭერი? ისევ ძველებურად დანავარდობენ, რადგან მაგათთვის არავის სცალია. მადლობა ღმერთს, შესაჭმელი არაფერი დარჩათ, მაგრამ ვატყობ, ეგენი მალე ერთმანეთის ჭამას დაიწყებენ. ეს ქვეყანა კი არა, ჯერ ნანგრევებია. ვინმემ რომ ეს ნგრევა შეწყვიტოს და აგურები არსად წაიღოს, იმაზეც მადლიერი უნდა ვიყოთ. ვფიქრობ, ვინც ძველი ხელისუფლების ცოდვაში იყო გარეული, ახალ ხელისუფლებაში აღარ უნდა გაერიოს.

— **სახელმწიფოს კუთვნილი ობიექტების პრივატიზაციის პროცესს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. თქვენ რას ფიქრობთ ბენდუქიძის განცხადებებზე, ყველაფერი უნდა გაიყიდოსო.**

— ბენდუქიძე მომწონს. მეტი მსუქანი კია და საჭმელი არ დასჭირდება, ფულიც იმდენი აქვს, ჩვენ არ მოგვპარავს და ჭკუაც აქვს. მომეწონა მისი ნათქვამი, ნუ ვიმათხოვრებთო. მაგაზე ადრე ვიძახოდი ამას, მაგრამ იქნებ ბენდუქიძეს მაინც დოუჯეროთ. ყიდვა-გაყიდვა ჩვენ ისე გვესმის, როგორც „სავეცკებს“ ვართ. თანამედროვედ ვერ ვაზროვნებთ. იცით, რამდენი რამ აქვთ იაპონელებს ნაყიდი ამერიკაში? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნახევარი ნიუ-იორკი ჰქონდათ ნაყიდი. გაყიდვის არ უნდა გვეშინოდეს. აბა, რად გვინდა ეს ნანგრევები?

— **ათენის ოლიმპიადას თუ ადევნებთ თვალს?**

— კი ვუყურებ და დავრწმუნდი, რომ ჭკუა კიდევ ვერ ვისწავლეთ. გავანებოთ თავი ამ ფეხბურთის თამაშს. არ ვართ ჩვენ ფეხბურთელები. ბოვშვებს ციკნებივით ვზრდით და მერე თხებივით ვყიდით. რაშიც ღვთის მადლით მონაცემი გვაქვს, იმ საქმეს მოვუაროთ. აქ გვექნება პრეტენზია მსოფლიოს მასშტაბით. ა, ბატონო, რა ქნეს მშიერმა ბიჭებმა. ჩვენ რომ პატარა ხელი შეგვეწყო, არც ი ბიჭი გეიქცეოდა და არც ი გოგო, ახლა რომ სხვა ქვეყნის სახელით გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. უნდა მიგვეხედა ამ ბიჭებისთვის. 204 ქვეყანაა მსოფლიოში და მე-20 ადგილზე ვართ, ვერ ხედავთ? ეს დიდი წარმატებაა და რატომღაც არც კი გვიხარია.

ხალხს მართალი და პატიოსანი სიტყვა მოენატრა. ქუჩაში ვერ გავდივარ, ისე დამდევენ, როგორც შიმპანზეს — სიმართლეს გვეტყვისო. ხალხთან გულწრფელი უნდა ვიყოთ. ტყუილად იმედის გაჩენას უიმედობა სჯობს. აკაკი შანიძემ მოიძია სვანური და მეგრული პწკარედები და იქ ვიპოვე ასეთი დიალოგი:

— ომი გიქნიათო, გივარგი, ომი.
— ომი ვქმენითო, ბეთქარ.
— წაგიგიათო, ომი, გივარგი.
— წავაგეთ, ომი, ბეთქარ,
— მაშ, რა აზრი ჰქონდაო ბრძოლას, გივარგი?
— ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ბეთქარ...

ახლა ბრძოლაა და უნდა მამაცურად ვიბრძოლოთ. რევოლუციამდე გურიაში ვიყავი მიწვეული. სუფრაზე მშვიდობის სადღეგრძელო ავუკრძალე — არ გამაგონოთ ასეთი სადღეგრძელო. მშვიდობაზე გამარჯვებულმა ხალხმა უნდა თქვას-მეთქი. იგივე გავაკეთე სამეგრელოში. წაგებული გვაქვს, ჯერჯერობით, ბრძოლები და ასეთი სადღეგრძელოს თქმის უფლება არ გვაქვს. ღმერთმა ქნას, აწი გაგვემარჯვოს ღირსეულად.

ბოლოს კი სამძიმარი მინდა გითხრათ, ნამდვილად გეკუთვნით. დიდი პატივისცემით ვიყავი განწყობილი თქვენი მთავარი რედაქტორის, ქალბატონი ლალის მიმართ. ერთხელ რედაქციაშიც კი ვიყავი მოსული მის სანახავად, სამწუხაროდ, ვერ ვნახე — არ ვიცნობდი, მაგრამ მის ნაკეთებს ვადევნებდი თვალყურს. მართლაც მშვენიერი გაზეთია და წარმომიდგენია, რა რთული იქნებოდა ამის გაკეთება ასეთ დროში. ყველაფერზე თუ ვერ გაგცემს პასუხს „კვირის პალიტრა“, სხვაზე მეტად ცდილობს უპასუხოს თავის მკითხველს.... მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ 50 თეთრად წიგნისხელა გაზეთს ვკითხულობთ...

P. S. თითქმის ორი საათი ვისაუბრეთ. წამოსვლა დავაპირეთ და მწერალმა აღარ გამოგვიშვა — დღეს კია მარხვა, მაგრამ თბილისში ასე წყალწმინდასავით როგორ გაგიშვებთ. ამხელა სახლში სამარხვოს როგორ არ მოვძებნით. უკვე ღამდება, ჯობს, ამაღამ ჩემთან დარჩეთ და დილით დასვენებულები წაბრძანდით თბილისშიო. „დარჩით“ და „უნდა წავიდეთ“ რამდენიმე წუთს გაგრძელდა — ბოლოს იმ პირობით გამოგვისტუმრეს, რომ მალევე ვეწვეოდით. გამოვემშვიდობეთ პირში მთქმელ მწერალს. ქუთაისის გადასახვევთან, გაჩერებაზე, სამი ახალგაზრდა დაგვხვდა. როგორც კი გაიგეს, ბატონი ოტიას სტუმრები არიანო, დატრიალდნენ, საიდანღაც მოიყვანეს მანქანა და ქუთაისისკენ გამოგვამგზავრეს. ფიქრისა და განსჯის ისეთი საგზალი გამოგვატანა მწერალმა, 10 კილომეტრი ქუთაისამდე თითქოს წამში გაილია...

*იზო რიკაძე*
*ზვიად ჩაკვეტაძე*

# მარადისობაში გარდასული...

3 სექტემბერს 40 დღე გასრულდება მას აქეთ, რაც მარადისობას შეუერთდა ჩვენი ლალი, „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი. რამდენი გულწრფელი ცრემლი გაიყოლა, რამდენი ტკივილი და მონატრების სევდა დაგვიტოვა... თუმცა იმ ბედნიერი დღეების ხიბლიც გვაჩუქა, ერთად რომ გაგვიტარებია რედაქციაში და არა მარტო რედაქციაში. ლალის გვერდით უამრავი მეგობარი, კლასელი, კურსელი, ახლობელი... ჰყავდა შემოკრებილი. ოღონდ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ახლობლები იყვნენ... პროფესიონალთა კოლექტივი შეკრა. ყველასადმი ერთნაირად მომთხოვნი და პრინციპული იყო. ზოგჯერ გაგვიბრაზდებოდა კიდეც, მაგრამ ამ სიმკაცრეშიც სიყვარული ერია. დღის ბოლოს „დასჯილს“ გადახედავდა და საოცარი სიკეთით აღსავსე ღიმილით ეტყოდა, — კარგი ახლა, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირისო...

მართლა ძნელია ახლა კვირისპალიტრელებისთვის ლალის გარეშე მუშაობა... დაუშრეტელი ენერგია ჰქონდა, ზღვა ფანტაზია და ფრაზის გრძნობის უდიდესი უნარი... ზოგჯერ ყოფილა, რაღაცის დაწერა გინდოდა და არ გამოგდიოდა. დაუდებდი ნაწერს, გადახედავდა ერთს, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა, მაგრამ არაფერს გაგრძნობინებდა, ერთ წინადადებას ჩაურთავდა, ზოგჯერ სულაც ორიოდე სიტყვას და გახარებული გამოდიოდი, აი, ზუსტად ასე მინდოდა დამეწერაო, იფიქრებდი...

საყვარელი რუბრიკებიც ჰქონდა: „ჩვენ, ქართველები...“, „დედათბილისი“, „უბრალოდ, ფრაზა...“, „გზა ხსნისა!“, „ვინც გვყავდა...“ უჩვეულო ამბებსაც თავად მოუძებნა რუბრიკა: „წისქვილმა კი ფქვასო...“ მანვე შემოიტანა ბოლო გვერდის საოცარი ფოტოების კოლაჟი სხარტული ტექსტებით, რომელიც მკითხველს მართლაც რომ მშვენიერ ხასიათზე აყენებდა და რუბრიკაც ასეთივე იყო: „ფოტო განწყობისათვის“.

ბოლო თვეებში, როცა უკვე მძიმე სენს ებრძოდა, შვილებმა დიდი აკვარიუმი მოუტანეს კაბინეტში. ბიჭებს ეძახდა თევზებს და ეფერებოდა. ძალიან გაუკვირდა, რომ უთხრეს, მტაცებლები არიანო... — თქვე სულელებო, არ იჩხუბოთო, — ბავშვივით ტუქსავდა...

თავიდან ხომ ყველაფერი მკითხველზე ფიქრით დაიწყო... მერეც ასე იყო. ოღონდ იმგვარად კი არა, „რას იტყვის ხალხი“ რომ ჰქვია. არა! „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი, მართალია, მკითხველის აზრს უდიდეს პატივს სცემდა (ბატონო მკითხველო, ასე მიმართავდა), მაგრამ ყოველთვის ცდილობდა, ისეთი გაზეთი შეექმნა, რომელიც ქვეყნის სატკივარსა და საქვეყნო საკეთებელს გაათავისებინებდა თითოეულს, ვინც კი გაზეთს ხელში აიღებდა წასაკითხად.

„შემოქმედო ღმერთო, დაუსაბამოო, არ დაგვამორჩილო მაცდურებას და ბოროტებას, გვიმრთელე სინდისი, იხსენ დიდი განსაცდელის წინ მდგარი ჩვენი ერი და ქვეყანა, მკრეხელობისგან დაგვიცევ! განგვამტკიცენ რწმენაში და მოგვმადლე მოტევება ცოდვათა... წინ ხომ შენი განკითხვის ჟამი გვიდგას...

ყოველივესთვის გმადლობთ, უფალო!..“ — ლალის ეს სიტყვები დღესაც ისევე გვამხნევებს... ამ სიტყვებში ის ანდამატი დევს, ლალის კალამს რომ მოჰყვებოდა ლაღად და მგრძნობიარედ. თავადაც ამ განცდით იცხოვრა, იღვაწა, უყვარდა და თავიც შეაყვარა ყველას, ვისაც კი მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა და მკითხველსაც, რომელიც „კვირის პალიტრას“ საკუთარ გაზეთად თვლის (ასე იწერებიან დღესაც).



ლალის ამ ქვეყნიდან წასვლის დღიდან უამრავი ადამიანი მოდიოდა თუ რეკავდა რედაქციაში, გვწერდნენ, უსამძიმრებდნენ არა მხოლოდ ქალბატონი ლალის ოჯახსა და ახლობლებს, არამედ მთელ რედაქციას...

ისევ გვწერენ. ყველა მათგანის თქვენს სამსჯავროზე გამოტანა უბრალოდ, შეუძლებელია. ზოგიერთს წარმოგიდგენთ:

ქეთევან ადეიშვილი სამტრედიიდან გვთხოვს, იქნებ ამ წერილის დაბეჭდვა შეძლოთ, ძალიან მინდა, მკითხველმა გაიგოს ქალბატონი ლალის კიდევ ერთი სიკეთის შესახებო და ასეთ ამბავს მოგვითხრობს:

*„სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. ჩვენს ოჯახს ძალიან უჭირს. ჩემი უმცროსი და მძიმედ არის ავად ბრონქიალური ასთმით. ყოველთვიურად 100 ლარი მაინც გვჭირდება მისი წამლებისთვის. დედა თავდაუზოგავად შრომობს, კაპიკს კაპიკზე ადებს, რომ როგორმე წამალი იყიდოს. ერთხელ დედამ თბილისში გამომატანა ფული წამლის საყიდლად — აქ შედარებით იაფად იშოვება. მე კი ფული დაუდევრობით დავკარგე, ტრანსპორტში შეუმჩნევლად ამომაცალეს. განადგურებული ვიყავი. ეს ძალზე დიდი თანხა იყო ჩემი ოჯახისთვის. ვიდექი უნივერსიტეტის წინ და ცხარე ცრემლით ვტიროდი, ირგვლივ ვერავის ვამჩნევდი. მოულოდნელად მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი, ქალის ხმა იყო, — რა დაგემართა, შვილო, მითხარი, იქნებ როგორმე დაგეხმაროო. მაშინღა გამოვერკვიე. ჩემ წინ სიმპათიური ქალბატონი იდგა. დახმარების იმედი არ მქონდა, მაინც ყველაფერი ვუამბე, ახლა ვინმესთვის გულის გადაშლაც შვება იყო ჩემთვის. უცნობმა ქალბატონმა გამიღიმა, თავზე ხელი გადამისვა და დამამშვიდა, — ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდებაო. ჩანთა გახსნა, ფული გადათვალა და ხელში ჩამიდო...*

*მოულოდნელობისგან გავშრი, ხმა ვერ ამოვიღე. მერე ფულის უკან დაბრუნება მოვინდომე, მაგრამ შემაჩერა: — იცოდე, ამით გულს მატკენ. რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, უფალმა შენი თავი რომ შემახვედრა, რათა დაგხმარებოდიო...*

*სახელიც ვერ ვკითხე, მადლობის თქმაც ძლივს მოვახერხე.*

*...და რაოდენ დიდი იყო გულისტკივილი, როცა „კვირის პალიტრის“ სამგლოვიარო ნომერში ფოტოზე სწორედ ის ქალბატონი შევიცანი. გეფიცებით, მთელი დღე ვტიროდი. ეკლესიაში მის სახელზე უამრავი სანთელი დავანთე. მთელი სიცოცხლე ვილოცებ ქალბატონი ლალის (ელენეს) სულისთვის...“*

აქვე გვინდა გაგაცნოთ რუბრიკა „ვერსიის“ ავტორის, ვაჟა გავაშელის დაგვიანებული გამოსათხოვარი: *„ეს ჩემი სტილი არ გახლავთ, მაგრამ გავბედავ და შენობით მოგმართავ. რატომღაც მეჩვენება, რომ კი არ მომკვდარხარ, უბრალოდ სიბერეს გაასწარი და უფალთანაც ისეთივე მხნე და წელგამართული წარდგები, როგორც ამქვეყნად ცხოვრობდი“...*

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ წერილს, რომელიც მცხეთელების სახელით მოგვიტანა ქალბატონმა ეთერ მრევლიშვილმა: *„მასთან განშორება ისე განვიცადეთ, როგორც ნათესავთან და ახლობელთან... ჩვენშივე იბადებოდა კითხვა — რატომ?*

*და აღმოვაჩინეთ ახლიდან ლალი გუნთაიშვილიც და საკუთარი თავიც, ღვთიური სიყვარულით დაკავშირებულნი... და ჩვენვე გავეცით პასუხი ამ კითხვას:*

*— იმიტომ, რომ ჩვენს მიწა-წყალს ჩაჭიდებული აწ განსვენებული მამა გაბრიელი პრესის წარმომადგენელთაგან პირველმა დაინახა და მისადმი რწმენა გაუღვივა მართლმადიდებელთ.*

*— იმიტომ, რომ თავისი „გაცოცხლებული სახარებით“ გვამოგზაურა უფლის გზით ისრაელის მიწაზე. ფეხდაუდგმელად მოგვატარა იერუსალიმი, ბეთლემი, ნაზარეთი, სიონი თუ გეთსამანია, ქვეყანა ბიბლიური დავითისა თუ აბრაამისა, ქვეყანა უფლის რჩეულთა და უფლის გამცემისა... „მეორე იერუსალიმის“ მკვიდრნი — მცხეთელებიც დაგვიმგზავრა...*

*მცხეთელებმა ისღა მოვიფიქრეთ, რომ მამა გაბრიელის საფლავზე, საკვირველთმოქმედ კანდელთან, მუხლმოდრეკით შევთხოვეთ ბერ გაბრიელს, მეგზურობა გაეწია ქალბატონი ლალისთვის უფალთან შესახვედრად...“*

*— მიიღეთ ჩემი და ჩემი თანასოფლელების ღრმა მწუხარება, — გვწერს ალეკო მითაიშვილი ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათიდან და აქვე დასძენს, — დამანგრეველი სტიქიის გამო სოფელი დღემდე მოწყვეტილია გარე სამყაროს, ამიტომაც გვიან გიგზავნით სამძიმარს, რომელიც ტრაქტორით გამოიტანეს ჩვენი უბნიდანო...*

ბაღდათელი მკითხველი დალი იოსელიანი „კვირის პალიტრას“ ასე მიმართავს:

*„მჯერა, ქალბატონი ლალი იყო სათნო და ლამაზი სულის პატრონი, რადგან მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო შეექმნა გაზეთი, რომელსაც ყოველ ორშაბათს ნათელი სხივი შემოაქვს ჩვენს უფერულ ყოველდღიურობაში.*

*მადლობა ქალბატონ ლალის და მადლობა თქვენ, „პალიტრელებო“, იმისათვის, რომ თქვენი გაზეთი კი არ გვიფორიაქებს სულს სკანდალებითა და სენსაციებით, არამედ არის ძალზე ტაქტიანი, ზომიერებით გაჯერებული, ქართული, ეროვნული, პატრიოტული, ეკლესიური, ამაღლებული. გმადლობთ პოეზიის იმ უმშვენიერესი მარგალიტებისთვის, ხანდახან რომ მიმოაბნევთ გაზეთის ფურცლებზე. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ეს ქალბატონი ლალის დამსახურებაა...“*

*„მიიღეთ ჩვენი დაგვიანებული სამძიმარი, —* გვეხმიანება ხულოდან ქალბატონი ეთერ დიკანაძე. *— მთაშიც ვლოცულობთ ქალბატონი ლალის სულისათვის, თუმცა ნათლობის სახელი არ ვიცით (ქალბატონი ლალის ნათლობის სახელი ელენეა. — რედ.). ვლოცულობთ იმ წმინდა მიწაზე, სადაც მაცხოვრის უპირველესმა მოწაფემ, მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სახარება, ააგო პირველი სახლი ღვთისა — ეკლესია დიდაჭარაში, აკურთხა პირველი მღვდელი და დიაკონი. სადაც პირველად იღო ნათელი ქართველმა კაცმა და აქედან გავრცელდა სრულიად საქართველოში... კვლავაც დავანთებთ სანთელს ხულოში ხარების სახელობის ეკლესიაში, სხალთის უძველეს ტაძარში და უფალს შევთხოვთ ქალბატონი ლალის სული დაავანოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ“...*

საოცარი მონატრების სითბოთია გამთბარი ბარათი, რომელიც რედაქციაში ლალის თანაკლასელმა, ჟურნალისტმა დოდო იორდანიშვილმა მოიტანა (ორივენი თბილისის 1-ელ საშუალო სკოლაში სწავლობდნენ): *„ჩვენი კლასიდან მხოლოდ ჩვენ ავირჩიეთ ჟურნალისტის უავკარგო პროფესია, — ყველას დარდი რომ უნდა გაიზიარო და შენი არავინ იკითხოს...*

*შენ კი უკითხავად ყველაფერს ხვდებოდი... ჩემი ხალისიანი ღიმილიც გიკვირდა, მიუხედავად ყველაფრისა, რაც შენ კარგად იცოდი. ამის გამო ხშირად ცრემლიც შემინიშნავს შენს თვალებში. ქრისტიანული თანაგრძნობის ცრემლი. ვიცი, ლოცვებში მიხსენიებდი... მადლობელი ვარ ყველაფრისთვის“.*

როგორი სიკეთის გაცემა შეეძლო, როგორ ახერხებდა ადამიანების გულთან მისვლას, ეს ჩვენი თანამშრომლის, ნინო ასკილაშვილის ამ სტრიქონებიდანაც ჩანს: *„ჩემს ნინუცას! ღვთის მადლით გევლოს! — ასე წამიწერე შენს „გაცოცხლებულ სახარებაზე“, რომელსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები. როგორი ახლობელი იყავი ჩემთვის. შენი სიტყვათა წყობა ხომ სულ სხვანაირია, ფიქრიანი, ემოციით დატვირთული. შენს სიკეთეზე ბევრი დაიწერა და ერთ-ერთი, რომელსაც მძიმე წლებში უანგაროდ ეხმარებოდი, მეც ვიყავი. მენანება შენი ლამაზი თითები, ერთ ასოსაც რომ ველარ მოხაზავენ... შენში სამშობლოს გრძნობა დიდ კოცონად ბრიალებდა და ეს კოცონი გწვავდა...“*

**...3 სექტემბერს 40 დღე გასრულდება, რაც ლალი გუნთაიშვილი ჩვენ გვერდით აღარ არის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. ლალი ყოველთვის ჩვენთან იქნება თავისი გადამდები სიყვარულით, დიდი ადამიანური, ზოგჯერ ბავშვივით გულუბრყვილო განცდებით, სიკეთითა და მოყვასისადმი უანგარო დახმარების სურვილით ანთებული... სამშობლოზე, ოჯახზე, შვილებსა და შვილიშვილებზე თავგადადებული, სიცოცხლეზე შეყვარებული და... მარადისობაში გარდასული...**

***კვირისპალიტრელები***



# „გმადლობთ სიყვარულისთვის, შვილებო!“

## არ მეგონა, თუ ამდენ კაცს სჭირდებოდა დახმარება...

სათნოების სახლთან დილიდან რიგი დადგა. მოვიდნენ ღვთისმშობლის კალთას მინდობილი ჩვენი თანამოქალაქეები და რაიონიდან ჩამოსულები, მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები. ისინი, ვისაც ძალიან სჭირდება თანადგომა... ვისთვისაც ცხელი სადილი იშვიათობაა.

ასოციაცია „კათარზისი“ და „კვირის პალიტრა“, დღეს მათი მასპინძელი, ხელგაშლილი ხვდებოდა სტუმრებს. ძალიან ვღელავდით. პალიტრელები პირველად ვიყავით ამ ღონისძიებაზე, გვინდოდა ყველას მოვფერებოდით, ალერსიანი ღიმილი შეგვეგებებინა, დაგვეპურებინა მოყვასი. დიახ, მოყვასი... რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა ჰქვია, რა გაჭირვება ადგას, რა ასაკისაა... ყველას ერთი სახელით მოვიხსენიებ — მოყვასი. ასე უფრო იოლია ჩემთვისაც და მათთვისაც.

მორიგ სტუმარს სადილი მივართვით. ჩამოვარიგეთ წიწიბურა სოუსით, ჩიხირთმა, ლიმონათი, პური,



ფუნთუშა, ერთი ჭიქა ღვინო.

— ეს სულ მე, სულ მე, ბაბუებო? არა, ამდენი არც მინდა, მხოლოდ ცოტა მომეცით, შიმშილი მოვიკლა, — ცრემლი ჩაუდგა თვალში მოხუცს და ხელისგულით შეიმშრალა, — რამდენი ხანია, სადილი არ მიჭამია...

იქვე, გვერდით, ქალბატონი ჩამოჯდა. ჩანთიდან ცარიელი ქილა ამოიღო და მორიდებით დაიწყო კერძის თეფშიდან გადატანა. სახეზე სიწითლემ გადაჰკრა:

— შინ ბავშვი და ქმარი მელოდებიან, არ წამომყვნენ... მეუღლეს ერიდება, ახალგაზრდა ვარ და ლუკმაპურს ვერ გაჭმევთო, — ქვითინებს, — წელიწად-ნახევარია ქუჩაში არ გამოსულა...

ფოიეში ტელევიზია გამოჩნდა, ხუთი წლის მოყვასმა დედის მკერდში ჩარგო თავი.

— **ტირის?** — ვკითხე.

— არა, ტელევიზიას ემალება, არ მინდა ეზოში ბავშვებმა გაიგონ, აქ რომ ვარო, ამბობს, — მორცხვი ღიმილით ამიხსნა ქალბატონმა, — შვიდი შვილი მყავს, დამხმარე კი არავინ...

ამასობაში ტელეკამერა მეორე ოთახში გაიტანეს, პატარამ ფუნთუშას დაავლო ხელი და ჯიბისკენ წაიღო...

— ეგ შენ ჭამე, ნატოს, გოჩას და იამზეს სხვა ფუნთუშებს წავუღებ, კეთილი დეიდები მოგვცემენ, — ეფერება დედა.

მაგიდებს შორის სათნოღიმილიანი ქალბატონი, ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების სახლის პრეზიდენტის მოადგილე ლია ეცადაშვილი გამოჩნდა. ბევრისათვის ის ნაცნობი და ახლობელია, ბევრმა არ იცის, ვინ არის. ქალბატონი ლია მოყვასს ეხმარება, მაგიდებისაკენ გზას უჩვენებს.

**(გაგრძელება იხ. გვ. 24)**

# როგორ გადაარჩინეს მობილურით ქართველი მებრძოლები



19 აგვისტოს ბრძოლების დროს ერთი საინტერესო ამბავი მოხდა, რომელიც არა მარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ თავად სამხედროების უდიდესი ნაწილისთვისაც უცნობია.

ამ რამდენიმე კვირის წინ, ბრძოლის მომენტში ქართველმა სპეციალისტებმა (ჩვენ არ ვაზუსტებთ, თუ რომელი უწყებებიდან იყვნენ) დააფიქსირეს, როგორ გადასცემდა ოსურ ენაზე სეპარატისტების ერთ-ერთი მებრძოლი: — ისე მივეპარე ამ ქართველებს, რომ არაფერი გაუგიათ, ხელი რომ გავწიო, მათ ჯავშანმანქანას შევეხები. რა ვქნა, ჩავცხრილო შიგ მსხდომებიო?

პრობლემა ის იყო, რომ ქართველმა სპეციალისტებმა არ იცოდნენ, თუ კონკრეტულად რომელ ქართულ ჯავშანმანქანას ეპარებოდა სეპარატისტების ის დივერსანტი, რომელიც რაციაში ამგვარ ინფორმაციას უშვებდა. არც ის იყო გამორიცხული, ეს ჩვეულებრივი დეზინფორმაცია ყოფილიყო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა და მათ ეს ინფორმაცია უმალ გადასცეს იმ სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელს, რომლის ჯავშანმანქანებიც მონაწილეობდნენ სოფელ თლიაყანის 19 აგვისტოს ელვისებურ იერიშში.

თავის მხრივ, არც ამ სამართალდამცავი სტრუქტურის გამოცდილ სპეციალისტს დაუყოვნებია და ინფორმაცია სასწრაფოდ შემდგომ რგოლს გადასცა — მან მობილური ტელეფონით შეატყობინა ოპერაციის ხელმძღვანელობას საგანგაშო ფაქტის შესახებ, ამ უკანასკნელმა კი უკვე რაციით აცნობა ჯავშანმანქანების ეკიპაჟების მეთაურებს.

ჯავშანმანქანებიდან მყისვე დესანტი გადმოხტა და დაიწყო ახლომახლო არეალის ჩხრეკა და ჯავშანმანქანის გარშემო არსებული ტერიტორიის გაწმენდა. ის ადგილი, საიდანაც დივერსანტი ერთ-ერთი ქართული ჯავშანმანქანის აფეთქებას აპირებდა, მალე აღმოაჩინეს — თავად დივერსანტმა კი ერთი ფეხით გაასწრო ქართველ მებრძოლებს.

ეს იყო ქართულ სამხედრო ისტორიაში ყველაზე ელვისებური რეაქცია მოსალოდნელ საფრთხეზე, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რა აუცილებელია თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურა და რა კარგია, როდესაც სხვადასხვა ქართულ სპეციალურ, სამართალდამცავ თუ სამხედრო სტრუქტურებს კოორდინირებული მუშაობა შეუძლიათ.

***ირაკლი ალადაშვილი***



# რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში პატრულმა ან მძღოლმა?!

## საქართველოში სანომრე ნიშნების დეფიციტია?

პოლიციის პატრულის სამი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს. მიზეზი ძველია — მართალია, „გაიშნიკების“ შემცვლელი პატრულები სულ რაღაც ორი კვირაა, რაც გამოჩნდნენ დედაქალაქის ქუჩებში, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მაინც მოასწრეს მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლებისთვის ფულის გამოძალვა. სამივე თანამშრომლის კარიერა თელეთის „ტეკზე“ მომხდარმა შემთხვევამ შეიწირა. პატრულმა აქ ავტომობილი გააჩერა, რომელსაც ტექდათვალიერების აღმნიშვნელი ნიშანი არ ჰქონდა. ნაცვლად იმისა, მძღოლი დაეჯარიმებინათ, მას ფული წაჰგლიჯეს.

კულუარული ინფორმაციით, მექრთამე პატრული პოლიციელები არც უჩინარ ვიდეოთვალს დაუფიქსირებია და არც ფულის გამცემ მძღოლებს დაუბეზღებიათ. ახალი ინსპექტორებისთვის საბედისწერო მათივე ლურჯ-თეთრი „ფოლკსვაგენები“ აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, „ფოლკსვაგენებში“ დამონტაჟებულია აპარატურა, რომელიც პატრულის ნებისმიერ ნაბიჯს აფიქსირებს და, რომელზეც ახალმა „საგზაო პოლიციელებმა“ არაფერი იცოდნენ. როგორც ჩანს, საპატრულო პოლიციას საგზაო პოლიციის მემკვიდრეობაზე უარის თქმა უჭირს. არადა, როცა ლაპარაკი იყო საგზაო პოლიციის გაუქმებასა და მის ნაცვლად საპატრულო პოლიციის ამოქმედებაზე, საზოგადოება იმედოვნებდა, რომ მძღოლებსა და ინსპექტორებს შორის ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული აღებმიცემობა ერთხელ და სამუდამოდ ისტორიას ჩაჰბარდებოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. „კვირის პალიტრას“ ამ ორი კვირის მანძილზე უამრავი მძღოლი დაუკავშირდა, რომლებიც საპატრულო პოლიციელებს ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ. სიტუაციაში გასარკვევად ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაციას, „მძღოლი, გზა, სამართალი“ მივაკითხეთ, რომლის პრეზიდენტი **რობერტ იანტბელიძე** სამწუხაროდ, ადასტურებს, რომ საპატრულო პოლიციის მუშაობა, ჯერჯერობით, არაეფექტიანია და ისევ ძველი მეთოდებით მიმდინარეობს.

— ვისთან არ ვიკითხეთ, მაგრამ ვერ გავარკვიეთ, ვის რა უფლება აქვს და რა მოვალეობა აკისრია. აქამდე კარგად იყო გამიჯნული ერთმანეთისგან მძღოლისა და საგზაო პოლიციელის მოვალეობები. მაგალითად, თუ მძღოლი აღელვებულია, საგზაო პოლიციელი ვალდებულია, დაელოდოს მის დამშვიდებას და მხოლოდ ამის შემდეგ მოსთხოვოს საბუთები. საგზაო პოლიციელი, ასევე, ვალდებულია, წარუდგეს მძღოლს და თავისი ვინაობა გააცნოს. ასეთი წესია მთელ მსოფლიოში და თუ ჩვენ გვინდა ამერიკულ-ევროპულ სტანდარტებში მოვექცეთ, მაშინ მძღოლს ვინმემ უნდა აუხსნას, დღეს რა წესები მოქმედებს: მძღოლი უნდა მივიდეს პატრულთან თუ, პირიქით. ქართველ მძღოლებს რომ თავი დავანებოთ, სომხები და აზერბაიჯანელები გვეკითხებიან, როგორ უნდა მოიქცნენ საგზაო პატრულთან ურთიერთობისას.

— **რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში?**

— ბევრმა მძღოლმა აღიარა, რომ პატრულებმა ფული გამოსძალეს. თურმე, ეუბნებოდნენ, ამ დარღვევაზე ამდენია გადასახდელი, თუ არადა, მართვის მოწმობას დაემშვიდობეო.

— **კონკრეტულ მაგალითს ხომ არ მოიყვანდით?**

— მაგალითად, ღამის სამ საათზე მძღოლმა ჩვეულებისამებრ გაიარა წითელ შუქნიშანზე. პატრულებმა გააჩერეს და უთხრეს: ამაზე ორმოცდაათლარიანი ჯარიმაა, მაგრამ შეღავათს გაგიკეთებთ და ოცდაათ ლარს გამოგართმევთ. სამი კაცი ვართ და თითოს ათ-ათი ლარი ხომ უნდა შეგვხვდესო. მძღოლები ამბობენ, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა საგზაო პოლიციის გაუქმებას, თუკი ესენიც ფულს წაგვართმევდნენო.

წითელი შუქნიშნის გადაკვეთისას ჯარიმა მაქსიმუმ ოცი ლარია. თუ მძღოლს ეს ეცოდინება, მაშინ პატრულები ორმოცდაათ ლარზე ვეღარ დაუწყებენ ვაჭრობას.

— **რამდენად მასშტაბური ხასიათი აქვს ასეთ ფაქტებს?**

— ორ კვირაში, ბუნებრივია, მასშტაბურ ხასიათს ვერ მიიღებდა. თუმცა ათობით შემთხვევა კი დაფიქსირდა. ამას ნამდვილად არ ველოდით. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საპატრულო პოლიციისთვის მოსამზადებელი კურსის ხანგრძლივობა არასაკმარისია. ეტყობა, ამ ხალხს ვიღაცამ არ მისცა სწორი მიმართულება.

სანამ გვიან არ არის, დროზე უნდა გავახმაუროთ, რა უფლებები აქვთ როგორც პატრულებს, ასევე მძღოლებს. ვთქვათ, ხევის საგუშაგოზე გააჩერეს ნასვამი მძღოლი, რომელსაც მანქანაში მცირეწლოვანი შვილი უზის. მძღოლი უნდა წაიყვანონ და შეამოწმონ. რამდენი ხნით უნდა წაიყვანონ? ადრე სამი საათი იყო. სამ საათში ვინ იპოვის რაიონის მოსამართლეს? შეიძლება შაბათ-კვირაა და მოსამართლე არ არის ადგილზე. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ან პატრულმა, ან მძღოლმა? აზერბაიჯანელს რომ პომიდორი მოაქვს წითელი ხიდიდან, იმან რა იცის, საპატრულო პოლიციელთან როგორ უნდა მოიქცეს? სანამ ხალხი ვერ გაიგებს, რა დარღვევისთვის არის ოფიციალური გადასახადი დაწესებული, საქმეს არაფერი ეშველება.

საპატრულო პოლიციის რიგებიდან ფულის გამოძალვის გამო პოლიციელების დათხოვნაზე საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელები უხალისოდ ლაპარაკობენ.

**იასონ ჩიხლაძე,** ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსი: — თუ ფულის გამოძალვის ფაქტს ადგილი ექნება, დაგვიკავშირდნენ მძღოლები და შესაბამის ზომებს მივიღებთ. მერწმუნეთ, უღირსი პოლიციელი საპატრულო პოლიციის რიგებში აღარ იქნება.

— **როგორც გავიგეთ, ფულის აღების ფაქტი მანქანებში დამონტაჟებულმა აპარატურამ დააფიქსირა. ასეთი აპარატურა მართლა არსებობს?**

— არ ვიცი(?!). ჯერ შსს-ს პრესცენტრს დაუკავშირდით და თუ ნებას მოგვცემენ, ამ საკითხზე შემდეგ ვისაუბროთ.

— **მე ხომ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებას არ გთხოვთ.**

— ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებ, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ გვაქვს საშუალებები, რომლითაც საგზაო პატრულის ნებისმიერ ქმედებას ვაკონტროლებთ. ნებისმიერი პოლიციელი, რომელიც ქრთამს აიღებს, ისევე დაისჯება, როგორც თელეთის „ტეკზე“ მომუშავენი.

— **ჩვენ ვესაუბრეთ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს, რომელიც აცხადებს, რომ პატრულისა და მძღოლის უფლებამოსილებები არსად არ არის გამოქვეყნებული.**

— არსებობს საგზაო პოლიციელის დებულებანი, რომელიც პატრულს მოქმედების წესებსა და ფუნქციებს ასწავლის. უკვე მუშავდება ნორმატიული აქტები, რომლებიც ამ დებულებებს სისტემაში მოიყვანს. ახალი წესდება, სავარაუდოდ, სექტემბერში შევა პარლამენტში და დამტკიცების შემთხვევაში, სექტემბერშივე ამოქმედდება...

კიდევ ერთი საინტერესო სიახლე — საპატრულო „ფოლკსვაგენებს“ წინა მხრიდან სანომრე ნიშნები არ აქვს. ნომრის გარჩევა მხოლოდ უკანა მხრიდან არის შესაძლებელი. როგორც საპატრულო პოლიციელები ამბობენ, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საპატრულო მანქანები ასე ივლიან. რადგან იქიდან გამომდინარე, რომ პატრულს ინსპექტორობის გარდა სხვა ოპერატიული საქმიანობაც ევალება, ყველამ ვერ შეძლოს ადვილად იმის დაფიქსირება, თუ რომელი საპატრულო მანქანა საით გადაადგილდა და როდის შეიცვალა, ეს იგივე მანქანაა თუ არა და ა.შ.

რაც შეეხება სანომრე ნიშნებს, სავარაუდოდ, სამომავლოდ სამოქალაქო მსუბუქ მანქანებსაც ერთი სანომრე ნიშანი ექნებათ. თუმცა, ეს შეიძლება იმითაც არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში სანომრე ნიშნების დეფიციტია. ქალაქის საპატრულო პოლიციის უფროსის, ვანო ბერაძის ინფორმაციით, გერმანულ კომპანიას, რომელიც სანომრე ფირფიტებს აწვდიდა ქართულ მხარეს, შვიდი თვის მანძილზე საფასურის გადაუხდელობის გამო ფირფიტების მცირე რაოდენობა შემოაქვს. დეფიციტიც ამან შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სანომრე ფირფიტების დიდი პარტიით შემოტანის შესახებ. ფინანსთა სამინისტროს ალბათ საამისო ხარჯების გამონახვა მოუწევს. ერთი სიტყვით, პრობლემები თავზე საყრელად გვაქვს... ახლა აუცილებელია, უკვე დაფიქსირებული ნეგატიური მოვლენები დროულად აღმოიფხვრას და საგზაო პოლიციაში ერთ დროს დამკვიდრებული აღებმიცემობა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ პატრულის ფორმის მოსარგებად განსაზღვრული თანხის გაღება არის საჭირო. იქნებ ამ ფულის „ამოსაღებად“ მუშაობს ზოგიერთი პატრული პოლიციელი?

ვიმედოვნებთ, რომ საპატრულო პოლიციის დაკომპლექტების წესი შეიცვლება, დაიხვეწება და საზოგადოება იმას მიიღებს, რასაც ელოდა.

***დავით დევდარიანი***



# ქართველი „რვაფეხას“ საცეცები თანამემამულეების წინააღმდეგ

## საწყალს ორმოცი კილოგრამი ხიზილალა აუფეთქეს მანქანაში

რამდენიმე თვის წინ „კვირის პალიტრა“ ქართველი კანონიერი ქურდების მიერ მოსკოვში მწვანილის ბიზნესის გაკონტროლებაზე წერდა. როგორც მაშინ ქართველი მემწვანილეები ამბობდნენ, კრიმინალურ ავტორიტეტებს მწვანილის ბიზნესში, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმეა, სოლიდური წილი აქვთ. როგორც აღმოჩნდა, ქართველი ქურდები მთლიანად აკონტროლებენ ამ სფეროს — მწვანილის მოყვანიდან, მის ტრანსპორტირებამდე და ბაზარში გამოტანამდე.

ირკვევა, რომ კანონიერი ქურდების ინტერესთა სფეროში მხოლოდ მწვანილი არ შედის. რუსეთში მყოფი ქართველი ბიზნესმენების თქმით, თუკი სამშობლოდან რუსეთში გადახვეწილ ქართველ მეწარმეებს ბიზნესის წარმართვაში რაიმე უშლით ხელს, უპირველესად, ეს კანონიერი ქურდები არიან, რომლებიც ბიზნესმენებისგან სოლიდურ წილებს ითხოვენ.

რამდენიმე დღის წინ ჩვენს გაზეთს ერთ-ერთი ასეთი ბიზნესმენი დაუკავშირდა, რომელსაც ქურდების მიერ ბიზნესის გაკონტროლების მექანიზმზე სურდა ჩვენთან საუბარი.

გადავწყვიტეთ ჩვენი რესპონდენტის ვინაობა არ გაგვემხილა, რათა პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ პრობლემები არ შექმნოდა. თუმცა, როგორც თვითონ გვითხრა, მას დასაკარგი არაფერი აქვს, — რუსეთში დაბრუნებას აღარ აპირებს, ქართველი ქურდების წყალობით იქიდან ისეთივე ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა, როგორიც რამდენიმე წლის წინ აქედან გაემგზავრა.

თბილისელი **გოჩა ერგემლიძე** ათი წლის წინ გაემგზავრა ჩელიაბინსკში. მაშინ იგი საქართველოდან გაჭირვებას გაექცა. ადრე ამ ქალაქში სამხედრო სამსახური ჰქონდა გავლილი. ორი წლის მანძილზე ვიღაც-ვიღაცების გაცნობა მოასწრო და იმედს არ კარგავდა, რომ რაიმე საქმეს მოჰკიდებდა ხელს: — საქართველოში ცოლი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი დამრჩა. ოჯახს რჩენა ხომ უნდოდა? გადავწყვიტე, ჩელიაბინსკში წავსულიყავი. თუ საქმეს ავაწყობდი, მერე ოჯახსაც წავიყვანდი. ჩელიაბინსკში ჩასულს გამიმართლა — ნაცნობების დახმარებით ხის სახერხ საამქროში დავიწყე მუშაობა. ექვსი თვე ვიმუშავე. იმდენს კი ვიღებდი, რომ შინაც გამეგზავნა ცოტაოდენი ფული და თავიც შემენახა. გაგეცინებათ, ალბათ, მაგრამ, სოლომონ მეჯღანუაშვილივით ვიყავი — არ ვსვამდი, არ ვეწეოდი, კაპიკს კაპიკზე ვადებდი, რომ რაიმე საქმე წამომეწყო. ექვსი თვის შემდეგ ეს დროც დადგა, ბენზინგასამართი სადგურის წილში ჩავჯექი.

**— ექვს თვეში ამდენი თანხის დაგროვება მოახერხეთ?**

— ფული არ მჭირდებოდა. მაშინ რუსეთში პრივატიზაცია ახალი დაწყებული იყო და პატარა ობიექტები კერძო საკუთრებაში გადადიოდა. იქაურმა მეგობრებმა შემომთავაზეს, რომ ბენზინგასამართი აგვეღო იჯარით და გამოსასყიდი ფული ნელ-ნელა დაგვეფარა. ასე აღმოვჩნდი ამ ბიზნესში და ჩემი წამებაც დაიწყო. „კრიშობას“ სამხედრო ოკრუგის ყოფილი გენერალი ეროფეევი გვიწევდა. ხომ გახსოვთ, ერთხანს ბენზინი დეფიციტი იყო, მაგრამ გენერლის წყალობით ჩვენ ეს არ დაგვტყობია, — კლიენტი ბევრი გვყავდა და შემოსავალიც გვქონდა. ეროფეევსაც თავის წილს ვუგზავნიდით. ადგილობრივ ხელისუფლებასაც ვაძლევდით ცოტაოდენს მანამ, სანამ ქურდები არ მოვიდნენ და იმაზე მეტი არ მოითხოვეს, ვიდრე სხვებს ვაძლევდით.

**— წილი რაში მოითხოვეს?**

— მშვიდად რომ გვემუშავა... თვეში შვიდასი დოლარი მოითხოვეს. ეს მაშინ დიდი თანხა იყო. გენერალს თვეში ასორმოცდაათი დოლარი მიჰქონდა და კმაყოფილი იყო.

**— დათანხმდით მათ წინადადებას?**

— ჩემ გარდა საქმეში კიდევ სამი რუსი იყო. ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ მიგვეცა. რუსი პარტნიორები თავდაპირველად მილიციაში გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ ავუხსენი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. თუკი ქურდებს დაიჭერდნენ, ვინმე ბენზინგასამართზე ერთ „ლიმონკას“ შემოგვიგდებდა და ამით დამთავრდებოდა მთელი ჩვენი ბიზნესი. ერთი სიტყვით, ქურდებს მოველაპარაკეთ, რომ შვიდას დოლარს ვერ გადავუხდიდით და მხოლოდ ორასი დოლარის მიცემა შეგვეძლო. ისე იწუწუნეს, გეგონებოდათ, საქმე უფუჭდებოდათ, მაგრამ ბოლოს დაგვყაბულდნენ.

**— ბევრნი იყვნენ?**

— კანონიერი ქურდი მხოლოდ ერთი იყო. ემზარს ეძახდნენ, თან ოთხი ქართველი დაჰყვებოდა. თითქმის მთელ ქალაქს აკონტროლებდნენ, ჩემ გარდა სხვა ქართველი ბიზნესმენებიც ხომ იყვნენ. ემზარს ისინიც უხდიდნენ ფულს. საინტერესო იცით, რა იყო? რუს ბიზნესმენებს ვერაფერს უბედავდნენ — მხოლოდ ქართველები ჰყავდათ მიზანში ამოღებული. ერთი სიტყვით, წილში ჩაგვისხდნენ და რომ იტყვიან, გვწველიდნენ. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ დღეში ოც-ოცდაათ ლიტრ ბენზინს უფასოდ ისხამდნენ. უკან-უკან მივდიოდით. საქმის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. მე ჩემს სახერხს დავუბრუნდი და რვა წელი ისევ უბრალო მუშად ვიმუშავე. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორჯერ ვნახე ჩემი შვილები. ერთხელ მე ჩამოვედი თბილისში, მეორეჯერ ჩემი ოჯახი მესტუმრა ჩელიაბინსკში.

**— მილიციაში მისვლა ერთხელაც არ გიცდიათ?**

— მილიციაც ნაყიდი ჰყავთ და ჩვენ ვინ გვიშველიდა? იქ ერთი ქართველი ბიზნესმენი ბიჭი იყო, შავ ხიზილალაზე ჩალიჩობდა. მაგარი საქმოსანი იყო, ვლადივოსტოკიდან შემოჰქონდა ხიზილალა და ჩელიაბინსკიდან გერმანიაში აგზავნიდა. ოთხი წელი ესხდნენ წილში ქურდები. ბოლოს ვიღაცამ შეაცდინა და უთხრა: რად გინდა, ქურდებს წილს რომ აძლევ, მაგის ნახევარი მილიციის უფროსს მიეცი და ქურდებს ჩამოგაშორებსო. საწყალმა დაიჯერა და ქურდებს წილზე უარი უთხრა — ორმოცი კილოგრამი ხიზილალა აუფეთქეს მანქანაში. საწყალი ვალებში ჩავარდა. მუშად დაიწყო მუშაობა, რომ ფული დაეგროვებინა და საქართველოში დაბრუნებულიყო.

**— თქვენს შემთხვევაში რა მოხდა?**

— მუშის ხელფასის წილში ხომ არ ჩამიჯდებოდნენ. მერე საამქროს უფროსმა შემომთავაზა: დამუშავებულ ხეტყეზე დიდი მოთხოვნილება არის უცხოეთში და რამდენიმე კომპანიასთან ხელშეკრულება გავაფორმეთ, რომ მასალას მივაწვდიდით. მე ვაგონების გამცილებლის მოვალეობა შემომთავაზეს. მოკრძალებული წილი იყო, მაგრამ შავ მუშად მუშაობას ჯობდა. იქაც მომაგნეს. გატანილი მასალიდან შემოსული მოგების ოცი პროცენტი მოითხოვეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქურდებისთვის უნდა გვემუშავა და უარი ვტკიცეთ. იმ დროს კიდევ სამი ქართველი ქურდი ჩამოვიდა და ვიდრე ქალაქში არსებულ სიტუაციას კარგად შეისწავლიდნენ, დროებით წყნარად ყოფნა ამჯობინეს. მაგრამ რად გინდა, როგორც კი მივლინებიდან ჩამოვედი, იმავე საღამოს მომაკითხეს — წამლის ფული გაგვითავდა, „ლომკებში“ ვართ და ფული მოგვეციო. ერთხელ მივეცი, მეორედ. ვიფიქრე, ნამუსზე შევაგდებ და ფულის სათხოვნელად აღარ მოვლენ-მეთქი. რა ნამუსი, რის ნამუსი, კვირაში ორჯერ აგზავნიდნენ ხალხს. მაშინ კი ვუთხარი თავს, სანამ სულ არ გაუტყავებიხარ, აქედან აიბარგე-მეთქი. ასე დავბრუნდი საქართველოში.

**— სხვა ქართველი ბიზნესმენები როგორ უძლებენ ამ სიტუაციას?**

— ნებისმიერ ქართველ ბიზნესმენს უსხედან წილში. ეს ხალხი ამდენ ხანს მილიონერები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მთელი შემოსავლები, ფაქტობრივად, ქურდებს მიაქვთ. მილიციაშიც ვერ აცხადებენ — საქართველოში ოჯახები ჰყავთ და ეშინიათ, არაფერი მოსწიონ. ეტყობა, გამოსავალი არსადაა. მეც ჩემს გულისტკივილს გიზიარებთ, თორემ ვიცი, არაფერი შეიცვლება...

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ექსპერტ-კრიმინალისტი **შოთა მაისურაძე** აღნიშნავს, რომ ეს პრობლემები ჩვენს თანამემამულეებს ბოლო პერიოდში კიდევ მოემატათ, რადგან რუსეთს არაერთმა კანონიერმა ქურდმა მიაშურა: — რუსეთი ქართველი ქურდების სიმცირეს არასოდეს „განიცდიდა“, მაგრამ პირველი დიდი ნაკადი მაშინ მიაწყდა, როცა 90-იანი წლების დასაწყისში, „მხედრიონთან“ დაპირისპირების შემდეგ, ქართველი ქურდები რუსეთში გადაიხვეწნენ. ამ ხნის მანძილზე რუსეთის ქალაქებში ფეხი მოიკიდეს და შემოსავლის წყაროდ თანამემამულეებისაგან თანხების გამოძალვა გაიხადეს. „კანონიერი ქურდების“ მეორე სერიოზული ნაკადი რუსეთში ბოლო ექვსი თვის მანძილზე ჩავიდა. როცა საქართველოში მათ ბრძოლა გამოუცხადეს და ისღა დარჩენოდათ, უკვე „ათვისებულ“ რუსეთში გადახვეწილიყვნენ.

**— მაინცდამაინც თანამემამულეებს რატომ სძალავენ ფულს?**

— აქ კარგად დამუშავებული ფსიქომექანიზმი მუშაობს. ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი აზრი, რომ დავაბეზღო, მერე სად წავიდე, ჩამშვებს დამიძახებენო და ა.შ. ქართულმა რვაფეხამ კარგად იცის ჩვენი საზოგადოების ეს სუსტი მხარე. რასაც ქართველ ბიზნესმენებს უკეთებენ, იმას რუსებს ვერ გაუბედავენ. რუსებს ჩვენგან განსხვავებით, მილიციაში განცხადების დაწერა სათაკილოდ არ მიაჩნიათ.

**— გამოდის, რუს ბიზნესმენებს არავინ აწუხებს?**

— რუს ბიზნესმენებს თავიანთი თანამემამულე კრიმინალები ავიწროებენ. აქ სფეროები კარგად არის გამიჯნული. ხომ იცით, მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკაში იტალიურმა მაფიამ როგორ დაიწყო საქმიანობა — თანამემამულეებს ავიწროებდნენ და ამის ხარჯზე გამდიდრდნენ. თუკი ამერიკელებს გადასწვდებოდნენ, ეს მათთვის სავალალოდ დასრულდებოდა. ყველაზე ცნობილი რუსი კანონიერი ქურდი „იაპონჩიკი“ ამერიკაში რატომ დაიჭირეს? 1995 წელს ვიაჩესლავ კირილოვიჩი („იაპონჩიკი“) ამერიკაში 4 მილიონ დოლარს სძალავდა რუს ბიზნესმენებს. ამერიკელი მილიონერი იქ ცოტა იყო?! მაგრამ მაინც თანამემამულეები ამჯობინა. მათთან უფრო გაუვიდოდა. რამდენიმე წლის წინ მოსკოვში ქართველი კანონიერი ქურდი, ვინმე ლეჟავა დაიჭირეს ადამიანების გატაცებისა და გამოსასყიდის გამოძალვისათვის. ხუთი გატაცება ჰქონდა ორგანიზებული და ხუთივე შემთხვევაში გატაცებულები ქართველი ბიზნესმენების ოჯახის წევრები იყვნენ(!).

P. S. ასეთია რუსეთში მყოფი ერთი ქართველი ბიზნესმენის ისტორია. იგი იმით არის შემაშფოთებელი, რომ საქმე მხოლოდ ერთი კაცის თავგადასავალს არ ეხება და ზოგადად, ამავე დღეში არიან რუსეთში მყოფი ჩვენი სხვა თანამემამულეებიც. ყველაფრის მიუხედავად, ისინი იმედს მაინც არ კარგავენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გამოსწორდება. ვფიქრობთ, სამართალდამცველები ყურადღებით მიუდგებიან ამ საქმეს და მცირე ბიზნესი დამნაშავეთა ტერორისგან გათავისუფლდება.

***დავით დევიძე***



ქართული ნალია სოფელ ჰილმიეში

# გურჯ მუჰაჯირს შვილისთვის იბერია დაურქმევია(!)

ხშირად მიფიქრია, ფერეიდნელი, ინგილო, ლაზი თუ ტაო-კლარჯელი ქართველობა იმ მდინარესავით არის, რომელსაც კალაპოტი შეუცვალეს, რათა დედაზღვას ვერ შერთვოდა-მეთქი. იქნებ დრო მოვიდეს და ზღვამ შვილები დაიბრუნოს, მანამდე კი „კვირის პალიტრა“ ერთი ასეთი გზააბნეული „მდინარის“, ქართველი მუჰაჯირების შესახებ მოგითხრობთ.

ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტმა, გიორგი კალანდიამ კინოდოკუმენტალისტიკაშიც სცადა ბედი და ერთგვარად მემატიანის ფუნქციაც იკისრა. ამჯერად გიორგი ისტორიკოს ბუბა კუდავასთან ერთად თურქეთს ესტუმრა, სადაც დიდი ხნის წინ გადახვეწილ ქართველთა შთამომავლებს შეხვდა. მათ მიერ მიწოდებულ ექსკლუზიურ ფოტოებსა და ფაქტებზე დაყრდნობით გთავაზობთ თურქეთში მოგზაურობის ამსახველ ეპიზოდებს, რომლებიც ალბათ ჯერ კიდევ მოუშუშებელ იარებს გაგვიხსნის, მაგრამ აგვამაღლებს კიდეც და იმედითაც აგვავსებს, რომ ქართულ ჯიშსა და გენს

— კარგა ხანს არ ვიცოდით, რომ საქართველო არსებობდა. გვეგონა, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ჩვენ ვიყავით გურჯები და ვერ წარმოგვედგინა, თუ სადღაც კიდევ იყვნენ ქართველები. საქართველოს შესახებ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როდესაც ახმედ მელაშვილმა წიგნი „საქართველო“ დაწერა.

გადაშენება არ უწერია. ახლა კი **გიორგი კალანდიას** მოვუსმინოთ:

— სანამ თურქეთისკენ გეზს ავიღებდით, კარგა ხანს ვფიქრობდით, ვინ უნდა ყოფილიყო ჩვენი ექსპედიციის კვლევის ძირითადი ობიექტი, საზოგადოდ თურქეთში მცხოვრები გურჯები თუ მუჰაჯირები, რომლებიც დღეს საქართველოში ცოტას თუ ახსოვს. გადაწყდა, მუჰაჯირებს ვწვეოდით. ბევრს ჰგონია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ გამაჰმადიანებული აფხაზები გაასახლეს საქართველოდან. არადა, ისტორიას თუ გადავხედავთ, მუჰაჯირების უდიდეს ნაწილს თურქეთში აჭარლები, აფხაზები და იმერლებიც კი წარმოადგენდნენ.

როდესაც რუსეთის იმპერია სამშობლოდან ასახლებდა მაჰმადიან ქართველებს, მათთან ერთად ქვეყნის დატოვებას ქრისტიან, იმპერიისთვის არასანდო ქართველებსაც აიძულებდა. საბჭოთა ისტორიოგრაფებმა ტაბუ დაადეს ამ ფაქტებს. სამაგიეროდ, ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ აფხაზების გასახლებაზე. ცხადია, ეს მიზანმიმართული ანტიქართული პოლიტიკის ნაწილი იყო, რითაც კარგად უმღვრევდნენ ტვინს აფხაზებს. ამიტომაც დაისახა მიზნად ჩვენმა ექსპედიციამ ქართველი მუჰაჯირების შთამომავალთა მოძიება და მათი ნაამბობით ისტორიის ამ პერიოდის გახსენება. ისინი აქ, შორეულ თურქეთში ძალიან ბევრნი არიან. მუჰაჯირები სტამბულის შემოგარენში ცხოვრობენ. მთიანი აჭარიდან გასახლებულები თურქეთში ბარს ვერ შეჰგუებიან, ისევ მთისკენ გაუწიათ გულმა და მადლიანი მარჯვენის წყალობით მეორე საქართველო შეუქმნიათ. გაოცდებით, ისე ჰგავს იქაურობა აქაურობას. მუჰაჯირები მორცხვი ღიმილით და თავმომწონედ გვეუბნებიან — აი, ნახეთ, შუაგულ თურქეთში კიდევ ერთი საქართველო დავაარსეთო. საქართველოდან 2000 კილომეტრის დაშორებით, სადღაც მთიან სოფელში რომ ჩვენებურად თავწაკრული ქალი აივნიდან გადმოგძახებს — გურჯი ხარო, სიხარულისგან შეიძლება დამუნჯდე. ეს არასდროს დამავიწყდება. როცა ქალს ვუთხარით, ჰო, ქართველები ვართ-თქო, დაახლოებით ფილმ „იმერული ესკიზების“ მთავარი გმირივით დოინჯშემორტყმულმა მეზობლებს გადასძახგადმოსძახა — ნათესავები გვეწვივნენ საქართველოდანო. წამში მოგროვდა ხალხი, ყველა ქართულად ლაპარაკობდა, თან ძალიან კარგი ქართულით.

როცა იქაურობას ვათვალიერებდი, ვფიქრობდი, ალბათ ყველაფერი იმიტომ არის ლამაზი, რომ მათ შრომას საქართველოზე ფიქრი და ოცნება წინამძღვრობდა-მეთქი. აკი დამიდასტურა კიდეც ფიქრი ერთმა იქაურმა — ჩვენი მამა-პაპა აქ, თურქეთში, იმის ხატს ქმნიდა, რაც თვალებიდან არ ამოსდიოდა და რაც სულში ტკივილად ჰქონდაო. თურმე თურქები ამბობდნენ — გურჯების მიწა (თურქეთში) იმიტომაა ლამაზი და მდიდარი, რომ მას ცრემლებით რწყავენ, გურჯის ცრემლი კი მადლიანი და ჯადოსნურიაო.

მუჰაჯირები, ძირითადად, მე-19 საუკუნის დროინდელი ქართულით ლაპარაკობენ. საოცრად მდიდარი და ლამაზია მათი სიტყვათა მარაგი. თუ ჩვენ ვიტყვით ხოლმე — სწრაფად მოვდივარო, ისინი ამბობენ — ცქვიტან მოვდივარო და ა.შ. სხვათა შორის, ქართული ენის შენარჩუნებაში თურქეთში მცხოვრებ ქართველებს დიდი ამაგი დასდო ახმედ მელაშვილმა.

ქალაქ ბურსაში, სადაც 600.000-მდე ქართველი ცხოვრობს, ქართველთა ასოციაციაში ვესტუმრეთ მის ხელმძღვანელს, **მამია დუმბაძეს**. გვითხრა — ისე ჰქმენით, საქართველოში ჩემი ნათქვამი სასაცილოდ არ მოეჩვენოთო (თავად განსაჯეთ, როგორი ქართულით მეტყველებს ბატონი მამია).

— კარგა ხანს არ ვიცოდით, რომ საქართველო არსებობდა. გვეგონა, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ჩვენ ვიყავით გურჯები და ვერ წარმოგვედგინა, თუ სადღაც კიდევ იყვნენ ქართველები. საქართველოს შესახებ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როდესაც ახმედ მელაშვილმა წიგნი „საქართველო“ დაწერა. მან ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ ლაზებსა და გურჯებს თურქეთის ტერიტორიაზე თვითმყოფადობა შეენარჩუნებინათ...

ახმედს შვილისთვის იბერია დაურქმევია სახელად. როცა ეს გავიგეთ, გავოგნდით — 70-იან წლებში, შუაგულ თურქეთში რომ შვილისთვის ამ სახელის დარქმევის და მერე მისი ტარების უფლებას მოგცემენ, ე. ი. გმირი ხარ. ჩვენს ფილმში იბერიასა და მისი შვილის სიმღერაცაა ჩართული, — საქართველო ყველაზე ლამაზი და ძლიერია ამქვეყნად, მისი დარი სხვაგან არსად არისო, მღერის მამა-შვილი.

გურჯებისთვის იქაურ „იაკობ გოგებაშვილს“, ფაჰრედინ გილოღლუს დაუწერია დედაენა — თურქულად უთარგმნია ქართველი მწერლები. ახლა ვაჟა-ფშაველას თარგმნის. მართალია, აქ ვერსად ნახავთ ქართულ სკოლას, მაგრამ ყველა გურჯი თურქულთან ერთად შეძლებისდაგვარად ქართულ განათლებასაც იღებს. გურჯებისთვის დამცველი ფარია ქართული ენა, რომლის შესწავლასაც საბედნიეროდ აღარავინ უშლის. ევროკავშირში გაწევრების მსურველი თურქეთი თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობისათვის ამგვარ დათმობაზე მიდის.

***(გაგრძელება იხ. გვ. 24)***

# „ელოდებიან, რომ ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ ქართული დიასპორა ქუჩაში გამოვა“

## ვფრთხილობ, რომ პროვოკაცია არ მოხდეს რომელიმე ქართველი დიპლომატის მიმართ

*რუსეთში ე. წ. პატრიოტულმა ძალებმა „ცუდად“ გაიღვიძეს. იქ ვიღაც-ვიღაცებს საქართველოს არსებობაც კი პირად შეურაცხყოფად მიაჩნიათ და ხომ ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ ახლა, როდესაც ხედავენ, ამ პატარა, შეუპოვარმა და თავმოყვარე ქვეყანამ საკუთარი ტერიტორიების დაცვა გადაწყვიტა და „დიდ რუსეთს“ „საკუთარი მიწიდან“ ერეკება. თუ ასე გააგრძელეს, ვაითუ, ქართველების ჭკუის სასწავლებლად გამოგონილი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემაც მოაგვარონო და ქუჩაში გაცვივდა რუსული შოვინიზმით შეპყრობილი მასა. Родина-ს სიყვარულით აღტყინებულებმა ჯერ საქართველო და მისი ხელისუფლება ლანძღეს, მერე კი ავი ზრახვებიც ვერ დამალეს – Наши передовые отряды войдут в столицу Грузии и будут петь песню – „Идут, идут по Тбилиси наши казаки“-ო. ხედავთ? ისე გაუტიეს, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კი არა, საქართველოს გულში მოენატრათ განავარდება. ასეთი მადის ხალხს ჩვენ, ქართველები, ერთი ჭკვიანური გამოთქმით ვაწყნარებთ ხოლმე – ფრთხილად, ლუკმა გულზე არ დაგადგეთო.*



როდესაც მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტს ფაშისტს, ფიურერს უწოდებენ და ხანაც ЦРУ-ს ემისრად ნათლავენ, ცხადია, ხელის გამოღება ჩვენს დიპლომატებსაც ჰმართებთ. რით უპასუხებს ასეთ აგრესიას საქართველო და ვინ არის ის ხალხი, ვინც ასე უტიფრად იქცევა ჩვენს საელჩოსთან? ვესაუბრებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გოგა გომიაშვილსა და რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, თეიმურაზ მამაცაშვილს.

**გოგა გომიაშვილი:** — როგორც მოსკოვის ცენტრალური ადმინისტრაციული ოლქის აპარატიდან რუსეთში ჩვენს საელჩოს შეატყობინეს, საქართველოს საელჩოსთან აქციები 31 აგვისტომდე გაგრძელდება. ამ დღეებში 12 საათიდან 2-ის ნახევრამდე პიკეტებს გამართავს ორგანიზაცია „Национально-патриотические силы России“. წინასწარ ვიცით, რომ გაკეთდება მიმართვა ქართული მხარისადმი სამხრეთ ოსეთში მშვიდობის შენარჩუნების თაობაზე. გასულ კვირას საქართველოს საელჩოსთან აქციები გამართა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „Идущие вместе“-მაც. მასში 1000 კაცი მონაწილეობდა და როგორც ამბობენ, — ამით სურდათ საქართველოს ხელისუფლების ანტირუსულ პოლიტიკაზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. 30 აგვისტოს 2-დან 4 საათამდე მიტინგს ჟირინოვსკის პარტია „ЛДПР“-ც გამართავს, მასში 150 კაცი მიიღებს მონაწილეობას.

**— მოსკოვში, საქართველოს საელჩოსთან გამართული აქციები ხომ არ არის პასუხი იმ ღონისძიებაზე, რომელიც თბილისში რუსეთის საელჩოსთან მიმდინარეობს?**

— ამას წინათ რუსეთის ფედერაციის საელჩომ ნოტით მოგვმართა — აღკვეთეთ ჩვენი საელჩოს წინ მიმდინარე აქცია, თორემ უფლებას ვიტოვებთ, ადეკვატური ზომები მივიღოთო. ასეთმა პოზიციამ გაგვაკვირვა. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს — მომიტინგეებთან შეხება არ მაქვსო, მაგრამ რუსული მხარე ჯიუტად ადანაშაულებს მას. გამოდის, რომ ადეკვატური ღონისძიება სწორედ საქართველოს საელჩოსთან გამართული აქციაა და მას რუსეთის ოფიციალური წრეები უკეთებენ ორგანიზებას.

**— გასულ კვირას ასეთი მინიშნებაც გაისმა, შესაძლოა, საქართველოში რუსეთის საელჩომ ფუნქციონირება შეწყვიტოსო.**

— საელჩოს მუშაობის შეწყვეტაზე არ ყოფილა ლაპარაკი, უბრალოდ, საელჩოში ტექნიკური პრობლემების გამო ერთი დღით შეწყდა ვიზების გაცემა. საგარეო საქმეთა სამინისტრო სამართალდამცავი უწყება არ არის და ჩვენ ძალით წესრიგს ვერსად დავამყარებთ, მაგრამ რაც ჩვენს კომპეტენციაში შედის, ყველა საშუალებას მივმართავთ. ჩემთან მოვიდა დიპლომატიური კორპუსის მეთაური (ე. წ. დუაიენი), სომხეთის ელჩი — გიორგი ხოსროევი და დიპკორპუსის სახელით გადმომცა თხოვნა, გავაგრძელოთ საპასუხო განცხადებები და ძალისხმევას ნუ დავიშურებთ დიპლომატიური გზებით იმ ბრალდებების ალსაკვეთად, რაც საქართველოს საგარეო უწყების მისამართით გაისმის. საქმე ისაა, რომ რუსეთის ÌÈÄ-ი ჩვენს უწყებას ადანაშაულებს რუსეთის საელჩოსთან აქციების გამართვაში. წაგიკითხავთ რამდენიმე ციტატას რუსეთის საგარეო უწყების განცხადებიდან: „Ðàçóìååòñÿ, ÷òî â ïáñòàíîâêå âàêõàíàëèè, êîòîðàÿ óñòðàèâàåòñÿ ó ñòåí Ðîññèéñêîãî ïîñîëüñòâà â Òáèëèñè, ïðîâåäåíèå ïåðåãîâîðîâ íå ïðåäñòàâëÿåòñÿ âîçìîæíûì... Ïðîòåñò çàÿâëåíèé ÌÈÄ Ðîññèè ïî ïîâîäó ýòîãî äåøeâîãî ñïåêòàêëÿ ê ñîæàëåíèþ ðàçóôëüòàòîâ íå äàëè. Õîòÿ ïðèõîäèòñÿ ñîìíåâàòüñÿ ÷òî, âñÿ ýòà âîçíÿ îñóùåñòâëÿåòñÿ ñ âåäîìa è ïðÿìûì ïîïóñòèòåëüñòâîì îôèöèàëüíûõ âëàñòåé", ეს სრული აბსურდია. ასეთ უსაფუძვლო განცხადებებზე პასუხისგან თავს ვიკავებთ, რადგან მასში ზრდილობის, ეთიკისა და დიპლომატიის ნატამალი არ დევს. მერწმუნეთ, არანაირი კონსტრუქციული წინადადებებით რუსულ მხარეს არ მოუმართავს. როდესაც საპროტესტო აქციაზე შეურაცხყოფენ სხვა ქვეყნის პრეზიდენტს, ვენის კონფერენციის 22-ე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ეკისრება მასპინძელ მხარეს. ის ვალდებულია, არ დაუშვას ისეთი გამოხდომები, როგორიც გასულ კვირას მოხდა საქართველოს საელჩოსთან. თბილისში გამართულ აქციაზე არც რუსეთისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა და არც მისი ხელმძღვანელობისთვის. ეს, უბრალოდ, პასუხი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის ბოლო დროს გამწვავებულ ურთიერთობებზე, მაგრამ საგულისხმოა ისიც, როდესაც რუსეთში ტრაგიკული ფაქტი მოხდა და ორი თვითმფრინავი ჩამოვარდა ამ (თუ რუსეთის МИД-ის გამოთქმას მოვიშველიებთ), „იაფფასიანი სპექტაკლისა“ და „ბაქანალიის“ მონაწილეებმა აქცია რამდენიმე წუთით შეწყვიტეს და ტრაგედიის დროს გარდაცვლილებს წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

არაერთხელ მივმართე ჩემს კოლეგას — ჩვენი ურთიერთობა პოლიტიკურ დიალოგად ვაქციოთ-მეთქი. სამწუხაროდ, პასუხი არ მიმიღია. პირიქით, რუსეთის საგარეო უწყება თავად მონაწილეობდა იმ უგვან სპექტაკლში, სადაც საქართველოსა და მისი ხელმძღვანელობის შეურაცხმყოფელი პლაკატები და მოწოდებები გაისმოდა. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ გაიმართოს საერთაშორისო პოლიტიკური კონფერენცია რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ პრობლემაზე, რომელიც მერწმუნეთ, კონკრეტული შედეგებით დასრულდება. საზოგადოდ, დიპლომატები საკუთარი კოდექსით ვმოქმედებთ და როდესაც რომელიმე ქვეყნის საგარეო უწყება კოდექსის ნორმებს არღვევს, პრობლემა ექმნება. მადლობა ღმერთს, რუსეთის გარდა სხვა ქვეყნების საგარეო უწყებებიც არსებობენ და ისინი შეაფასებენ რუსეთისა და ჩვენს ქმედებებს ამ დაპირისპირებაში. დღეს სხვანაირია მსოფლიო და ასპარეზზე სხვა ლიდერები არიან, რომლებიც არ მოიწონებენ რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს და არც პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტის შეურაცხყოფას. რუსეთის საელჩომ იმის თქმაც იკადრა — აქციების გამო საელჩოსა და მის თანამშრომლებს საფრთხე გვემუქრებაო. აქციის ორგანიზატორების ქომაგობას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ რუსეთის საელჩოს თანამშრომლებს ვარწმუნებ, მათ უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტად არა, რაც რუსეთის საელჩოს აქვს ბაღდადში. საქართველო მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს აამოქმედებს და თუ საჭირო გახდა, გამოიყენებს გაეროს ასამბლეის უმაღლეს ტრიბუნასაც. რუსეთი არ არის იზოლირებული ქვეყანა. ის ვალდებული იქნება, ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო თანამეგობრობას. არ გვინდა რუსეთი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. იგი ვერ ეგუება, რომ საქართველო მისი გავლენის სფეროდან გამოდის. ასევე ვერ ეგუებოდა ბალტიისპირეთისა და ვარშავის პაქტის ქვეყნების დამოუკიდებლობას, მაგრამ შეეგუა და ახლაც მოუწევს შეგუება.

**თეიმურაზ მამაცაშვილი,** საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი რუსეთში: — ვერ დავმალავ აღშფოთებას საქართველოს საელჩოსთან გამართულ აქციასთან დაკავშირებით. ვაპირებ, ძალზე სერიოზულად ველაპარაკო ჩემს კოლეგებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და იმედი აღარ გამოიყენებენ ქვეყნის, ერისა და მისი პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ პლაკატებსა და გამოთქმებს. წესით, ამის მითითებაც არ უნდა მჭირდებოდეს, ელემენტარული კულტურაა საჭირო, რომ სხვა ქვეყანა ასე არ შეურაცხყო.

**— რა პოლიტიკური ძალებია ესენი, პუტინის მხარდამჭერები, ოპოზიციონერები თუ რაღაც გაურკვეველი წარმოშობის არაორგანიზებული ხალხი?**

— არაორგანიზებული ნამდვილად არ ეთქმის, პირიქით, კარგად არიან ორგანიზებულები. „ნაციონალურ-პატრიოტულ ძალებს“ პუტინის მხარდამჭერს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ახალგაზრდულ ორგანიზაცია „იდუშჩიე ვმესტეს“ ნამდვილად მოსწონს რუსეთის პრეზიდენტი და აქტიურად ეხმარებოდნენ კიდეც არჩევნებშიც. შესაძლებელია, იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც იდგნენ ჩვენს საელჩოსთან, ზოგიერთმა რუკაზეც ვერ გვაჩვენოს საქართველო. სინამდვილეში, აქცია სხვა ძალების მიერ იყო ორგანიზებული — არა მგონია, ორგანიზატორები აქციაზე ყოფილიყვნენ. არც ის მგონია, 18-19 წლის გოგო-ბიჭები ყოფილიყვნენ იმ ღვარძლიანი პლაკატების ავტორები. ისინი პროვოცირებულნი იყვნენ იმ ჯგუფის მიერ, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს, რომ საქართველო-რუსეთს შორის კონსტრუქციული ურთიერთობა არ დამყარდეს.

ეს ახალგაზრდები არ იცნობენ პრობლემის არსსა და გენეზისს. მათ ვერც მოტყუებულებს ვუწოდებ, იმიტომ, რომ სავსებით შეგნებულად მიდიან აქციაზე. მათ მცდარ შეხედულებებს უფრო ცოდნის სიმწირით ავხსნი, ვიღაცამ მათ არასწორად მიაწოდა ინფორმაცია. საშინელი ბრალდებების ნიაღვარმა, რომელიც ტელევიზიით და პრესით იფრქვევა, სავსებით შესაძლებელია, ახალგაზრდას არასწორი შეხედულება ჩამოუყალიბოს. ახალგაზრდას, რომელიც ამ სიბინძურეს და ანტიქართულ ისტერიას ნახავს, ვერ მოსთხოვ — კორექტული იყავი მეზობელი სახელმწიფოს მიმართო.

მეორე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ნაციონალურ-პატრიოტულმა ძალებმა“ აქცენტი ოსეთზე გადაიტანა. ოსური დროშებიც გამოიტანეს და გაისმოდა მოწოდებები, ნუ აღვივებს საქართველო ომს სამხრეთ ოსეთშიო.

**— ხომ არ იყო ეს აქციები სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული, რომლის მიზანი ქართული მხარის პროვოცირება იყო. გამორიცხავთ, რომ გამიზნულად მიაყენეს საქართველოს პრეზიდენტს შეურაცხყოფა?**

— ბუნებრივია, აქციები სადღაც მზადდება. ასეთი აღვირახსნილი უტაქტობა არსად მინახავს და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი თავმოყვარეობისა და ყველაზე ფაქიზი გრძნობების შესალახად არის წამოწყებული. ჩემთვის, დიპლომატისთვის, მიხეილ სააკაშვილი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი კი არა, ჩემი ქვეყნის სიმბოლო, დროშა და ღირსებაა და მისი უდიერად ხსენება, რა თქმა უნდა, ჩემზე და ნებისმიერ ქართველზეც უარყოფითად მოქმედებს. ასეთ უხამსობებზე ყოველთვის და ყველას ვუპასუხებთ, ვუპასუხებთ კორექტულად და დიპლომატიური ეთიკის დაცვით, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო მიზეზი გვაქვს აგრესიულობისთვის. ჩემი ერის ღირსებად მიმაჩნია, რომ მათ არასოდეს მიუყენებიათ მსგავსი შეურაცხყოფა პუტინისთვის, ეს ჩვენს შინაგან კულტურაზე მეტყველებს და ამას მსოფლიოც ხედავს.

**— როგორ შეხვდა ქართული დიასპორა ასეთ აგრესიას და შეურაცხყოფის ნაღვარს?**

— ჩემთან მოვიდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველები — საელჩოს წინ დავდგებით და პიკეტს გავმართავთო, მაგრამ შესაძლოა, სწორედ ამას ელოდებიან ჩვენგან, რომ მერე ქუჩაში გაწევ-გამოწევა დაიწყოს. ვცდილობთ, კონფლიქტის პრეცედენტი არ შეიქმნას. ჩვენი დიასპორა რომ სტიქიურად გამოვიდეს ქუჩაში, ეს კანონის დარღვევა იქნება. ჩემამდე ხმაც მოვიდა, შესაძლოა, ქართველ დიპლომატებსაც გადასწვდნენ ვიღაცებიო, ეს პოლიტიკოსებმაც გაახმაურეს. ჩვენ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები გვაქვს მიღებული. ვფრთხილობთ, რომ პროვოკაცია და რაღაც გაუგებრობა არ მოხდეს რომელიმე ქართველი დიპლომატის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ.

**— რუსეთის დანარჩენი პოლიტიკური ძალები როგორ შეხვდნენ ასეთ უხამს გამოთქმებს საქართველოს მისამართით?**

— ბევრი რუსი რეკავდა საელჩოში, გვიანობამდე არ წყდებოდა ზარები. ერთმა ქალბატონმა, რომელიც მომხდარით აღშფოთებული იყო, გვითხრა, მრცხვენია, რომ ჩემი თანამემამულეები ასეთ პლაკატებსა და გამოთქმებს იყენებენო. რუსეთი დიდი ქვეყანაა და პოლიტიკური სპექტრი შეხედულებებისა მრავალფეროვანია. არის ხალხი, რომელიც წუხს თანამემამულეთა უღირსი საქციელის გამო და არის მეორე ძალაც — რეაქციული და სასტიკი.

ბუნებრივია, რეაქციულ ძალებს არ შევუშინდებით და საკადრის პასუხსაც გავცემთ...

***იზო რეკაძე***



# ისინი ჩვენთვის გმირულად დაიღუპნენ




**კაპრალი დამენია ხელყუმბარას ტანით გადაეფარა და სიცოცხლე თანამებრძოლთა გადასარჩენად გაწირა**

გმირად არავინ იბადება, გმირად სიტუაცია, გამბედაობა და კაცობა აქცევს ადამიანს.

მე-11 მექანიზებული ბრიგადის მსუბუქი ქვეითი ბატალიონის, „კომანდოს" 21 წლის კაპრალს ზაზა დამენიას შეეძლო სანგრის ფსკერს გართხმოდა, როდესაც მოწინააღმდეგემ ხელყუმბარა სანგარში ჩაუგდო. მაგრამ ზაზამ არჩია, ხელყუმბარას გადაფარებოდა, რითიც ახლომახლო მყოფი 15-მდე თანამებრძოლი იხსნა მძიმე ჭრილობებისა თუ დაღუპვისგან.

ყველა ომსა და ბრძოლას ჰყავს გმირი, ოზურგეთელი ზაზა დამენია კი გმირი, უპირველესად, თანამებრძოლების თვალში გახდა და შემდეგ უკვე „ეროვნული გმირის" ორდენის კავალერი... დარწმუნებული ვართ, მისი თავგანწირვის მოწმე და მისი წყალობით გადარჩენილი თანამებრძოლები შემდგომ ბრძოლებში ზაზას სიკვდილისთვის შურს ღირსეულად იძიებენ.

ოფიციალური მონაცემებით, თავდაცვის სამინისტრომ აგვისტოს ბრძოლებში 12 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა.

12 აგვისტოს დაიღუპნენ თავდაცვის სამინისტროს მე-11 მექანიზებული ბრიგადის მსუბუქი ქვეითი ბატალიონ „კომანდოს" ორი კაპრალი; 25 წლის თბილისელი იგორ ტყემალაძე და 27 წლის რუსთაველი გიორგი ბეგაშვილი.

16 აგვისტოს „კომანდოს" ბატალიონმა კიდევ სამი მებრძოლი დაკარგა: დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის მკვიდრი, 25 წლის უფროსი ლეიტენანტი თეიმურაზ არათანაშვილი, ხობის რაიონის სოფ. საგვიჩიოს მცხოვრები, 30 წლის კაპრალი კობა შუბითიძე (მესამე კაპრალი ზაზა დამენია გახლდათ).

5 მებრძოლის დაღუპვის შემდეგ „კომანდოს" ბატალიონი პოზიციებზე ასევე მე-11 მექანიზებული ბრიგადის 111-ე (თელავის) მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მებრძოლებმა შეცვალეს. იმავე ღამეს, 17 აგვისტოს, ალბათ იმის გამო, რომ პოზიციებზე ახალდამდგარი სამხედროები ნაკლებად იცნობდნენ სიტუაციას, დაიღუპა ამ ბატალიონის ორი კაპრალი: რუსთაველი, 23 წლის ათეულის მეთაური რევაზ ვეფხვაძე და თბილისელი, 25 წლის მეტყვიამფრქვევე ვიქტორ ოვსიანიკოვი.

მეორე ღამით, 18 აგვისტოს დაიღუპა თელავის ბატალიონის კიდევ ერთი კაპრალი, ქუთაისელი, 29 წლის ყუმბარმტყორცნელი კობა კურვალიშვილი.

19 აგვისტოს, გამთენიისას, თელავის ბატალიონს სამი მებრძოლი დაეღუპა — თელაველი, 22 წლის უმცროსი სერჟანტი დავით შიომღვდლიშვილი, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის მკვიდრი, 21 წლის კაპრალი ბონდო კახოიძე და თბილისელი, 22 წლის კაპრალი გიორგი ქარაია.

20 აგვისტოს უკვე შეჩერებული იყო საბრძოლო მოქმედებები, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე მიღებული მძიმე ჭრილობით საავადმყოფოში გარდაიცვალა მე-11 მექანიზებული ბრიგადის 113-ე (შავნაბადის) მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 25 წლის კაპრალი გიორგი ლომაძე, რომელიც წარმოშობით ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესადან იყო.

თავდაცვის სამინისტროს გარდა, შინაგანი ჯარების მებრძოლებიც დაიღუპნენ. მათ 15 ივლისს 19 წლის რიგითი ჯიმშერ სამხარაძე (ქიათურის რაიონის სოფელ ნიგოზეთის მცხოვრები) და უმცროსი სერჟანტი, 23 წლის ნოდარ გველუკაშვილი გამოაკლდათ (მცხოვრები გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში). ამ უკანასკნელმა შინაგან ჯარებში სულ 17 დღე იმსახურა(!).

საქართველოსთვის დაღუპული ბიჭების სიის ჩამოწერა ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო, ბევრმა მათგანმა საერთოდ ვერ მოასწრო საკუთარი ოჯახის შექმნა, მხოლოდ ეროვნულ გმირს, ზაზა დამენიას დარჩა ერთი წლის ვაჟი, გიორგი და ასევე რევაზ ვეფხვაძეს. გიორგი ბეგაშვილი კი რამდენიმე თვეში მამა უნდა გამხდარიყო.

მათ თავი სამშობლოს შესწირეს, ყოველგვარი ზედმეტი პათეტიკის გარეშე და თითოეული ჩვენგანის ვალია მათი დაწყებული საქმის — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის — დასრულება.

# რეზერვისტები — რეგულარული არმიის იმედი

**ომს დასვენებული და მომზადებული რეზერვი იგებს**

ისევე, როგორც დაღლილ ფეხბურთელს სჭირდება გამოცვლა და დასვენება, ფრონტის ხაზზე მყოფ ჯარისკაცსაც უნდა მისცე სანგრიდან გამოსვლის, დასვენების და ძალის აღდგენის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ხანგრძლივი პოზიციური ბრძოლების დროს.

ქართულ არმიაში რეალურად დაკომპლექტებულ და შედარებით ბრძოლისუნარიან ძალას ძირითადად ის ხუთი ბატალიონი წარმოადგენს, რომელიც ამერიკელმა ინსტრუქტორებმა მოგვიმზადეს. ეს კი არ არის საკმარისი სრულფასოვანი და განუწყვეტელი პოზიციური ბრძოლის საწარმოებლად.

ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეზერვის ყოლას, რათა სარდლობამ საჭიროების მიხედვით მოახდინოს დანაყოფთა გადაჯგუფება.

რეზერვისტების მრავალრიცხოვანი არმია საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდიდან არსებობდა, მაგრამ მათი საბრძოლო შესაძლებლობები ძალიან საკამათო იყო და ასეთი ერთთვიანი შეკრებები, როგორც წესი, დიდ ქეიფებსა და დროს ტარებაში გადაიზრდებოდა ხოლმე, რაც სამოქალაქო სამსახურში დაბრუნებულებს საუკეთესო მოგონებად რჩებოდათ.

საქართველო არ არის უზარმაზარი საბჭოთა კავშირი, რომ თავის თავს უფლება მისცეს, რეზერვისტები მხოლოდ ქაღალდზე ჰყავდეს. აფხაზეთის ომის წაგების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ მომზადებული რეზერვისტები არ გაგვაჩნდა და ათასნაირი საძმოების ეგიდით იქ ჩასული პატრიოტი, მაგრამ სამხედრო საქმის უცოდინარი ადამიანები, სამწუხაროდ, საზარბაზნე ხორცად იქცნენ.

გასულ კვირას, კასპის რაიონში დამთავრდა პირველ რეზერვისტთა ბატალიონის მომზადება — მათ სამხედრო მომზადების ერთთვიანი კურსი გაიარეს. ეროვნული გვარდიის ოფიცრებმა და „კომანდოსელმა" სამხედრო ინსტრუქტორებმა სპეციალური კურსი ჩაუტარეს იმ რეზერვისტებს, რომელთა ნაწილი ადრე აკაკი ელიავას რაზმში და ბათუმის სპეცრაზმში ირიცხებოდნენ.

შეიძლება ამ პირველ რეზერვისტთა მომზადებას გარკვეულწილად პიარის ელფერი დაჰკრავდეს, მაგრამ მთავარია, დაიძრას ეს მამულიშვილური საქმე.

იგივე ისრაელი, რომლის მაგალითსაც ხშირად მივმართავთ, სწორედ რეზერვისტთა იმედზეა. რეზერვისტთა ოპერატიულად მობილიზაციის კარგად დახვეწილი მექანიზმი რომ არ არსებობდეს, ერთი ბეწო ისრაელის ალებას სამი მხრიდან შემორტყმული ისლამისტური ქვეყნები რამდენიმე საათში შეძლებდნენ. საქართველოში რეზერვისტთა მომზადებას, წესით, ეროვნულმა გვარდიამ უნდა მოჰკიდოს ხელი, როგორც ეს აშშ-ში ხდება, მაგრამ ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრები.

ახალგაზრდა პოლიტიკოსების ნაწილი, რომელსაც არც საბჭოთა და არც ქართულ არმიაში არ უმსახურია და გულში ხინჯად აქვს ჩარჩენილი სამხედრო კათედრებზე მიტანილი კონიაკის ბოთლები, მათ გაუქმებას მოითხოვს.

არავინ უარყოფს, რომ სამხედრო კათედრა სრულფასოვან ლეიტენანტს ძნელად გამოუშვებს, მაგრამ რად გვჭირდება ამდენი ოფიცერი. საქართველოში 12 უმაღლეს სასწავლებელს აქვს სამხედრო კათედრა, მათგან რამდენიმეს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი კარგი მატერიალური ბაზა (მანქანების სატარებელი მოედნისა და დახურული ტირის ჩათვლით) გააჩნია. მაგალითად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრას ყოველთვიურად რეზერვისტთა 5-6 ოცეულის გადამზადება შეუძლია.

რეზერვისტთა სამხედრო კათედრებზე მომზადებაზე აქცენტი იმიტომ კეთდება, რომ სამხედრო ნაწილების მეთაურობას ისედაც თავზე საყრელი აქვს ჯარისკაცებთან დაკავშირებული პრობლემები და ნაკლებად მოიცლიან რეზერვისტებისთვის.




OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს
**ტენდერს**

**სოფელ სნოში საშუალო სკოლის**
შეკეთებაზე

პროექტი ითვალისწინებს სოფელი სნოს საშუალო სკოლის შეკეთებასა და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

სამუშაოებში შედის:

- ფანჯრების, კარებების, საძირკვლის, კედლებისა და ჭერის მშენებლობა-შეკეთება და სხვა მცირე ზომის სამუშაოების შესრულება;
- გაზგაყვანილობისა და ელექტროსისტემის შეკეთება და ნაწილების საჭიროებისამებრ შეცვლა.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწოდებულ უნდა იქნეს თქვენი დაინტერესების წერილი, რომლის შემდგომ საშუალება მოგეცემათ, გაეცნოთ სამუშაოების ჩასატარებელ ადგილს, რისთვისაც დამატებით გეცნობებათ თარიღი.

ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია.
ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა კომპანიებმა დაინტერესების წერილი უნდა გამოაგზავნონ
ელექტრონულ საფოსტო მისამართზე adolf.turek@osce.org
2004 წლის 27 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე:

OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს
**ღია ტენდერს**

**კუპერის ტიპის საბურავების**
მოწოდებაზე

საბურავები განკუთვნილია ავტომანქანებისათვის:

- **M.PAJERO** 225/70**R**16 Cooper Discoverer AT - 56ც ;
- **M.PAJERO** 235/70**R**16 Cooper Discoverer AT- 30 ც;
- **M.PAJERO** 225/70**R**15 Cooper Discoverer AT- 20 ც;

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწოდებულ უნდა იქნეს თქვენი კომერციული შემოთავაზება, სადაც აღნიშნული უნდა იყოს:

- საბურავების ფასები;
- გადახდის პირობები და მოწოდების ვადა.

ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია.
ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა გამოაგზავნონ შემოთავაზება (ინგლისურ ენაზე)
ფაქსის ნომერზე: 77 96 17 (ეუთოს მისიის მხარდაჭერის განყოფილება)
2004 წლის 24 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე:

# რუსეთის სპეცსამსახურებმა კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი

*იმ საშინელ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რაც 24 აგვისტოს რუსეთის საჰაერო სივრცეში მოხდა, უკვე თითქმის ყველაფერია ცნობილი, თუმცა გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა — როგორც Ту-154-ის, ისე Ту-134-ის ნამსხვრევებში აღმოჩენილია ჰექსოგენის კვალი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორივე სამგზავრო თვითმფრინავი ტერორისტული აფეთქებების მსხვერპლი გახდა; საერთო ჯამში, დაიღუპა 89 კაცი — მგზავრები და ორივე ეკიპაჟის წევრები.*


აფეთქებული რუსული სამგზავრო თვითმფრინავების ნაწილები 9-10 კმ სიმაღლიდან ცვიოდა

## ორივე რუსული სამგზავრო თვითმფრინავი ერთსა და იმავე დროს ერთნაირი მეთოდით ააფეთქეს

თავიდანვე ნათელი იყო, რომ რამდენიმე წუთის ინტერვალით აფრენილი ორი ტექნიკურად გამართული თვითმფრინავის კატასტროფის ალბათობა თითქმის ნული იყო.

თვითმფრინავების ერთი, დომოდედოვოს აეროპორტიდან, ნახევარსაათიანი შუალედით აფრენა უკვე იძლეოდა იმ დაეჭვების საფუძველს, რომ ტერორისტებმა ისარგებლეს აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის მუშაკების დაუდევრობით და თვითმფრინავების სალონებში ასაფეთქებელი მოწყობილობები აიტანეს; არც ის არის გამორიცხული, ტაიმერიანი „ჯოჯოხეთის მანქანები" საბარგულში ჩაბარებულ ჩემოდნებშიც ყოფილიყო.

თუმცა ორივე თვითმფრინავს სავარაუდოდ ჰაერში მოსწყდა კუდის ნაკვეთები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფეთქება უფრო კუდის ნაწილში, ტუალეტში, უნდა მომხდარიყო.

ამერიკულიდან განსხვავებით, რუსულ აეროპორტებში გაზანალიზატორის, რომელიც ჰაერის სინჯში ტროტილისა და ჰექსოგენის ნაწილაკების შემცველობას საზღვრავს, მოწყობილობები ნაკლებადაა. ამიტომაც საფიქრებელია, ტერორისტებმა მცირე ზომის რაიმე ნივთად შენიღბული ასაფეთქებელი მოწყობილობა ისე გაატარეს რენტგენის აპარატში, რომ ოპერატორმა იგი მართლაც ნივთად მიიჩნია.

თვითმფრინავების მიერ დიდი სიმაღლის აღების შემდეგ, ტერორისტი-კამიკაძეები გავიდნენ კუდში მოთავსებულ ტუალეტებში, ასაფეთქებელი მოწყობილობა (რომელიც შეიძლება სასაპნის ხელაც იყო) მიადეს ფიუზელაჟის შიდა კედელს და აამოქმედეს ამფეთქი. ამ ვერსიის ნამდვილობაზე ისიც მეტყველებს, რომ ორივე თვითმფრინავის ნამსხვრევებში აღმოჩნდა თითო-თითო დამახინჯებული სხეული, მაშინ, როდესაც დანარჩენ დაღუპულებს ასეთი დაზიანებები არ ეტყობათ — ეს გამოწვეული იყო ასაფეთქებელ მოწყობილობასთან ახლოს დგომით.

200 გ ტროტილის ნაჭრის აფეთქება სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ თითოეულ თვითმფრინავს მიეღო მძიმე დაზიანება — ფიუზელაჟის ნაწილში გაჩნდა დიდი ხვრელები, თვითმფრინავმა სწრაფად იწყო დაბლა დაშვება, მოხვდა შტოპორში (უმართავი ვარდნა) და დიდმა გადატვირთვამ კუდის ნაწილი მოაძრო, შემდეგ თვითმფრინავი ჰაერშივე დაიშალა.

აფეთქების ვერსიის სისწორეზე ისიც მეტყველებს, რომ ორივე თვითმფრინავის ე.წ. შავი ყუთები კი არის ნაპოვნი, მაგრამ მათზე მოულოდნელად შეწყვეტილია ფრენის პარამეტრების ჩაწერა, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბორტზე მომხდარმა აფეთქებამ მათ ელექტროენერგია შეუწყვიტა.

Ту-134-ისგან განსხვავებით, Ту-154-ის ეკიპაჟმა მოასწრო საგანგაშო სიგნალის, „თვითმფრინავზე თავდასხმაა", პირველი ნაწილის გადაცემა, ეტყობა, მისი ეკიპაჟი მიხვდა ტერორისტი-კამიკაძის მოქმედების აზრს, მაგრამ ხელის შეშლა ვერ მოასწრო.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: სავარაუდოდ, ის ჩეჩნურგვარიანი ტერორისტი-კამიკაძე ქალი, რომელმაც მოსკოვიდან სოჭში მიმავალი Ту-154 ააფეთქა, ჯერ დღისით სხვა თვითმფრინავით უნდა გაფრენილიყო, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა. თუკი ის დღისით გაფრინდებოდა, მაშინ მას მგზავრობა Ту-154-ით კი არა, არამედ Ил-86-ის ტიპის აერობუსით მოუწევდა, რომელშიც 300 კაცი ეტევა და საზაფხულო სეზონზე მუდამ სავსეა. შესაბამისად, მსხვერპლიც უზარმაზარი იქნებოდა... ტერორისტმა-კამიკაძემ არ დაინანა 500 რუსული რუბლის დამატება ბილეთის გადასაცვლელად(?!).

თვითმფრინავების აფეთქების ეს ვერსია, წესით, ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან. რეალურ სურათს მხოლოდ სრულყოფილი გამოძიება დაადგენს. თუმცა რუსეთის სამართალდამცავების დაჯერება ცოტა ძნელია, რადგან ისინი ბოლო წუთამდე არ აღიარებდნენ, რომ სანაქებო რუსული სპეცსამსახურები კიდევ ერთხელ დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი და ჩეჩნეთში მორიგი მარიონეტული პრეზიდენტის არჩევის წინ ასეთი „საჩუქარი" მიიღეს.

# რუსული სამხედრო მანევრების ალყაში

## მოსკოვმა თბილისის დასაშინებლად საქართველოს შიგნით და მის საზღვრებთან სამხედრო მანევრები მოაწყო

ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირების დროებით შეჩერებისთანავე მოსკოვმა საქართველოსთვის თავისი სამხედრო ძალის ჩვენება სცადა.

ფაქტობრივად, ერთდროულად ჩატარდა სამხედრო წვრთნები ჩრდილო ოსეთში, საქართველოს საზღვრის ახლოს, ასევე სომხეთში, არმავირის პოლიგონზე, აფხაზეთში — რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" მიერ, ბათუმში, გონიოს პოლიგონზე, მე-12 რუსული სამხედრო ბაზის დანაყოფების მონაწილეობით და ახალქალაქში — 62-ე ბაზის ტერიტორიაზე.

ეს იყო რუსული სამხედრო მანქანის ძლიერების დემონსტრაციის მცდელობა ოფიციალური თბილისის დასაშინებლად. ამ სწავლებების მასშტაბები შეიძლება სასაცილოდ მოჩვენებოდა თურქეთის არმიას, მაგრამ იგი აუცილებლად გასათვალისწინებელია ქართული არმიისთვის.

რაღა დასამალია და, სამხედრო წვრთნები და მანევრები ერთგვარი საუკეთესო შენიღბვაა ამა თუ იმ მიმართულებით აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ. სხვა თუ არაფერი, ასლან აბაშიძეც ხომ სააკაშვილის გუნდმა სამხედრო წვრთნებით — „დიოსკურია-2004"-ით დააშინა და აიძულა, აჭარაში შემავალი ხიდები აეფეთქებინა და დაეჩქარებინა თავისი რეჟიმის დამხობა.

რუსული წვრთნების გამო თბილისი ნამდვილად არ აპირებდა როკის გვირაბის აფეთქებას, მით უმეტეს, რომ ზაფხულის პერიოდში ჩრდილო ოსეთიდან ცხინვალის რეგიონში გადმოსასვლელი 14-მდე სხვადასხვა სირთულის გზა არსებობს, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ რუსმა სამხედროებმა.

შუა აგვისტოში როკის გვირაბს, სხვა რუსულ დანაყოფებთან ერთად, მოადგა რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარი სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს ერთ-ერთი ელიტარული დანაყოფი — 22-ე ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადის სამთო-მსროლელი სპეცდანიშნულების ბატალიონი. მას, სავარაუდოდ, „ფანტომი" ჰქვია და მის შემადგენლობაში იმყოფებოდა 320-350 კარგად მომზადებული სპეცრაზმელი.

პრეზიდენტ სააკაშვილს 19 აგვისტოს რომ არ გაეცა ბრძანება ცხინვალის რეგიონიდან დამატებითი სამხედრო დანაყოფების გამოყვანის შესახებ, ზემოხსენებული „ფანტომი" და სხვა რუსული დანაყოფებიც, როკის გვირაბით შემოვიდოდნენ ცხინვალში იქ მდგარი რუსული სამშვიდობო ბატალიონის გაძლიერების საბაბით. რეგიონის შემდგომი მილიტარიზაცია უფრო ფართომასშტაბიანს გახდიდა საბრძოლო მოქმედებას. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს, დაფიქსირებულიყო რუსული ოფიციალური მხარის მონაწილეობაც საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ უშუალოდ ბრძოლებში წარმატებას ვერ მოვიპოვებდით.

სანამ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩებიან რუსული სამხედრო დანაყოფები, სულ ერთია, რა ფორმით — სამხედრო ბაზებისა თუ ე.წ. სამშვიდობო ძალების სახით, საქართველო ყოველთვის უნდა უფრთხოდეს მათ აგრესიას.

*რუბრიკა მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*

# გენშტაბი სახეს იცვლის

მიუხედავად იმისა, რომ გენშტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ გივი იუკურიძეს მიხეილ სააკაშვილი თავის დროზე სახალხოდ შეჰპირდა, — ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ამ თანამდებობაზე დარჩებიო, გასულ კვირას მაინც გადააყენა და მის ნაცვლად ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე დანიშნა.

ეს იმით ახსნეს, რომ გენშტაბის ხელმძღვანელები NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო აკადემია დამთავრებულები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო იუკურიძეს რუსეთის ფრუნზეს სახელობის აკადემია აქვს დამთავრებული.

მიუხედავად ამ ახსნისა, ძნელია იმის დამალვა, რომ მთავარსარდალი უკმაყოფილო დარჩა გენშტაბის უფროსის ქმედებით აგვისტოს მოვლენების დროს.

პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, ბევრად მეტი ინფორმაცია გააჩნია და უკეთ იცის, რა გადაწყვეტილება მიიღოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გენშტაბის ყოფილ უფროსს ცხინვალის რეგიონში მოქმედების სრული კარტ-ბლანში არ სჭერია ხელთ და ყველა შეცდომაში მისი დადანაშაულება ძნელია.

გენშტაბის ახალი უფროსი, 44 წლის ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე ენერგიულ ოფიცრადაა მიჩნეული. მას, გარდა იმისა, რომ დასავლეთის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, აფხაზეთის ომის გამოცდილებაც აქვს. მის მოადგილედ დაინიშნა პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, იგი მანამდე უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო უფრო ადრე კი, გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი. გენშტაბის უფროსის მეორე მოადგილე, პოლკოვნიკი დავით ნაირაშვილი კი ბრიუსელიდან გამოიძახეს, სადაც იგი NATO-ში საქართველოს სამხედრო წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდა.

საჰაერო ძალების სარდლად ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე დაინიშნა, რომელიც ისედაც წელიწადზე მეტია, სარდლის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ მისი დანიშვნის ოფიციალური ბრძანება რატომღაც არ არსებობდა.

საზღვაო-თავდაცვის ძალების ყოფილ სარდალს, ვიცე-ადმირალ ზურა ირემაძეს საქართველოს პრეზიდენტმა 21 აგვისტოს ბრძანებით, ადმირალის სამხედრო წოდება მიანიჭა (სიკვდილის შემდეგ).

თავად საზღვაო-თავდაცვის ძალებმა დაიბრუნა ის სახელი, რაც კონსტიტუციაში წერია — „საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები" და მის სარდლად მეორე რანგის კაპიტანი ზაზა ერქვანია დაინიშნა.

უახლოეს პერიოდში აუცილებლად აღდგება სახმელეთო ჯარების სტატუსიც და მის სარდლად, სავარაუდოდ, ერთ ახალგაზრდა პოლკოვნიკს დანიშნავენ, რომელიც დღეს სამხედროების განათლებითაა დაკავებული.

# ინიციატივა ბრძოლის ველზე და პოლიტიკაში

## გადამწყვეტ მომენტში ინიციატივა გამარჯვების საწინდარია

ძნელია ამის დამტკიცება, მაგრამ ფაქტია — ამერიკელთა მომზადებულ ქართველ სამხედროებს ცოტა მეტი ინიციატივა რომ გამოეჩინათ, არც ამხელა მსხვერპლი იქნებოდა და მეტ წარმატებასაც მიაღწევდნენ.

მაგრამ ამ ბატალიონების პირად შემადგენლობას ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები გამუდმებით სამხედრო დისციპლინის განმტკიცებას ჩასჩიჩინებდნენ. ამიტომაც გვყავს საკმაოდ დისციპლინირებული ბატალიონები, რაც ყოველთვის გვაკლდა.

თუმცა, ცხინვალთან არ მიმდინარეობდა ის ომი, რასაც ამერიკელები ქართველ სამხედროებს ასწავლიდნენ — ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბინძური ბრძოლა, თუ საერთოდ არსებობს ცნება — კეთილშობილური ბრძოლა.

ჩვენი ბიჭები დღისით მშვენივრად ხედავდნენ, თუ როგორ დასეირნობდნენ ორ-სამ ასეულ მეტრში უცნობები, მაგრამ ცეცხლის გახსნის უფლება არ ჰქონდათ, არადა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შეღამებისთანავე სწორედ ის „უცნობები" გადმოდიოდნენ იერიშზე.

ასეთ დროს სანგრებში ამერიკელების მომზადებული დისციპლინირებული ქართველი სამხედროების ნაცვლად ვინმე ქუჩიდან აყვანილი რომ ყოფილიყო, დღისითაც და ღამითაც არც ერთ სულიერს არ გაუშვებდა ცოცხალს.

ამით, ბუნებრივია, ახალი ბრალდებები წამოვიდოდა შერეული საკონტროლო კომისიის მხრიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, სეპარატისტები ისე აღარ გათავხედდებოდნენ, რომ ხელყუმბარის ტყორცნის მანძილზე (5-15მ) მიცოცებულიყვნენ ქართველთა სანგრებთან.

საბრძოლო მოქმედებების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინიციატივის გამოჩენას, რადგან მეთაური ყოველთვის ვერ ასწრებს სათანადო ბრძანების გაცემას. არადა ბრძანების მიღების მოლოდინში უმოქმედობა დანაშაულის ტოლფასია.

პრეზიდენტი სააკაშვილი გამოირჩევა ინიციატივიანობით, რასაც ყოველთვის ვერ ვიტყვით მის მაღალჩინოსან სამხედროებსა და ზოგიერთ პოლიტიკოსზეც — პრეზიდენტის განრისხებისა და შესაბამისად, მეტად სანუკვარი სკამის დაკარგვის შიშმა გენერლებს თუ სახელმწიფო მოხელეებს ინიაციატივის სურვილი არ უნდა ჩაუკლას.




# ტრაგედია, რომლის შემდეგაც კომედია გახდა საჭირო



# როგორ გადაურჩა ნახალოვკელი გარიკა „კაცობრიობის სამსახურს“

*სისხლის სამართლის საქმის ძიება გარკვეულწილად თვითონაც შეიცავს დანაშაულის ელემენტებს. ამის თქმა ჩემგან, ყოფილი მაძებრისგან, უხერხულიც კია, მაგრამ რაკი ის საქმე, რომელზეც ქვემოთ უნდა გიამბოთ, დიდი ხნის დახურულია და მოქმედებაც საქართველოს გარეთ ხდება, ამიტომაც ვბედავ ამის აღიარებას. აქვე დავძენ: დაკავებულის მიმართ აკრძალული მეთოდების გამოყენების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გონივრულად მოფიქრებული ხერხების გარეშე საგამოძიებო სამუშაო ვერ აეწყობა.*

*კომედია სამოცდაათიანი წლების მოსკოვში, ქართველების მონაწილეობით გათამაშდა და ამიტომ იძულებული ვარ, მოქმედ პირთა გვარ-სახელები შევცვალო.*

## პრემიერა თუ...

ის იყო, მუსიკალური თეატრის წამყვანმა სოლისტმა და სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონიდ სოლოვიოვმა არია ჩაამთავრა, რომ დარბაზში ისეთმა ტაშმა იქუხა, იფიქრებდით, საცაა ჭერი ჩამოინგრევაო. პრემიერამ მოლოდინს გადააჭარბა და ბედნიერი მსახიობები დიდხანს უკრავდნენ თავს აღფრთოვანებულ მაყურებელს. ყველა მათგანი შეუდარებელი იყო, მაგრამ ლეონიდ სოლოვიოვმა და ანტონ მედვედევმა სასწაული მოახდინეს — ორივემ შესანიშნავად შეასრულა თავისი პარტია.

მოგვიანებით, როცა ტაშისცემისგან დაღლილი მაყურებელი გაიკრიფა, ლიონიამ თავისი სიხარულისგან ცრემლმომდგარი მეუღლე ლენა დაინახა — ათწლიანი ცოლქმრობის განმავლობაში მის ყელზე პირველად შენიშნა საგვარეულო ყელსაბამი, რომელიც სულ ერთხელ ჰქონდა ნანახი და რომ გეკითხათ, როგორი იყო, ალბათ ხეირიანად ვერც აღგიწერდათ. მომღერალი ამგვარ რამეებში ვერ ერკვეოდა, მაგრამ ახლა ნამდვილად მოეწონა ეს ნივთი — ყელსაბამი საოცრად უხდებოდა ლენოჩკას. იმ ალიაქოთში სხვებს სრულიად არ შეუნიშნავთ ქალის ყელზე ძვირფასი თვლების ციმციმი, მხოლოდ ერთმა, ანტონ მედვედევმა დაადგა თვალი სამკაულს და შეეცადა, თავისი მეუღლის ჭკნობაშეპარულ ყელზე წარმოედგინა. თუმცა ამის გაფიქრებაზე უსიამოდ გააჟრჟოლა და ახლა მშვენიერ ლენოჩკას მიაპყრო მზერა. უნებურად აღმოაჩინა, რომ ბრილიანტები უფრო სტაცებდა თვალს, ვიდრე პარტნიორის ულამაზესი მეუღლე. ისე, ანტონს ლიონიასი ყოველთვის შურდა — მართალია, ამ საღამოს მასთან ერთად ინაწილებდა გამარჯვებას, მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. დროდადრო ლიონია აშკარად ჯაბნიდა თეატრის მეორე სოლისტს და ესეც იყო შურისა და გაღიზიანების საბაბი, რასაც ანტონი მარჯვედ მალავდა.

დღე დღეს მისდევდა... გულში ჩამარხულ ბოღმას როგორღაც ხომ უნდოდა განელება და ანტონი სასმელს მიეძალა. გავიდა ხანი და ისე გალოთდა, რომ თეატრში აღარ დაედგომებოდა...

## ტრაგიკული გასეირნება

არც ლიონიას საქმე წასულა უკეთ. მართალია, კვლავაც თეატრში იყო და არც მაყურებლის თაყვანისცემა მოჰკლებია, მაგრამ მშვენიერი ლენოჩკა დაეღუპა და ახლა გადიის დახმარებით ზრდიდა სამი წლის მაშენკას, რომელიც საოცრად ჰგავდა დედას და ამიტომაც მამას მზე და მთვარე ამოსდიოდა გოგონაზე. ვიდრე ლიონია თეატრში იყო, გადია ხან სად დაატარებდა მაშენკას და ხან სად. იმ დღესაც იზმაილოვოს პარკში წაიყვანა. ხან ატრაქციონებზე ანანავა, ხან ნაყინი უყიდა. მერე იქვე მიაძინა და თვითონ ერთი წუთით დაშორდა, მაგრამ უკან დაბრუნებულს ბავშვი რომ აღარ დახვდა, მისმა კივილმა მთელი პარკი შეძრა. იქვე დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი ეგდო: „ლეონიდ დმიტრიევიჩ, გამთენიისას სოფელ არხანგელსკოეში, საკოლმეურნეო ფერმის ახლოს დაგელოდებით. თან იქონიეთ თქვენი მეუღლის ყელსაბამი, რის სანაცვლოდაც გოგონას დაიბრუნებთ. იმ შემთხვევაში, თუ საქმეში მილიციას ჩარევთ, ბავშვს ცოცხალს ვეღარ იხილავთ“.

რა დარჩენოდა ლიონიას, ძვირფასეულობას ხელი დაავლო და დილის ექვს საათზე დათქმულ ადგილზე გაჩნდა. ძლივს გაიარა ფერმისკენ მიმავალი სარეველებით დაბურული ბილიკი და ის იყო, უნდა დაეძახა — თუ არის აქ ვინმეო, რომ სიბნელიდან ნიღბოსანი, საშუალო ტანის მამაკაცი წამოიმართა და ხრინწიანი ხმით ჰკითხა — ყელსაბამი მოიტანე?

სადღაც სმენოდა ეს ხმა ლიონიას, მერე რა, რომ უცნობს ხრინწი შეჰპარვოდა, მომღერლის გავარჯიშებულ სმენას არაფერი გამოეპარებოდა.

— აი, აქ არის... — პარკი გაუწოდა დამხვდურს. მანაც ხელის ერთი მოძრაობით გამოსტაცა ძვირფასი ნადავლი. მერე ხმადაბლა დაუსტვინა და იმავე წამს ბუჩქებიდან მაღალი, უნიღბო მამაკაცი გამოჩნდა. ისე ბნელოდა, მისი სახის გარჩევა არც უცდია სოლოვიოვს. გამტაცებლებმა ბუჩქისკენ მიუთითეს ლიონიას, თვითონ კი სიბნელეს შეერივნენ.

ბუჩქის უკანა მხარეს მშვიდად ეძინა პატარა მაშენკას. ლიონიამ გულში ჩაიკრა ბავშვი და სიხარულისგან აქვითინდა. ბავშვი ჯანმრთელი და უვნებელი იყო. ყელსაბამი კი სულაც არ ადარდებდა. არც ის გახსენებია, მას ბეჭედი, საყურეები და სამაჯურებიც რომ გაყოლა. ყველაფერი ეს არარაობა იყო იმ ტკბილ-მწარე ნეტარებასთან, რომელსაც ახლა განიცდიდა.

## იაფი ნადავლი

მოხუცი ებრაელი მიხეილ ბრონშტაინი საიუველირო ნაკეთობებით ვაჭრობდა. იმ დღესაც გამოაქვეყნა განცხადება, რომ ყველაზე კარგ ფასად ყიდულობს ოქროსა და ძვირფას ქვებს. ჰოდა, საღამოს მიაკითხეს კიდეც. მაღალმა, ალბათ კავკასიელმა მამაკაცმა, თავზე კეპი რომ ეხურა და ტანთ ღილებდაწყვეტილი უცნაური პიჯაკი ეცვა, ჯიბიდან ყელსაბამი ამოაძვრინა და მიხეილს გაუწოდა, — ასეთებს ყიდულობთ კარგ ფასად?

— დიახ, ჩვენ ვყიდულობთ... — თქვა ბრონშტაინმა და ნივთის მშვენიერებით გაოგნებულს ნიკაპი აუცახცახდა, მაგრამ იმავე წამს თავს მოერია და გულგრილად ჩაილაპარაკა, — რამდენი?

— კარგ ფასს რას ეძახით? — ეშმაკურად შეაგება კითხვა კლიენტმა, მაგრამ ბებერმა ებრაელმა უკვე იყნოსა, რომ კლიენტი ამ საქმეში უვიცი იყო და გონებაში წამში გაიანგარიშა, რომ ამ ყელსაბამში დაახლოებით ოცდაათი ათას მანეთს მაინც მოიგებდა.

— ეს ყელსაბამი ბაბუაჩემის დანატოვარია. თუ საამისო ფული არ გაქვთ, შემიძლია სხვასთან წავიდე.

— არც ისე ძვირფასია, რომ ვერ შევწვდე, ისე კი თქვენი ნებაა, შეგიძლიათ სხვასაც მიმართოთ, — მოხუცმა სამკაული გვერდზე გადადო და გამადიდებელი შუშით რომელიღაც ნივთის თვალიერებას შეუდგა. აქაოდა, ყელსაბამი მაინცდამაინც არ მომწონსო. მერე კი ჯიქურ შეხედა მოსულს, — ნივთი არც ისე ცუდია, მაგრამ აი, თვითონ ნახეთ, როგორაა ჩაყვითლებული, ანდა ამ კუთხეს დააკვირდით — დაზიანებულია. აქ კი ბუშტულაა ქვაზე. ასე რომ, ბევრი წუნი აქვს. მხოლოდ და მხოლოდ ხუთი ათასის შემოთავაზება შემიძლია.

— როგორ, ამისთანა ნივთში ხუთი ათასი? უკანასკნელი ფასი ექვსი ათასია და კაპიკიც არ დააკლდება, — ჩაილაპარაკა კავკასიელმა და ებრაელის პასუხს დაელოდა. ამის გამგონე მოხუცს ოფლმა დაასხა. ასე იცოდა ხოლმე, როცა დიდ მოგებას იყნოსავდა. მარცხენა ხელი შემართა და თითქოს უხალისოდ ჩაილაპარაკა:

— კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ ხუთი ათასზე მეტი არ მაქვს თან... ათასს ხვალ, ნაშუადღევს დაგახვედრებთ. თქვენ კი გაკეთდით, მაგრამ ისიც იკითხეთ, მე რა ხეირი მექნება ამ საქმიდან. შეიძლება ექვსი ათასზე მეტი არც მე მომცენ, მაგრამ რაც არის, არის, — მოხუცმა კლიენტს ფული გაუწოდა და დივანზე ჩამოჯდა. ის კი, კავკასიელი, რაკი ფული ხელში მოიგდო, უსიტყვოდ შეტრიალდა კარისკენ და ისე დატოვა იქაურობა, ნახვამდისო, არ დასცდენია.

კმაყოფილ ბრონშტაინს კი უცნობის წასვლის შემდეგ უცნაურმა აზრმა გაუელვა. ადრე, ახალგაზრდობაში, ნებისმიერ გარიგებაზე მიდიოდა და მილიციასთანაც არაერთგზის ჰქონია საქმე, მაგრამ ახლა, სიბერეში, ცოტა არ იყოს, შიში შეეპარა და ძველებურად თამამი ვეღარ იყო. თავს კიცხავდა იმის გამო, რომ სიხარბემ სძლია. ხვდებოდა, რომ ნივთი ნაპარავი იყო და ალბათ ეძებენ კიდეც. რა იქნება, რომ ხვალ მოადგნენ, იქნებ ამალაყვა... მართალია, მიხეილი ნაწყენს არავის ტოვებდა და ამიტომაც შედარებით გულმშვიდად იყო, მაგრამ ყელსაბამი იმდენად ძვირფასი იყო, არ დაინდობდნენ. ლოგინში მთელი ღამის წრიალის შემდეგ, გამთენიისას, მილიციის მორიგეს დაადგა თავს. სამკაული მაგიდაზე დააგდო და პირდაბჩენილ მორიგეს შეაცქერდა...

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ მამაკაცი კავკასიელია?

— მგონი, ქართველი უნდა იყოს...

— მაშ, ქართველი, არა? აბა, ვნახოთ, რამდენად კარგად ცნობთ კავკასიელებს, — თქვა მორიგემ და ტელეფონის ყურმილს დასწვდა. — ალო, ქართული ქვეგანყოფილებაა?.. ძალიან კარგი, ალბათ დღეს ერთ თქვენებურ, საინტერესო ტიპს გაგაცნობთ. ასე, თერთმეტ საათზე გელოდებით.

— თქვენ რა, საქართველოში დარეკეთ? — ებრაელი გაკვირვებას ვერ მალავდა.

— არა, ქართველებს აქ, მოსკოვშიც აქვთ პატარა ქვეგანყოფილება და სამართალდამრღვევ თანამემამულეებზე მუშაობენ. მუნჯის ენა დედამ იცისო, ხომ გაგიგონიათ. უმჯობესი იქნება, თუ უცნობის დაკავების ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას. ვინ იცის, იქნებ მათ ძველ კლიენტსაც წავაწყდეთ. ეს კი შემდგომ მუშაობას გაგვიადვილებს. ასეთია ჩვენი ხელმძღვანელობის მითითება.

ებრაელის სახლში ჩასაფრებულმა მოსკოველი მილიციელების ხუთკაციანმა ჯგუფმა, რომელშიც ორი ქართველიც იყო, იმავე დღის პირველ საათზე დააკავა დარჩენილი ათასი მანეთის მისაღებად მისული გარიკა მანუკიანი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის ქვეგანყოფილების ოპერმუშაკებმა, რეზო თორდიამ და ჯემალ ლაცაბიძემ თითქმის ერთხმად შესძახეს: — ნახალოვკელი გარიკა არა ხარ, ბიჭო? ღმერთს იქ არ უქნიხარ და აქ რამ მოგიყვანა, შე ოხერო, შენა?!

გარიკამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ენა ჩაიგდო და არც ვინაობა გაამჟღავნა თავისი და არც წარსულის გახსენებას აპირებდა. ყელსაბამზე კი ერთსა და იმავეს იმეორებდა — ლენინგრადში, ერმიტაჟის ეზოში ვიპოვეო.

— კარგი, არ ამბობს და ნუ ამბობს. ეს ისეთი ნივთია, უეჭველია, უკვე ეძებენ ჩვენი კოლეგები. მანილოვ, ერთი მეზობელ განყოფილებებს დაურეკე. ქართველებმა კიდევ საქართველოში მოიკითხეთ ეს ნივთი, იქნებ იქიდან ჩამოიტანეს.

პოდპოლკოვნიკი ტარასენკო მაძებართა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, კუნთების ნაცვლად, ჭკუას რომ ატანდა ძალას, თუმცა მისი ვარაუდი ამჯერად არ გამართლდა. მილიციის არც ერთმა განყოფილებამ არაფერი იცოდა ძვირფასი ყელსაბამის დაკარგვის შესახებ. არც საქართველოში მომხდარა მსგავსი რამ.

— ნუთუ პატრონმა ჯერ კიდევ არაფერი იცის დანაკარგის შესახებ. გაზეთში გამოვაქვეყნოთ განცხადება, რომ ნაპოვნია ყელსაბამი. დაე, პატრონმა ჩვენ მოგვაკითხოს. ამაზე დღესვე იზრუნეთ, თორემ ხვალ ეს ვაჟბატონი გასაშვები გაგვიხდება.

ის იყო, ოპერმუშაკი დავალების შესასრულებლად ოთახიდან გავიდა, რომ პოლკოვნიკთან მისი მოადგილე, ოლეგ ნესტეროვი შეიჭრა:

— თუ გახსოვთ, ნიკოლაი მიხაილოვიჩ, მუსიკალურ თეატრში რომ ანტონ მედვედევი მღეროდა?

— რა თქმა უნდა, მახსოვს, შესანიშნავი მსახიობი იყო, მაგრამ კარგა ხანია არსად ჩანს.

— იმიტომ, რომ გალოთდა და აი, შეტყობინება მივიღეთ — სოფელ არხანგელსკოესთან აღმოაჩინეს მისი გვამი, ვიღაცას მოუკლავს. იქვე უნახავთ მკვლელობის იარაღი, ქირურგიული სკალპელი, რომლითაც პროზექტურაში გვამებს კვეთენ.

— რაო, მკვლელი ექიმია?

— შეიძლება... დანა იმდენად ზუსტადაა დარტყმული მარცხენა ბეჭქვეშ, რომ ეჭვი არაა, მკვლელმა თავისი საქმე იცის...

## კომედია ერთ მოქმედებად

გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას ნაპოვნი ყელსაბამის შესახებ მალე ტელეფონის ზარი მოჰყვა. ვიღაცის ხავერდოვანი ტენორი იუწყებოდა, რომ ყელსაბამი მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის საკუთრება იყო. ის კი, რომ ორი დღის წინ სამკაული ხელიდან ხელში გადასცა ნიღბიან კაცს, რომლის ხმა და მიხრა-მოხრა თითქოს ეცნობოდა, უკვე განყოფილებაში მისულმა ამცნო გამომძიებელს სოლოვიოვმა.

— არ გიფიქრიათ, რომ შეიძლება ის კაცი ოდესღაც თქვენი კოლეგა ანტონ მედვედევი ყოფილიყო?

სოლოვიოვს თვალები გაუფართოვდა. ამ აღმოჩენით გაკვირვებული ფეხზე წამოიჭრა და თითქმის იყვირა:

— არ მიფიქრია, არა, მაგრამ ახლა კი ნამდვილად ვიცი, რომ იგი მედვედევია. როგორ ვერ ვიცანი მისი მოძრაობა, მანერები, ჟესტიკულაცია, ხმა. ღმერთო ჩემო, ასე რამ გამომაშტერა! კი, ნამდვილად ის იყო. მან იცოდა ამ ყელსაბამის არსებობა. ერთ-ერთ პრემიერაზე ეკეთა ჩემს მეუღლეს. ახლა სად არის ანტონი?

— ახლა მორგშია... ჩანს, იმ მეორემ არ ისურვა მედვედევისათვის ძვირფასეულობის გაყოფა. შეგიძლიათ ამოიცნოთ ის მეორე კაცი, იმ ღამით რომ ნახეთ?

— არა, ჩემგან მოშორებით იდგა, მე მხოლოდ მისი კონტური გავარჩიე. ასე რომ...

— რა გაეწყობა... ახლა მკვლელს უნდა ვაღიარებინოთ, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა. ისიც უნდა გვითხრას, სად გადამალა დანარჩენი ნივთები... — ნიკოლაი მიხაილოვიჩი ამ აღმოჩენით კმაყოფილი იყო, — მანილოვ, პატიმარი შემოიყვანეთ და ქართველებსაც სთხოვეთ. უმჯობესია, ისინი ელაპარაკონ.

გარიკამ მოლოდინი გაუცრუა „მასპინძლებს“ — კრინტის დაძვრას არ აპირებდა. როგორ არ უტრიალეს ნუგზარმა და გოჩამ, მაგრამ სულ ჩაიგდო ენა. იატაკს დაჟინებით ჩაშტერებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს არც ესმოდა, რას ეკითხებოდნენ.

— გარიკ, შენ მკვლელი ხარ. აღარაფერი გიშველის. მხოლოდ აღიარებით შეგიძლია დანაშაული შეიმსუბუქო, თორემ დაგხვრეტენ, გაიგე?

არა, მანუკიანს არაფრის გაგება არ სურდა. ნუგზარი პოლკოვნიკთან შევიდა. ერთხანს ეთათბირა და მერე თეატრში დარეკა, სოლოვიოვს რაღაცაზე შეუთანხმდა. რამდენიმე საათის შემდეგ კი ხელბორკილიან პატიმართან ერთად პროზექტურას მიადგა.

— მაშ, ლაპარაკი არ გინდა, გარიკჯან? ჰოდა, რაკი ნებით არაფერი გამოდის, გადავწყვიტეთ, მეცნიერების სამსახურში ჩაგაყენოთ. შენ კი არა, შენი ჩონჩხი... ახლა დაგაძინებენ, მერე კი ჩონჩხად გაქცევენ და სტუდენტებს ასწავლიან, როგორი აგებულება აქვს კაცის მკვლელს.(!)

პროზექტურის კორიდორში ფორმალინის აუტანელი სუნი დაგუბებულიყო. შუაგულში კი თეთრხალათიანი პათანატომი ახალგაზრდა ქალის გვამთან ტრიალებდა. ნანახით შეშფოთებულმა პატიმარმა, როგორც იქნა, ენა ამოიდგა, დამდუღრულივით ათუხთუხდა:

— რომელი კანონის ძალით აპირებთ ჩემგან ჩონჩხის გაკეთებას. ასეთი კანონი არ არსებობს!

— კანონი მაშინ რატომ არ გაგახსენდა, როცა დანა გაუყარე მედვედევს. შენ ამ ქვეყნის მკვიდრი არ ხარ, გარიკ. არც ჩაწერილი ხარ სადმე, არც პასპორტი გაქვს და არც საცხოვრებელი. სულერთია, არავინ მოგიკითხავს. მთელი სიცოცხლე პარაზიტი იყავი, შენმა ჩონჩხმა მაინც გაუწიოს სამსახური მეცნიერებას.

— ესაა? — აგდებულად იკითხა პათანატომმა.

— ესაა. სად მოვათავსოთ?

— აგერ, ამ მაგიდაზე წამოაწვინეთ...

გარიკა ისე გადაბაწრეს ალუმინგადაკრულ საოპერაციო მაგიდაზე, რომ თავის განძრევასაც ვეღარ ახერხებდა. ერთხანს თავს იმშვიდებდა, მაშინებენო, მაგრამ როცა ექიმმა სკალპელით მკერდიდან ჭიპამდე გასაკვეთი ადგილი მონიშნა, იკადრა და მთელი ხმით იღრიალა — ნახალოვკელი გარიკა ვარ, მანუკიანი... ყელსაბამზე მედვედევმა წამიყვანა. ვიფიქრე, ამ ლოთს რად უნდა ეს ძვირფასეულობა-მეთქი და მოვკალი. ყელსაბამი მოხუც ებრაელს მივყიდე. დანარჩენი კი კამენსკოეს ქუჩაზე, სარდაფში გადავმალე... ოღონდ ნუ მომკლავთ და სხვა რამეებსაც გეტყვით... — ქაქანებდა ცივ ოფლში გახვითქული გარიკა. პათანატომმა პირბადე მოიხსნა და ამ ბოლო დღეების მანძილზე პირველად გაიღიმა.

— შესანიშნავად ითამაშეთ ექიმის როლი... — უთხრა პოლკოვნიკმა სოლოვიოვს და მადლიერების ნიშნად ხელი ენერგიულად ჩამოართვა.

ახლა კი მიხვდა ბანდიტი, რომ გააცურეს და ერთი გემოზე, ნახალოვკურად შეიკურთხა, თან კინაღამ თვალები გახვრიტა ნუგზარს და გოჩას, რომლებსაც თვალები სიხარულისგან უბრწყინავდათ.

*ვაჟა გავაშელი*



# უნიკალური ფრესკები არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიან

## რა, ატენის სიონშიც ბერძენი მღვდლები არ გვიშვებენ?!

*„ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს / ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, / ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, / ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!“* — სიმონ ჩიქოვანის ლექსის ეს სტრიქონები ამეკვიატა და რაც გორიდან გამოვედით და მანქანა მდინარე ტანის ხეობას აუყვა, გაუჩერებლად ვღიღინებ, თან ცალ თვალს მძღოლისკენ ვაპარებ — გიჟი არ ვეგონო-მეთქი. ამჯერად გეზი ატენის სიონის ტაძრისაკენ მიჭირავს. აქეთ წამოსვლა ორიოდ კვირის წინ, საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ფონდის დირექტორთან, **მაკა დვალიშვილთან** საუბარმა გადამაწყვეტინა. ატენის სიონი განადგურების პირასაა. არა მხოლოდ უნიკალური ფრესკების, ტაძრის არქიტექტურული ნაწილის შენარჩუნებაც საშური საქმეაო, — მითხრა ქალბატონმა მაკამ და მოსვენება დამიკარგა. გადავწყვიტე, საკუთარი თვალით მენახა ეს უძველესი ტაძარი და მისი შენარჩუნების საქმეში ჩემი ჟურნალისტური წვლილი შემეტანა.

ოციოდ წუთიც და ატენის სიონიც გამოჩნდა. ავტომობილმა ტაძრის წინ, მოედანზე დაამუხრუჭა. იქვე რამდენიმე იტალიელი ტურისტი იდგა, გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ის იყო, მათთვის გვერდის ავლა დავაპირე, რომ მომესმა — „ფანტასტიკო“, „მიქელანჯელო“. მხატვრობაში დიდი განსწავლულობით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ის მაინც ვიცი, ვინ იყო მიქელანჯელო. შევჩერდი და იტალიელების თარჯიმანს გამოველაპარაკე.

— **რატომ ახსენეს ტურისტებმა მიქელანჯელო?** — ვკითხე ქალბატონ **მარინა ბერიძეს.**

— ჩვენს სტუმართაგან ორი, ჯოვანი და კარლო მხატვარი-მონუმენტალისტები არიან. საქართველოს მხატვართა კავშირში მათ ატენის სიონის მხატვრობის დათვალიერება ურჩიეს. დილიდან აქ ვართ. ორივე ისე აღაფრთოვანა ტაძრის მხატვრობამ, ფოტოფირების მთელი მარაგი გახარჯეს. გნებავთ, თქვენ გაესაუბრეთ, სიამოვნებით გაგიზიარებენ შთაბეჭდილებებს...

ბუნებრივია, შემთხვევით ვისარგებლე და იტალიელ მხატვრებს გავესაუბრე.

„თვალს არ ვუჯერებთ, ტაძრის კედლების მოხატულობა მეთერთმეტე საუკუნეში ყოფილა შესრულებული. ამასთან, სხვადასხვა მხატვრის მიერ. მსოფლიოში იშვიათად თუ ნახავთ ამ პერიოდის ამგვარი პროფესიული დონით გამორჩეულ მხატვრობას. აქაური მოხატულობა თვით მიქელანჯელოსაც შეშურდებოდა. გაგვაოცა ქართველი მხატვრების ტექნიკამ, ისინი ვირტუოზები ყოფილან. სამწუხაროა, რომ ტაძრის მხატვრობის უდიდესი ნაწილი აღარ არსებობს. რაც ვნახეთ, მხოლოდ ერთი სიტყვით თუ დავახასიათებთ — „ფანტასტიკური“. საწყენია, რომ ეს უძველესი და უძვირფასესი ძეგლი ასე მოუვლელია. ასეთი დამოკიდებულება საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ დანაშაულია. წარმოგვიდგენია, როგორი იქნებოდა ტაძრის ინტერიერი. გვერწმუნეთ, მხოლოდ ატენის სიონის სანახავად ჩამოვიდოდა თქვენს ქვეყანაში ათასობით ტურისტი. ახლაც არ არის გვიან, მთავარია, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები...“

იტალიელებთან საუბარმა კიდევ უფრო გამიცხოველა ტაძრის ნახვის სურვილი. უცხოელებსა და მათ თარჯიმანს გამოვემშვიდობე და ტაძრის ეზოში შევაბიჯე...

სანამ ტაძარს თქვენთან ერთად მოვივლი, მკითხველო, მანამ ამ ისტორიული ძეგლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ რამდენიმე სპეციალისტის თვალსაზრისს შემოგთავაზებთ.

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მხატვარ-კონსულტანტი, **ნანა კუპრაშვილი:** „ტაძრის არქიტექტურული მდგომარეობა მძიმეა. სამწუხაროდ, ტაძრის საყრდენი კედლის ჩამონგრევა კვლავაც გრძელდება. ამან შეიძლება ტაძარი მიწასთან გაასწოროს. ტაძრის კედლებზე შემორჩენილი უნიკალური მხატვრობა ქართული მონუმენტური ხელოვნების განვითარების ერთ-ერთ ეტაპს ასახავს. ატენის სიონის ფრესკებს მხოლოდ ყინწვისის ეკლესიის მოხატულობა თუ შეედრება. საუბედუროდ, ატენის სიონში მხატვრობა თანდათან ნადგურდება — მიზეზი ტაძრის კედლების დანესტიანებაა“.

საქართველოს საპატრიარქოს წამყვანი არქიტექტორ-რესტავრატორი **თამარ ნემსაძე:** „ატენის სიონი მეშვიდე საუკუნის ძეგლია და მისი არქიტექტურა მცხეთის ჯვრის არქიტექტურას იმეორებს. ტაძრის შიდა სივრცის შემამკობელი ფრაგმენტებად შემორჩენილი ფრესკული მხატვრობაა. ტაძარი იმითაც არის გამორჩეული, რომ აშენებულია ხელოვნურად შექმნილ მოედანზე — კლდის ძირიდან ქვა-ღორღით არის ამოყვანილი კედლები. ამ ხელოვნურ სუბსტრუქციაზე არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ აქ სხვა, უფრო ადრინდელი ხანის ეკლესია იდგა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კედლები უფრო ადრინდელ ხანაშია აგებული. შარშან სამხრეთ კედლის ნაწილი ჩამოინგრა. ასევე ჩამოიშალა სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლების საკმაოდ დიდი ნაწილი. ამიტომ დანგრევის საშიშროება რეალურად დაემუქრა ტაძარს. დეფორმირებული და დაბზარულია ტაძრის მოედნის ქვის ფენილი, მასში წყალი ჟონავს. სუბსტრუქციის ქვის წყობა ზოგიერთ ადგილას გამობერილია. ნაკერებში იზრდება მცენარეები, რომელთა ფესვები ხელს უწყობს ნგრევას. საპირე ქვები მორყეულია და გრძელდება მათი ჩამოშლა...

ტაძრის ფასადზე უხვადაა წმინდანთა და ქართველ დიდებულთა ბარელიეფები. ტაძრის შესასვლელების და სარკმლების თავსართები იშვიათი სილამაზის ორნამენტებით არის დამშვენებული. ტაძრის შიდა კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა დროის ქართული ასომთავრული უნიკალური წარწერები და მინაწერები. წარწერები მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიული, კულტურული, ენისა თუ პალეოგრაფიული საკითხების კვლევისთვის. ძეგლს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს მის ინტერიერში შემონახული მონუმენტური მხატვრობა, რომელზეც აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანება.

შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო 2003 წელს აქ დროებითი დაცვითი სამუშაოები ჩატარდა, რაც არასაკმარისია. კიდევ კარგი, აშშ-ის საელჩომ ითავა ტაძრის არქიტექტურული ნაწილის გადასარჩენი ღონისძიებების დაფინანსება. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია 30 ათასი აშშ დოლარის გამოყოფა. იქნებ ქართველმა ბიზნესმენებმაც გამოიღონ ხელი და სამუშაოების შემდგომი ეტაპები დააფინანსონ“.

ტაძარში შევედი და მის კედლებს მოვავლე თვალი. დიდი სპეციალისტი არ უნდა იყო, რომ ტაძრის მძიმე, კრიტიკული მდგომარეობა დაინახო. მის კედლებს აშკარად აჩნია გამოჟონილი წყლის ლაქები. ხელის შეხებითაც საგრძნობია სისველე. ტაძარს ნახანძრალის კვალიც ეტყობა... ჩემი ყურადღება ტაძარში აღმართულმა ხარაჩომ მიიპყრო — მასზე ორი მამაკაცი ასულიყო, ერთი ფრესკებს ფოტოებს უღებდა, მეორე კი ფრესკებს ათვალიერებდა. ის საქართველოს საპატრიარქოს ძველი ქართული მხატვრობის კვლევისა და ფიქსაცია-რესტავრაციის სამსახურის დირექტორი, უმაღლესი კლასის მხატვარი-რესტავრატორი **მერაბ ბუჩუკური** აღმოჩნდა. თურმე ბატონი მერაბი ელოდა ჩვენს მისვლას, როცა ხარაჩოდან ჩამოვიდა, აი, რა მითხრა: — ქალბატონმა თამარ ნემსაძემ დამირეკა და მაცნობა, რომ თქვენ ატენის სიონში აპირებდით ჩამოსვლას. გელოდებოდით.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

[redacted]

# ვისაც უფრო დიდი დანაშაული მიუტევა ღმერთმა...

## წრფელი გულით, სინანულითა და აღსარებით...

ა.წ. 17 აგვისტოს ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოინათლა 5 მსჯავრდებული: სომეხი არტურ მატინიანი (არტემი), ქურთი ზურა ნამოევი (ზაქარია), ბათუმელი ქემალ შარაშიძე (ანდრია), ლანჩხუთელი ნუგზარ წილოსანი (ნიკოლოზი) და ახმეტელი ადამ ფარეულიძე (ადამი). ნათლობა ჩაატარეს სოფელ დიღმის წმ. მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა დავით ისაკაძემ, თბილისის წმ. ნინოს ტაძრის მღვდელმა დავით ქვლივიძემ, მღვდლებმა დავით ნოზაძემ და ვახტანგ დავითაშვილმა, ნათლობის შემდეგ წმინდა ზიარება მიიღო 20-მდე პატიმარმა. რაოდენ სასიხარულოა, როდესაც საპატიმროებში მსჯავრდებულები იწყებენ ეკლესიურ ცხოვრებას, ღრმა სინანულით, ლოცვითა და მარხვით, აღსარებითა და ზიარებით...

გავესაუბრეთ დეკანოზ **დავით ისაკაძეს**:

***— მამა დავით, უკვე რამდენიმე წელია, რაც კოლონიებში პატიმრებს ნათლავთ და აზიარებთ. ქსნის კოლონიაში უკვე გყავთ არცთუ მცირერიცხოვანი მრევლი. ალბათ დღევანდელი ნათლობაც ამ მოღვაწეობის შედეგია.***

— პატიმრების მონახულება და ნუგეშისცემა სახარებისეული მცნების აღსრულებაა. იშვიათად მომისმენია ისეთი ღრმა სინანულისეული აღსარებები, როგორსაც პატიმრები ამბობენ ციხეში. ღმერთი სხვადასხვა შემთხვევის მაგალითზე გვასწავლის, რომ თუ ჩვენ არ მივალთ პატიმრებთან და არ ვუპატრონებთ მათ, მაშინ მოვლენ მგლები და წარიტაცებენ უპატრონო ცხვრებს.

სახარება გვასწავლის, რომ ვისაც უფრო დიდი დანაშაული მიუტევა ღმერთმა, მან უფრო მეტად შეიყვარა უფალი. ეკლესიის წმინდანთა შორის გამორჩეული წმინდანებია მარიამ მაგდალინელი, მარიამ მეგვიპტელი, მოსე შავი და სხვა მრავალნი, ყოფილი მეძავნი, მკვლელნი და ავაზაკნი. მოციქულ პავლეს, სავლედ მყოფობისას, ქრისტიანთა სისხლით ჰქონდა ხელები გასვრილი, მაგრამ ქრისტემ მიუტევა მას, მოჰფინა ნათელი და მანაც უსაზღვროდ შეიყვარა ქრისტე, დაითმინა მისთვის მრავალი ტანჯვა და მოწამებრივი აღსასრული. გავიხსენოთ, რომ მაცხოვარმა პირველად სასუფეველში ავაზაკი შეიყვანა, მასთან ერთად ჯვარცმული, რომელმაც შეინანა ავაზაკობა და აღიარა ქრისტე. ამ მაგალითით მაცხოვარმა დაამცრო ჩვენი ამპარტავნება და გაგვაფრთხილა, არ დავემსგავსოთ მწიგნობრებსა და ფარისევლებს.

მღვდელი **დავითი (ქვლივიძე)**:

— ვალდებულები ვართ, ხშირად მივიდეთ პატიმრებთან, ვიხსნათ ისინი სასოწარკვეთისაგან, ვანუგეშოთ და მივცეთ იმედი იმისა, რომ თუკი ქრისტეს მცნებებით იცხოვრებენ, საზოგადოებაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ. პატიმრები ელიან ამ ნუგეშს, ისინი მზად არიან უფალს გული გაუხსნან, ოღონდ საჭიროა გონივრული მიდგომა და მოთმინება. დავამატებ, რომ მრავალი მოქცეული პატიმართაგანი, სასჯელის მოხდის შემდეგ ეკლესიურ ცხოვრებას აგრძელებს და ზოგჯერ უფრო მეტ მოშურნეობას იჩენს, ვიდრე სხვა მოქალაქენი.

გავესაუბრეთ ერთ-ერთ მსჯავრდებულს, ბადრის: — სულმოუთქმელად ველით ხოლმე მამა დავითის ჩამოსვლას. ვემზადებით აღსარებისათვის, ზიარებისათვის, ვკითხულობთ ლოცვებს, ვმარხულობთ ისე, როგორც გვაკურთხებს ჩვენი მამაო. აი, დღესაც მივიღეთ წმინდა ზიარება. ეს ჩვენთვის დიდი ნუგეშია. კოლონიაში სულ უფრო მეტი პატიმარი მოდის ტაძარში. სურთ თქვან აღსარება და ჰყავდეთ მოძღვარი...

ბადრი რამდენიმე წელია, რაც შეუდგა ქრისტეს. იგი ხეზე ჭრისა და ქვაზე კვეთის ოსტატია. ვინც ავჭალის კოლონიაში ბადრის მონაწილეობით პატიმრების მიერ აშენებულ და შემკულ ტაძარს იხილავს, განცვიფრდება მათი ოსტატობით. აქ, ქსნის კოლონიაში კი ბადრიმ უკვე დაასრულა კვეთა ტაძრის კარებზე. გაოცებას იწვევს ორნამენტთა მრავალფეროვნება და სინატიფე.

პატიმართა ზიარების შემდეგ მამა **დავით ისაკაძემ** უქადაგა მათ და დალოცა. მოგვყავს ეს ქადაგება მცირე შემოკლებით:

„გილოცავთ წმიდა ზიარების მიღებას. უფალი და მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე ამბობს — თუკი შენ პატიმარი მოინახულე, მე მინახულე. ორმაგად სასიხარულოა, რომ ჩვენი შეხვედრა ლოცვითი და ევქარისტიული ზიარებითი შეხვედრაა. ნუ იფიქრებთ, რომ გარიყულები ხართ საზოგადოებისაგან. ეკლესია და მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე თქვენთან არის და ეს ერთობა გაგრძელდება მანამ, ვიდრე იქნება მეორედ მოსვლა. თქვენი გამოსვლა ციხიდან იმით უნდა იყოს აღსანიშნავი, რომ გააგრძელებთ ეკლესიურ ცხოვრებას და გააკეთებთ დიდ საქმეებს ეკლესიისა და ერისათვის. თქვენ ეს ძალგიძთ.

სახარებაში არის ასეთი იგავი: ერთმა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, ხოლო მეორემ უფრო დიდი დანაშაული. როდესაც ორივე სინანულით მივიდა უფალთან, უფალმა ორივეს აპატია და კითხვა დასვა: ვინ უფრო შეიყვარა უფალიო და იქვე უპასუხა: მან უფრო შეიყვარა უფალი, რომელსაც უფრო დიდი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და მეტი ეპატია უფლისა მიერ სინანულის საფუძველზე. ასე რომ, ნუ ჩავარდებით სასოწარკვეთილებაში, ვინც მძიმე დანაშაულით ხართ აქ, თქვენ უფრო მეტად შეიყვარებთ ღმერთს, თუ სინანულით ითხოვთ პატიებას. ეს არის სახარების სწავლება, რომელიც ჩვენთვის ამოსავალი წერტილია და ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედი. მინდა გითხრათ, რომ გარეთ მრავალნი, ვინც ცხოვრობს ეკლესიურად, დიდი სიხარულით მოგელიან თქვენ, ქრისტეს მიერ სათნოებით, აღსარებითა და ზიარებით განწმენდილებს. ისინი დიდი სიყვარულითა და სითბოთი მიგიღებენ და არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, ვინ ყოფილი პატიმარია და ვინ აკადემიკოსი, მთავარია, თქვენ შორის იყოს ქრისტე. ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ, ღმერთმა გაგაძლიეროთ“.

ჩვენი წასვლის დროც დადგა. პატიმრებს მრავალი შეკითხვა აქვთ ხოლმე მოძღვართან და ახლაც შემოეჯარნენ მათ: ვინ შეკითხვებს სვამს, თუ რომელი წიგნები წაიკითხოს, როგორ ილოცოს, როგორ მოემზადოს აღსარებისთვის, ვის თავისი ნახელავი ჯვარცმა თუ ნაწერი ხატი მოაქვს საჩვენებლად, შესაფასებლად და რჩევების მისაღებად. ზოგს განცალკევებით სურს საუბარი. ჯერ კიდევ



მოუქცევლები გაუბედავად, ფრთხილად იწყებენ ლაპარაკს, ნიადაგს სინჯავენ, თუ როგორ მოუსმენენ, — განიკითხავენ და დაამცირებენ, თუ ნდობითა და სიყვარულით მიუდგებიან. ზოგში აშკარად ჩანს, რომ უხეში და არდამთმობი იერის მიღმა დგას სასოწარკვეთილი, მიუსაფარი, მარტოსული, რომლის უხეშობა და უნდობლობა თავდაცვითი პოზაა ოდენ და ეს პოზა ყინულივით დნება, როგორც კი ქრისტესმიერი სიყვარულით გაესაუბრები. ეტყვი, რომ ჩვენ ყველა მეტ-ნაკლებად ცოდვილები ვართ და რომ თუ არა ქრისტეს უსაზღვრო სიყვარული და მოწყალება, ყველა სასჯელს ვიმსახურებთ; ოღონდ საჭიროა სინანული ჩვენი ცოდვების გამო და ღვთის მცნებების აღსრულება, რათა მოვიპოვოთ მადლი და ნუგეში. ასეთი საუბრების შემდეგ მრავალს ეხსნება უნდობლობა და იწყებს გულახდილ საუბარს მოძღვრებთან და ფაქტობრივად, მზადებას აღსარებისათვის, ზიარებისათვის, მოუნათლავნი კი — ნათლობისათვის. ღმერთმა უშველოთ მათ.

პატიმრებთან გამომშვიდობება იყო გამთბარი ქრისტესმიერი სიყვარულით, სევდანარევი — განშორების გამო და სავსე, მომავალი შეხვედრის სიხარულით.

***ავთანდილ უნგიაძე***

*წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირის თავმჯდომარე*



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ვიცი, რომ ტაძარი უფლის სახლია და მასთან ჩავლისას პირჯვარი უნდა გადაიწერო, ასეც ვაკეთებ, მაინტერესებს, თუ დღეში რამდენჯერმე ჩავივლი ერთსა და იმავე ტაძართან, პირჯვარი ყოველი ჩავლისას უნდა გადავიწერო?**

— იმის შესახებ, რამდენჯერ უნდა გადაიწერო პირჯვარი ტაძართან ჩავლისას, საეკლესიო კანონი არ არსებობს, პირჯვრის გადაწერის რაოდენობის დაწესება საეკლესიო დოგმა არ არის. პირჯვრის გადასახვა ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატვაა და იმდენჯერ შეგიძლიათ შეასრულოთ, რამდენჯერაც გული გიკარნახებთ. ოღონდ ეს არ უნდა იყოს მექანიკური ქმედება, მთავარია, პირჯვარი სიყვარულით გამოისახოთ, — უფლის რწმენითა და მასზე მინდობით. ამასთან, უნდა იყოთ მოკრძალებული, რათა პირჯვრის ხაზგასმულად წარმოჩენილი გარდასახვით გარშემომყოფები არ გააღიზიანოთ.

**— სახლი, რომელშიც ვცხოვრობ, მოძღვარს ერთხელ უკვე ვაკურთხებინე, მაგრამ მითხრეს, რომ ეს საკმარისი არ არის. რამდენჯერ არის საჭირო სახლის კურთხევა?**

— ჩვენ ყოველდღე გვაქვს ურთიერთობა ყოფასთან, რომელიც სავსეა კონფლიქტებითა და აგრესიით. ასეთი ურთიერთობები, ბუნებრივია, იქაც შემოდის, სადაც ვცხოვრობთ. სახლიც ისევე ჭუჭყიანდება, როგორც ადამიანის სული და მასაც ისევე სჭირდება დასუფთავება, როგორც ადამიანის სულს. სული აღსარებითა და ზიარებით იწმინდება, სახლი — კურთხევით, სასურველია, ეს წელიწადში ერთხელ მაინც მოხდეს. თუმცა უნდა გითხრათ, რომ სახლის კურთხევას აზრი არა აქვს მაშინ, თუ ადამიანები, რომლებიც იქ ცხოვრობენ, რწმენით არ არიან სავსენი. უფლის ზრუნვის საგანი სახლის კედლები კი არ არის, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ამ კედლებში ცხოვრობენ. თუ ამ ადამიანების გული თავად არ არის განწმენდილი, მაშინ სახლის კურთხევა დადებით შედეგს ვერ მოიტანს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***




## წმინდა ნიკოლოზ სერბი (1880–1956)

# ფიქრები

### სისუსტე

დანაშაული ყოველთვის სისუსტეა: დამნაშავე მხდალია და არა გმირი, ამიტომ მას, ვინც გაწყენინებს, უყურე ისე, როგორც შენზე სუსტს. როგორც პატარა ბავშვს სამაგიეროს არ გადაუხდი, ასევე ნურავის მიაგებ სანაცვლოს, რამეთუ იგი ბოროტებისგან კი არა, სისუსტისაგან იბადება. ასე შეინარჩუნე ძალა და მიემსგავსები წყნარ ზღვას, რომელიც არასოდეს გადმოვა ნაპირებიდან, რათა დაახრჩოს უგუნური, რომელიც მას ქვებს ესვრის.

### დიალოგი

მეცნიერის გულწრფელი შეკითხვა ბუნებასთან ასეთი იქნებოდა: „ბუნებავ, მითხარი, ვინ ხარ შენ, რათა გავიგო, ვინ ვარ მე...“ ისტორიკოსის გულწრფელი შეკითხვა ისტორიის მიმართ ასეთი იქნებოდა: „ისტორიავ, მითხარი, ვინ ხარ შენ, რათა ვიცოდე, ვინ ვარ მე...“ მოძღვრის გულწრფელი შეკითხვა ღვთის მიმართ ასეთი იქნებოდა: „ღმერთო, მითხარი, ვინ ხარ შენ, რათა ვიცოდე, ვინ ვარ მე...“

სამივე ამ კითხვის უცდომელი პასუხი ასეთი იქნებოდა: „ადამიანო, მიპოვე საკუთარ თავში“.

### სიამოვნებათა ფიალა

თუკი შემოგთავაზებდნენ ოქროს თასს მსოფლიოში საუკეთესო ღვინით და გეტყოდნენ: „დალიე, მაგრამ იცოდე, რომ ფსკერზე მორიელია“ — დალევდი?

მიწიერ სიამოვნებათა ყოველ ფიალაში მორიელი იმალება. თვით ეს ფიალებიც სულაც არაა იმდენად ღრმა, რომ მორიელი სულ ახლოს არ იყოს ჩვენს ბაგეებთან.

### უმეცრება

ძნელი არაა ასწავლო ცხოველს, ძნელი არაა, ასწავლო უბრალო ადამიანს, მაგრამ რა ძნელია, ასწავლო უვიცს, რომელიც უკვე მასწავლებელი გახდა!

### ზეცა

ყველა საქმე, რომელსაც ღვთის სახელისა და მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე აღასრულებ, მწარე ნაყოფს გამოიღებს, რამეთუ მასზე არ გარდამოდინდება ზეციური დალოცვილი ნამი და მაცოცხლებელი ნათელი.

რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდო ხელი, ყური მიუგდე ღვთის ხმას:

შენი ცხოვრების თითოეული სახე და მოხატულობა ზეციური ძაფებით მოქსოვე.

### ქება და ძაგება

ჩვენ ყველა ამქვეყნად თითქოსდა ბაზარზე გამოფენილი საქონელი ვართ. ერთნი ჩვენს ფასს ზეცამდე აღამაღლებენ, მეორენი კი გროშის ფასად მიიჩნევენ.

ქება და ძაგება, რომლებსაც ჩვენ ადამიანებისაგან ვღებულობთ, ჩვენს სულს ყოველთვის აორებენ: სულის ერთ ნახევარს უხარია ქება, ხოლო მეორე, წუხს ძაგების გამო, რადგან საკუთარი შემეცნების საიდუმლო სიღრმეში ვგრძნობთ, რომ არც ქებითა და არც ძაგებით ჩვენს შესახებ სრულყოფილად არაფერია ნათქვამი. ფხიზლად უყურე გადამეტებულ ქებასაც და ძაგებასაც — რამეთუ შენ არც ერთს არ იმსახურებ, — რათა ფრთების გარეშე არ აფრინდე ანდა სასოწარკვეთილების უფსკრულში არ ჩავარდე.

### ჰორიზონტი

რაც უფრო ვიწროა ჰორიზონტი, მით მეტია მღელვარება.

რაც უფრო ფართოა ჰორიზონტი, მით ნაკლებია მღელვარება.

რაც უფრო ვიწროა ჰორიზონტი, მით მეტია წარმოდგენა საკუთარ თავზე.

რაც უფრო ფართოა ჰორიზონტი, მით უფრო ნაკლებია წარმოდგენა საკუთარ თავზე.

თუკი ჭის ქედმაღალი გომბეშო ოკეანის ნაპირას აღმოჩნდებოდა იგი თავისი ქედმაღლობისაგან განიკურნებოდა.

### დღე და ღამე

თუკი დღისით მოვქსოვთ და ღამით დავარღვევთ, ვერასოდეს მოვქსოვთ.

თუკი დღისით ავაშენებთ, ხოლო ღამით დავანგრევთ, ვერასოდეს ავაშენებთ.

თუკი ღვთის წინაშე ვილოცებთ, მერე კი მის წინაშე ბოროტებას ჩავიდენთ, ვერასოდეს ვერც მოვქსოვთ, ვერც ავაშენებთ საკუთარი სულის სახლს.

### სულის გამოძახილი

მთელი სამყარო უზარმაზარ ფორტეპიანოს წააგავს, მისი კლავიშები ღვთის შექმნილია. რომელ მათგანსაც არ უნდა შეეხო, საკუთარი სულის გამოძახილს მოისმენ.

***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



# ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲠᲔᲡᲙᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲐᲜ

## რა, ატენის სიონშიც ბერძენი მღვდლები არ გვიშვებენ?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

**— ბატონო მერაბ, რა მდგომარეობაშია ამჟამად ფრესკები?**

— მისასალმებელია, რომ თქვენი გაზეთი რეგულარულად აშუქებს ქართული ისტორიული ძეგლების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა დღეშია საქართველოს ეკლესია-მონასტრები. როგორც თავადაც დარწმუნდებოდით, ატენის სიონი სავალალო მდგომარეობაშია. არადა, ეს ძეგლი თავისი მნიშვნელობით პირველხარისხოვანია, როგორც არქიტექტურული, ასევე კედლის მხატვრობის თვალსაზრისით. ასეთი დონის მხატვრობა არა მარტო საქართველოში, ბიზანტიურ სამყაროშიც ცოტა თუ მოიძებნება. ამ ტაძრის კედლებს ერთი თავისებურება ახასიათებს — ფრესკების ქვეშ მთელი საქართველოს ისტორიაა დაწერილი. ეს მატიანე მეცხრე საუკუნეში დაიწერა სიონის კედლებზე. მაგალითად, აი, აქ, სადაც ფრესკა აქერცლილია, ნათლად ჩანს ძველი ქართული წარწერა. იგი 853 წელს ბუღა თურქის მიერ თბილისის აოხრებას აღწერს. ფრესკებიდან გამორჩეულია ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ჭყონდიდელისა და ხარების ანგელოზის ფრესკა, თუმცა არც სხვა ფრესკებია უმნიშვნელო. შეხედეთ ამ ფრესკას, დააკვირდით, როგორ არის გამობერილი, — და მერაბ ბუჩუკური კედელს ფრთხილად უკაკუნებს თითს. იგი ყრუ ხმას გამოსცემს, — გესმით ხმა? კედელს სახატავი ფენა, ე. წ. გრუნტი, სინესტის გამო მოშორდა და კედელსა და ფენას შორის ცარიელი სივრცე წარმოიშვა. სივრცე კიდევ უფრო გაიზრდება და გამობერილი ფრესკის ნაწილი ძირს ჩამოვარდება. მერე მას აღარაფერი ეშველება.

**— ამჟამად თქვენი ხელმძღვანელობით ზემო სვანეთში მუშაობს ექსპედიცია და როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სენსაციური აღმოჩენებიც გაგიკეთებიათ.**

— დიახ, იელის თემის მაცხოვრის ეკლესიაში აღმოვაჩინეთ მე-12 საუკუნის კარგად შემონახული მხატვრობა. აქვეა მეათე საუკუნით დათარიღებული წარწერები. ყველაზე სენსაციური რამ ლაღამის მაცხოვრის ეკლესიაში ვიპოვეთ. ეს არის ორსართულიანი ეკლესია — მე-8 საუკუნეში აშენებულ ეკლესიაზე მე-13 საუკუნეში მეორე ეკლესია დაუშენებიათ. ქვედა ეკლესიაში მხატვრობის ორი ფენა აღმოჩნდა. პირველი ფენის მხატვრობა, სავარაუდოდ, მე-9 საუკუნისაა, რომელიც მე-12 საუკუნეში ზემოდან გადაუხატავთ. ახლა საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რომელი ფენა დარჩეს. იელის თემის ეკლესიაში აღმოჩენილი მხატვრობა მე-9 საუკუნის ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. სხვათა შორის, მე-12 საუკუნის მხატვრობა დავით აღმაშენებლის მხატვარს, თევდორეს ეკუთვნის.



გიორგი ჭყონდიდელის და დავით მეოთხის უნიკალური ფრესკიდან დღეს მხოლოდ ფრაგმენტებიღაა დარჩენილი

**— გამოდის, რომელიმე ფენას უნდა შეველიოთ?**

— არა, სწორად ვერ გამიგეთ. დღეს შესაძლებელია მოვხსნათ მე-12 საუკუნის მხატვრობა, იგი მუზეუმში გადავიტანოთ და ეკლესიის კედლებზე მე-9 საუკუნის მხატვრობა დავტოვოთ, ან პირიქით.

გარდა ამისა, ლატალში მივაკვლიეთ მე-13 საუკუნის ხატს. ხატის ფიცარი დამწვარი იყო, მაგრამ ჩვენ შევძელით მისი აღდგენა — მასზე ცხენებზე ამხედრებული წმინდა გიორგი და წმინდა თევდორე არიან გამოხატული. იშვიათია შემთხვევა, რომ ეს ორი წმინდანი ერთად იყოს გამოსახული. ასევე აღმოვაჩინეთ და რესტავრაციაც გავუკეთეთ მე-13 საუკუნის უბრწყინვალესი ხატწერის ნიმუშს, მთავარანგელოზის ხატს...

მერაბ ბუჩუკურის ნახსენები დავით აღმაშენებლის, ბაგრატ V-ისა და გიორგი ჭყონდიდელის ფრესკებით დავინტერესდი. სამწუხაროდ, მხოლოდ ფრესკების ნაშთებიღა შემორჩენილიყო. აღმაშენებლის სახე სავსებით გამქრალიყო, იგივე ბაგრატ V-ისა და ჭყონდიდელის ხატებასაც ემუქრება. არადა, როგორც შევიტყვე, ჭყონდიდელისა და ბაგრატ V-ის სახება მხოლოდ ატენის სიონმა შემოუნახა ქართველებს. აღმაშენებლისა კი, თუ გელათის ფრესკას არ ჩავთვლით, სხვა ფრესკა არც გვაქვს...

თბილისში დაბრუნებულმა ამ ფრესკების ფოტოსლაიდები და ჩანახატები მოვიძიე, მაგრამ ამაოდ — ვერსად მივაკვლიე ჩვენი მეფეებისა და დიდვეზირის ფოტოებს. იმედი მაინც არ გადამიწურავს და ატენის სიონის მუდმივმოქმედი ექსპედიციის ხელმძღვანელს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის მთავარ მცველს, **ელენე კავლელაშვილს** ვესტუმრე:

**— ქალბატონო ელენე, რას გვეტყოდით ატენის სიონის მეფეთა და დიდებულთა ფრესკებზე? სამწუხაროდ, ყველა იმდენადაა დაზიანებული, რომ მათი გარჩევა ჭირს.**

— ქართველმა მეცნიერებმა ბევრი იმუშავეს ფრესკებზე გამოსახულ პირთა ვინაობის დასადგენად. აწ განსვენებული აკადემიკოსის, გურამ აბრამიშვილის აზრით, ატენის სიონის მოხატულობაში ჭაბუკი მეფე დავით V პირველად აისახა მეფის რანგით. ასევე მნიშვნელოვანია დავითის გვერდით მდგარი პირი. იგი საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ V გახლავთ. გარდა ამისა, მხოლოდ ატენის სიონში შემორჩა მწიგნობართუხუცესის, გიორგი ჭყონდიდელის სახე. იგივე შეიძლება ითქვას ბაგრატ V-ის ფრესკის მიმართაც.

საბედნიეროდ, საქართველოში მოღვაწე რუსი მხატვრის, გაგარინის ჩანახატებში წავაწყდით ატენის სიონის ფრესკების ჩანახატებს, კერძოდ, სწორედ იმ მოხატულობას, სადაც დავით V და ბაგრატ V არიან გამოსახული. გაგარინის ჩანახატები, ასე თუ ისე, იძლევა გიორგი ჭყონდიდელის სახის აღდგენის საშუალებას, სამაგიეროდ, შეუძლებელია დავით აღმაშენებლის სახის აღდგენა, რადგან გაგარინის ჩანახატზე დავითის მხოლოდ თმა და ქვედა ყბა ჩანს. გაგარინი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრესკები მაშინაც დაზიანებული იყო. დღეს ფრესკები კიდევ უფრო დაზიანებულია. ჭყონდიდელის სახე თითქმის აღარ ჩანს. იგივე ემუქრება ბაგრატ V-ის ფრესკას.

**— როგორც შევიტყვეთ, უცხოელთა დახმარებით მალე დაიწყება ატენის სიონში აღდგენითი სამუშაოები.**

— დიახ, მაგრამ მეეჭვება, ასე სწრაფად მოხერხდეს ატენის სიონში სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება. 80-იან წლებში ნაჩქარევმა სარესტავრაციო სამუშაოებმა უფრო ავნო ტაძარს, ვიდრე სიკეთე მოუტანა. ახლაც საქმე ნაჩქარევ რესტავრაციასთან გვაქვს. არ შეიძლება რესტავრაციის დაწყება მანამ, სანამ ტაძრის არქიტექტურული ნაწილის რესტავრაცია არ მოხდება. ამერიკელების გამოყოფილი 30 ათასი დოლარი მხოლოდ ტაძრის დაზიანებული არქიტექტურული ნაწილის გამოკვლევისთვისაა გამიზნული. შემდგომ ეტაპებს რა სახსრებით დააფინანსებენ, უცნობია. თუნდაც თანხა გამონახონ, სანამ არქიტექტურული ნაწილის რესტავრაცია არ დასრულდება, არავის მივცემ უფლებას, ფრესკებს შეეხოს.

P.S. საქართველოში უამრავი უძველესი და უნიკალური ეკლესია-მონასტერია. უმეტესობა კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. მათ სასწრაფოდ სჭირდება შველა. მხოლოდ უცხოელი მეგობრების იმედად პრობლემა ვერ გადაწყდება. ასე შეიძლება ერთი-ორი ტაძარი გადარჩეს, დანარჩენებს სახელმწიფომ უნდა მიხედოს.

დაყოვნება საქმესაც ავნებს და ქვეყანასაც — ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად ყოველი დღე ძვირფასია.

P.P.S. დაახლოებით ერთი თვის წინ მთელი საქართველოს მოსახლეობა აღაშფოთა ისრაელში, ჯვრის მონასტერში მომხდარმა ვანდალიზმმა, როცა შოთა რუსთაველის ფრესკა თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ბევრი ქართველი ამ ფაქტის გამო ცუდად გახდა და ექიმების დახმარება დასჭირდა.

ჯვრის მონასტერი ისრაელშია და იქ წირვა-ლოცვას ბერძენი მღვდელმსახურები აღავლენენ. ქართველებს, თუნდაც ტურისტებს, შიგნით არ უშვებენ და ამიტომაა, რომ მონასტერში მიმდინარე პროცესებს თვალს ვერ ვადევნებთ, ვერ ვაკონტროლებთ. მაგრამ რით ვიმართლებთ თავს მომავალი თაობების წინაშე, როდესაც შუაგულ ქართლში, ატენის სიონის ტაძარში ქართველებისთვის ჯვრის მონასტრისაზე არანაკლებ ძვირფას ფრესკებსაც ვერ შემოვუნახავთ — დავითის, ბაგრატის, გიორგი ჭყონდიდელის ფრესკების ადგილას მალე ცარიელი კედლებიღა დარჩება. რა, ატენის სიონშიც ბერძენი მღვდლები არ გვიშვებენ?!

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ, ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ-ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

მსოფლიო ბანკისა და იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს მთავრობამ მოამზადა სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი.

პროექტის ამოცანას წარმოადგენს ეფექტური და რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის შექმნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-დემონსტრირების გზით ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მდგრად ზრდასა და გარემოს დაბინძურების შემცირებას.

საკონკურსო გრანტების სისტემა წარმოადგენს გამოყენებითი კვლევისა და მისი შედეგების დანერგვის დაფინანსების საკონკურსო მექანიზმს, რომელიც ემსახურება კერძო ფერმერული მეურნეობების წარმადობის გაუმჯობესებას, რენტაბელობის და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფას.

საკონკურსო გრანტების მექანიზმი შექმნილია მეცნიერებასა და ფერმერებს შორის კავშირების გამყარების მიზნით, რაც გამოიხატება საკვლევი სამუშაოების მეწარმეთა უშუალო საჭიროებებზე მორგებაში და გარემოსადმი ნაკლები ზიანის მომტანი ტექნოლოგიების ფერმერთა ფართო აუდიტორიამდე მიტანაში. პროექტის სრულყოფილად გაშუქებისათვის გადავწყვიტეთ, დაინტერესებული მკითხველისათვის ნათლად გაგვეცნო პროექტის მიმდინარეობის შედეგები. სწორედ ამიტომ, ვეწვიეთ დაბა ჩაქვში გამარჯვებულ ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელს ბატონ **ტარიელ მამულაშვილს**, რომელიც ციტრუსოვანთა ნერგების გამოყვანითაა დასაქმებული.

**ტარიელ მამულაშვილი:** — მე პროფესიით ჩაის ტექნოლოგი ვარ. მოგეხსენებათ, დასავლეთ საქართველოში ჩაი ძირითად წამყვან კულტურად ითვლება. ჩვენი წითელმიწა ნიადაგები, რომელიც განლაგებულია სამტრედიის, გურიისა და აჭარის მიდამოებში, საუკეთესოა ჩაის კულტურის გასაშენებლად, როდესაც გამოცხადდა მსოფლიო ბანკის კონკურსი, გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. კონკურსში გამოცხადდა 6 პრიორიტეტი, რომელთა შორის მე-2 პრიორიტეტზე გავამახვილეთ ყურადღება, რაც ეხებოდა ციტრუსოვანთა კულტურის გავრცელებას. ჩვენ შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას შეგვენარჩუნებინა ციტრუსოვანთა უნიკალური ჯიშები. პროექტში ჩადებული ტექნოლოგიები დამუშავებულია ჩაქვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. პროექტის მიზანი იყო აღგვედგინა წლების მანძილზე დაკნინებული ციტრუსოვანი კულტურები და გამოგვეყვანა ახალი ჯიშები.

***— პროექტის ფარგლებში რა ახალი ტექნოლოგიები დაინერგა, როგორ განხორციელდა სწავლების პროცესი?***

— ჩვენთან მრავალი ახალი ტექნოლოგია დაინერგა პერსპექტიულად. მათ შორის, ტრიფოლიატის ნერგის გამოყვანის ტექნოლოგია, რომლის დროსაც მცენარის მყნობა ხდება ტრიფოლიატის ნერგზე, რის შედეგადაც მცენარე ყინვაგამძლეა.

აგრეთვე დაინერგა ტრიფოლიატის ნერგის გამოკვების ტექნოლოგია, რომლის არსი შემდეგშია: ნერგი თავსდება პოლიეთილენის პარკში, სადაც იკვებება სპეციალური დანამატებითა და საკვები სუბსტრატებით. ნერგი ირგვება მარტის თვეში და პოლიეთილენის პარკში ჩერდება 6 თვის განმავლობაში. ამის შემდგომ უკვე ხდება გამოზრდილი ნერგის მყნობა. მყნობის დასრულების შემდეგ მცენარე უკვე იწყებს ვეგეტაციასა და ზრდას. პოლიეთილენის პარკებში ნერგის გამოზრდის ტექნოლოგიის უპირატესობა ის გახლავთ, რომ შესაძლებელია ნერგი შევინახოთ რამდენიმე წლის განმავლობაში ორანჟერეის პირობებში. ეს ნერგები აგრეთვე ძალიან ტრანსპორტაბელურია. შესაძლებელია მისი გადატანა შორ მანძილზე. მართალია მუშაობის პროცესში მრავალი ბარიერი შეგვხვდა, რადგან სამუშაოების დიდი ნაწილი ხელითაა შესასრულებელი, მაგრამ ჩვენ ამ ბარიერებს იოლად ვლახავთ და უკეთესი წარმატების იმედიც გვაქვს.

რაც შეეხება სწავლების პროცესს, ჩვენ რეგულარულად ვატარებთ სადემონსტრაციო დღეებსა და ლექცია-სემინარებს. ახლაც, მესამე ტრანშში გათვალისწინებული გვაქვს სემინარები, რომლის დაწყება დაემთხვევა მყნობის პროცესს. ჩვენს ლექცია-სემინარებს ესწრება უამრავი ადამიანი, რომლებიც ჩვენგან იღებენ კონსულტაციებს, ნერგებს, შესახვევ მასალებს და ა.შ. ეს ყველაფერი ჩვენი უშუალო ინტერესია, რათა ფართოდ გავრცელდეს ცისტრუსოვანთა ნერგის გამოყვანის ეს ტექნოლოგიები, რომელიც ძალიან ეფექტურია.

ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკოორდინაციო ცენტრისა და მსოფლიო ბანკის მესვეურებს, რადგან მათ დაუღალავი შრომა გასწიეს ამ პროექტის ნორმალურად ჩატარებისათვის. მე მიმაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი უდიდესი მნიშვნელობისაა ფერმერული მეურნეობებისათვის. ამ პროექტმა ჩვენ რეალურად მოგვცა საშუალება, გაგვეხორციელებინა ჩვენი ჩანაფიქრი და აღგვედგინა ციტრუსოვანთა უნიკალური გენოფონდი.

*თემურ კაციაშვილი* R



# „ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ომთან..."



*საქართველოში დროებითი სიმშვიდე ჩამოდგა. შეწყდა ღამის სროლები, რომელმაც ბევრი სიცოცხლე წაიღო. მაგრამ საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დაიბრუნოს 90-იან წლებში დაკარგული რეგიონი. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მნიშვნელოვანი ძალები განალაგა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და რუსეთს ადანაშაულებს — ოსეთში საბრძოლველად თავისი შეიარაღებული ძალები, დაქირავებული მებრძოლები და კაზაკები შეგზავნაო. მიხეილ სააკაშვილს გადაწყვეტილი აქვს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყროს ამ კონფლიქტს.*

**— რის გაკეთებას აპირებთ, რათა კვლავ დაიპყროთ და დაიბრუნოთ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი?**

— ჩვენ „დაპყრობა" არ გვაქვს განზრახული, ეს სიტყვა არ გამოხატავს საქმის არსს. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო ამ ორ რეგიონზე გამავალი კონტრაბანდული გზის გადაკეტვა. ამჟამად სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ეს შემოსავლის წყარო შეუწყდა. იქ ბევრი უმუშევარია და ბევრი იარაღია. მეშინია, რომ ისინი ქართულ სოფლებს შეუტევენ. რუსეთმა ხომ ოსებს უამრავი იარაღი მისცა — ტანკები, 90 ჯავშანმანქანა... ეს ძალიან ბევრია ოსეთის ჯარისათვის, რომელიც 3000 კაცს ითვლის. თუმცა ძალები, რომლებიც გასულ კვირას შემოგვიტიეს, ნამდვილად რუსეთისა იყო. აქ გამოყენებული ტაქტიკა ძალიან ჰგავდა იმას, რასაც ჩეჩნეთში აკეთებენ — დახოცილებს არ ტოვებენ ბრძოლის ველზე მსხვერპლის რაოდენობის დასაფარავად.

**— პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტს შეხვდით. ვერ მოახერხეთ მასთან გულითადი ურთიერთობის დამყარება?**

— მე პუტინთან კონტაქტი მაქვს, მაგრამ ვგრძნობ, რომ რუსეთში მარტო ის არ იღებს გადაწყვეტილებებს. არიან პრორუსულად განწყობილი ჩეჩნები. მაგალითად, კადიროვის ვაჟმა, რამზან კადიროვმა (ვიცეპრემიერ-მინისტრი. — *რედ.*) განაცხადა, — მზად ვარ, სამხრეთ ოსეთში რუსეთის დასახმარებლად 5 ათასი ჩეჩენი გავგზავნოო. მეორე მხრივ, რუსეთში არიან ინგუშები, რომლებიც მტრულად უყურებენ ოსებს... რუსეთის მთავარი პრობლემაა ის, რომ მან ბოლო დროს ტერიტორიები დაკარგა: ბალტიისპირეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი საქართველოც. რუსეთი ახალ დანაკარგს ყველანაირად აღუდგება წინ. ბ-ნ პუტინი პრაგმატიკოსად მიმაჩნია. მაგრამ ურთულეს სიტუაციაში ძლიერ პრეზიდენტსაც კი შეზღუდული აქვს მანევრირების შესაძლებლობები.

**— თქვენც წარამარა იცვლით შეხედულებებს. ძალიან აგრესიული განცხადება გააკეთეთ აფხაზეთში შესულ გემებთან დაკავშირებით და კიდევ ქართველებს მოუწოდებდით, ემზადონ ომისთვის...**

— მე ვთქვი, რომ თუ ომი დაიწყო, ეს იქნება რუსეთ-საქართველოს ომი და არა ქართველებისა და ოსებისა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ეროვნულ ნიადაგზე შეჯახების თავიდან ასაცილებლად. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ომთან და საჭიროა მოსახლეობა ამისათვის მზად იყოს. მაგრამ ეს, რასაკვირველია, ყველაზე უარესი იქნება, რაც შეიძლება დაგვემართოს. ამის პროვოცირების არავითარი სურვილი არ მაქვს.

**— რის გაკეთებას აპირებთ?**

— ჩვენ ოსებს ფართო ავტონომიას და საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში დიდ წარმომადგენლობას ვპირდებით. ჩვენ მთელი მსოფლიოს ყურადღება გვინდა მივიპყროთ და ვაპირებთ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ოსეთის სტატუსის განსახილველად. რუსეთი ამის წინააღმდეგია, მაგრამ, მგონი, ახლა პოზიციას იცვლის.

**— რით აპირებთ რუსეთის გულის მოგებას, სანაცვლოდ რას სთავაზობთ?**

— რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულება იმ წყვილს მაგონებს, რომელიც ერთმანეთს შორდება. ჩვენ მეგობრობას ვთავაზობთ, მაგრამ ორივე მხრიდან ეჭვიანობა შეინიშნება. ჩვენ არ ვჩქარობთ. ეკონომიკურად საქართველო ჯერ ძალიან სუსტია. სამი წლის შემდეგ საქმე გამოკეთდება. ეს რუსეთმაც უნდა შეიგნოს. რაც შემეხება მე, მოცდა შემიძლია, შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ ოთხ-ნახევარი წლის შემდეგ იქნება.

***ლიბერასიონი***

# თბილისში ანტირუსულ კარტს ათამაშებენ

24 აგვისტოს ქართულმა ტელეარხმა „მზემ" გადასცა ჩეჩენ მეომართა ლიდერის ინტერვიუ. როგორც თბილისელი ტელემაყურებლები ამბობენ, კორესპონდენტმა ინტერვიუ სადღაც ტყეში ჩაიწერა. იჩქერიის დროშის ფონზე მასხადოვი რუსულ ენაზე სთხოვს პატიებას ქართველებს იმის გამო, რომ ჩეჩნები აფხაზეთში მათ ებრძოდნენ. სამხრეთ ოსეთი — საქართველოა, ჩეჩნები და ქართველები ძმები ვართ, — განაცხადა მასხადოვმა. ეს პირველი განცხადება არ არის, როდესაც ჩეჩენი სეპარატისტების ლიდერები ოსურ-აფხაზურ-ქართულ კონფლიქტებში მთლიანად თბილისს უჭერენ მხარს. ეტყობა, იმიტომ, რომ ის ეს ჟესტი, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრულია. ერთი კია: შარშანდელი თოვლივით გაქრა ჭორი, რომ ოსები ინგუშეთზე თავდამსხმელი „ბოევიკების" მოკავშირეები არიან. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტმა წინადადება წამოაყენა ჩეჩნეთში ქართველი სამშვიდობოების გაგზავნის თაობაზე. ეს იყო პასუხი იმავე „მზეში" რამზან კადიროვის განცხადებაზე, სადაც ის ამბობს, რომ ხუთი ათასი ჩეჩენი მზადაა სამხრეთ ოსეთში შესასვლელად. კადიროვმა უკვე უარყო ეს განცხადება. თქვა, — ჩემი სიტყვები დაამახინჯესო. ასეა თუ ისე, დეპუტატმა კობა დავითაშვილმა მთავრობას



კავკასიაში ოსები და აფხაზები რუსეთის მოკავშირეებად არიან აღიარებულნი.

ტელეკომპანია „მზე" არ არის სახელმწიფო არხი, კერძო მსხვილი კაპიტალით ფინანსდება და ყველაზე პოპულარულ ტელეარხთა სამეულში შედის. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ „მზემ" პოპულარობით „რუსთავი-2"-საც კი გაუსწრო. რასაკვირველია, კერძო კომპანიის კორესპონდენტს ვერავინ აუკრძალავს, ვისგანაც უნდა, მისგან აიღოს ინტერვიუ, მაგრამ ამ ინტერვიუს გამოსვლის დღეს, მასხადოვმა თავისი ევროპელი წარმომადგენლის, უსმან ფირზაულის პირით აიღო პასუხისმგებლობა წინა კვირადღეს გროზნოზე და 22 ივნისს ინგუშეთზე თავდასხმების გამო, რომელთაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ამიტომ, ქართული ტელეკომპანია მოუწოდა, მოლაპარაკება დაიწყონ ჩეჩნეთის „კანონიერ ხელისუფლებასთან" ანუ ასლან მასხადოვთან.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ნათლად აჩვენა, რომ არ დაუშვებს სამხრეთ ოსეთში ძალის გამოყენებას, თბილისში სულ უფრო და უფრო ათამაშებენ ანტირუსულ კარტს. ძალაუნებურად ისმის კითხვა: შემთხვევით დაემთხვა თუ არა ერთმანეთს ცხინვალის გარშემო სიტუაციის გამწვავება და მასხადოვის მიერ ინგუშეთზე თავდასხმა, ანდა ბოლო სინქრონული მოვლენები: 19 აგვისტო— სამხრეთ ოსეთში ქართველთა „ბლიცკრიგის" ჩაფლავება, 21-ში — გროზნოზე „ბოევიკთა" თავდასხმა, 25-ში — თვითმფრინავების ჩამოვარდნა?

***მოსკოვსკი კომსომოლეცი. რუ***

# „ჩვენ ჩრდილოელ ძმებთან შეერთებას ვესწრაფით"



„ქართულ-ოსური კონფლიქტის ბოლო ესკალაციის დროს სამხრეთ ოსეთს მინიმალური დანაკარგი ჰქონდა, — იტყობინება სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რობერტ გულიევი, — მხოლოდ რამდენიმე კაცი დაგვეჭრა. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მაღლობის ჩერიშისას ქართველებმა დაატყვევეს ჯავის ომონის დაჭრილი მეომარი გენადი სანაკოევი და წამებით მოკლეს. დაზარალებულთა უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობაა. ჩვენ დანაკარგს არ ვმალავთ. საქართველო კი არ აღიარებს, რომ 100 კაცი მაინც დაკარგა". ძალოვანი სტრუქტურის თავკაცი აღნიშნავს, რომ მიუხედავად კონფლიქტის ზონაში სიწყნარისა, გულხელდაკრეფა არ გვარგებს. ქვედანაყოფთა ნაწილი ყაზარმულ რეჟიმზეა გადასული. დანარჩენი — გულმოდგინედ აგრძელებს სამსახურს. რობერტ გულიევის აზრით, ცეცხლის შეწყვეტის უმთავრესი ფაქტორი არის ის, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმეტესობა რფ-ის მოქალაქეა და ამიტომაც არც რუსეთი და არც მსოფლიო საზოგადოებრიობა არ დაუშვებს მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ძალოვნები ღირსეულად ასრულებენ თავის მოვალეობას. მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სამხრეთ ოსეთი მშვიდობის მომხრეა. ჩვენ წყნარი ცხოვრება გვინდა, სახლში თოფით არავის ვუცვარდებით, ჩვენ რუსეთის მოქალაქეები ვართ და ჩრდილოელ ძმებთან შეერთებას ვესწრაფით, რომლებთანაც ძალად გაგვთიშეს. სამხრეთ ოსეთსაც აქვს თვითგამორკვევის უფლება ისევე, როგორც საქართველოს", — ასკვნის მინისტრი.

***იუჟნაია ოსეტია***


OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს
**ტენდერს**

**სოფელ სნოში საბავშვო ბაღის**
შეკეთებაზე

პროექტი ითვალისწინებს სოფელ სნოში საბავშვო ბაღის შეკეთებასა და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

სამუშაოებში შედის:

- ფანჯრების, კარებების, საძირკვლის, კედლებისა და ჭერის მშენებლობა-შეკეთება და სხვა მცირე ზომის სამუშაოების შესრულება;
- გაზგაყვანილობისა და ელექტროსისტემის შეკეთება და ნაწილების საჭიროებისამებრ შეცვლა.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწოდებულ უნდა იქნეს თქვენი დაინტერესების წერილი, რომლის შემდგომ საშუალება მოგეცემათ, გაეცნოთ სამუშაოების ჩასატარებელ ადგილს, რისთვისაც დამატებით გეცნობებათ თარიღი.

ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია.
ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა კომპანიებმა დაინტერესების წერილი უნდა გამოაგზავნონ
ელექტრონულ საფოსტო მისამართზე adolf.turek@osce.org 2004 წლის 27 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე:


# არჩევნები „პროქართული მოღვაწეების" გარეშე

**თბილისი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. სოხუმში პრეზიდენტობის კანდიდატთა წინასაარჩევნო მარათონი დაიწყო.**



*მოსკოვი თავის სიმპათიებს არ მალავს. რფ-ის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე იგორ ივანოვი (მარცხნივ) და რაულ ხაჯიმბა*

უმაღლეს პოსტზე უპირველეს პრეტენდენტად მიიჩნევენ ახლანდელ პრემიერს რაულ ხაჯიმბას. ის მმართველი პარტიისა და პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას კანდიდატურაა. გარდა ამისა, პრეზიდენტის სავარძლისთვის იბრძოლებენ სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს" მეთაური სერგეი ბაღაფში, აფხაზეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და შსს-ს ყოფილი უფროსი ბიზნესმენი ალექსანდრ ანქვაბი.

თბილისში ფორმალურად არ გამოხატავენ თავის დამოკიდებულებას აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ, რადგან, როგორც აფხაზეთიდან დევნილ ქართველთა ლიდერი თამაზ ნადარეიშვილი ამბობს, კანდიდატთა შორის პროქართულად განწყობილი მოღვაწეები არ არიან. ახლანდელ კანდიდატებს საერთო მიზანი აქვთ — დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფო. თბილისში ამბობენ, — მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კანდიდატს ზურგს ძლიერი ძალები უმაგრებენ და ერთმანეთის კონკურენტები არიან, ერთადერთი რამ მაინც აერთიანებთ, ეს არის საერთო მტერი — საქართველო და ომის განახლების საშიშროება.

ანალიტიკოსთა აზრით, მოსკოვი აფხაზურ არჩევნებზე რაულ ხაჯიმბას დაუჭერს მხარს. ბოლო დროს კრემლმა სერგეი შამბაზე გული აიცრუა, რადგან მან შარშან მოულოდნელად განაცხადა, — აფხაზეთი რუბლის ზონიდან უნდა გავიდეს და საკუთარი ვალუტა შემოიღოსო. მოსკოვმა დაასკვნა, რომ შამბა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მომხრეა, მას არც საქართველო უნდა და არც რუსეთი.

***კომერსანტი***

*გვერდი მოამზადა*
*თინათინ მარგველაშვილმა*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიითხოზენ

6 წლის **ირაკლი ძირია** დედას ეკითხება:

— დედა, ექსკურსია რომ არის, რატომ არ არის შვიდკურსია, რვაკურსია?

***

პატარა **თინიკო** დედას ეკითხება.

— დუნია ბებია და ზაირა ბებია ერთიმეორისა ვინ არიან?

— რძალი და მული.

თინიკო ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა რძალი და მული.

— რას ამბობ დედიკო, ვერ გავიგე?!

მაშინ დედამ აუხსნა:

— აი, როგორც მე და შენი ბიცოლა ირმა (ირმა თინიკოს დედის ძმის ცოლია).

— ააა, გავიგე, მტრები! — უპასუხა თინიკომ.

***

3 წლის **მაკა ჩხეტიას** მამამ კანფეტის ჭამა აუკრძალა.

— შენ დღეს დედად მუშაობ? — ჰკითხა მაკამ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ყვავილთ მეფეს ეძახიან, გარეგნობით არ ჰგავს იას, მას ბულბული ალტაცებით, ტკბილად უმღერს ტია-ტიას“.**

III



### სპარსული არაკები

## უგუნური

ერთი კაცი წერილს წერდა. ვიღაც უცხო კაცი გვერდით ეჯდა და წერილში იყურებოდა. კაცმა წერილში ჩაწერა: „ჩემს მახლობლად ვიღაც უცხო, უგუნური კაცია, რომელიც ამ წერილს კითხულობს, ამის გამო ვერაფერ საიდუმლოს ვერა გწერ...“

— მე მთვლი უგუნურად?! რატომ არ სწერ საიდუმლოს?! — უთხრა იმ კაცმა.

— თუ ჩემი წერილი არ წაგიკითხავს, საიდან გაიგე, რა დავწერე?! — უპასუხეს აბეზარს.

## ორი ვირის ტვირთი

ერთ დღეს ერთი მეფე და უფლისწული სანადიროდ წავიდნენ. რადგან ძალიან დაცხა, მეფემ და უფლისწულმა თავიანთი წამოსასხამები მასხარას გადაჰკიდეს მხარზე.

მეფემ თქვა:

— ჰოი, მასხარავ, ზურგზე ერთი ვირის ტვირთი გკიდია!

— მეტიც! ორი ვირისა! — მიუგო მასხარამ.

I განალაგეთ სწორად მოზაიკის დარჩენილი დეტალები





II გამოცანები

ა) წვერმახვილი ჩხირი არის
— მოსწავლეთა იარაღი;
რა ვუყოთ, რომ შავია,
უყვარს თეთრი იალაღი.

ბ) როდესაც დაბინდდება,
ტყე-ტყე დაეხეტება,
ღლისით თუ გაფრინდება,
ღობე-ყორეს ედება,
თუმცა დიდი თვალები
აქვს,
მაინც ვერ იხედება.

### იპოვე 10 განსხვავება



IV ანა, გამოიცანი

**1) რომელია ზედმეტი?**

ა) თივა; ბ) ნამჯა; გ) ლერწამი; დ) ბალახი.

**2) დაასრულე გამონათქვამი უდარდელ ადამიანზე: „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა...“**

ა) ქოშად; ბ) ჩექმად; გ) სანდლებად; დ) ქალამნად.

**3) ხალხური ლექსის მიხედვით, რომელ მცენარეს ეხვეოდა მუმლი?**

ა) ვაშლს; ბ) მუხას; გ) კაკალს; დ) ატამს.

**4) როგორ გოჭს ადარებენ ახირებულ ბავშვს?**

ა) ღორმუცელას; ბ) სამგლეს; გ) ჭყვიტინას; დ) ჭუჭყიანს.

**5) ვინ ახარა ღვთისმშობელ მარიამს, რომ იგი შობდა იესოს?**

ა) გაბრიელ მთავარანგელოზმა; ბ) იოანე ნათლისმცემელმა; გ) იოსებმა; დ) იაკობმა.

**6. რა ჰქვია ღვინის დანალექს ქვევრში?**

ა). თავკვერი; ბ). ბრკე; გ). ქაფი; დ) თხლე.

**7) ამ მეფეთაგან რომელი მეფობდა ყველაზე ადრეულ პერიოდში?**

ა) გიორგი ბრწყინვალე; დ) დავით აღმაშენებელი; გ) თეიმურაზ II; დ) ვახტანგ გორგასალი.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*







CMYK

# სოფელ-ქვეყნის საქმისთვის უჩუმრად იხარჯებოდნენ

## შუა გურიაში ლალი გუნთაიშვილს ჭეიშვილების სახლთა შვილადაც მოიხსენიებენ...

*„კეთილი კაცი თავისი კეთილი საუნჯიდან სიკეთეს გამოიღებს“.*

**(ლუკას სახარება. 7.45)**



სოლომონ ჭეიშვილი

გაზეთის ოთხი ნომერი, უკვე ქალბატონი ლალის გარეშე გამოდის... ისეთივე, როგორიც წლების მანძილზე იყო — პირველი დღიდან და პირველი ფურცლებიდან, როდესაც ასეულობით ჟურნალ-გაზეთს შორის გზა გაიკვალა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა... ოღონდ გაზეთის პირველი მთავარი რედაქტორის გარეშე...

თითოეულ ორშაბათს, გაზეთთან ერთად, საზოგადოებაში მკვიდრდებოდა სახელი — ლალი გუნთაიშვილი... ალღო, რითაც მან „კვირის პალიტრის“ ირგვლივ პროფესიონალები შეაკავშირა — სხვა არა იყო, თუ არა ღვთით მომადლებული ნიჭი. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი ადამიანთა გულებისკენ იკვლევდა გზას. ბედნიერებას გრძნობდა ყველა, ვისაც ნათესაური თუ სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა ქალბატონ ლალისთან, ვინც მის წრეში ტრიალებდა, ვისაც იგი რამდენიმე წუთით მაინც შეხვედრია...

...შუა გურიაში ლალი გუნთაიშვილს ჭეიშვილების სახლთა შვილადაც მოიხსენიებენ. ...უდედობას განიცდიდა... „ამ განცდამ მიმიყვანა ეკლესიაში... დედასთან მიახლოება, დედის მოფერება მხოლოდ ამ გზით შემეძლო“... ეს მისი სტრიქონებია, შეიძლება დედა და მისი ახალგაზრდობაში მოსაკლისება იყო ის მუხტი, რაც ქველმოქმედებისკენ უბიძგებდა, ან იქნებ, თავისი სახელოვანი წინაპრებისაგან მოსდგამდა ეს „ჩვევა“, ისინი ხომ გამორჩეული მოღვაწეები იყვნენ, მოყვასისთვის, სოფელ-ქვეყნის საკეთილდღეო საქმისთვის უჩუმრად და უანგაროდ იხარჯებოდნენ...



სოლომონ ჭეიშვილი და ნინა შევარდნაძე-ჭეიშვილისა

ქალბატონი ლალი დედისეული ხაზით იმ ოჯახს ეკუთვნოდა, რომელმაც მთელ საქართველოში ცნობილი სოლომონ ჭეიშვილი, ალექსანდრე სოლომონის ძე და ალექსანდრე ევგენის ძე ჭეიშვილები აღზარდა...

„მშვენიერი სოფელი ასკანა მაღლობიდან გადმომცქეროდა, ჰომეროსის „ილიადაში“ მქონდა წაკითხული, რომ ასევე მშვენიერი ელენეს ძმები ასკანიდან ჩამოვიდნენ ტროაში, ბერძნების ომში მონაწილეობის მისაღებად“. — სოფლის მონახულების შემდეგ მწერალმა ნინო ნაკაშიძემ თავს უფლება მისცა, ეს სიტყვები ეთქვა.

ასკანა გურიაშია, ოზურგეთის მხარეში, ქალაქიდან 18 კმ-ის დაშორებით, აჭარა-გურიის მთაგრეხილთა ჩრდილოეთის კალთის მონაკვეთზე, ზღვის დონიდან 380 მ-ის სიმაღლეზე.

ასკანის ციხე, ახალი ათასწლეულის პირველი საუკუნეებიდან იცავდა აქაურებს ათასი ჯურის მომხვდურისა და მტრისაგან. მეტიც, ასკანის ციხის კედლებთან გურულ მოლაშქრეებს დაუმარცხებიათ გნეუს პომპეუსის რომაული ლეგიონები და მურვან ყრუს მარბიელი ლაშქარი...

ჭეიშვილები ასკანაში დაფუძნების ათ საუკუნეს ითვლიდნენ. მათი წინაპარი იმერეთიდან მტერს გამორიდებულა.

ალექსანდრე ივანეს ძე ჭეიშვილს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია დაუმთავრებია. ყველაფერი გააკეთა, რომ შვილებისთვის განათლება მიეცა და ღვთის სიყვარულით აღეზარდა. ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა: სოლომონი, ნიკოლოზი, ერმილე და მელიტონი. მათი შვილებიცა და შვილიშვილებიც მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ეკონომიკის სფეროში მოღვაწენი იყვნენ.

სოლომონ ჭეიშვილისადმი ინტერესი დღესაც არ წყდება; სამაზრო ცენტრს მოწყვეტილი უძველესი სოფლის მკვიდრი, ცნობილი გახდა საქართველოში, რუსეთსა და შორეულ საფრანგეთში. ასკანის ორკლასიანი სკოლის შემდეგ, 1882 წელს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელს ამთავრებს და ასკანის სკოლის გამგედ ინიშნება, სადაც 1894 წლამდე მუშაობს. წლების მანძილზე იყო სოფლის მამასახლისი. ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას; ადრეულ ასაკში ოზურგეთის სამრეწველო ფირმის „შუამავლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი გახდა. ფირმა აბრეშუმის, თაფლის, ცვილისა და თხილის შესყიდვას აწარმოებდა მოსახლეობისაგან. უმოკლეს დროში სოლომონი ფირმის წარმომადგენელი გახდა რუსეთში. ამავე დროს ასკანაში ჩაის პლანტაციას აშენებს. ეხმარება გლეხებს ჩაის მოშენებაში, იძენს მათგან ჩაის... გლეხებს ფული უჩნდებათ. მოგვიანებით, სოლომონის დახმარებით, ასკანელებს თავიანთი პროდუქტი ქვეყნის გარეთაც გააქვთ, რუსეთის ქალაქებში.



ალექსანდრე სოლომონის ძე ჭეიშვილი. ფოტო გადაღებულია ბუენოს-აირესში, 1972 წელს (გარდაიცვალა 1991 წელს)

1914 წელს, მოსკოვში, საიმპერატორო გამოფენაზე ჭეიშვილის ჩაიმ სიგელი დაიმსახურა. ჩაისთან ერთად, სოლომონი აშენებს „ციცქას“, „ცოლიკაურს“, „ჯინსა“ და „საფერავს“, მასვე ეკუთვნის ველური, ადგილობრივი ჯიშების შეჯვარებით გაკულტურებული ვაზი „ჭეიშვილი“. უფრო ადრე კი, მე-19 საუკუნის დასასრულს, ღვინის ტექნოლოგიის უკეთ შესასწავლად საფრანგეთში — შამპანსა და ბორდოში იყო. ასკანაში დაბრუნებული აარსებს ღვინის მწარმოებელ ფირმას, „ძმები ჭეიშვილები“ და ძმებთან ნიკოლოზთან, ერმილესა და მელიტონთან ერთად აწყობს მინიქარხანას, რომლისთვისაც დანადგარები და მუხის კასრები საფრანგეთიდან ჩამოიტანა(!). ასკანიდან 5-წლიანი ღვინო ფრანგული წარმოების მუქი ბოთლებითა და ეტიკეტებით — „ასკანური ნატურალური ღვინო“ — იგზავნება სარეალიზაციოდ თბილისში, ასევე რუსეთსა და საფრანგეთში... სოლომონი ძირითადად სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სახლები აეშენებინა თბილისში, ვერაზე (ახლანდელი ჯანაშიას ქუჩა), ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ველიკოკნიაჟენსკაიაში, სადაც გურული კერძების რესტორანი გახსნა. დონის როსტოვში გამართულ საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მე-20 საუკუნის დასაწყისში წარადგინა „ასკანური ღვინო“ და სპეციალური დიპლომი და ვერცხლის დიდი მედალი მიიღო. ვერცხლის მედლებით კიდევ ორჯერ დაჯილდოვდა „ასკანური“.

მთავარი ის იყო, რომ მოგების დიდ ნაწილს ქველმოქმედებას ახმარდა. მთებით გარშემორტყმული, ზამთრობით ქვეყნიერებას მოწყვეტილი სოფელი სოლომონისა და მისი ძმების მოიმედე იყო. ძმები სხვადასხვა საქმიანობასაც ეწეოდნენ. ნიკოლოზს ოქროს ხელები ჰქონდა, კაკლისა და ურთხელის ხისგან არაჩვეულებრივ ნივთებს ამზადებდა და შეგირდებიც ჰყავდა, რომელთაც უსასყიდლოდ ასწავლიდა.

სოლომონ ჭეიშვილმა სოფელში მდიდარი ბიბლიოთეკა გახსნა, რისი უფლებაც თავად ქუთაისის გუბერნატორისგან მიიღო. ამიერიდან ასკანელებს ხელი მიუწვდებოდათ ქართულ წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებზე, აქვე იყო რუსულ და უცხოურ ენებზე დასტამბული ლიტერატურა, ენციკლოპედიები და ალბომები.

სოლომონის თავკაცობით გურიაში ხშირად იმართებოდა სახალხო დღესასწაულები. მან შექმნა თეატრალური დასი, რომელშიც სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად ხშირად მონაწილეობდნენ იმდროისათვის ცნობილი ადამიანები: თავადი გრიგოლ გუგუნავა, აპოლონ წულაძე, შალვა შარაშიძე („თაგუნა“), ვიქტორ ნინიძე და სხვები. 1921 წელს სოლომონის თხოვნით, ვიქტორ ნინიძემ, ასკანაში აიყვანა ცნობილი მხატვრები — მამა-შვილი მოსე და ირაკლი თოიძეები, რომლებმაც უსასყიდლოდ მოხატეს სცენისთვის ფარდა. სოლომონის ხარჯით აშენდა ახალი სკოლა, შეკეთდა ეკლესია, გაფართოვდა და მოპირკეთდა გზები, გაიყვანეს წყალი. ასკანიდან რამდენიმე ახალგაზრდამ მისი ხარჯებით მიიღო განათლება ქუთაისში, თბილისში, რუსეთისა და საზღვარგარეთის სასწავლებლებში. ჭეიშვილთა ოჯახის კარი ყველასთვის ღია იყო. აქ ყველას თანაბრად უნაწილებდნენ სითბოს. ასაქმებდნენ ახალგაზრდებს დედაქალაქის სამრეწველო ობიექტებში. სოლომონის გარდაცვალების (1924 წელი) შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მისი ოჯახის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა, რაც, ალბათ, გამოწვეული იყო მათი ხშირი მოგზაურობებით რუსეთისა და საფრანგეთის ქალაქებში, უფრო კი მათი შეძლებული მდგომარეობითა და ვაჟიშვილის, ალექსანდრეს საფრანგეთში ყოფნით (შამბერის უნივერსიტეტში სწავლობდა).

სწორედ ამის გამო ალექსანდრე უკან აღარ დაბრუნებულა, სადაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას — 37-ის მსხვერპლი გახდებოდა. ალექსანდრეს იცნობდნენ, როგორც საფრანგეთში მსოფლიო ომის დროს მოხვედრილი ტყვე ქართველების პატრონსა და მფარველს, იგი დაქორწინდა პარიზში ცნობილი ქართველი მოღვაწეების, თამარ და აკაკი პაპავების ქალიშვილზე, მზია პაპავაზე. მოგვიანებით მისი ოჯახი ნათესავებთან ერთად, საფრანგეთიდან არგენტინაში, ბუენოს-აირესში გადასახლდა, სადაც ალექსანდრე სიცოცხლის ბოლომდე დიდ თანამდებობებზე მუშაობდა. პაპავების ოჯახისა და ალექსანდრეს სახელს უკავშირდება საქართველოში ცნობილი ნაქარგის — 1773 წელს მეფე თეიმურაზ მეორის დისშვილის, ქეთევანის მიერ შესრულებული ხელოვნების ნიმუშის „იესეს ნერგის“ („სიცოცხლის ხე“) საქართველოში დაბრუნება. „სიცოცხლის ხე“ სამშობლოზე ფიქრში ღამენათევმა ადამიანებმა 80-იან წლებში ბატონ რევაზ თაბუკაშვილს ანდეს და მისი ხელით სიონის საკათედრო ტაძარს დაუბრუნეს...

სოლომონ ჭეიშვილის ძმის, ნიკოლოზის შვილი იყო ალექსანდრე (საშა) ჭეიშვილი, ცნობილი გერმანისტი, რომანის — „ლელოს“ ავტორი, რომელიც იძულებული გახდა, საბჭოთა ხელისუფლებისგან თავდასაღწევად, საზღვარგარეთ გადახვეწილიყო. მთავრობის რისხვა მაინც მისწვდა სოლომონის ოჯახს. 1951 წელს ყაზახეთში გადაასახლეს მისი მეუღლე — განათლებული, სათნო, ღვთისმოსავი ნინა შევარდნაძე-ჭეიშვილისა და ქალიშვილი ნინუსი. ნინა ყაზახეთში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს, ნინუსი 3 წლის შემდეგ დაბრუნდა...

საინტერესო მოღვაწეობით გაიცნო საქართველომ სოლომონ ჭეიშვილის შვილები, ძმისშვილები და მათი შთამომავალნი, განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ ჰყავდა მას ძმის — ერმილეს ოჯახი. ცნობილია, რომ ერმილე, ერთი გაჭირვებული კაცის სახლის გადახურვის დროს მაღლიდან ჩამოვარდა და ორივე ფეხი მოიტეხა. სად არ ატარა სოლომონმა ძმა, ბოლოს კი სოფელში ორთავე მუხლში გადაჭრილი კიდურებით მოიყვანა. ერმილეს ხუთი ქალიშვილი ჰყავდა: ალისა, ეკატერინე, მარიამი, თამარი და ვენერა, რომელთაც სოლომონმა ღვიძლი შვილებივით უპატრონა, განათლება მიაღებინა, გაამზითვა... ერმილე სიცოცხლის ბოლომდე სოლომონის ოჯახში ცხოვრობდა... მის შვილებსაც ის დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ ცხოვრებისადმი, რასაც ბიძის მოღვაწეობის დროს ხვდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანის, ალისას ქალიშვილი იყო სულგანათლებული ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი, რომელიც ბავშვობისას ხშირად სტუმრობდა ასკანაში და კარგად იცნობდა სახელოვანი წინაპრების საქმიანობას.

სულ ცოტა ხნის წინ კი ჭეიშვილთა დიდ სახლს ლალი გუნთაიშვილი გამოაკლდა...

ღმერთმა ინება, რომ დაგვრჩენოდა გაზეთი „კვირის პალიტრა“, ქალბატონი ლალის სულის ნაწილი...

„კვირის პალიტრა“ ისევ შემოვა ყოველ ორშაბათს ჩვენს ოჯახებში და შემოიტანს იმედს, სიხარულს, მტერთან ბრძოლის ჟინს და მიტევების ნათელ მაგალითებს...

**ცირა ნიკოლაიშვილი**



# სასამართლო ქრონიკა

DURA LEX SED LEX

ყოველთვიური ჩანართი

N38 28.08.2004


# გენერალურ ინსპექციაში

# ინფორმაცია არ იკარგება

**საუბარი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილესთან, იოსებ თოფურიძესთან მცირე ექსპერიმენტით დაიწყო. მობილურით დავრეკე სამინისტროს ცხელ ხაზზე 99 53 50 და 98 39 43. ორივე ნომერზე, მესამე სიგნალის შემდეგ ინსპექციის მორიგემ მიპასუხა. ასე რომ, ზარი გავიდა, რაც ჩემგან განსხვავებით, ბატონ იოსებს არ გაჰკვირვებია. თუმცა მან ჩემი სკეპტიციზმი არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნია და ეს, სამართალდამცველებისადმი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულებით ახსნა. ბატონ სოსოს მიაჩნია, რომ უნდობლობა ასეთი სტრუქტურისადმი წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა მიდგომამ შექმნა. „გენერალური ინსპექცია სხვადასხვა სტრუქტურასთან შუამავლისა და მომრიგებლის მისიას ასრულებდა და არავის სურდა თავის ზედმეტად ატკივება. დღეს ეს ასე აღარ არის“ – აცხადებს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე.**

**– გენერალური ინსპექცია შინაგან საქმეთა მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურაა. ინსპექცია სამინისტროს თანამშრომლების ქმედებათა კანონიერებაზე აწარმოებს კონტროლს. შეუძლია თუ არა მინისტრს კონკრეტულ შემთხვევებში დაბლოკოს თქვენი საქმიანობა?**

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ასეთი ფაქტი არ მომხდარა და დარწმუნებული ვარ, არც მომავალში მოხდება. უფრო მეტიც, ბატონ ირაკლი ოქრუაშვილის კონცეპტუალური ხაზი, სისტემის შიგნით არსებული ნებისმიერი ხარვეზის გამოვლენა და გადაცდომაში მხილებული ნებისმიერი რანგის მოხელის უმკაცრესი დასჯაა.

ეს ასეა, მაგრამ მე მესმის თქვენი შეკითხვის არსი და მიმაჩნია, რომ გენერალური ინსპექციის ფუნქცია ახლებურ გააზრებას საჭიროებს. პერსპექტივაში, შესაძლოა ეს სტრუქტურა უშუალოდ პრეზიდენტს დაექვემდებაროს. მე არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის, არამედ ყველა სხვა ანალოგიური სამსახურის პრეზიდენტისათვის დაქვემდებარებაზე ვსაუბრობ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან გამოირიცხება პიროვნული ფაქტორი და გაიზრდება დამოუკიდებლობის გარანტია.

დღეს კი მთავარი გარანტია ქვეყნის პრეზიდენტის კურსი და მინისტრის პოზიციაა. თავად გენერალური ინსპექციის კადრებით დაკომპლექტების პრინციპიც განსხვავებულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ინსპექციის დღევანდელი ხელმძღვანელის, ზურაბ ქაჩიბაიას გუნდი არანაირ გადაცდომას არც თავად დაუშვებს და არც სხვას აპატიებს.

არ მინდა თავი შეგაწყინოთ სტატისტიკით, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ მოგვიწია ოპერატიული თვალსაზრისით უაღრესად რთული ოპერაციების განხორციელება სისტემის მაღალჩინოსანთა მიმართ და არანაირი ყოყმანი, არც ერთ ეტაპზე და არც ერთ დონეზე, ამ პროცესში არ ყოფილა. პროფესიული თვალსაზრისით ურთულესი ოპერაცია იყო თბილისის შსს-ს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის, ტარიელ მაისურაძისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის, ბირთველიშვილის კაბინეტებში ჩხრეკისა და იქიდან „ჰეროინისა“ და დიდი ოდენობით თანხის ამოღება. თქვენ ალბათ გესმით, რომ ეს პიროვნებებიც პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ მათი ანტიგამოცდილება, გავლენა და ძალა არანაირი დამაბრკოლებელი ფაქტორი არ იყო ჩვენთვის.

დასასრული მე-19 გვერდზე



# კანონიერების ორი ბორბალი

ნაწყვეტი წიგნიდან „სიცილიური ურიკა“

**კანონიერების კულტურა – სიტყვათა შეთანხმება, რომელიც სიტყვების თამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს. ისეთი თამაშისა, რომელიც ორ სხვადასხვა რეალობას ასახავს: ერთი მხრივ, მადლიანი და ტკბილი წარსული და მეორე მხრივ, წინააღმდეგობრივი და ცივი აწმყო. მოკლედ, სიტყვების შთამბეჭდავი თამაშია.**

**სწორედ სიტყვათა ამ წყობაში ჩადებული აზრი მიიჩნია 2002 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დანაშაულის პრევენციისათვის ბრძოლის პრიორიტეტად.**

**უფრო მეტიც, პალერმოს ხელახალი დაბადება გაერომ მსოფლიოს ხუთი კონტინენტისათვის კანონიერების კულტურის პროპაგანდის სამაგალითო მოდელად და სიმბოლოდ გამოაცხადა.**

**რა მოხდა პალერმოში და ზოგადად სიცილიაში საუკუნის და ათასწლეულის მიწურულს?**

სიცილიის ძირძველმა მცხოვრებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, დაპირისპირებოდნენ ძალადობასა და ისეთ არაცივილიზებულ მოვლენას, როგორიცაა მაფია.

სიცილიურმა გამოცდილებამ ასევე დაამტკიცა, რომ მას თეორიისა და მოდელის ღირებულება აქვს და, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ აღტყინებული აქციების გამართვა სახელმწიფო დაწესებულების სახურავებზე, სანაგვე ყუთების გადაბრუნება და გზების გადაკეტვა, სიცილიური დიალექტისათვის დამახასიათებელი მონოდებებით – „ჩვენ ამ საქმეს დღის ბოლომდე მოვაგვარებთ“, – ბრძოლის ერთადერთი საშუალება არ არის.

ეს გამოცდილება დღეს მსოფლიოში ვრცელდება და სიცილიური რენესანსის ინსტიტუტი ერთგულად ავრცელებს პოზიტიური ლიდერობის გამოცდილებას, რომელიც დემოკრატიისა და კანონიერების ტანდემს ეფუძნება.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატიასა და მშვიდობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ისიც არ არის საკამათო, რომ მშვიდობა ერთობ მნიშვნელოვანი საქმეა საიმისოდ, რომ მისი დაცვა მხოლოდ სამხედროებს მივანდოთ. პალერმოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ დემოკრატია და კანონიერება ერთმანეთთან ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული, და რომ კანონიერება მეტისმეტად მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ მისი დაცვა მხოლოდ პოლიციასა და პროკურატურას მივანდოთ.

სიცილიური, ორბორბლიანი ურიკა არის მოდელი, რომელიც თვალსაჩინოებისათვის გამოდგება. ურიკა, რომლის ერთი ბორბალი კულტურა, ხოლო მეორე – კანონიერებაა. ურიკა, რომლის ბორბლებმა ერთდროულად უნდა იტრიალონ, რადგან თუ ერთი ბორბალი გაჩერდა, ურიკა ადგილზე დაიწყებს ტრიალს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ბორბალი შეჩერდება — კულტურისა თუ კანონიერების, ურიკა წრეზე იტრიალებს და ეს ერთობ სახალისო სანახაობა იქნება... რომელიმე მაფიური ბოსისათვის.

ქალაქის მერად ჩემი მუშაობის დასაწყისში (ოთხმოციანი წლების ბოლოს) მე, ისევე როგორც ქალაქის სხვა მერებს, ალმიქვამდნენ, როგორც პოლიციელს ან პროკურორს, რომელიც გაუთავებლად ლაპარაკობს დანაშაულსა და სასჯელზე... ურიკა კი ადგილიდან არ იძვროდა. მისი ორივე ბორბალი ღრმად იყო ჩაფლული შიშისა და შეთქმულების ჭაობში. მაგრამ მე ურყევად მწამდა, რომ რალაცით უნდა დამეწყო და ურიკა მოძრაობაში მომეყვანა.

დასასრული მე-18 გვერდზე

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

უშიშარი პოლიციელებისა და მაგისტრატორი მოხელეების მეშვეობით მოხერხდა კანონიერების ბორბლის ამოძრავება, მაგრამ მე ჩემს მთავარ ამოცანას ურიკის ორივე ბორბლის თანაბარი სისწრაფით ამოძრავებაში ვხედავდი.

და მართლაც, ორივე ბორბალი თანაბრად ამოძრავდა და ერთ დროს ჩამორჩენილი პალერმო თავად იქცა სხვათა მაგალითად.

ოთხმოციან წლებში, ყოველწლიურად 240-250 მკვლელობა, რომელიც მაფიას უკავშირდებოდა (თანაც მხოლოდ პალერმოში), 2000 წლისათვის რვა შემთხვევამდე დავიდა. თანაც ამ რვიდან არც ერთი აღარ უკავშირდებოდა მაფიას.

ოთხმოციან წლებში მავანნი ამბობდნენ, რომ პალერმოში დემოკრატია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა. მე არ ვიცი, რა დემოკრატიასა და თავისუფალ ბაზარს ხედავდნენ იქ, სადაც მთელ ეკონომიკას მაფიოზები განაგებდნენ და ნებისმიერ პალერმოელს ჰყავდა მეგობარი ან ნათესავი, რომელიც მაფიოზური გარჩევების მსხვერპლი იყო.

2000 წელს ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვილაპარაკოთ დემოკრატიასა და თავისუფალ ბაზარზე პალერმოში. პალერმოში დემოკრატია არის და მასთან ერთად ცოცხლობს იმედიც და ნაკლიც – თუმცა ეს უკანასკნელი არცთუ იშვიათია. მიუხედავად ყველაფრისა, პალერმოში შესაძლებელი გახდა იცხოვრო, იმუშაო და აწარმოო ბიზნესი ისე, რომ მაფიასთან არ გქონდეს შეხება.



ლეოლუკა ორლანდო
პალერმოს ყოფილი მერი, სიცილიური რენესანსის ინსტიტუტის პრეზიდენტი

# კანონიერების ორი ბორბალი

ჩემი მერობის დასაწყისში, მუნიციპალურ ადმინისტრაციას არათუ რეგულარული ბიუჯეტი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხაც კი არ გააჩნდა. 2000 წელს პალერმოს მუნიციპალურმა ადმინისტრაციამ, მისდამი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ნდობის რეიტინგი ასწია იმ ნიშნულამდე, რომელზეც იმყოფებოდნენ ისეთი ქალაქები, როგორებიცაა სტოკჰოლმი, ბოსტონი, სან-ფრანცისკო და გაუსწრო ამ რეიტინგში ნიუ-იორკსა და ჩიკაგოს, რომზე, მილანსა თუ ტურინზე რომ არაფერი ვთქვათ.

განა მე ვამტკიცებ, რომ პალერმოში მაფია აღარ არის? – რა თქმა უნდა, არა.

მაფია არსებობს – არსებობს პალერმოშიც.

მაგრამ დღეს მაფია ველარ აკონტროლებს – როგორც წარსულში – პალერმოს მოქალაქეების გონებას და ქონებას.

თუმცა დღესაც ცდილობს, აღიდგინოს გავლენა ადამიანების გონებაზე, მაგრამ ველარ ახერხებს ამას ისეთი ტრადიციული ღირებულებებით სპეკულირებით, როგორებიცაა კულტურა, ღირსება და ოჯახი.

დღეს პალერმოში არის „ძველი" და „ახალი" მაფია და ორივე მოქმედებს. თუ „ძველი" მაფია ე.წ. „პირველი რესპუბლიკის" პოლიტიკურ გარემოზე იყო მიბმული და ოთხმოცდაათიანი წლების მორალურმა აფეთქებამ ჩამოაცილა ძალაუფლებას, „ახალი" მაფია ე.წ. „მეორე რესპუბლიკის" პოლიტიკურ გარემოზეა მორგებული. თუ „ძველი" მაფიის ფესვები ეკონომიკური სირთულეები იყო, „ახალი" მაფია თავის დასაყრდენს მოგების ეკონომიკაში არსებულ სიმახინჯეებში ეძებს.

თუ მსოფლიოში მოქმედ სხვადასხვა მაფიოზურ გამოვლინებას ერთიანობაში გავიაზრებთ, დავინახავთ, რომ წარმომავლობას, გვაროვნულობას მაფიასთან საერთო არაფერი აქვს. და რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. „ინდივიდუალური არაკანონიერება" ანუ უკანონობა შერწყმული კულტურულ ინდივიდთან.

როდესაც ვინმე განიზრახავს, წაგართვას ფული, თქვენ შეგიძლიათ, მიმართოთ პოლიციას ან პროკურატურას. მაგრამ თუ იმავე ქმედების განხორციელებას გადაწყვეტს მძარცველი და ამ მიზნით კორსიკულ ან ბასკურ ღირსებას, მუჰამედის სწავლებას, ქრისტეს სიტყვებს ან იეჰოვას მოიხმობს, მაშინ პოლიცია და პროკურატურა საკმარისი აღარ არის. სწორედ აქ უნდა ამოძრავდეს სიცილიური ურიკის მეორე ბორბალი – კულტურა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმეში სკოლა, საინფორმაციო სამყარო, მღვდელმსახურები და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩაერთოს.

ასე რომ, ბანდიტებისა და ტერორისტების მიერ ადამიანის უფლებებზე განხორციელებული ძალადობისას, მიუხედავად მათი „კულტურული კუთვნილებისა", ჩვენ ყოველთვის ურიკის იმ ბორბალზე უნდა ვიფიქროთ, რომელსაც კულტურა ჰქვია და რომელმაც პალერმოელების ცნობიერება მაფიის ჰეგემონიისაგან გაათავისუფლა.

კულტურა, ცხადია, არის მუსიკა და ცეკვა, მაგრამ უპირველესად და უმთავრესად, ის საკუთარი ინდივიდუალიზმისა და თემისადმი კუთვნილების განცდაა, განცდა, რომელიც პიროვნების ჰუმანიზმისაკენ არის მიმართული. თუმცა არსებობს საფრთხე იმისა, რომ „კულტურულმა ინდივიდმა" დაჯაბნოს პიროვნული ჰუმანიზმი, ანუ პიროვნების ფუნდამენტალური უფლება.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც კულტურული კუთვნილების ნიშანი ადამიანის უფლებების წინააღმდეგ გამოიყენება. სწორედ ასე და ამდაგვარად იქცა ღირსებისა და ოჯახის ღირებულებები იარაღად მაფიის ხელში, როდესაც ამ „სატანისტურ პოეზიას" დაქვემდებარებულმა ღირებულებებმა საშუალება მისცა მას, მოეკლა და გაეძარცვა ადამიანები ისევ და ისევ ღირსებისა და ოჯახის სახელით.. ისევე, როგორც ბასკური ღირსების, კათოლიკურ-ირლანდიული და კორსიკული ღირსებების გამოყენება მკვლელობისა და ძარცვისათვის... და ყოველივე ეს, ისევ და ისევ ღირსების დაცვის სახელით ინათლებოდა. ასევე იყო გერმანიაში, როდესაც გერმანელი ხალხის კანონმორჩილება ნაცისტებმა რასობრივი ჩაგვრის სამსახურში ჩააყენეს... ესეც ტრადიციული გერმანული წესის სახელით ინათლებოდა.

ასევე შეიძლება მოექცნენ თავისუფლებას, უსაფრთხოებას და კეთილდღეობას, თუ ამ ცნებებს „სატანისტური პოეზიის" ქარგაში მოაქცევენ და მისი სახელით მკვლელობის, ძარცვისა და ჩაგვრისკენ მოუწოდებენ.

. ჩვენ, სიცილიელებს, გვაქვს ასევე დიდი გამოცდილება იმისა, რომ სიამაყის გრძნობამ არ გაგვიტაცოს და მუდამ გვახსოვდეს ბერნარდ შოუ, რომელმაც თქვა: „გამოცდილება არის ის სახელი, რომელსაც ჩვენ ჩვენივე შეცდომებს ვარქმევთ".

ასე რომ, სიცილიელებს გვაქვს დიდი გამოცდილება სწორედ იმიტომ, რომ გვქონდა დიდი შეცდომები.

უმთავრესი სიცილიური გაკვეთილი არის ის, რომ მაფიასთან ბრძოლა შესაძლებელია სიცილიური ურიკის ორივე ბორბლის თანაბარი ბრუნვით, კანონისა და პიროვნების პატივისცემით, სიცილიაში დაბადებული კანონიერების კულტურით, რომელიც შიშსა და იმედს შორის გაჩნდა. მაფიის დამარცხება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში ისევე, როგორც არაკანონიერი ინდივიდის ნებისმიერი გამოვლინების ალკვეთა.

თუმცა ეს გაკვეთილი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. მას ესაჭიროება მუდმივი დახვეწა, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი ბოროტება, როგორიცაა ეკონომიკური დანაშაული და დაუსაბუთებელი შემოსავლები, ველური, კანონის ჩარჩოებიდან გამოსული კაპიტალიზმი და იურისპრუდენციის უსამართლობა, რასაც საბოლოო ჯამში, საზოგადოება საზარელ სისხლის ღვრამდე მიჰყავს.

იბეჭდება მცირედი შემოკლებით
ჟურნალ „თავისუფლების" რედაქციის თანხმობით

სასამართლო დარბაზებში

ნინო მთვარელიშვილი

# კლასიკა პროკურატურის სამსახურში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატამ განიხილა თბილისის პროკურატურის სამმართველოს პროკურორის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 თებერვლის განაჩენზე. პროკურორი აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 ნოემბრის განაჩენი მოქალაქე ლ. ლ-იას მიმართ.

რა ჩაიდინა მოქალაქე ლ. ლ-იამ ისეთი, რამაც პროკურორის ესოდენ ბეჯითი გულისწყრომა გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ „განიზრახა რა სხვისი ქონების ფარულად დაუფლება, ლ. ლ-იამ თბილისში, აბასთუმნის ქუჩაზე, მარწყვის გამყიდველ ც. გ-ს ფარულად გასტაცა ერთი ლარი და ორმოცდაათ თეთრად შეფასებული ცხვირსახოცი," – ვკითხულობთ საქმის მასალებში.

სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, ლ. ლ-იას ქმედება დანაშაულად არ მიიჩნია. სასამართლომ განაცხადა, რომ მოქალაქის ქმედება ფორმალურად შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მათი უმნიშვნელობის გამო, ამ ქმედებას არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მოქალაქე ლ. ლ-იას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

რაიონული სასამართლოსა და საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა და პროკურორის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ჩვენი მხრივ, შეგვიძლია დავადასტუროთ ჩვენი პატივისცემა ბატონი პროკურორის პრინციპულობისადმი, რადგან პროკურატურაში ალბათ კარგად იციან, რომ სრულიად უმნიშვნელო ცხვირსახოცსაც კი ისეთი დიდი ტრაგედიის პროვოცირება შეუძლია, რომელიც შექსპირმა „ოტელოში" აღწერა.

სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების სამოქალაქო მხარდაჭერა
სასამართლო რეფორმა
„ავაშენოთ ჩვენი სკოლა"
აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენები
ჩ ვ ე ნ ს ფ ო რ უ მ შ ი
WWW.ALPE.GE

# კვლევა განსჯისათვის

საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს 28 ქალაქსა და 58 სოფელში ჩატარდა. გამოიკითხა 1500 რესპონდენტი.

## საზოგადოებრივი ნდობა სამართლებრივი სექტორის მიმართ




კითხვა:

„გთხოვთ, დაასახელოთ, თქვენი უნდობლობის ძირითადი მიზეზები სასამართლოს, პოლიციის და პროკურატურის მიმართ?“

## საზოგადოებრივი განწყობა სამართლებრივი ორგანოების მიმართ

სამართლებრივი სისტემის შიგნით გავრცელებული კორუფცია, მომსახურებათა დაბალი დონე და სამართლიან გადაწყვეტილებათა ალბათობის სიმცირე, ის მთავარი მიზეზებია, რომელთა არსებობაც საზოგადოებას სასამართლოს, პოლიციისა და პროკურატურის მიმართ ანტაგონისტურად განაწყობს.




კითხვა:

„გთხოვთ, დაასახელოთ მნიშვნელოვანი მიზეზები, რის გამოც თქვენ არ მიმართავთ სასამართლოს, პროკურატურას ან ადვოკატს?“

## სამართლებრივი ორგანოების მუშაობის შეფასება




კითხვა:

„გასული 12 თვის განმავლობაში როგორ შეიცვალა შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობა – გაუმჯობესდა, გაუარესდა თუ უცვლელი დარჩა?“

GORBI ALPE

ამას წინათ დავაკავეთ პოლიციის თანამშრომელი გოჩა ცეცხლაძე, რომელსაც საქართველოში შემოჰქონდა 150 აბი სუბოტექსი. ეს, მოგეხსენებათ, ძლიერი ნარკოტიკული პრეპარატია და თითო აბის ღირებულება, შავ ბაზარზე, 150 დოლარია.

გვაქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ კონტრაბანდაში, მოქალაქეებისათვის ფულის გამოძალვაში.

სხვათა შორის ჩვენ გამოვავლინეთ მოქალაქისათვის თანხის, 1000 აშშ დოლარის, გამოძალვის ფაქტი, ოღონდ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო ჯგუფის ექსპერტის გ. კახაძის მიერ.

სულ ახალი ფაქტი, – ორიოდე დღის წინ სამსახურებრივ გადაცდომაში ამხილეს მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის გამომძიებელი.

მარტო გასული შვიდი თვის განმავლობაში, სისტემიდან დათხოვილია 58 თანამშრომელი.

აქვე უნდა ვთქვა, რომ გენერალური ინსპექცია არ არის მხოლოდ თანამშრომელთა დასჯის ინსტიტუტი, ჩვენ პოლიციელებსაც ვიცავთ მათ მიმართ განხორციელებული ნებისმიერი არაკანონიერი ქმედებების შემთხვევაში.

**– ვისგან იცავთ?**

– თუნდაც სახელმწიფოსაგან ან ნებისმიერი პირისაგან, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს.

**– ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ რა სამსახურს ანუ სერვისს სთავაზობს გენერალური ინსპექცია უშუალოდ მოქალაქეს?**

– ეს გენერალური ინსპექციის მთავარი პრიორიტეტია. ჩვენ ვართ ხიდი მოქალაქესა და სამინისტროს შორის და მთავარი ამოცანა მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფაა.

# გენერალურ ინსპექციაში ინფორმაცია არ იკარგება

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე



იოსებ თოფურიძე. შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

დეპარტამენტში მოქმედებს ცხელი ხაზი. ჩვენ ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ ასოციაცია ALPE-სთან, რომელმაც ევროკავშირის პროგრამული მხარდაჭერით, შემოგვთავაზა ჩვენთვის აუცილებელი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თანამშრომლობა. მალე საქართველოს ტრასებზე გაჩნდება ბილბორდები, რომელზეც აღნიშნული იქნება გენერალური ინსპექციისა და ALPE-ს კოორდინატები. ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეექმნება პრობლემები სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობაში, დაუკავშირდება ჩვენს მორიგეებს. მიმდინარეობს თავად „ცხელი ხაზის“ ტექნიკური გადაიარაღება და შემოსული ინფორმაციის აღრიცხვის კომპიუტერიზაცია. დღეს ინფორმაცია სპეციალურ ჟურნალში რეგისტრირდება. მასში აღწერილია ფაქტი, ტერიტორიული კოორდინატები და რეაგირების შედეგები, მაგრამ დღეს მორიგეები ამას ხელით ავსებენ. მალე ჩვენ ყოველივეს ციფრულ ფორმატში მოვაქცევთ და შევქმნით სრულყოფილ საინფორმაციო ბაზას.

ინსპექციაში შემოსული ნებისმიერი ინფორმაცია, თუნდაც ანონიმური, 24 საათის განმავლობაში ფიქსირდება, ხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება და მასზე რეაგირება. გარწმუნებთ, რომ ჩვენი სამსახურის ჩარევის შემთხვევაში, ვერავინ გაბედავს, რაიმე არაკანონიერი ქმედების, თუ ასეთს მართლაც ჰქონდა ადგილი, დამალვას, მიჩქმალვას ან ვინმეზე ხელის დაფარებას. ყველამ იცის, რომ მინისტრის პოზიცია ასეთი ქმედებებისადმი შეუწყნარებელია.

**– და მაინც, რა კონკრეტული შედეგის იმედი უნდა ჰქონდეს მოქალაქეს, როდესაც ის „ცხელი ხაზით“ უკავშირდება გენერალურ ინსპექციას?**

– ეს ნიშნავს, რომ გენინსპექციის მორიგეები ოპერატიულად აფასებენ ინფორმაციის პრობლემატურობას. ინფორმაციას აწვდიან იმ ტერიტორიული ერთეულის სამმართველოებს, საიდანაც ფიქსირდება ზარი და ვითარებიდან გამომდინარე, თავად გადიან ადგილზე. მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ სახელწიფო მას განსაცდელში არ მიატოვებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ის პოლიციას მიმართავს.

არის მეორე გზა და უფრო ეფექტიანი: თუ მოქალაქე თვლის, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა უკანონო ქმედებას, განცხადებით უნდა მოგვმართოს უშუალოდ გენერალურ ინსპექციაში. განცხადება არის საფუძველი, რათა ჩვენ სამსახურებრივი მოკვლება დავიწყოთ ნებისმიერ თანამშრომელზე.

ცნობისათვის: ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენთან შემოვიდა 1400-ზე მეტი კორესპონდენცია. ჩვენ მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე განთავისუფლებულია 36 თანამშრომელი, თანამდებობებიდან ჩამოქვეითდა – 9, სასტიკი საყვედური გამოეცხადა 11 პოლიციელს.

და მესამე, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მოვიდეს გენერალურ ინსპექციაში და გაგვიზიაროს ნებისმიერი ინფორმაცია. გარწმუნებთ, რომ გენერალურ ინსპექციაში არანაირი ინფორმაცია არ იკარგება.

ესაუბრა გვანცა ლიპარტელიანი

მაგიანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

## შრომა – გასწორება

როგორც პოლიციის ოქმიდან სჩანს, კვირას, 13 მარტს რკინის გზის მუშებს კრება ჰქონიათ ქალაქ გარედ მლაშე ტბასთან. კრება რომ გათავებულა, ხალხი, რიცხვით 500 კაცამდე, ქალაქისაკენ ხმაურით წამოსულა. ნაძალადევის გორას რომ მიახლოვებულა, წინ შეხვედრიათ ერთი ცხენოსანი კაცი, გვარად გიორგი ავეტისოვი, და დაუყვირნია: რა გაღრიალებთ, თქვე ბინძურო რკინის მუშებოო. ხალხს შეუხედნია მისთვის და ერთხმად დაუძახნია: დაჰკათ მაგასო. ავეტისოვს ცხენი გაუჭენებია, მაგრამ ხალხს რევოლვერები უსვრია, ცხენი ორ ადგილას დაუჭრია. ცხენი წაბორძიკებულა და მხედარი ძირს ჩამოვარდნილა. დაუჭერიათ საბრალო ავეტისოვი, წაუყვანიათ და ორი დღე რკინის გზაზე ყველას მაგ-ივრად ამუშავეს თურმე, თან წასვლის წინ კარგად დაუჟეჟიათ და ტალახში ამოუსვრიათ, თან ეკითხებოდნენ თურმე: ახლა გვითხარი ვინ არის ბინძურიო... ასე ძვირად დაჯდომია გიორგი ავეტისოვს მუშების შეურაცხყოფა.

„ივერია“ №29, 1905 წელი





## სოცდეკები სკოლაში

რუსეთში თურმე წითელი ფერის ეშინიათ. იაროსლავის სასამართლო ამჟამად იხილავს თურმე საკითხს, შეიძლება თუ არა იაროსლაველი მეკუბოვეებისთვის წითელი ლენტის ხმარება. ამას წინათ მარხავდნენ გიმნაზისტ პანოვს, რომელიც მთავრობამ იქამდის მიიყვანა, რომ პანოვმა გიმნაზიაში თავი მოიკლა. კუბოს რამდენიმე ათასი მოსწავლე, აუარებელი მუშა–ინტელიგენცია მისდევდა. წინ მიჰქონდათ 23 გვირგვინი სულ წითელი ლენტებით, რომლებზეც ეწერა: „სასკოლო რეჟიმისა და ბიუროკრატიული წესწყობილების მებრძოლ მსხვერპლს სოციალ-დემოკრატებისაგან“. წითელი ფერით შეშინებულმა და შეწუხებულმა პოლიციამ გვირგვინების წართმევა მოინდომა, მაგრამ დაიჭირეს რამდენიმე პოლიციელი, გაკოჭეს, წითელი ლენტები თავზე დააბნიეს და სასაფლაომდე ეგრე ატარეს. რუსეთის მთავრობა აღშფოთებულა ამაზედ და ახლა საქმე სასამართლოში იხილება.

„ივერია“ №43, 1902 წელი

## დაზღვეული რუსი

ვარშავის პოლიცმეისტერად ნამყოფი ბარონი ნოლკენი, რომელიც წელს ყუმბარით დასჭრეს, დაზღვეული იყო „სალამანდრას“ საზოგადოებაში, ნოლკ-ენმა პრემია მოითხოვა, მაგრამ საზოგადოებამ უარი უთხრა, ჩვენ რუსეთის პოლიციელის სიცოცხლე არად გვენაღვლება, ვერ დაგაზღვევთო. ნოლკენი ამაზედ გაბრაზებულა, დამთვრალა და თავის ამხანაგებთან ერთად ამ საზოგა-დოების უფროსის სახლში ფანჯრები ჩაუმტვრევია. საქმე სასამართლომდე მისულა და საბრალო ნოლკენს იმხელა ჯარიმა აქვს გადასახდელი, რომ მაგითი ფეხსაც მოირჩენდა და ერთი ორი თვე კარგადაც იცხოვრებდა.

„ივერია“ №118, 1902 წელი





## მარადიული სატრფო

ერთს ინგლისის ქალაქში დაიჭირეს ამას წინათ ერთი ქალი, სახელად მარიანა კოტონი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ოცი კაცი მოუკლავს. ის ოცდაათი წლის ქალია. თურმე 4 ქმარი ჰყოლია და ამ ოთხ ქმარში, როგორც აღმოჩნდა სამი იმას მოუწამლავს, ერთს თავი გადაურჩენია და გაქცეულა. ამ ქალის საქმეზე სასა-მართლო გამართულა და აი მოსამართლეს რა გაურკვევია: თურმე ეს ქალი ყმაწვილობის დროს შეყვარებული ყოფილა ერთ კაცზე, რომელიც ნაადრევად მომკვდარა. მას შემდეგ როგორც კი მარიანა კოტონი ვინმე კაცთან სასიყვარუ-ლო საქმეს დაიჭერს, ის პირველი მიჯნური ესიზმრება თურმე თეთრ სამოსში გამოწყობილი და ჩასძახის: „შე კახპავ, მე ამ კაცზე როგორ გამცვალე, ახლავე მოკალიო“. ჰოდა, ეს ქალიც უსმენდა თურმე გარდაცვლილი სატრფოს ხმას და უბედურ კაცებს კლავდა.

„ივერია“ №41, 1902 წელი

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ასოციაცია ALPE

მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33

ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

# ოჯახური კონფლიქტი დროულად უნდა დასრულდეს!..

ოჯახში კონფლიქტი შეიძლება წვრილმანით დაიწყოს. პატარა წალაპარაკება ყოველ ოჯახში ხდება, მაგრამ ზღვრის ცოდნა აუცილებელია. უპირველესად, ეს მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რადგან შვილები მძაფრად განიცდიან ხოლმე მშობლებს შორის დაძაბულობას.

ჩემი რესპონდენტი ახალგაზრდა ქალია. ჰყავს ორი შვილი — 14 წლის ვაჟი და 10 წლის გოგონა. ლიას სწორედ ის პრობლემა აწუხებს, თავში რომ ვახსენე.

— მე და ჩემი ქმარი ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, როცა დავქორწინდით, — მიამბობს ლია, — მე 16 წლის ვიყავი, ის — 18-ისა. გვიყვარდა ერთმანეთი... რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა თავისად დამიგულა, განზე დაიწყო სიარული, თუმცა კი სიყვარულს მეფიცებოდა... ვერ ავიტანე ღალატი. ექვსი წლის შემდეგ მოვკიდე ხელი შვილებს და წამოვედი. ერთ კვირაში მოვიდა, პატიება მთხოვა და შევურიგდი. თუმცა, ცოტა ხნის მერე ძველებურად გააგრძელა ცხოვრება. კვლავ დაიძაბა ჩვენ შორის ურთიერთობა. გამუდმებით ვკინკლაობდით... ამას ისიც დაერთო, რომ თავად მან დაიწყო ეჭვიანობა. ყოველ ფეხის ნაბიჯს მიმოწმებდა, ჩემს ნათქვამს იოლად არ იჯერებდა, რაც ძალიან მთრგუნავდა. აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. გაუთავებელი ჩხუბი ბავშვებზეც საშინლად მოქმედებდა. ბიჭი, რაც წამოიზარდა, სულ გაღიზიანებულია. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს, არ ვიცი, არადა, მიუხედავად უსიამოვნებებისა, — ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და არ შეგვიძლია ცალ-ცალკე ყოფნა, მაგრამ მის საქციელზეც ვერ ვხუჭავ თვალს...

უმუშევრობამ მთლად მოუღო ბოლო ჩემს ქმარს. უფრო ეჭვიანი და ბრაზიანი გახდა. მე ვმუშაობ და ვარჩენ ოჯახს. იმის მაგივრად, რომ შემეშველოს, უფრო მეტად ღიზიანდება. სმასაც მიჰყო ხელი. ვიცი, უერთმანეთოდ ცხოვრება გაგვიჭირდება, არადა, ერთად ყოფნაც ჯოჯოხეთად გვექცა! ერთხელ ბიჭმა მითხრა: — თუ ჩხუბს თავს არ დაანებებთ, ავდგები და გადავიკარგებიო. ძალიან დამაფიქრა ბავშვის ნათქვამმა... მას მერე ვცდილობ თავის შეკავებას, მაგრამ ამას წინათ ქმარმა ისეთი რამ დამაბრალა, ვეღარ მოვითმინე და... ერთი სიტყვით, კვლავ დიდი დავიდარაბა ატყდა ჩვენს ოჯახში. ბიჭმა ნაწილობრივ აასრულა მუქარა. ზურგჩანთაში ჩაილაგა ნივთები და წავკისში გადაბარგდა თავის მეგობართან, აგარაკზე — ბებიამისისთვის უთხოვია 30 ლარი. ეტყობა, მთლად ჯიბეცარიელს მოერიდა წასვლა... გული დამეწვა. ახლა სჭირდებათ ბავშვებს მშობლების თანადგომა, ხელშეწყობა, ჩვენ კი ჩხუბის მეტს ვერაფერს ვახერხებთ. ბიჭი რომ შინიდან წავიდა, ვიფიქრე, გავშორდები და წყნარად ვიცხოვრებ-მეთქი, მაგრამ მეუღლეც მეცოდება, ყოველი ჩხუბის მერე წუხს, მთხოვს პატიებას და შერიგებას. თან ჯანმრთელადაც ვერ არის და არ შემიძლია ასეთ დღეში დავტოვო... მაგრამ რაღაც გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს ერთხელ და სამუდამოდ?! გთხოვთ, რამე მირჩიოთ...

ლიას მაშინვე შევაგებე, — მოთმინებაა საუკეთესო წამალი-მეთქი, მაგრამ სევდიანად გაიღიმა. ჩემი ნათქვამი მხოლოდ მოვალეობის მოხდას რომ არ დამსგავსებოდა, ერთი ამბავი მოვუყევი, რომელიც ჩემს მეზობლად დიდი ხნის წინ მოხდა. ახლაც მიჭირს იმ უბედურების გახსენება, მაგრამ რახან სიტყვამ (ამ შემთხვევაში, აფორიაქებული რესპონდენტის ნაამბობმა) მოიტანა, თქვენც გიამბობთ, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი რამ არც ერთ ოჯახში არ დატრიალდეს. ეს იქნება ერთგვარი გაფრთხილებაც და რჩევაც უთავბოლო ჩხუბის მოყვარული ცოლ-ქმრისთვის...

ისევ იჩხუბეს მშობლებმა... სხვა დროს ხელს მოჰკიდებდა პატარა ძმას და დავიდარაბას გაარიდებდა, ეზოში გაასეირნებდა ან რომელიმე მეგობარს ესტუმრებოდა და გულს გადააყოლებდა, მაგრამ ახლა ღამის ორი საათი იყო და ვერსად წავიდოდა... პატარა გიგამ დიდხანს იზლუქუნა, მერე დის ლოგინში ჩაეძინა. ნელის რაღა დააძინებდა?!



15 წლის გოგონას გაუთავებელმა უსიამოვნებებმა თავი მოაბეზრა. ერთადერთი სხივი მისთვის ახალგაჩენილი გრძნობა იყო. ნელის მისი ახალი მეზობელი, ორი წლით უფროსი დათო უყვარდა. ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ.

როცა სკოლიდან ბრუნდებოდნენ, ან სადმე სასეირნოდ მიდიოდნენ, გამვლელთა თვალი მიაცილებდა ტკბილად მოსაუბრეებს. ერთიც ბედნიერი იყო და მეორეც. თუმცა შინ გოგონა კვლავ იძაბებოდა, რადგან იცოდა, უსიამოვნება არ ასცდებოდა. მამამისი ხშირად სვამდა. მთვრალს საშინელი ხასიათი ჰქონდა. ნელიმ ყურმოკვრით იცოდა, რომ მამა „ვიღაც ქალთან" დადიოდა. დედა ვერ ეგუებოდა ოჯახზე გულაღრენილ ქმარს, მაგრამ იმის გამო, ბავშვებს მამა არ დავუკარგოო, ყველაფერს ითმენდა. ეს „მოთმენა" ძვირი დაუჯდათ. დედა წვრილმანზეც კი ფეთქდებოდა, კაცი ხელდახელ მიიწევდა ცოლისკენ... ბავშვები ხშირად შესწრებიან იატაკზე მოკრუნჩხულ, დალილავებულ დედას, რომელსაც გაგიჟებული მამა გამეტებით სცემდა. გიგას და ნელის ეცოდებოდათ დედა, მამის დანახვა აღარ უნდოდათ...

მეორე დღეს, გონს მოსული კაცი ცოლშვილს პატიებას სთხოვდა, მაგრამ ორი-სამი დღის მერე იგივე მეორდებოდა. მეზობლები შეეჩვივნენ მათი ოჯახიდან გამოსულ წივილკივილს. ნელის ძალიან რცხვენოდა მშობლების საქციელისა, განსაკუთრებით მას მერე, რაც დათო გაიცნო. დაძაბული იყო, ეშინოდა, ბიჭს რაიმე არ ეკითხა, მაგრამ დათო დუმდა. კარგად იცოდა, რაც ხდებოდა ნელის ოჯახში, არ უნდოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეგდო გოგონა. მხოლოდ ერთხელ უთხრა, — როგორც კი სკოლას დაამთავრებ, მაშინვე ცოლად მოგიყვანო.

...მშობლებმა ისევ იჩხუბეს...

თეთრად დაათენდა ნელის. გიგა საბავშვო ბაღში მიიყვანა, თვითონ კი სკოლაში წავიდა. დავალებები მოუმზადებელი ჰქონდა, მაგრამ გაკვეთილების გაცდენა მაინც ვერ გაბედა. მთელი დღე მობუზული იჯდა. სკოლის კუთხეში დათო დახვდა. ერთად წავიდნენ შინისკენ. მაისი იდგა. გამყიდველებს ნაირ-ნაირი ყვავილი გამოეფინათ. დათომ გოგონას იები უყიდა და გაუწოდა. სწორედ ამ დროს კარის მეზობელი მიუახლოვდათ და ნელის პირში მიახალა: — რა იყო, გოგო, შენი მშობლები აღარ უნდა დაწყნარდნენ? მაგათ გადამკიდეთ ძილი აღარ გვაქვს და მოსვენება... ყველაფერს საზღვარი აქვს. ან დაწყნარდნენ, ან გაყიდონ ბინა და სხვაგან გადავიდნენო.

ნელი ცოცხალ-მკვდარი იდგა, დათოც დაიბნა. გოგონა ნაჩქარევად დაემშვიდობა ბიჭს და შინისკენ გაიქცა.

...შინ მისულს ისევ არეულ-დარეული დაუხვდა სახლი. დედა თავშეხვეული იწვა, მამა არ ჩანდა. აღარ დაუწყია სახლის მილაგება, აღარც დედა მოუკითხავს. თავის ოთახში ჩაიკეტა. კარგა ხანს პირქვე იწვა. შეღამებულზე მშობლების უსიამოვნო ლაპარაკი შემოესმა. ბალიში თავზე დაიფარა... მეტის ატანა აღარ შეეძლო. წამოდგა, აივანზე გავიდა. მოაჯირს გადაევლო და... ძირს ფრიალ-ფრიალით წავიდა...

თითქოს გოგონას სიკვდილი იყო საჭირო იმისათვის, რომ მშობლები გონს მოსულიყვნენ. ცოტა ხანში გაიყარნენ. მამა მეორე ოჯახს მოეკიდა, თუმცა დიდხანს აღარ უცოცხლია.

გიგა და დედამისი რუსეთში ცხოვრობენ.

ახლაც თვალწინ მიდგას ლამაზი, კოხტა გოგონა, რომელსაც დიდი დარდის მიუხედავად, მაინც მუდამ სხივჩამდგარი თვალები ჰქონდა.

ეს უბედურება ხომ არ მოხდებოდა, მისი მშობლები რომ ადრევე „დაზავებულიყვნენ", ან ცალ-ცალკე ეცხოვრათ.

ამაზე ღირს დაფიქრება!

***მარინა ბაბუნაშვილი***

# შევებრძოლოთ ჭორფლს!



ყველა წითურ გოგონას ნაზი და მგრძნობიარე კანი აქვს. ზაფხულში, მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე, სახე და მხრები იფარება ჭორფლით. მათ, ვინც ებრძვის ამ ლაქებს, ვთავაზობთ უსაფრთხო და შედეგიანი მალამოების რეცეპტებს:

**1.** დილა-საღამოს სახე გაიწმინდეთ ნახევარი ჩაის კოვზი ლიმონის წვენისა და ათქვეფილი კვერცხის ცილის ნარევით. ეს ნაერთი შესანიშნავად ათეთრებს კანს.

**2.** 20 წუთით დაიდეთ სახეზე გახეხილი სტაფილოს, 1 ჩ/კ შვრიის ფქვილის, უმი კვერცხის გულისა და 20 წვეთი ლიმონის წვენის ნარევი. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და შემდეგ შეისხით ცივი წყალი.

**3.** სახეზე 10 წუთით დაიდეთ მაწონში ათქვეფილი კომბოსტოს გახეხილი ფოთლები და შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

# ცივი სიამოვნება

**ისრაელის ლეგენდარულ მეფე სოლომონს უყვარდა თურმე გაყინული ხილის წვენით გულის გაგრილება, ძველმა ბერძნებმა კი ნაყინის გაკეთება თოვლისგან დაიწყეს. მიუხედავად ამისა, ნაყინის პირველ შემქმნელებად ჩინელები ითვლებიან. ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინ მოიფიქრეს თოვლისა და რძისგან ნაყინის წარმოება. ჩინური ცივი დელიკატესის რეცეპტი ევროპაში მარკო პოლომ ჩაიტანა, მაგრამ ამ ნუგბარმა ტრიუმფალური სვლა მხოლოდ 1670 წლიდან დაიწყო, როცა პარიზში პირველი ნაყინის კაფე გაიხსნა. ნაყინის პირველი ქარხანა კი აშშ-ში ამუშავდა XIX საუკუნის შუა წლებში.**

**ნაყინის დამზადება შინაც შეიძლება:**



## შოკოლადის ნაყინი

**საჭიროა: 3 ჩაის ჭიქა ნაღები, 4 კვერცხი, 200გ შაქარი; 50გ შოკოლადი, ვანილი.**

ცხელ ნაღებში ჩაადნეთ გახეხილი შოკოლადი. ვანილიანი გოგლიმოგლი უწყვეტი მორევით ჩაასხით შოკოლადიან ნაღებში და ცეცხლზე იქამდე იდგეს, ვიდრე კარგად არ შესქელდება. ოღონდ დუღილამდე არ მიიყვანოთ.

გააცივეთ, ყალიბში ჩაასხით და საყინულეში შედგით.

## ალუბლის ნაყინი

06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Акулы острова сокровищ". 06.50 Алексей Локтев в фильме "Я ШАГАЮ ПО МОСКВЕ" 08.20 Армейский магазин. 08.50 Дисней-клуб: "Мики, Дональд и Гуффи-спортсмен". 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" с Дм. Крыловым. 10.30 Пока все дома. 11.10 Кубок мира. Хоккей. Сборная России - сборная Канады. 12.10 Кубок мира. Хоккей. Сборная России - сборная Канады. 13.00 Дисней-клуб. "Приключения Мики и Дональда". 13.20 Ирина Селезнева в комедии "МОСКОВСКИЕ КАНИКУЛЫ" 15.10 Премьера. "Испытание бомбой". 16.00 Андрей Миронов в комедии "НЕВЕРОЯТНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ИТАЛЬЯНЦЕВ В РОССИИ" 18.20 Музыкальный фестиваль "Голосящий КиВиН-2004. Юрмала". 21.00 Время 21.45 Брендан Фрэйзер в триллере "МУМИЯ ВОЗВРАЩАЕТСЯ" 00.10 Бокс. Олег Маскаев - Дэвид Дефиагбон. 01.10 Джефф Дэниелс в триллере "В ПАУТИНЕ СТРАХА" 03.00 Кубок мира. Хоккей. Сборная России - сборная Словакии. Прямой эфир из Канады.

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფო ზავრმა"*

# გურჯ მუჰაჯირს შვილისთვის იბერია დაურქმევია(!)

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ერთი მოგასმენინათ, რას მღერიან — „ბახმაროს მთაზე“, „ლობიო“, „სიმღერა მეგობრობაზე“, „შირაქის ველზე“, „მგზავრული“, „მწყემსის ღიღინი“ და ა.შ. არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა ასეა, მაგრამ თითქოს ისინი უფრო დიდი გრძნობით მღერიან, ვიდრე აქ, ჩვენ.

თანამედროვეობამ გურჯებსაც გაუჩინა თავსატეხი — ყველაფერ ქართულს ძველი თაობა იცავს. ახალგაზრდებს კი, ისევე როგორც ჩვენთან, ევროპა „ითრევს“ და ტრადიციებსაც ივიწყებენ.

ნამდვილად არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ კატეგორიას, განუწყვეტლივ რომ ამტკიცებს, — ქართველები ყველაზე კარგები ვართ, მაგრამ თურქეთში ნებსით თუ უნებლიეთ აღიარებ, რომ საუკეთესო პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, გამომგონებლები, ექიმები, მეცნიერები და ა.შ. სწორედ გურჯები არიან. ქალაქ ბურსაში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე ართვინელი გურჯების ანსამბლის მოსმენისას კინაღამ ცა ჩამოაქცია მაყურებელმა ტაშით. ისეთი ხორუმი იცეკვეს, რომლის მსგავსი არასოდეს გვინახავს — ნამდვილი ქართული ცეკვა იყო, ისეთი, როგორსაც 100 თუ 150 წლის წინ ცეკვავდნენ საქართველოში. საოცარი სანახაობაა (თუმცა ქალების საცეკვაო კოსტიუმებიც და ცეკვაც, ცოტა არ იყოს, გათურქებულია). რას ვიფიქრებდით, თუ სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლის, „რუსთავისა“ და „ერისიონის“ პატრონებს რამე გაგვაოგნებდა? სცენაზე ცეცხლი დაანთეს ართვინელმა გურჯებმა. მთელი ღამე არ მიძინია. მივხვდი, რატომ არ ავიწროებენ თურქები იქაურ ქართველებს — მათზე დიდ ზეგავლენას ახდენს გურჯების კულტურა, ცეკვა, სიმღერა, საქციელი, მათი შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება და ეს სულაც არ არის გადაჭარბება.

მამია დუმბაძეს მისი საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლის რეპეტიციაზე დასწრება და კინოფირზე აღბეჭდვა ვთხოვეთ. საღამოს ექვს საათზე ანსამბლის რეპეტიცია გარეთ, ეზოში გამართეს. როგორც კი დოლის ხმა გაისმა, ხალხმა ჩვენკენ იწყო დინება. იცით, რა მოხდა იმ საღამოს? რეპეტიცია დიდ სახალხო ზეიმში გადაიზარდა. ბავშვებთან ერთად ხალხიც ცეკვავდა.

მეორე დღეს ბურსის ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა უნდა გახსნილიყო საზეიმოდ. ჩვენც მიგვიწვიეს — იქ დეპუტატთა უმრავლესობა ქართველია. გაკვირვებისგან ენა წამერთვა, როცა სხდომა ქართულ ჩოხებსა და ხევსურულ ტალავრებში გამოწყობილმა ქართველმა ახალგაზრდებმა ქართული ცეკვა-სიმღერით გახსნეს — აი, სად იციან ქართველობის ფასი, აი, სად უყვართ თავისი ერი და ქვეყანა-მეთქი...

თურქეთის ნამდვილი ქართული მარგალიტია ბაიარ შაჰინ გუნდარიძე, ქართველი მომღერალი. დასანანია, რომ „კვირის პალიტრას“ არ შეუძლია იმ საოცარი ჰანგების გახმოვანება, ბაიარ გუნდარიძის სულიდან და ხმიდან რომ მოედინება. ჩვენს ფილმს სწორედ მისი ერთ-ერთი სიმღერის სახელი „გელინო“ დავარქვით. „გელინო“ ძველი სიმღერაა, მუჰაჯირები მას უმღერიან პატარძალს, მითურ ქალბატონს. ქალიშვილს მშობლები უსურვებენ ისევე უყვარდეს იგი დედამთილ-მამამთილს, როგორც მათ უყვართ. მართალია, სახლიდან შორს მიდის, მაგრამ ფიქრით მაინც მშობლებთან იქნება და ერთ დღესაც უკან დაბრუნდება. ჩვენ „გელინოს“ ასეთი სიმბოლური ახსნა მოვუძებნეთ — მუჰაჯირებიც ხომ გელინოსავით წავიდნენ საქართველოდან, ფიქრით კი ჩვენთან არიან და ვინ იცის, ოდესმე დაბრუნდნენ კიდეც.

გაგაოცებთ გურჯების ერთიანობა, ერთმანეთის გატანისა და დაცვის საოცარი უნარი. მახსოვს, იალოვაში, სადაც თითქმის მხოლოდ ლაზები ცხოვრობენ, ერთ-ერთ ქართულ რესტორანში ვისხედით და ლაზს, მევლუდ ქუიუნჯუს ვესაუბრებოდით. გვქონდა წაღებული ლაზური წიგნები. ერთ-ერთის ხმამაღლა კითხვა დავიწყე. ერთი გენახათ, რა ხდებოდა, ბავშვებივით გაიხარეს ლაზებმა. აღტაცება ვერ მალავდნენ, რომ მე, თბილისიდან ჩასული, ლაზურად ვკითხულობდი, თან გაოცებულები მეკითხებოდნენ, რომელი ანბანითაა ლაზური ტექსტები დაწერილიო. მეც ვუხსნიდი, რომ ეს ის უძველესი ანბანია, რომლითაც წინათ ერთნაირად წერდა ყველა ქართველი და მათ შორის, ლაზიც. ვუცქერდი ლაზებს, გურჯებს და თითქოს ყველაფერი მტკიოდა, მეც ხომ ქართველი ვარ და ისინიც. თითქოს მთელი ჩვენი ისტორია თვალწინ გამიცოცხლდა. ვფიქრობდი, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები, ასეთი უცნაურები და გაუტეხელნი-მეთქი. სოფელ ოილაფში გურჯებს კურორტი გაუშენებიათ, სადაც კი შეხვალთ, ყველგან მხოლოდ ქართველები მუშაობენ. იქაურებმა აგვიხსნეს — თურქი ამ ქვეყნის პატრონია, მას გადარჩენა არ სჭირდება, არც უჭირს, ქართველს კი სტუმრად ჩათვლიან, თუ პატრონი არ ეყოლება. ამიტომ აქ ყველანი ერთმანეთს ვპატრონობთ და ვეხმარებით. ოილაფი ქართველებმა აღმოაჩინეს და მსოფლიოს გააცნეს. ამიტომ ჯერ ქართველი უნდა უზრუნველვყოთ სამსახურით და მერე სხვასაც მივხედავთო.

სოფელ ოილაფში გურჯებს კურორტი გაუშენებიათ, სადაც კი შეხვალთ, ყველგან მხოლოდ ქართველები მუშაობენ. იქაურებმა აგვიხსნეს – თურქი ამ ქვეყნის პატრონია, მას გადარჩენა არ სჭირდება, არც უჭირს, ქართველს კი სტუმრად ჩათვლიან, თუ პატრონი არ ეყოლება. ამიტომ აქ ყველანი ერთმანეთს ვპატრონობთ და ვეხმარებით. ოილაფი ქართველებმა აღმოაჩინეს და მსოფლიოს გააცნეს.



იბერია მელაშვილი შვილთან ერთად

თურქეთში ნებსით თუ უნებლიეთ აღიარებ, რომ საუკეთესო პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, გამომგონებლები, ექიმები, მეცნიერები და ა.შ. სწორედ გურჯები არიან. ქალაქ ბურსაში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე ართვინელი გურჯების ანსამბლის მოსმენისას კინაღამ ცა ჩამოაქცია მაყურებელმა ტაშით. ისეთი ხორუმი იცეკვეს, რომლის მსგავსი არასოდეს გვინახავს – ნამდვილი ქართული ცეკვა იყო, ისეთი, როგორსაც 100 თუ 150 წლის წინ ცეკვავდნენ საქართველოში.

გურჯები დანახვისთანავე ხვდებოდნენ, რომ ქართველები ვიყავით. ერთი გენახათ, რა ემართებოდათ, თვალგაბრწყინებული გვეკითხებოდნენ, გურჯები ხართო? ღიმილით თავს რომ დავუქნევდით, გვლოცავდნენ — გაიხარეთო. ცრემლი მახრჩობდა...

ალბათ გადაჭარბებად არავინ ჩაგვითვლის თუ ვიტყვით, რომ ამ სტატიის დაბეჭდვით მამულიშვილურ საქმეს ვაკეთებთ — ისტორიას ვუტოვებთ საინტერესო ფაქტებს საქართველოდან შორს მყოფი ქართველების შესახებ.

მუჰაჯირებთან, გურჯებთან ყოფნისას ერთი წამითაც არ მიგრძნია, რომ ისინი მუსლიმანები იყვნენ. ოილაფის ქართველმა გამგებელმა მითხრა — მერე რა, რომ თქვენ ქრისტიანები ხართ, ჩვენ კი მაჰმადიანები. გახედე ამ ტერასებს, განა აჭარას, საქართველოს არ გაგონებს აქაურობა? მიუხედავად ყველაფრისა, სისხლი ერთი გვაქვს და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ვინ იცის, რა მოხდება მომავალში?! საინტერესო ისიც არის, რომ მათი ცხოვრების წესიც მაჰმადიანური კი არა, თვალში საცემად ქართულია. არადა, ამ ხალხს ახლაღა გაუჩნდა ჩვენთან კავშირის საშუალება, მიკვირს, ერთმანეთისგან ამდენი ხნის წინ მოწყვეტილები, ასე ერთნაირად როგორ განვვითარდით?!

გამახსენდა მამია დუმბაძის სიტყვები — არ გვეგონა, სხვა საქართველო თუ არსებობდაო. ნეტავ რატომ ეგონათ ასე? ნუთუ მამა-პაპათაგან არაფერი სმენიათ ისტორიული სამშობლოს შესახებ? ჩემი აზრით, ამასაც აქვს მიზეზი — როგორც ჩანს, მუჰაჯირებისთვის სამშობლოდან გასახლების ტკივილი იმდენად გაუსაძლისი იყო, რომ სამშობლოს ხატება გულში ჩაიმარხეს. იქნებ ამიტომაც არ ახსენებდნენ შვილებთან თუ შვილიშვილებთან გურჯისტანს?!..

***ეკა ლომიძე***



# „გმადლობთ სიყვარულისთვის, შვილებო!“

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

**— ყველაზე მეტი, რამდენი კაცი დაგიპურებიათ ერთ უფასო სადილზე? — ვკითხეთ ქალბატონ ლიას.**

— 2500... ისე, 1500 კაცი მოდის ხოლმე. ხომ ხედავთ, რამხელა რიგია გარეთ? დღეს ცხელა კიდეც. ზოგი ცუდად ხდება შიმშილისაგან, გადაღლისაგან. ვინც მოხუცი, მრავალშვილიანი და ძალიან დასუსტებულია, გვინდა ეზოს სათადარიგო კარიდან შემოვიყვანოთ, მაგრამ აქ თითქმის ყველა ასეთია. რა ვქნათ? გამორჩევაც კი უხერხულია. ეს დღე ჩვენთვისაც მძიმეა. ზოგი ხომ ხედავთ, თვითონ არ ჭამს, შინ მიაქვს კერძი. თვალს ვარიდებთ, რომ აიღონ და თავისუფლად წაიღონ. ზოგჯერ გვთხოვენ, გვინდა შინაც წავიღოთო. როგორ უნდა უთხრა უარი, როცა გაჭირვებული გთხოვს შემწეობას... დღევანდელი მენიუ „კვირის პალიტრის“ შედგენილია, ყველა უსაზღვროდ კმაყოფილია. ლამაზი და ნაღვლიანი დღეც არის. თქვენი რედაქტორი, ქალბატონი ლალი ისეთი გამორჩეული იყო, ისეთი კეთილი. მისი ქველმოქმედების ამბავი ბევრჯერ მოსულა ჩვენამდე... ერთზე მწყდება გული, ნეტავ ფოტო წამოგეღოთ, რომ ყველას ენახა, ვინც დღეს სათნოების სახლის სტუმარია.

**— ძირითადად ერთი და იგივე ხალხი მოდის თქვენთან?**

— არა, უცნობებიც მოდიან. პირველად ზოგს ძალიან უჭირს შემოსვლა, მაგრამ იმდენად სავსეა არიან ღირსების გრძობით, რომ თავადვე გამოვყავართ უხერხული მდგომარეობიდან. ზოგჯერ ჩვენი პრეზიდენტიც დამჯდარა მათთან ერთად და უსადილია, რომ გაშინაურებულიყვნენ. რა მოხდა მერე, გაჭირვებაა, ამ ერთ დღესაც რომ შევძლოთ შიმშილის დამარცხება, კარგია. ვინც ჩვენთან შემოდის და მიირთმევს, ჩვენ იქით ვართ მათი მადლიერები. ადრე ტანსაცმლითაც გვეხმარებოდნენ. ორი წელია, არავის გამოუხედავს ჩვენკენ... სახელმწიფო ვერ გვეხმარება. უფალს ვმადლობთ, რომ სპონსორობის ინსტიტუტი არსებობს და 15 წელია, ქველმოქმედების წყალობით ვარსებობთ.

**— თვალში მომხვდა, სუფრას პატარა ბავშვები და მოხუცი ადამიანებიც კი ემსახურებოდნენ, ვინ არიან ისინი?**

— ბავშვები მრავალშვილიანი ოჯახებიდან არიან. მოხუცები კი ჩვენი, სათნოების სახლის მკვიდრნი. მათ გაჭივრებულების დახმარება სურთ და შრომობენ. ჩვენც უყურადღებოდ დავაპუროთო. ორთაჭალიდან წამოვედით, — თქვა საოცრად სერიოზულმა და სევდიანმა 12 წლის მარკ რიადლოვმა.

1-ელი საათისათვის სათნოების სახლში დღესასწაულმა კულმინაციას მიაღწია. მოხუცები სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ. მოყვასთაგან მხოლოდ ერთს დაგისახელებთ, ისიც იმიტომ, რომ ის დღეს იუბილარიც იყო — მარიკა ბარბაქაძე-სიხარულიძე 77 წლის გახდა.

— ძალიან ბედნიერი ვარ... მე და ჩემი ვაჟი მოვდივართ ხოლმე „კათარზისში“. მიხარია, კიდევ კარგი, პიურე შეიცვალა და წიწიბურათი გვიმასპინძლდებიან... ასეთ ღია კარის დღეებზე ხშირად ვართ ხოლმე. ისე გამიხარდა, ღვინო რომ დავინახე! ჩემი დაბადების დღე ვადღეგრძელე...

„კათარზისისთან“ კი რიგი არ მცირდებოდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ უპოვარნი. სამხედროფორმიანი ყმაწვილები წესრიგის დაცვას ცდილობდნენ. რიგითი თორნიკე კრაველიძე დავით აღმაშენებლის სახელობის სამხედრო აკადემიიდან შვიდ მეგობართან ერთად მოვიდა, იგი აკადემიის უზრუნველყოფის ბატალიონში მსახურობს.

— ასეთ ღონისძიებაზე პირველად ვართ, არც მეგონა, თუ ამდენ კაცს სჭირდებოდა დახმარება, თუ ამდენს შიოდა. ორსულები და პატარა ბავშვიანი ქალებიც კი ვნახე. საოცრად მტკივა გული, თურმე რა ცოდვა-მადლი ტრიალებს...

ასოციაცია „კათარზისის“ მენეჯერმა, გულიკო გოგოლაძემ გვითხრა, რომ „კვირის პალიტრა“ ერთადერთია, ვინც „კათარზისს“ თავისი სურვილით მიაკითხა და უფასო სადილის გაცემა შესთავაზა.

— მისასალმებელია თქვენი გაზეთის ინიციატივა. სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებმა, შეძლებულმა კერძო პირებმაც უნდა მიჰბაძონ მას. გმადლობთ, პალიტრელებო!..

სადილის შემდეგ ეზოში კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა ჩვენს მოყვასთ — კარამელი. უნდა გენახათ, როგორი სიხარულით და მადლიერებით იღებდნენ ამ საჩუქარს. მოხუცები აკანკალებული ხელით ინახავდნენ კანფეტს გულის ჯიბეებში, ან ხსნიდნენ და ვინ იცის, რამდენი ხნის უნახავ ნუგბარს აგემოვნებდნენ... პატარები ეზოს შემოურბენდნენ და მეორედ მოდიოდნენ კარამელის ასაღებად. თვალები უბრწყინავდათ... ერთმა შაოსანმა ქალბატონმა ცრემლი დამალა, გამხდარი ხელით კარამელი გამოგვართვა:

— დიდი მადლობა. ერთადერთი შვილი მომიკვდა, 40 წელი პედაგოგად ვიმუშავე, ახლა ასე უმწეოდ დავრჩი. აღარც სამსახური, აღარც შვილი... შვილიშვილს ვზრდი სიმწრით. ძალიან გამიჭირდა აქ მოსვლა, მაგრამ მოვედი... გმადლობთ სიყვარულისთვის, შვილებო!

ყელში თითქოს ბურთი გაგვეჩხირა, მეც, პატარა ნინო გოგრიჭიანსაც, ჩვენი თანამშრომლის გოგონას, რომელსაც კანფეტებით სავსე პარკი ეჭირა და თვალები კი ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ მაინც გაუღიმეთ, რადგან ვიგრძენით, სადღაც შორს, სულეთში იღიმებოდა ჩვენი რედაქტორი, ჩვენი ლალი დეიდა.



არ ვტოვებთ — ზეთით, შაქრით, კარტოფილით ვუნაზღაურებთ შრომას... დღეს საპატრიარქოდან „ძლევაის“ წევრებიც მოვიდნენ, ემსახურებიან მაგიდებს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „კვირის პალიტრას“ ამ სადილისა და შესანიშნავი გაზეთისთვის, რომელიც ყოველ ორშაბათს მოაქვს ერთ-ერთ ჩვენს მოხუცს თქვენი რედაქციიდან...

10-11-12 წლის ბავშვები დაცქრიალებდნენ მაგიდებს შორის... — ჩვენ „ძლევაის“ მეგობრები ვართ, 161-ე სკოლაში ვსწავლობთ, — გვითხრეს ნათია ნოზაძემ და თიკო სუხიაშვილმა, — კიდევ მოვალთ და დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით მოხუცებს.

— მეგობრებმა მითხრეს, „კათარზისში“ დახმარება სჭირდებათ, მშიერები უნდა

***ლელა ჟიჟაშვილი***

# კვერცხის გული სასარგებლოა

კვერცხში ძალიან ბევრია სასარგებლო ამინომჟავები. კვერცხის გულში თავმოყრილი ვიტამინები და მინერალები ხელს უწყობს სწორ ნივთიერებათა ცვლას. კვერცხის გულის ფასეულ კომპონენტს — ლეციტინს — მედიცინა თვლის აქტიურ ანტისკლეროზულ ნივთიერებად.

მისი წყალობით ორგანიზმიდან გამოიდევნება ზედმეტი ქოლესტერინი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ყველაფერი კარგია ზომიერად — კვირაში 4-5 კვერცხზე მეტის ჭამა სასურველი არ არის.

***ზდოროვიე***

# ზაფხულის ნაზი თანამგზავრი



ამ საოცარი ყვავილის ფურცლებით ადვილად მზადდება მშრალი, ნაზი კანის გამწმენდი: 2ს/კ წვრილად დაჭრილ ვარდის ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, გააცივეთ და გადაწურეთ. მიღებული საშუალება შესანიშნავია სახის გასაწმენდად დღეში 2-ჯერ.

ასეთი პროცედურა აცოცხლებს და ახალისებს კანს.

დილა-საღამოს დასაბანად შესანიშნავია გელი, რომლის დამზადებაც თავად შეგიძლიათ. ნახევარი ჭიქა ხმელი ვარდის ფურცლები ჩაყარეთ მდუღარეში, თავი დაახურეთ და გააჩერეთ 24 სთ. შემდეგ გადაწურეთ და დაამატეთ გლიცერინი (200მლგ: 1ს/კ).

შესანიშნავია ნიღაბი: ვარდის ფოთლები (გამხმარი) დაფქვით ყავის საფქვავში, მანამ არ მიიღებთ ვარდისფერ ფქვილს. ამ ფქვილის 1 ს/კ დაამატეთ ერთი საჩაროზე კოვზი ნაღები, 1 ჩ/კ კვერცხის ცილა, აურიეთ და გააჩერეთ 5-6 წუთი. მიღებული ფაფა დაიდეთ სახეზე 20-30 წუთი. ეს ნიღაბი შესანიშნავია ნორმალური კანისათვის — კვებავს და არბილებს კანს. საოცარ ეფექტს იძლევა ვარდის ფურცლების აბაზანები!

***ჟენსკიე დელა***

# მოვიშოროთ ტოქსიკური ნივთიერებები

ჩვენი გარესამყარო მეტად დაბინძურებულია. აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმში გროვდება შხამქიმიკატები, ტოქსინები, მძიმე მეტალების მარილები. შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს ციტრუსების წვენები. ამიტომ, სპეციალისტები გვირჩევენ, დრო და დრო გავიწმინდოთ ორგანიზმი შემდეგი რეცეპტით: 1ლ ფორთოხლის წვენი, 1ლ გრეიპფრუტის წვენი, 1/2 ლ ლიმონის წვენი გავაზავოთ 4 ლ წყალში და ვსვათ ცოტ-ცოტა მთელი დღის მანძილზე. გახსოვდეთ: წვენი უნდა იყოს ახლადგამოწურული.

***ჟენსკიე სეკრეტი***

# XXI საუკუნის ბავშვები

ჩვენს საუკუნეში ყოველი მეხუთე ბავშვი მეტისმეტად მსუქანია. მხოლოდ გერმანიაში, ბოლო 20 წლის მანძილზე, მსუქანი ბავშვების რიცხვმა 1 მილიონს მიაღწია. დედამიწის მოსახლეობის 8%-ს ზედმეტი წონა აწუხებს. თანაც ამ ჩასუქებულ გოგო-ბიჭებს სერიოზული მკურნალობა ესაჭიროებათ, რადგან ემუქრებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, იმუნური სისტემის დარღვევა, დიაბეტი.

იმისათვის, რომ ჩვენი შვილები ძალიან არ გასუქდნენ, ექიმები გვირჩევენ, გავითვალისწინოთ ეს რჩევები:

1. ბავშვი ტელევიზორთან და კომპიუტერთან დასვით მხოლოდ 60 წუთით;
2. მოარიდეთ ჩიპსებს და კოკა-კოლას;
3. სკოლაში ატარეთ ფეხით;
4. მეტი დრო გაატარებინეთ სუფთა ჰაერზე, აიძულეთ, ითამაშონ მოძრავი თამაშობები, რათა მაქსიმალურად დახარჯონ ენერგია.

***მირორი***

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

N19
ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

# მიეძალეთ წყალს



ამერიკელ ექიმს, ფირეიდონ ბატმან გჰელიჯს მიაჩნია, რომ „უმადლოდეს" ყველანაირ დაავადებას. ჩაი, ყავა, რძე ან სხვა სასმელი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილებას სუფთა, ნატურალური წყლის მიმართ, რომელიც აუცილებელია ყველა მისი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. წყლის ნაკლებობა არღვევს ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციას, რასაც ავადმყოფობას ვეძახით.

დროთა განმავლობაში ადამიანები აღარ გრძნობენ წყურვილს. სხვადასხვა ქვეყანაში ექიმების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადჰყვეს, რომ ხანში შესულებს ნაკლებად აწუხებთ წყურვილის შეგრძნება, ვიდრე ახალგაზრდებს. მაშინაც კი, როცა ანალიზი წყლის ნაკლებობას აფიქსირებდა, ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ სწყუროდათ.

ამიტომ, ექიმი გჰელიჯი დაჟინებით მოითხოვს, ადამიანმა დღეში აუცილებლად უნდა დალიოს, სულ ცოტა, 2,5 ლიტრი წყალი: 1-2 ჭიქა გაღვიძებისთანავე, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე და ჭამის შემდეგ — 2,5 საათით მოგვიანებით, ასევე, ყოველთვის, როცა წყურვილი შეგაწუხებთ. წყალი სუფთა უნდა იყოს. სასურველია სვათ წყაროს წყალი.

***კომსომოლსკაია პრავდა***



# შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რამდენიმე წელია, მაწუხებს თავბრუსხვევა. ნევროპათოლოგმა დამისვა დიაგნოზი — „დისკულატორული ენცეფალოპათია". წამლებს როცა ვსვამდი, კარგად ვიყავი, ახლა ისევ დამეწყო იგივე სიმპტომები. ხომ არ არის რაიმე სიახლე თავბრუსხვევის მკურნალობაში და როგორ შეიძლება შევიმსუბუქო მდგომარეობა?**

***კუკულაძე, თბილისი***

ტერმინი „დისკულატორული ენცეფალოპათია" გულისხმობს ტვინის ქრონიკულ იშემიას (სისხლმომარაგების უკმარისობას). მისი მიზეზია პათოლოგიური ცვლილებების განვითარება მთელი ორგანიზმის, უპირატესად კი, ტვინის სისხლძარღვებში, რის შედეგადაც ტვინი განიცდის ჟანგბადოვან შიმშილს, რადგანაც ვერ იღებს სისხლის საკმაო რაოდენობას. ეს ქრონიკული დაავადებაა და უფრო ხანში შესულებს ემართებათ. საჭიროა საგულდაგულო სამედიცინო გამოკვლევა. უპირველესად უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა ადამიანს არტერიული ჰიპერტენზია. ამ დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში ექიმმა უნდა შეგირჩიოთ წნევის მასტაბილიზებელი პრეპარატები. უნდა ვიცოდეთ, რომ საშიშია წნევის როგორც მკვეთრი დაქვეითება, ისე მომატება. პაციენტს ერთი თვის განმავლობაში ეძლევა დავალება, რომ გაიზომოს წნევა დილა-საღამოს და ჩაიწეროს მონაცემები, რომლებიც შემდგომ ექიმს უნდა აჩვენოს. თუ ძირითადი დაავადება ათეროსკლეროზია, მაშინ საჭიროა სისხლში ქოლესტერინის დონის მოსაწესრიგებელი პრეპარატების — სტატინგების დანიშვნა და კვების სათანადო რეჟიმის დაცვა.

თავბრუსხვევა, მოცემულ შემთხვევაში, სისხლძარღვოვანი პათოლოგიის შედეგია. მისი სხვა გამოვლინებები შეიძლება იყოს ადვილად დაღლა, მეხსიერების დაქვეითება და სხვა. პირველ რიგში, ცხადია, ძირითად დაავადებას უნდა ვუმკურნალოთ. შეიძლება დაინიშნოს სტუგერონი ან სხვა მსგავსი პრეპარატი. ტვინის სისხლმომარაგების დარღვევა ძალიან ხშირად არის ხოლმე დაკავშირებული კიდევ ერთ მიზეზთან — ხერხემლის, კისრის მალების ოსტეოქონდროზთან და ხერხემლის არტერიაზე მის ზემოქმედებასთან. კვლევის თანამედროვე მეთოდები ამ დაავადების ზუსტი დიაგნოსტირების საშუალებასაც იძლევა. საკმაოდ მნიშვნელოვანია სისხლის გამოკვლევა ლიპიდებზე. სისხლი უფრო „დენადი" უნდა გახდეს, რისთვისაც ექიმი საჭირო პრეპარატებს დაგინიშნავთ. უნდა გვახსოვდეს, არამც და არამც არ შეიძლება თვითმკურნალობა.

**ვარ 80 წელს გადაცილებული, მაწუხებს ტანის ქავილი. ექიმის დანიშნულებით მივიღე სუპრასტინი, ფლუცინარი, კლარიტინი — არაფერი მშველის. რომელი მედიკამენტი მიშველის?**

***ბესარიონ პაპავა, ომის ვეტერანი, ოფიცერი***

სავარაუდოა, რომ გაქვთ ე.წ. მოხუცებულთა ქავილი, რომელიც ორგანიზმში ფერმენტების დეფიციტთანაა დაკავშირებული. ასაკის მატებასთან ერთად საჭმლის მომნელებელი ფერმენტების გამოყოფა ქვეითდება და ირღვევა მონელების პროცესი, გამოიყოფა ტოქსინები, რომლებიც შეწოვისას აღიზიანებს კანის რეცეპტორებს და იწვევს ქავილს. მკურნალობა ასეთ შემთხვევაში გულისხმობს ფერმენტული პრეპარატების (ფესტალი, მეზიმ-ფორტე...) მიღებას, აგრეთვე დიდი დოზით (8-10 აბი დღეში) უნდა დაინიშნოს აქტივირებული ნახშირი. ძლიერი ქავილის შემთხვევაში კი პირველ ხანებში მიიღეთ დიმედროლი. თუმცა, აღნიშნული მკურნალობის დანიშვნამდე უნდა გამორიცხოთ შაქრიანი დიაბეტი, სანაღვლე გზების დაავადებები და, რაღა თქმა უნდა, კანის პათოლოგიები.

**ჭამის შემდეგ მაქვს ტკივილები ხერხემლის გასწვრივ. ხომ არ არის მარილების ბრალი?**

***ჯონი ბლიაძე***

შესაძლოა, ეს ასეც იყოს. კუჭსა და ნაწლავებთან დაკავშირებულია ხერხემლის მალებს შორის გამავალი ნერვები. როცა შინაგან ორგანოებში რაიმე პათოლოგიური ცვლილებები ვითარდება, მათ შესაბამის მალებში მიმდინარე ოსტეოქონდროზი აღრმავებს და ართულებს ამ ცვლილებებს. თუმცა, შესაძლოა თქვენი ჩივილი სულ სხვა რამის ბრალი იყოს. მსგავსი სიმპტომები ახასიათებს მაგალითად კუჭის დაწევას, სარტყლისებური ტკივილი იცის პანკრეატიტმა (პანკრეასის ანთებამ).

# კარაბადინი

**მოხუცებისაგან გამიგონია, თურმე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებას (ჩიყვს) ასე მკურნალობდნენ: კაკლის ახალ ნაყოფს დაჭრიდნენ, ჩაყრიდნენ ქილაში, მოაყრიდნენ შაქარს, დადგამდნენ მზეზე, დუღილის შემდეგ გამოყოფილ წვენს აძლევდნენ ავადმყოფს. თუ ეს მართალია, მაინტერესებს მისი დამზადებისა და მიღების წესები.**

***მკითხველი***

**ექიმის კომენტარი:** კაკლის ნაყოფი მართლაც მდიდარია იოდითა და სხვა ელემენტებით. სწორედ ამიტომ იყენებენ ჭყინტ ნაყოფს ჩიყვის სამკურნალოდ. რაც შეეხება თქვენს მიერ მოწოდებულ რეცეპტს, მსგავსი რეცეპტი ხალხურ მედიცინაში მოვიძიეთ: 40 ც თხილის ზომის კაკლის ნაყოფი (რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს გული) ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მიღებული მასა მინის ქილაში ჩაყარეთ და ფენა-ფენა მოაყარეთ 400 გრამი შაქარი. ქილას დაახურეთ ხუფი და დადგით ბნელ, გრილ ადგილას 3 კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ დაუმატეთ ნახევარი ლიტრი არაყი, კარგად აურიეთ და კიდევ დააყოვნეთ 2-3 დღე. მიიღეთ ყოველდღიურად თითო სუფრის კოვზი. შეგიძლიათ კაკლის მასაც შეჭამოთ ან მხოლოდ წვენი მიირთვათ. აღნიშნული რეცეპტით მომზადებული წამალი ძალიან ეფექტიანია არაერთი დაავადების სამკურნალოდ. კერძოდ, მას იყენებენ ჩიყვის, კოლიტების, ენტერიტების, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს, თანაც არაყი კონსერვანტის როლს ასრულებს და ნაყენი დიდხანს შეგიძლიათ შეინახოთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

# მკითხველი — მკითხველს

**იქნებ იცოდეს ვინმემ ვიტილიგოს (თეთრი ლაქების) სამკურნალო ჩვენთვის ხელმისაწვდომი ხალხური წამალი.**

***თქვენი მუდმივი მკითხველი ა.მ.***

**შეუძლებელია, ხალხურ მედიცინაში არ არსებობდეს იმპოტენციის სამკურნალო საშუალება. გთხოვთ გამომეხმაუროთ. ამ პრობლემის გადაჭრაზე მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრებაა დამოკიდებული.**

***ერთგული მკითხველი***

**ვარ 72 წლის ქალი. ონკოლოგიურ საავადმყოფოში დამისვეს დიაგნოზი — მკერდის ავთვისებიანი სიმსივნის III სტადია, მაქვს ტკივილები. გთხოვთ მომაწოდოთ ტკივილის გამაყუჩებელი რაიმე ხალხური საშუალება.**

***პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი***

**ვარ 90 წლის პენსიონერი. 8 წლის წინ მქონდა ჰერპეს-ზოსტერის დაავადება, რომელმაც მარჯვენა გვერდში დამიტოვა საშინელი მოვლითი ტკივილები. თუ ვინმემ იცით რაიმე ხალხური წამალი, გამომეხმაურეთ.**

***ომისა და შრომის ვეტერანი გრიგოლ გობეჩია***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# უბედური შემთხვევა თუ...

24 აგვისტოს, 22.56 საათზე, მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტიდან ვოლგოგრადისკენ გაფრინდა ტუ-134, რომელშიც 43 ადამიანი იჯდა. თვითმფრინავი ქ. ტულის თავზე ჩამოვარდა. ყველა მგზავრი დაიღუპა.

იმავე დღეს, იმავე აეროპორტიდან, 22.59 საათზე სოჭისკენ გაფრენილი ტუ-154 როსტოვის ოლქში ჩამოვარდა. დაიღუპა 46-ვე ადამიანი. თავდაპირველი ოფიციალური ვერსიით, ეს თითქოს თვითმფრინავების გაუმართაობის ბრალი იყო და არა ტერორისტული აქტი. მაგრამ რუსული პრესა აღნიშნავდა, რომ სტატისტიკურად ყოვლად წარმოუდგენელია ერთი და იმავე აეროპორტიდან გაფრენილი ორი თვითმფრინავის ერთდროული ტექნიკური გაუმართაობა. მათემატიკოსებმა ისიც გამ-



ოითვალეს, რომ ასეთი კატასტროფა 5000 წელში ერთხელ შეიძლება მოხდეს.

რადიკალური გაზეთი „რუსკი კურიერი“, თავის წყაროებზე დაყრდნობით, კატასტროფების მთავარ ვერსიად „ღრმად კონსპირირებულ“ ტერაქტს ასახელებდა.

დასავლეთის პრესამ კი ეს უბედური შემთხვევები ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირა. „ვაშინგტონ პოსტი“ ოფიციალურ ვერსიას ეჭვით უყურებს, ავტორიტეტული და კონსერვატორული ჟურნალი „ეკონომისტი“ კატასტროფებს ორმაგ ტერაქტად მიიჩნევს. „რამდენად შესაძლებელია, რომ ორმა ეკიპაჟმა ერთდროულად დაუშვას ერთნაირი საბედისწერო შეცდომა?“ — კითხულობს გერმანული „შპიგელი“ და დასძენს, რომ „პილოტების შეცდომა — პოლიტიკაში ძევს“ და ამ შემთხვევებს ისიც ჩეჩნეთის არჩევნებს უკავშირებს.

„არა აქვს მნიშვნელობა, იკისრებს თუ არა ვინმე პასუხისმგებლობას ამ ტრაგედიაზე. ეს იყო ტერაქტები, თუმცა პრეზიდენტ პუტინისთვის ხელსაყრელია მისი უბედურ შემთხვევად ცნობა,“ — ირწმუნება იტალიური „ლა სტამპა“.

ეჭვები იმანაც გააღრმავა, რომ ორივე თვითმფრინავში, „შავ ყუთებში“ მოთავსებულ თვითჩამწერებში ფირები დაზიანებული აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა აღიარეს, რომ ავარიის წინ ტუ-154-იდან გაგზავნილი იყო სიგნალი SOS, ხოლო ტუ-134-ის პილოტმა კი კოდირებული სიგნალის — „თვითმფრინავზე თავდასხმაა“ — გაგზავნა მოასწრო.

მერე და მერე გაჩნდა კიდევ ერთი ვერსია: პასუხისმგებლობა ტერაქტზე აიღო Islambouli Brigada-მ, რომელიც „ალ-ქაიდას“ რაზმად ასაღებს თავს. ერთ-ერთ ვებ-საიტზე გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ტერაქტი მათ მოახდინეს ჩეჩნეთში რუსების მიერ განხორციელებული „მუსლიმანთა გვემის“ საპასუხოდ. ლაინერების განადგურების ტერორისტული კვალი სულ ახალ-ახალ დადასტურებას იღებს. ბოლო ვერსიით, თვითმფრინავები თვითმკვლელი ჩეჩენი ქალების მიერ იქნა აფეთქებული...

***ინოპრესა***

# პაკისტანს ახალი პრემიერი ჰყავს



*შოვქათ აზიზი (მარცხნივ) თავის წინამორბედთან ერთად*

პაკისტანის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა და ქვეყნის პრეზიდენტის, ფარვიზ მუშარაფის უახლოესმა თანამებრძოლმა შოვქათ აზიზმა პრემიერ-მინისტრის პორტფელი ჩაიბარა. ამ პოსტზე აზიზი ქვეყნის პარლამენტმა აირჩია — 342 დეპუტატიდან 191-მა მისცა ხმა. ოპოზიციამ უარი თქვა კენჭის ყრაზე. 55 წლის აზიზი, რომელიც ადრე SITIBANK-ში მუშაობდა, ფინანსთა მინისტრის პოსტსაც შეინარჩუნებს. მისი თაოსნობით მოხდა პაკისტანის ეკონომიკის რეფორმირება, რომელსაც 1998 წელს, ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ, სანქციები დაედო. როგორც ანალიტიკოსები ფიქრობენ, აზიზი მუშარაფს კონკურენციას არ გაუწევს, რადგან მას მიიჩნევს ადამიანად, რომელმაც პაკისტანი განვითარებისა და აყვავების გზაზე დააყენა.

***ბი-ბი-სი***

# „მაჰდის არმია“ იარაღს ყრის



ერაყის ქალაქ ნაჯაფში, სადაც სამი კვირა არ წყდებოდა უმძიმესი ბრძოლები კოალიციის ჯარებსა და „მაჰდის არმიას“ შორის, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობა ჩამოვარდა.

შიიტთა მთავარ სიწმინდეს — იმამ ალის მავზოლეუმს შეფარებულმა მეამბოხეებმა მავზოლეუმის კარი გააღეს და ასეულობით მომლოცველი შეუშვეს.

„მაჰდის არმიის“ მეომრები ჯარისკაცის სამოსს იხდიან და იარაღს ყრიან, შეიარაღებულები კი მავზოლეუმს ტოვებენ.

პირველად, სამი კვირის შემდეგ, ნაჯაფს მშვიდი დილა გაუთენდა. ქუჩებში აღარ ჩანს ამერიკული ჯავშანმანქანები, ქალაქის თავზე კი აღარ დაქრიან საბრძოლო შვეულმფრენები, აღარ ისმის ქვემეხების გრიალი...

უამრავი მომლოცველი შედის ღია მეჩეთში, მოწიწებით ემთხვევა მის კარს, ერთმანეთს ეხვევა და სიხარულის ცრემლებს ღვრის. ყოველივე კი ქვეყანაში შიიტების მთავარი ლიდერის, 73 წლის აიათოლა ალი ას-სისტანის დაბრუნების გამო მოხდა. ქალაქში მისი ჩამოსვლის დღესაც კი არავის სჯეროდა, რომ კონფლიქტი მოგვარდებოდა.

სარაკეტო დაბომბვას 60-ზე მეტი ერაყელი შეეწირა. ქალაქში წინა საღამოსაც ისმოდა ბათქაბუთქი, მაგრამ სისტანიმ დაარწმუნა ამბოხებული მუქთადუ ას-სადრა, ბრძოლები შეეწყვიტა. ამით მან ერაყელებს იმედი გაუმართლა.

შიიტების ლიდერს ერაყის მთავრობამაც დაუჭირა მხარი. პრემიერ-მინისტრმა აიადო ალავიმ ხელშეუხებლობაც აღუთქვა ას-სადრას იმ შემთხვევაში, თუ ის მშვიდობიან მოლაპარაკებას დასთანხმდებოდა. ახლა ქალაქში ხელისუფლება კვლავ გუბერნატორ ანდანუ აზზარფის ხელში გადავა, რომელმაც შეტაკებების დაწყებისთანავე დატოვა ნაჯაფი. ერაყის მთავრობამ უკვე შექმნა კომიტეტი ნახევრად დანგრეული ქალაქის აღსადგენად.

***ნიუს რუ***

# მარგარეტ ტეთჩერის ვაჟი სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა



რას იფიქრებდა „რკინის ლედი“, თუ მისი ერთადერთი ვაჟი კრიმინალურ ქრონიკაში მოხვდებოდა, მაგრამ...

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე, 51 წლის მარკ ტეთჩერი, სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადეს იმის გამო, რომ თავის მეგობართან, საიმონ მანთან ერთად, ეკვატორულ გვინეაში სახელმწიფო გადატრიალებას და პრეზიდენტ თეოდორო ობიანგ ნგემის ჩამოგდებას აპირებდა.

ჯერ გაურკვეველია, რამ მიიყვანა ტეთჩერი და მანი ამ ექსტრავაგანტურ გადაწყვეტილებამდე, მაგრამ ფაქტია, რომ გაბედულად კი მოქმედებდნენ: იშოვეს 500 ათასი დოლარი და 70 კაცი დაიქირავეს, მათ შორის სომხები და ყაზახები.

შეიძლება საქმე წარმატებითაც დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ გაზაფხულზე, დაქირავებულთა თითქმის მთელი ჯგუფი, ზიმბაბვედან ეკვატორულ გვინეაში გაფრენის წინ დააკავეს. მარკ ტეთჩერი, როგორც კი მიხვდა, გადატრიალება ჩაიშალაო, გუდა-ნაბადი აიკრა და ოჯახითურთ აშშ-ში გადაბარგდა, სადაც დღემდე იმყოფება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებამ მარკ ტეთჩერისა და საიმონ მანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და აშშ-ს სთხოვა, მისთვის გადაეცა გადატრიალების მოთავეები.

დასავლეთის პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ „რკინის ლედის“ ვაჟს რაღაც გარიგება ჰქონდა საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრის სიძესთან, პრინც თურქი ბენ ნასერთან, რომელიც არაერთხელ დაუდანაშაულებიათ იარაღით არალეგალურ ვაჭრობაში. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ გადატრიალების მოწყობა დაკავშირებულია არა იარაღთან, არამედ ნავთობთან.

თეოდორო ობიანგ ნგემა, რომელიც სახელმწიფოს 1979 წლიდან მართავს (ეკვატორული გვინეის მოსახლეობა 524 ათას ადამიანს შეადგენს), დესპოტობით სადამ ჰუსეინს არაფრით ჩამოუვარდება. სისასტიკე, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ დაუნდობლობა, ნავთობზე სრული კონტროლი (რომელიც, უმეტესწილად, ამერიკულ ბაზარზე გადის) — გვინეისათვის ჩვეულებრივი საქმეა. მაგრამ ზიმბაბვეს შინაგან საქმეთა მინისტრის, კემბო მოჰადის თქმით, შეთქმულება აშშ-ის, ისლანდიისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელით მზადდებოდა. მარკ ტეთჩერს სწორედ მათთან ჰქონია კავშირი.

***მირ ნოვოსტეი №35***

# ახალი თაობის ალ-ქაიდელი



პაკისტანის უშიშროების ოფიცრებმა მართლაც ფასეული ნადავლი იგდეს ხელთ, 25 წლის კომპიუტერის სპეციალისტის, მოჰამედ ნიიმ ნორ ქჰანის სახით. მათ ყურმოკვრით იცოდნენ, რომ ქჰანი „ალ ქაიდას“ „კომუნიკაციური სამსახურისთვის“ წვრილმან სამსახურს უწევდა. თუმცა გამოძიების დაწყებისა და მისი კომპიუტერიდან მიღებული ინფორმაციის გაშიფვრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ის მნიშვნელოვანი მეკავშირე იყო უსამა ბინ ლადენის უახლოეს წრესა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ „ალ-ქაიდას“ იატაკქვეშა დაჯგუფებებს შორის. მარტო კომპიუტერიდან ამოღებული მისამართებით ცნობილი გახდა „ალ-ქაიდას“ კავშირები არა მხოლოდ პაკისტანში, ინგლისსა და ევროპის ქვეყნებში, არამედ მალაიზიასა და აზიის სხვა სახელმწიფოებში და კერძოდ, „ტერორიზმისთვის უინტერესო ქვეყანასთან“, ნეპალთან. ამერიკელი და პაკისტანელი სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ ქჰანი აშშ-საც არ ტოვებდა უყურადღებოდ. შესაძლოა, ის ვაშინგტონში 11 სექტემბრამდე ან 11 სექტემბრის შემდეგაც იმყოფებოდა.

ქჰანი ფაქტობრივად „ალ-ქაიდას“ გაზრდილია. ჯერ კიდევ ყმაწვილმა შემთხვევით „ალ-ქაიდას“ ერთი წევრი გაიცნო. „ალ-ქაიდა“ დააინტერესა ახალგაზრდა, ისლამურ ტრადიციებზე აღზრდილმა, კომპიუტერული ტექნოლოგიებით გატაცებულმა ქჰანმა. სულ მალე ის ორგანიზაციის წევრად მიიღეს. ქჰანის მამა პაკისტანის საერთაშორისო ავიარაზმების ერთ-ერთი დიდმოხელე იყო, რაც მის შვილს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში თავისუფალი მოგზაურობის შესაძლებლობას აძლევდა. 1998 წელს ქჰანმა ავღანეთის ქალაქ ქჰოსტში, „ალ-ქაიდას“ საწვრთნელ ბანაკში სამთვიანი კურსები გაიარა. უსამა ბინ ლადენმა იგი საკომუნიკაციო სფეროში „გაამწესა“.

ექსპერტებს აშფოთებს ქჰანის ასაკი — 25 წელი, რაც ადასტურებს, რომ „ალ-ქაიდა“ ახალგაზრდავდება. ეს ყმაწვილები არაორდინარულად მოაზროვნენი და ფანატიკურად გამბედავნი არიან, რაც მათთან ბრძოლას ძალიან ართულებს. მეტიც, ჩავარდნისას თევზივით სდუმან. ქჰანსაც ერთი სიტყვა არ დასცდენია გამომძიებლებთან. თუმცა მის მაგივრად მისი „მეგობარი“ კომპიუტერი „ლაპარაკობს“.

***ნიუზუიქი***

## მოკლედ

**ფხენიანი** უარს ამბობს აშშ-თან თავისი ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებაზე. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ ვაშინგტონი მტრულადაა განწყობილი ფხენიანისადმი. ექვსმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, ჩრდილო და სამხრეთ კორეის, აშშ-ის, ჩინეთის, რუსეთისა და იაპონიის მონაწილეობით, სექტემბერში უნდა გამართულიყო.

**საბერძნეთის** პოლიციამ ამერიკელ, ფრანგ, იტალიელ და ესპანელ კოლეგებთან ერთად, დააკავა საერთაშორისო დამნაშავეთა ჯგუფი,



რომელშიც შედიოდა 6 ბოროტმოქმედი — საბერძნეთის, იტალიისა და ალბანეთის მოქალაქეები. ნარკომოვაჭრეებს 700 კგ კოკაინი კარიბის ზღვის კუნძულ მარტინიკაზე გადაჰქონდათ.

**იაპონიას** ამ სეზონში უძლიერესი ტაიფუნი „ჩაბა“ დაატყდა თავს. მწყობრიდან გამოვიდა იაპონიის არქიპელაგის ერთ-ერთ უდიდეს კუნძულთან კიუსიუსთან დამაკავშირებელი საზღვაო და საჰაერო გზები. მეტეოროლოგები ძლიერ წვიმებსა და ქარიშხალს ვარაუდობენ. ტროპიკული ციკლონის გავლენის ქვეშ აღმოჩნდებიან იაპონიის სამხრეთი და დასავლეთი რაიონები. სანაპიროზე ტალღების სიმაღლე 5 მეტრს აღწევდა. მეტეოროლოგების აზრით, „ჩაბა“ უარეს შედეგს გამოიღებს, ვიდრე ამას წინათ გამძვინვარებული ტაიფუნი „მეგი“, რომელმაც 10 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**ავსტრალიამ** არმიის შეიარაღების გაძლიერება გადაწყვიტა. მთავრობა 320 მლნ დოლარს გამოყოფს მფრინავი რაკეტების შესაძენად, რომელსაც 400 კმ მანძილზე შეეძლება



მოწინააღმდეგის განადგურება. ქვეყნის სამხედრო პროგრამის ინიციატორია თავდაცვის მინისტრი რობერტ ჰილი. ის ამტკიცებს, რომ თვითმფრინავზე დაყენებული მფრინავი რაკეტები და მართვადი ბომბები ავსტრალიას რეგიონის წამყვან სამხედრო ზესახელმწიფოდ აქცევს.

**ბუკინგემის** სასახლეში ახალი გვარდიელი ჰყავთ. მარტინ უოლტერი სიმაღლით 2.21 სმ-ია და ცხადია, საგანგებო ფორმაც შეუკერეს, ყაზარმაში თავისი შესაფერისი საწოლიც დაუდგეს და შეიძლება ინდივიდუალური



სადარაჯო ჯიხურიც აუშენონ, რადგან გრენადერთა დათვის ბეწვის ქუდით არც ერთ ჯიხურში არ ეტევა. ორნახევარი საუკუნეა, ბუკინგემის სასახლის ქვეითთა პოლკში ასეთი გოლიათი არ მიუღიათ.

გვარდიელი სექტემბერში კენიაში გაივლის მომზადებას, შემდეგ წელიწადზე მეტხანს კვიპროსზე იმსახურებს. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს მონაწილეობას სასახლის კარის ცერემონიებში.

**ცენტრალური ამერიკა** შესაძლოა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ სამიზნე ზონად იქცეს. მექსიკის ხელისუფლების ოფიციალური ცნობებით, უსამა ბინ ლადენის წარმომადგენლები ქვეყანაში აგროვებენ მომხრეებს, რომლებიც მზად იქნებიან მთელ ამერიკაზე საბრძოლველად.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# „არა მგონია, ვინმემ დამალულის ლეგალიზება ნებაყოფლობით მოახდინოს“

ახალი საგადასახადო კოდექსის სრულყოფილი სახით გამოქვეყნებამდე, ეკონომიკის ექსპერტები დასკვნების გაკეთებას არ ჩქარობენ, ვინაიდან ჯერ არ არის ცნობილი განაკვეთების გამოანგარიშების წესი, რაზეც ფაქტობრივად დამოკიდებულია საგადასახადო ტვირთის რეალური შემცირება. ექსპერტებისთვის სიახლე აღმოჩნდა ბათუმში გაჟღერებული ჟვანიას ახალი ტერმინი „საგადასახადო არბიტრაჟი“, თუმცა არ უარყოფენ, რომ თუ მსგავსი დავების გადაწყვეტა კერძო არბიტრაჟის მსგავსად მოხდება, ეფექტი უდავოდ თვალში საცემი იქნება.

„მე არ ვიცი, რას ნიშნავს საგადასახადო არბიტრაჟი. სხვადასხვა ქვეყანაში არბიტრირების სხვადასხვა ფორმა გვხვდება. თუმცა იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ რთული ურთიერთობებია ჩამოყალიბებული საგადასახადო ინსპექციასა და გადამხდელს შორის, მომრიგებელი ინსტიტუტების შექმნა შესაძლოა სასიკეთოდ წაგვადგეს“, — აცხადებს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის ექსპერტი **ირაკლი შავიშვილი**.

ახალი კოდექსის შესახებ მოსაზრებებს საქმოსნებიც გვიზიარებენ და საგადასახადო კოდექსის შემდეგ ახლა უკვე ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯს, ფინანსურ შეწყალებას ელიან ინტერესით.

***თემურ ჭყონია,*** *„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს პრეზიდენტი:*

— ქვეყანაში ბიზნესის მთლიანად ლეგალიზება მხოლოდ საგადასახადო კოდექსსა და გადასახადების შემცირება-გაზრდაზე არ არის დამოკიდებული. ეკონომიკის ჩრდილიდან გამოსაყვანად სახელმწიფოსა და მეწარმეს შორის სწორი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაა საჭირო. სახელმწიფომ ჯეროვნად უნდა შეაფასოს თითოეული მეწარმის შრომა, დააფასოს მისი გარჯა და დამსახურება სახელმწიფოს წინაშე. თუ ახალი მთავრობა წინა ხელისუფლების შეცდომებს გაიმეორებს, უნდობლობას გამოუცხადებს მეწარმეებს და გაზრდის მაკონტროლებლების როლს ყოფილი მთავრობის ტრაფარეტული ლოზუნგით „ამოვიღოთ გადასახადები“, ნაცნობ ვითარებაში აღმოვჩნდებით. მიმაჩნია, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით მთლიანი საგადასახადო ტვირთი საგრძნობლად შემცირდება, თუმცა ამ კოდექსში ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი პუნქტია ჩადებული. ახალი კოდექსის თანახმად, ბიზნესმენი, მეწარმე თუ მოქალაქე ვალდებულია, სახელმწიფოს წინაშე თავისი უდანაშაულობა ამტკიცოს. მაშინ, როდესაც პირიქით უნდა ხდებოდეს; ანუ სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს ჩვენი დანაშაული. საგადასახადო კოდექსი, რომელშიც ფიგურირებს ტერმინი „სავარაუდო დარიცხვა“ არც უნდა განეხილოს პარლამენტმა — განუხილავად უნდა ცნოს უვარგისად. სავარაუდო დარიცხვა გულისხმობს, რომ შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ეჭვის საფუძველზე გადებს ყადაღას, მიაქვს შენი კუთვნილი თანხა, შემდეგ კი მეწარმეს უხდება სიარული და სამართლის ძიება ისევ იმ სახელმწიფო ინსტანციებში, ვინც ყადაღა დაადო. ამ ინსტანციებში კი გინდ გივლია და გინდ — არა.

**— მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო დავებს ორი ახალი ინსტიტუტი — გადამხდელთა ომბუდსმენი და საგადასახდო არბიტრაჟი მოაწესრიგებს...**

— თუ ორივეს ისევ სახელმწიფო დანიშნავს, არაფერი შეიცვლება. ჩვენ თუ მხოლოდ სახელს ვარქმევთ პირს, რომელმაც მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესები უნდა დაიცვას, გინდ ომბუდსმენი უძახე და გინდ სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოსამართლე.

**— მთავრობა ფინანსური ამნისტიისთვის ემზადება, თქვენ რას ელოდებით ხელისუფლების ამ ინიციატივისგან?**

— გადასახადების გადაუხდელობა, არასწორი საგადასახადო კოდექსი, ჩრდილოვანი ბიზნესი რომ არ ყოფილიყო, ისევ ძველი მთავრობა გვეყოლებოდა. ამიტომ სწორედ არაგადამხდელებმა, კონტრაბანდისტებმა და კორუფციონერებმა შეუწყვეს ხელი ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლას. აბა, ყველაფერი კარგად რომ ყოფილიყო, ვინ შეცვლიდა შევარდნაძეს, იქნებოდა ორასი წელი ქვეყნის სათავეში. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამნისტია ყველამ დაიმსახურა.

***ვიტალი კვინიხიძე,*** *პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე:*

— თუ არ იცნობ ადმინისტრირების პროცესს და თავად კოდექსის ტექსტს, საგადასახადო განაკვეთების ცოდნა ბევრს არაფერს იძლევა. რაც შეეხება შემცირებულ განაკვეთებს საერთო-საგადასახადო ტვირთთან მიმართებაში, მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით სხვაობა მხოლოდ 7-8%-ია, რაც მერწმუნეთ, ვერაფერი შეღავათია მეწარმეებისთვის. მაშინ, როდესაც საერთო-საგადასახადო ტვირთი თითქმის 80%-ია, ხოლო მთავრობა მხოლოდ მიზერულ შეღავათს მიკეთებს და თან გულზე ხელებს იბაგუნებს: — შეხედეთ, რა კარგ საქმეს ვაკეთებთო, ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. ასევე ვერ გამიგია, რას ნიშნავს ფინანსური ამნისტია, მაშინ, როდესაც ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ არსებობს დამალული გადასახადების გამოვლენისა და დოკუმენტურად დასაბუთების მექანიზმები. მითხარით, რომელი ჭკუათმყოფელი აღიარებს, წარსულში ქურდი ვიყავი და ახლა როგორმე შემინდეთ, მაპატიეთო. ვისაც გაუგეს ქურდობა, კარგად მოგეხსენებათ, რაც უქნეს, ამიტომ იმდენი მაგალითი გვაქვს ახლო წარსულში, რომ არა მგონია, ვინმემ დამალულის ლეგალიზება ნებაყოფლობით მოახდინოს. რომელ ფინანსურ ამნისტიაზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყანაში მოქმედებს კანონი დაუსაბუთებელი ქონების შესახებ...

***ზვიად ძიძიგური,*** *პარლამენტის წევრი:*

— უნდა გითხრათ, რომ პარლამენტში უკვე მოვიწვიე ექსპერტთა ჯგუფი, ვისთან ერთადაც სექტემბერში საფუძვლიანად განვიხილავთ წარმოდგენილ კოდექსს.

**— თუმცა უკვე კეთდება პროგნოზი იმის შესახებ, რომ პარლამენტი ხმათა უმრავლესობით სწორედ კოდექსის იმ ვარიანტს დაამტკიცებს, რომელიც თავად მთავრობამ მოიწონა.**

— სამწუხაროდ, პარლამენტში რაიმე საკითხზე მსჯელობამ და მოსაზრების გამოთქმამ აზრი დაკარგა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში პარლამენტმა სრულიად შეგნებულად თქვა უარი ხელისუფლების ქმედებათა გაკონტროლებაზე. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ საგადასახადო კოდექსსაც კრიტიკის გარეშე, ერთხმად მიიღებენ.

**— მართალია, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, მაგრამ პირველი ნაბიჯი ახალი ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად, ფაქტობრივად, გადადგმულია.**

— ეკონომიკის აღორძინებისა და მისი გაჯანსაღებისთვის გადადგმული ნაბიჯი მე ჯერ არ მინახავს. ბიუჯეტში შემოსული თანხები მკაცრი ადმინისტრირებისა და გენერალური პროკურატურისგან რამდენიმე პირზე ზეწოლის შედეგია. როდესაც გამუდმებით გვიყიჟინებენ, რომ შემოვა მძლავრი ინვესტიციები, როგორც რუსეთიდან, ასევე მეზობელი თურქეთიდან, რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი. დღეს საქართველოში სტაბილური არც ეკონომიკური გარემოა და არც პოლიტიკური. ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველ სამ თვეს აჭარის კრიზისი გრძელდებოდა. ახლა კი ცხინვალის რეგიონის კრიზისი წამოგვეწია. ასეთ პირობებში არც ერთი სერიოზული ინვესტორი არ ჩამოვა და არ იყიდის არაფერს, რამდენიც უნდა გამოაქვეყნონ საპრივატიზაციო ობიექტთა სიები. საგადასახადო კოდექსზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. თუ ეს იქნება ნამდვილად სერიოზული და რეალური საგადასახადო კოდექსი, მან ხელი უნდა შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების ხარჯზე. ეს კი ხელს მოგვცემს, რომ ვიფიქროთ არა დასავლურ ინიექციებზე, არამედ იმ შიდარესურსების ამუშავებაზე, რომლებიც რეალურად გვაქვს და რომელიც ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის უნდა გახდეს პრიორიტეტული.

# ის, რომ 10-15 დოლარის გადახურდავებით ვიღაც შავ ფულს ათეთრებს, სრული აბსურდია

ეროვნული ბანკი სავალუტო ჯიხურებზე კონტროლს ამკაცრებს — 2004 წლის 1-ელი სექტემბრიდან, ნებისმიერი ოდენობით თანხის გადახურდავების შემთხვევაში, სავალუტო ჯიხურის თანამშრომელი ვალდებული იქნება, მომხმარებლის პიროვნების იდენტიფიკაცია მოახდინოს; ანუ პირადობის მოწმობის გარეშე ერთი დოლარის ფულად ოპერაციასაც ვერ განახორციელებთ. გარდა ამისა, საქართველოს საფინანსო სამსახურის ინიციატივით, დაწესდება მაქსიმალური ფულადი ზღვარი 30.000 ლარის ოდენობით, — ამ თანხის ან უფრო მეტის გადახურდავების შემთხვევაში, თქვენ მიერ განხორციელებული ფულადი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის სამსახურებს გადაეცემა. ამ გზით ხელისუფლება შეეცდება, ქვეყანაში შავი ფულის გათეთრების პროცესი აღკვეთოს და, შესაბამისად, ნებისმიერი თანხის წარმომავლობაზეც კონტროლი დააწესოს.

**როსტომ ჩივაძე,** სავალუტო ჯიხურის მეპატრონე:

— ეროვნული ბანკის ახალი ინიციატივა საკმაოდ გაართულებს ვალუტის გადახურდავების პროცესს. დიდი თანხის გადახურდავების შემთხვევაში, მოქალაქის მონაცემების დაფიქსირება აქამდეც გვევალებოდა, მაგრამ ნამდვილ გვარ-სახელს თითქმის არავინ გვეუბნებოდა. ხელაღებით ყველას ყაჩაღობასა და შავი ფულის გათეთრებაში ბრალს ვერ დასდებ, ინკოგნიტოდ დარჩენის სურვილი მოქალაქეს იმის გამოც უჩნდება, რომ თუნდაც მეზობელმაც კი არაფერი იცოდეს მისი ქონების შესახებ. როდესაც ხელისუფლება ბიზნესის ლეგალიზაციაზე ლაპარაკობს, კარგი იქნებოდა, თუ ფიქსირებულ გადასახადს შემოიღებდა, თუნდაც 100 აშშ დოლარს თვეში. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სავალუტო ჯიხურის მეპატრონე პირნათლად დააფიქსირებდა, რომ ივაჭრა, მაგალითად, 2.227 აშშ დოლარი, ნაცვლად 227-ისა, რომელსაც ჩვეულებრივ წარადგენენ ხოლმე. ვფიქრობ, ეს ახალი ინიციატივა მნიშვნელოვნად შეამცირებს სავალუტო ჯიხურების რაოდენობას ქალაქში.

იკვეთება კიდევ ერთი ტენდენცია: ეროვნული ბანკის ინიციატივა შეაფერხებს დოლარის მიმოქცევას ქალაქში, რაც თავისთავად გაზრდის მასზე მოთხოვნას. ნურც იმას დაიჯერებთ, რომ 30.000 ლარს გადასახურდავებლად ვინმე ერთ სავალუტო ჯიხურში მოიტანს. დარწმუნებული ვარ, ბანკები ამ ინიციატივას სათავისოდ გამოიყენებენ, რადგან მოსახლეობას სულაც არ ექნება იმის სურვილი, რომ პირადი მონაცემები ნებისმიერ „ვალუტჩიკს“ დაუტოვოს.

**გელა მურღულია,** საქართველოს ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის ასოციაცია:

— როდესაც მომხმარებელი სავალუტო ჯიხურში ან ბანკში მიდის მინიმალური თანხის გადასახურდავებლად, ეს იმდენად მარტივი პროცედურაა, რომ მისი აღრიცხვიანობა კლიენტის მომსახურების პროცესს ძალზე გააჭიანურებს. ეს კი უხერხულობას უპირველესად კლიენტს შეუქმნის, — იძულებული იქნება სულ მობილიზებული იყოს, თან ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვათა შორის, წვრილ კუპიურებს ჯიხურებში უმეტესად ახალგაზრდები ახურდავებენ.

**— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული მინიმალური ზღვარი?**

— რა თქმა უნდა, მინიმალური ზღვარი უნდა დაწესდეს. შესაძლოა, ეს იყოს 500 აშშ დოლარი ან უფრო მეტიც... სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია, რაც არსებობს ეროვნული ბანკის ბრძანებულება, რომ 1000 დოლარზე ზემოთ თანხის გადაცვლის ოპერაცია გატარდეს რეგისტრაციაში და გაიცეს ვალუტის გადაცვლის შესაბამისი ჩეკი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო რეგისტრაციის პროცესით, თუმცა დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა ყოველთვის უჭირდათ ხოლმე.

**— სავალუტო ოპერაციების რეგისტრირების მიზეზად შავი ფულის მიმოქცევაზე კონტროლი დასახელდა...**

— თუ ვინმე ყოველდღიურად მოდის 10-15 ათასი დოლარის გადასახურდავებლად, შესაძლოა მისმა ქმედებამ ეჭვი გაუჩინოს ვინმეს. მაგრამ ის, რომ 10-15 დოლარის გადახურდავებით ვიღაც შავ ფულს ათეთრებს, სრული აბსურდია.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ ეს პროცესი ლარის კურსზე აისახოს?**

— ფულის გადაცვლის პროცესის გართულება ან გამარტივება პირდაპირ ლარის კურსის გამყარებაზე ან დევალვაციაზე ვერ იმოქმედებს. თუმცა ისინი, რომლებიც ამჯობინებენ, რომ მცირე დანაზოგი უცხოური ვალუტით ჰქონდეთ, თავისთავად თავს აარიდებენ უხერხულ პროცედურას, რაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაამყარებს ეროვნულ ვალუტას.

**ნიკა გეგუჩაძე,** საქართველოს ეროვნული ბანკის საფინანსო სამსახურის უფროსი:

— ლიცენზირებული სავალუტო ჯიხურების მიერ მომხმარებლის რეგისტრირება 2002 წლიდან დაიწყო, თუმცა სრულფასოვნად არ სრულდებოდა. დებულებაში გარკვევით არის მითითებული, რომ ვალუტის გადამცვლელ პუნქტს არ აქვს უფლება აწარმოოს ოპერაცია, თუ არ მოახდენს მომხმარებლის იდენტიფიკაციას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი სამსახურის მოთხოვნა მხოლოდ პირადობის წარდგენის პროცედურა არ არის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ საეჭვო ფულადი ოპერაციის შემთხვევაში, ან თუ გადასახურდავებელი თანხა 30.000 ლარს აჭარბებს, ინფორმაცია ავტომატურად გადმოდიოდეს ჩვენთან, ეროვნული ბანკის საფინანსო სამსახურში. გაუგებარია, რატომ მიიღო პირადობის მოწმობების წარდგენის მოთხოვნამ ნოვაციის სახე და ხალხში უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ეს პროცესი მათ რეგულარულად, 1999 წლიდან, პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების გამოსვლისთანავე უნდა გაევლოთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია არალიცენზირებული გადამცვლელი პუნქტი, რომლებიც ერთი შეხედვითაც იოლი საცნობია. ვალუტის გადამცვლელი ჯიხური, რომელიც არ არის დაცული ტყვიაგაუმტარი მინით, არ გააჩნია ყალბი ფულის ამომცნობი სპეციალური დანადგარი და სავალუტო ოპერაციის განხორციელების შემდეგ არ გაძლევთ ქვითარს, არალიცენზირებულია. ამიტომაც არის მოსახლეობის მოტყუებისა და ყალბი ფულის ბრუნვაში ჩაშვების შემთხვევები... მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყველა პრობლემა ეტაპობრივად გადაწყდება და ჩემ მიერ ჩამოთვლილი დარღვევების აღკვეთაც მოხერხდება.

**— სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეროვნული ბანკი ძალიან დაწვრილმანდა და უპრიანი იქნებოდა, დაგეწესებინათ მინიმალური ფულადი ზღვარი, რომლის გადახურდავებაც პიროვნების იდენტიფიკაციის გარეშე მოხდებოდა...**

— ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა, როგორც პარლამენტთან, ასევე ეროვნულ ბანკთან. ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, რა ოდენობის თანხა დაწესდება, თუმცა ყველა ღონეს ვიხმართ, რომ უკვე არსებული კანონიც და ჩვენი ინიციატივაც რეალურად განხორციელდეს.

***გვერდი მოამზადა ემა ტუხაშვილმა***

წმ. ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) სახელობის სკოლა
იწყებს მოსწავლეთა მიღებას
მის: ჭავჭავაძის 74ა, III სართ. (ვაკის პარკთან).
☎ 22-41-95; 899-14-22-16
899-16-22-41


„ექსპრეს თრეველ“
მისამართი: თბილისი
მელიქიშვილის 41
ტელ: 91-23-08; 25-28-95
aviabileTebi yvela mimarTulebiT
dasveneba sazRvargareTis kurortebze

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 28 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8000 |
| ევრო | 2,178 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,260 |
| რუსული რუბლი | 0,061 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,189 |

„ალუმინიუმის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779


შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
სხვადასხვა ფერები და საკეტები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ოტია და მისი ძაღლი



გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში მივლინებით ვიყავი ჩასული ჩოხატაურის რაიონში. მასპინძლები ისე როგორ გამომიშვებდნენ და საღამოს რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად მოვხვდი სოფელ ხიდისთავში, ოტია კალანდაძის ოჯახში.

ეს ამბავიც იმისგან მოვისმინე. სხვათა შორის, მას შემდეგ სხვისგან არც მომისმენია და არც წამიკითხავს:

„ერთხელ ნოდარ დუმბაძე (რომელიც ჩემი სკოლის მეგობარი იყო) მისი სახლ-მუზეუმის გახსნაზე ხიდისთავში ჩამოვიდა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ჩამოსული სტუმრებისათვის და ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვის სუფრა ჩემს ოჯახში გაიშალა. სახლთან რომ მივედით, ეზოდან ყეფით გამოვარდა მართლაც დიდი ნაგაზი (რომლის დამწყვდევა დამავიწყდა). სასწრაფოდ დავაბი ძაღლი და სტუმრები სახლში შევიპატიჟე. ნოდარმა ხელი გამომდო და მკითხა: — ოტია, ძამა, რად გინდა ამხელა, კამეჩისტოლა ძაღლიო? მეც შევეხუმრე: — ნოდარია, ცოლი მყავს ძალიან ლამაზი, მეშინია, არ მომტაცონ და ძაღლიც ამიტომ შევიძინე-მეთქი. რასაკვირველია, კარგად ვიქეიფეთ, კარგი დრო გავატარეთ და სტუმრებს რომ ვაცილებდი, გამომშვიდობებისას ნოდარმა ფეხი აითრია, დამიმარტოხელა და მითხრა: — ოტია, ძამა, იცოდე ტყვილა აჭმევ პურს მაგხელა ძაღლსო“.

***ნოდარ ჩილაშვილი, თბილისი***

## 2. საცოდავი ინდაური



ეს ამბავი იმერეთში მართლა მოხდა, მოგონილი არ გეგონოთ. კარგი მსმელი და მომლხენი გოგია დღეს არ გააცდენდა, ვინმესთან მაინც იქეიფებდა. სწორედ ისეთი კაცი იყო, ეს სახუმარო სიმღერა რომ შეეფერებოდა:

*დღეს აქანე ვიქეიფებ,*
*ხვალე იქინეო.*
*ზეგა ვინცხა დამპატიჟებს*
*მისი ჭირიმეო...*

ერთ დღეს ეს ჩვენი გოგია ძმაკაცის სახლს მიადგა. როგორც ყოველთვის, ეზოში გულმხურვალედ შეიპატიჟეს... თუმცა, სუფრის გაშლას ზოზინით შეუდგნენ. ამ დროს ძმაკაცის დედამ საქათმიდან ინდაური გამოიყვანა, მაგრამ დასაკლავად ვერ იმეტებს მოფართხალე ფრინველს. ბოლოს ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ისე იფართხალოს ჩვენმა სტუმარმა, რავარც შენ ფართხალებ, ჩემო საცოდავი ინდოუროო!

ჩუმად კი თქვა, მაგრამ ხმამაღლა გამოუვიდა.

***ქეთევან მაღლაკელიძე, კასპი***

## 3. ყაზანის უნივერსიტეტი



გასული საუკუნის 70-იანი წლებია. ახმეტის „სოფლტექნიკაში“ ვმუშაობ ბუღალტრად. „სოფლტექნიკის“ მექანიზატორი მაღრაანელი ფიდა მიყვება: ერთხელ, ვარდენა (ვარდენა იყო გვარად ალბუთაშვილი, „სოფლტექნიკის“ ყოფილი მმართველი, ცნობილი თავისი კახური იუმორით) ვერ შემხვდა რაღაც ხასიათზე. ვიფიქრე, ვინმემ ხომ არაფერი უთხრა ჩემზე-მეთქი და მეორე დღეს შევედი მასთან კაბინეტში. ვეუბნები, ვარდენ ნასიმოვიჩ, მართალია, დღეს ტრაქტორისტი ვარ, მაგრამ ცოტა რაღაც მეც მისწავლია. აგერ, ბაკურციხის ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული და... რომ უნდა მეთქვა, ჩემი იმედი გქონდეთ-მეთქი, სიტყვის დამთავრება აღარ მაცალა. ერთი ამრეზით ამათვალიერა და მითხრა: — დედიშენისამ, ყაზანის უნივერსიტეტი გაქვს დამთავრებულიო!..

***ზაურ ბობღიაშვილი, ახმეტის რაიონი, სოფელი ზემო ალვანი***


# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 1 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 სექტემბრის 13 საათამდე.*

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №35


## 4. „გულჩვილი“ მედუდუკეები



ჩემს სოფელში ერთი ოხუნჯი კაცი ცხოვრობს — ამირანა. მის ოინებზე ბევრს იცინიან.

წლების წინ ამირანას ერთი ძალზე მოხუცი ნათესავი გარდაეცვალა. წესისამებრ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი აღასრულეს. დადგა დაკრძალვის დღეც. ეს ის დრო იყო, როცა პროცესიას მედუდუკეების თანხლებით მიაცილებდნენ. ამირანას დუდუკებისთვის ჩუმად მწარე წიწაკა წაუსვამს. მედუდუკეებმაც მოიმარჯვეს თავიანთი ინსტრუმენტები და გაისმა აკვნესებული მელოდიები. ერთ წუთში კი მედუდუკეებს ლაპალუპით ჩამოსდით ცრემლები. სიმწრისგან ლამის გაგიჟდნენ, მაგრამ მუსიკას ხომ არ შეწყვეტენ! ტირიან, მაგრამ რას ტირიან! ოჯახის წევრებს შერცხვათ, ჩვენზე ძალიან ამათ დასწვიათ გულიო და თვითონაც ატირდნენ. მედუდუკეების შემყურე ხალხი გაოცებული იყო — ასეთი გულჩვილი დამკვრელები ჯერ არ გვინახავსო და ახლა ისინიც ატირდნენ.

გამონაკლისი მარტო ამირანა და მისი ძმაკაცები იყვნენ. სადღაც მიფარებულში იდგნენ და თავიანთ ოინებზე იცინოდნენ.

***გიორგი ტურაშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი ჯიმითი***

## 5. მაია ჩიბურდანიძე და მეპურე ბიჭიკო




ეს ის პერიოდია, მაია ჩიბურდანიძე ნონა გაფრინდაშვილის დამარცხების შემდეგ მორიგ მსოფლიო პირველობაზე რუს მოჭადრაკეს რომ ხვდება. რა თქმა უნდა, სოფლის „ბალელშჩიკებს“ აინტერესებთ შედეგი. მეპურე ბიჭიკო მანქანის ქვეშაა შემძვრალი (ბიჭიკო დაქიურიძე დღესაც პურს აცხობს. ზემო ალვანელია და ხალხი დღესაც მეპურე ბიჭიკოს ეძახის). ერთ-ერთი გამვლელი, ჩიბურდანიძის გულშემატკივარი გაჩერდა და მეპურეს შესძახა. — ბიჭიკო, ხომ არ იცი, ჩიბურდანიძემ რა ქნაო?.. მეპურე ბიჭიკომ თავი გამოჰყო მანქანის ქვეშიდან და გასძახა: — რა ვიცი, მაგის ცოლ-შვილიცო!.. ასეა, მეპურემ მარტო პური აცხოსო.

***ალვანელი***

## 6. კუჭები გიას შეუნახეთ!..



მოგეხსენებათ, რა სატყუარა და „მიმზიდველია“ ხინკალი, განსაკუთრებით, მეათეკლასელი ბიჭებისთვის. ჯიბეში შაურიანს აღარ დაგიტოვებს: კაპიკ-კაპიკ აგროვებენ ხოლმე ახალგაზრდები დანაზოგს სახინკლეში საქეიფოდ.

გია კ.-ძეც სწავლობდა თავის დროზე მეათე კლასში. იგი, ვიდრე საკმაოდ დიდი კაცი გახდებოდა, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი იყო, მომჭირნეობით რომ ზრდიდნენ ოჯახში მომავლის იმედად. ხინკალი ძალიან უყვარდა მაშინაც და შეძლებისდაგვარად ჩაერთვებოდა ხოლმე „აგდებულ ვარიანტში“. ისეც ხდებოდა — უფულოს ბიჭები დაპატიჟებდნენ ხანდახან და ამ სიამოვნების თანამონაწილედ ხდიდნენ. ერთს ამჩნევდნენ ჭაბუკები — იმდენად გაერთობოდა ხოლმე გია ხინკლის ჭამაში, კუჭებიც შემოეჭმებოდა ხოლმე გზადაგზა: ძმაკაცებთან კი თავს იმართლებდა — კუჭები ხინკალზე მეტად მიყვარს, არ ვიცი კი, რატომო!.. ბიჭები მრავლისმეტყველი ღიმილით გადახედავდნენ ერთმანეთს...

ერთხელაც, ნიკომ „ააგდო ვარიანტი“ და სახელდახელოდ შეკრიბეს თორმეტი მანეთი. მათში გიას ორი მანეთიც ერია. თორმეტი მანეთით ლუდიც მოუვიდოდათ ხუთივეს, ხინკალიც — საკმაოდ, აი, სპირტიანი სასმელისა კი რა მოგახსენოთ!

— გია, პუტკუნასთან (ასე ეძახდნენ ერთ თანაკლასელ გოგონას. — ავტ.) გაივლი, გუშინ შეგვპირდა — მამაჩემს კარგი სომხური კონიაკი აქვსო და გამოგატანს! თუ გასული იყოს, ნახევარ საათს მოუცდი. — ასე დაგვიბარა. ჩვენ „ბელიამინოვზე“, სახინკლეში დაგელოდებით! — უთხრეს ძმაკაცებმა.

გიასაც სხვა რა გზა ჰქონდა, რა იცოდა, ბიჭებს რა ჰქონდათ გულში. რა თქმა უნდა, არც ის იცოდა, პუტკუნას ოჯახი ორი დღით სოფელში რომ იყო წასული.

... როცა სახინკლეში მივიდა, ბიჭებს ხინკლის ჭამა უკვე მოეთავებინათ. კუჭები ყველას ერთად მოეგროვებინა მოზრდილ ლანგარზე და ისხდნენ არხეინად.

— ჩემი ხინკალი სადღაა? — გაიკვირვა გიამ.

— შენ ხომ კუჭები უფრო გიყვარს!.. უკლებლივ შეგინახეთ ყველამ, — გაუღიმა ამირანმა.

— კიდევ კარგი, მწვადი არ გიჭამიათ, თორემ თქვენი ღორმუცელობის ამბავი რომ ვიცი, შამფურებსაც გადასანსლავდით და მარტო მაყალს დამიტოვებდით! — ჩაილაპარაკა გიამ.

***გერონტი მესხი, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**7.** ნარკომანმა სარკეში საკუთარ თავს მოჰკრა თვალი და ალტაცებით შესძახა:

— ვა, შენ ჩემი კლონი ხარ, ტო?

***„შანსია“, ლანჩხუთის რაიონი, სოფელი შუხუთი***

# მილოცვა



**ქეთევან ქიმერიძეს**

ჩვენო საყვარელო ქეთევან, ჩვენი ოჯახის მშვენებავ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას შენს მშობლებთან და დაიკო მარიამთან ერთად.

გფარავდეს მაღალი ღმერთი

*შენი მოსიყვარულე მშობლები, ბებიები და პაპები.*

**2 წლის იურიკო**



ჩვენს საყვარელ პატარა ვაჟკაცს, იური მიშიკოს ძე ხარებავას, მარიამობის თვეში დაბადებულს, გილოცავთ დაბადების დღეს და მარიამობის დღესასწაულს, გაზრდილიყავი სასახელო ჩვენთვის და მთლიანად საქართველოსათვის.

*გკოცნით, ნელი წოწორია ოჯახით*



**ჩვენს საყვარელ შვილიშვილს — გიორგი გვაზავას**

ვულოცავთ დაბადების დღეს — სამი წლის შესრულებას, ვუსურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას და ნაღდ ქართველობას. საქართველოსთვის, ბიჭო, სწორდი!

*ბებია ციალა და ბაბუა გიორგი. მამიდა ნინო, ყველა მისი მოსიყვარულე ადამიანი*

**ოთიკო ბუხუტის ძე დიხამინჯიას.**

ახალგაზრდა ექიმს, მარიამობის თვეში, მარიამობის რიცხვში დაბადებულს, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წინსვლას, წარმატებებს ყოველგვარ ჭკვიანურ ჩანაფიქრებში.

*გკოცნი ციცო მოსიავა, ღმერთმა დაგლოცოთ*

**ჩემო გიო!**



მთელი საქართველოს სიხარულს ჩემი განუსაზღვრელი სიხარულიც მინდა შევუერთო.

შენი შემართება და სურვილი დადგა ყველაფერზე მაღლა და შენ დღეს ახვედი ოლიმპიურ მწვერვალზე. ჩემო შვილო, გისურვებ წარმატებებს, იხარე და იდღეგრძელე შენი დიდი ოჯახით.

*შენი ციალა*

**ჩვენს ძვირფას მეუღლეს და დედას, ლეილა მესხს (ნიბლიას)**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს.

*მეუღლე თემური, შვილი ბესო მესხები*

**ის ურჩევნია მამულსა...**

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა რესპუბლიკური საავადმყოფოს XI სართულზე, სადაც პროქტოლოგიური ცენტრია განთავსებული, უდავოდ დამეთანხმება მისი ხელმძღვანელის, პროფესორ გელა მუხაშავრიას ძლიერი პიროვნების, ორგანიზატორისა და პროფესიონალიზმის შეუდარებელ ნიჭზე. ცენტრის დერეფანში კედელზე ლამაზი, დალოცვილი ქართული ასოებით გამოკვეთილი პროფ. გ. მუხაშავრიას ბრძნული აზრებია ჩარჩოში ჩასმული. მაგ. „კანონმორჩილება, სიმართლე, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი“.

ყოველი კონკრეტული ოპერაცია ბატონ გელას ღრმად გააზრებული, გაანალიზებული აქვს და იცის, რომ ის დადებითად დამთავრდება. ამის ნათელი დადასტურებაა სულ ერთი კვირის წინ ჩემს ახლობელზე ჩატარებული ურთულესი ოპერაცია, რომელიც ვაჟა მანჯგალაძეს გაუკეთდა, რისთვისაც ულრმეს მადლობას უხდიან მას და მთელ მედპერსონალს პაციენტის ოჯახი და ახლობლები.

აღნიშნული წერილით არ მინდოდა ისედაც საქვეყნოდ ცნობილი დასტაქრის, პროფ. გ. მუხაშავრიასთვის მადლობა მეთქვა. მადლობას იმსახურებს მისი ვაჟი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სამი შვილის მამა ბატონი გია მუხაშავრია. მკითხველმა არ იფიქროს, რომ მამამისი მისი „კრიშაა“. ღმერთმა ყველა მშობელს მისცეს ისეთი შვილი, ბატონი გია ტოლს არ უდებს უფროსებს და მის მიერ ჩატარებული ოპერაციები ისეთივე ზუსტი და შედეგიანია.

მამა-შვილზე როცა ვმსჯელობ, ილიას სიტყვები მაგონდება: „ძნელდ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზე მარტო დიდი ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატარებს, ვისაც მოჰმადლებია გულთა სრულობა, დიდ-ხასიათობა, ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს“. ვერც ერთი უნივერსიტეტი თუ აკადემია ვერ ასწავლის მომავალ მკურნალს ავადმყოფთან ისეთ ურთიერთობას, რითაც მამა-შვილი მუხაშავრიები დაიკვეხნიან.

აღნიშნულ წერილს ტყუილად არ წარვუმძღვარე სათაური: „ის ურჩევნია მამულსა“, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. ამ შემთხვევაში მამაც და შვილიც მამულისათვის შესაშურად ძლიერები არიან. აფერუმ თქვენს მარჯვენას, ძლიერო, მადლიანო დასტაქრებო, მუხაშავრიებო, უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა მამა-შვილები.

*პ. გეჯაძე*

საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების, სიკეთისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის მადლობა გვინდა მოვახსენოთ: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ თეიმურაზ გოგიტიძეს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსს, ბატონ კობა კობახიძეს, მოადგილეს დავით ზაქარიაძეს, სასამართლო აღმასრულებელს მარი ყაულაშვილს, სააღსრულებო დეპარტამენტის პოლიციის სამმართველოს ქ. თბილისის განყოფილების პოლიციის უფროსს, გია ნასყიდაშვილს, პოლიციის თანამშრომლებს: დავით მივლიშვილს, გია გელაშვილს, ივანე ლუაშვილს, მამუკა თურქაძეს.

იხარეთ და იბედნიერეთ!

*ვალენტინა ბებიაშვილი, თემურ კაცობაშვილი, ავთო ბერიშვილი*

# მადლობა

გულისხმიერების, კეთილშობილების, უანგარო დახმარებისთვის გულითად მადლობას მოვახსენებ რესტორან „წისქვილის“ დირექტორს, **ხათუნა მაღლაკელიძეს** და მის თანამშრომლებს, სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი მარტოხელა პენსიონერი, ქართველი ლიტველი ვ. კ. ნორკუსი. ღმერთი შეგეწიოთ!

# ბინები

სასწრაფოდ! ბორჯომში პრესტიჟულ ადგილას, IV სამმართველოს წინ, ფიჭვნარში, ახალაშენებულ, მონოლითურკარკასიან, ელიტარულ 4-სართულიან სახლში, III სართულზე, 5-ოთახიანი ბინა (194 კვ.მ) ფართი აივნების გარეშე. 5 აივნით (27 კვმ) ა/ფარეხით (50 კვ.მ) და სარდაფით (50 კვმ) ფ. 39700$-ის ექვივალენტი ლარებში. ტელ: 96-85-67; 65-02-00 899 29-19-59 ირაკლი.

ქობულეთში იყიდება 2,5-ოთახიანი (57 კვმ) სუფთა ბინა ზღვასთან ახლოს 9(7) სართულზე ფასი 8500$. ტელ:899 77-53-35

# გთავაზობთ სამუშაოს

საინფორმაციო-საქმიანი ცენტრი „ახალი ცხოვრება, "NL" იწყებს მსურველთა დასაქმებას ცენტრში სარეკლამო მენეჯერის თანამდებობაზე ინფორმაცია (ფასიანი) გაიცემა ყოველდღე 11.00 (კვირის გარდა) მისამართზე: მშენებლობის სამინისტრო (ვაჟა-ფშაველაზე) ოთახი 808. ნანა პაპულაშვილი 8.77.47-27-21

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

სიახლე!! მათთვის, ვისაც ჰყავს მეგობრები, ნათესავები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი სთავაზობს პარტნიორულ თანამშრომლობას. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და მუშაობა ნაწილობრივი ან ძირითადი დატვირთვით. გვაინტერესებს რეგიონებიდანაც წარმომადგენლები. 52-44-10. 893 33-18-86

# მომსახურება

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას. სამეულები, ტახტები, მატრასები, სკამები, ნაჭრის შეცვლა-დარბილება. ტელ: 76-01-33 გია, საღამოს საათებში

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების გადაკვრა, გაახლება. სკამების მატრასების განახლება, ვღებავთ ტყავის სამეულებს. 95-97-12 893 37-70-97 ვალერი

# მკურნალობა

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი. საპარიკმახერო კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115 (ეზოში). ტელ: 94-01-82 (სამს.) 96-22-89 (ბინა).

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში (ფიჭვნარი) სხვადასხვა კომფორტის და პირობების კერძო ბინებში, სამჯერადი კვებით ჩვენს კაფესასადილოში. ყველაფერი ეს შედის საგზურის ღირებულებაში: 10 დღე – 120-130-140-150-170-220 ლ. შეღავათები – ბავშვებსა და ჯგუფებზე. მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში). კაბ. №31. „მკურნალი სუმბაძე“. ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

იყიდება სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ), 899 (27-38-99) 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

სამედიცინო ფირმა „მონადა“ გთავაზობთ ნევრალგიების, რადიკულიტების, ხერხემლისა და სახსრების დაავადებების, საოპერაციო დისკოზების მაღალეფექტურ მკურნალობას. მწვავე ტკივილი იხსნება 1-2 დღეში. მკურნალობის მეთოდი კომპლექსურია, შედეგი – მაქსიმალურად გარანტირებული!!! მიღება წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე 39-39-97 კლინიკაში, 8(99) 57-16-99 ექ. მ. ალექსიშვილი

პირველად საქართველოში! ალკოჰოლიზმთან ბრძოლა, ნარკოტიკების დაბინძურებისაგან ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღება, გართულებების მკურნალობა: 1) ნევროზები. 2) ჰეპატიტები, 3) ჰალუცინაციები. 4) კანის ალერგიული რეაქციები, ინტოქსიკაციები (მოწამვლები). ბალახეული პრეპარატები ნაკურთხია სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ (ავად. ლიხაჩოვის მეთოდებით). 22-63-90 ექიმი ნინო

გაჯანსაღება ბიოენერგო ინფორმაციით პიროვნების გარეშე: ალკოჰოლიზმი, ფსიქიკური აშლილობა, უძილობა, შიში, აგრესია, აკვიატებული აზრები, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, დეპრესია, სევდა, ნაღველი, მოუსვენრობა, შფოთიანი ძილი. ტელ: 899-49-84-23 ლიც: 00095 ნონა

მამაკაცების საყურადღებოდ! გაჯანსაღება მაქსიმალური შედეგით: პროსტატიტი, სოკოვანი, ინფექციები, პენისის ანთება, კონტაქტის შიში, სპერმის ხარისხი, ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, სქესობრივი სისუსტე, ბუასილი, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, ნევროზი. კეთდება კომპიუტერული დიაგნოსტიკა ტელ: 899-49-84-23 ნონა ლიც:00095

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის (პახმელიის) სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, აგრესიულობა, ჰეპატიტები. ორგანიზმის სრული გაწმენდა. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისაგან უჩუმრად. პრეპარატები დამზადებულია კრემლის ლაბორატორიაში. არის უსაფრთხო და ეფექტური. 53-08-02 საღამოს. 99-75-90 დილით, თამრიკო

# იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი – ფასი $200-მდე, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

# სხვადასხვა

ძვირფასო მეგობრებო, 6 სექტემბრიდან გაზეთი „სისხლიანი სიყვარული“ გამოვა ახალი სახელით „პაემანი“. ტელ: 93-49-72 მობ: 899-56-32-59

ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ კლასში, 2004-2005 სასწავლო წლისათვის. სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლების პერიოდში მოსწავლეები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან. საშუალო განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან ჯაგრისების დამზადებასა და მასაჟისტის პროფესიას, რის შემდეგაც ენიჭებათ მე-3 და მე-4 თანრიგის ოსტატისა და მედიცინის დისკვალიფიკაცია, ჯანმრთელობის დაწესებულებებში მუშაობის უფლება. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ისან-სამგორის სახ. რაიონი, გუთნის ქ. №6 (მეტრო ავლაბარსა და სასტუმრო „მეტეხს“ შორის). ტ: 77-14-83; 77-32-33; 77-32-10



**ყველა „კვირისპალიტრელს“**
თანაუგრძნობ ქალბატონ ლალი გუნთაიშვილის გარდაცვალების გამო.



## გრიშა (ბიძინა) მეტრეველის გახსენება

ჩემო საყვარელო ბიძი, ხუთი წელი ხდება 7/IX-ს შენ რომ აღარ მყავხარ, მიჭირს უშენოდ ცხოვრება. უაზროდ თენდება და ღამდება ჩემთვის. დარჩენილ სიცოცხლეს, მხოლოდ ერთი იმედით – შენთან მალე შეხვედრის მოლოდინში ვატარებ. მენატრები ძალიან, მწარეა ჩემთვის სიცოცხლე. მიჭირს სიტყვებით გადმოგცე ის მწუხარება, რასაც მე უშენოდ განვიცდი. მიწა დამძიმდა ჩემი ცრემლებით. მენატრება შენი მოფერება, შენი ტკბილი საუბარი. ყოველი წუთი შენითაა გაჯერებული, ვერც შენი გადიდებული სურათები და ვერც შენი სამარე ვერ მაჯერებს, რომ ცოცხალი აღარ მყავხარ. სასაფლაოდან მოსული მაინც შენ მოსასვლელ გზას გავცქერი და კარისკენ მაქვს თვალები, მგონია ან აგერ შემოხვალ და ან აგერ.

ჩემო სიცოცხლე, რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისი ხდება გაცნობიერება იმისა, რომ ამ ქვეყნად ვეღარასოდეს შეგხვდები. უშენოდ ჩემი სიცოცხლე კი დიდი სასჯელია ჩემთვის.

„შენთან ცხოვრება მართლაც რომ ღირდა
შენთან სიცოცხლეს არა სჯობდა რა,
ისე მაცხოვრე ორმოცდაერთი წელი,
მე გაჭირვება არა მქონდა რა.
რა ბედნიერი ვიყავი მაშინ
ციხესიმაგრე გვერდით რომ მყავდა,
დღეს რაღა არის ჩემი სიცოცხლე
შენ მანდ მიწა გჭამს, მე კი აქ დარდი.“

ღმერთს ვთხოვ ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ჩემო საყვარელო ბიძი.

*მეუღლე თამარი*

## მზია მეტრეველის ხსოვნას!



40 დღე გავიდა უშენოდ, დედა!

ყოველი დღე წელიწადივით გაიწელა: თავი სიზმარში გვგონია, ვერ ვიჯერებთ გული შენი მოფერებით, მაგრამ ერთი რამ გვანუგეშებს მხოლოდ: ღმერთს უფრო მეტად ყვარებიხარ:

დიდება უფალს!

მუდამ ვილოცებთ შენი სულისათვის, ჩვენო ლამაზო დედიკო.

*შენი დიდი ოჯახი*



## გიორგი (გია) კვატაშიძის ტკივილიანი მონატრება.

4 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო, სანატრელო შვილო. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ვერ დაესწარი 35 წლის შესრულებას. დაუნდობელმა უგულო, ვერაგმა ბიძაშვილმა მოგისწრაფა სიცოცხლე, არ გაცალა შენი ვალის მოხდა შვილების წინაშე, ვერ გაიხარე მათი გაზრდით. არ დაგაცალა მოზიარე ყოფილიყავი ყველა იმ სიხარულისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს შენი შვილების ცხოვრებაში.

ახალდება წყლული და ახლდება მონატრება. როცა შენს შვილებს ვუყურებთ, როცა მათი თვალებიდან ბავშვური ღიმილით, თითქოს შენ გვიმზერ, შენ გვესაუბრები, უშენოდ იზრდებიან შენი პატარები. უკვე 4 წელია ცალად დაიარება შენი ლელა. შენთან ერთად ის თავის ერთადერთ ნამდვილ სიყვარულს გამოეთხოვა და მხოლოდ შენი მოგონებებით და ბავშვებით სულდგმულობს: ძნელია ქვრივის ცხოვრება, ყოველდღე გელოდება, ჰგონია ისევ დაბრუნდები, ვერ შეეჩვია უშენობას, შენმა სიკვდილმა ისე შეცვალა, რომ შეაყვარა ის ცხოვრება, რომლითაც შენ ცხოვრობ.

რამხელა იმედი იყავი, შვილო, რამხელა ტკივილად იქცი, რასაც გული გრძნობს, ენა ვერ იტყვის.

ენატრები დას, დისშვილს ანანოს, უზომოდ გვენატრები გია, განადგურებული, გამწარებული მშობლები როგორ ვცოცხლობთ უშენოდ. შვილთან განშორების შემდეგ, მშობლებიც იმწუთშივე კვდებიან. არაფერს ნიშნავს მათი მიწაზე სიარული. 30 წლისას მოგისწრაფა წუთისოფელი ბოროტმა, გულქვამ, ახლა 35 წლის გახდი, მაგრამ უკვე მარადიულობაში.

ბოლოს კი, უზომო გულისტკივილით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე. 35 სანთელს აგინთებთ. გვჯეროდეს, რომ შენი წილი სანთელი ყოველთვის იციმციმებს.

*შენი გამწარებული მშობლები.*

## მაია იაშას ასული ჯანგავაძე



ჩემო თბილო, მშვენიერო, სანატრელო შვილო მაიკო. ვერ გამიგია, შენ მაგივრად მე რატომ არ ვწევარ იმ ცივ მიწაში და რატომ შენ არ ხარ ჩემი ჭირისუფალი. რატომ ხუთი წლის წინ არ წამიძღვარა უფალმა სამსჯავროში. ისე მძიმეა და აუტანელი შვილმკვდარი დედის სიცოცხლე, რომ ამ ტანჯვასთან შედარებით იქნებ იმქვეყნიური ჯოჯოხეთიც კი სამოთხედ მომეჩვენოს.

მაიკო გული მიკვდება იმ ავბედით დღეს, 1999 წლის 9 სექტემბერს ქ. მოსკოვში, გურიანოვას ქუჩაზე მომხდარმა ტერაქტმა ასე ნაადრევად მოგისწრაფა სიცოცხლე. დიდმა სიყვარულმა ძლიერი მონატრება იცის, ენატრები უზომოდ შენს გაუბედურებულ მამას, დებს, რომლებსაც თვალისჩინი გაუქრათ. ყველას აკლიხარ და ენატრები. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

შვილო, გულისტკივილით აღვნიშნავთ 4 სექტემბერს შენს დაბადების დღეს, ამ გულის ტკივილს, მხოლოდ რწმენა მიმსუბუქებს, რწმენა იმისა, რომ მოვა დრო, ერთად ვიქნებით, ჩემო ხატად ქცეულო ანგელოზო მაიკო.

*დედა*



## მზევინარ ხაინდრავას ხსოვნას!

გაიარა ცრემლითა და ტკივილით აღსავსე ორმოცმა დღემ. გვიჭირს უშენობა. თითქმის დრო გაჩერდა შენს ოჯახში. შენს უდროოდ და მოულოდნელად წასვლას ვერაფრით ვურიგდებით.

მარიამობა შენი უსაყვარლესი დღესასწაული იყო და სწორედ ამ დღეს შენი სული ზეცაში დაიმკვიდრებს ისეთივე ღირსეულ ადგილს, როგორი ღირსეული სახელიც დატოვე ამქვეყნად. სახელი დიდებული ქალბატონისა, კარგი პედაგოგისა, ბრწყინვალე მეუღლის, დედის, ბებიის და მეგობრისა. შენ ხომ კეთილი საქმისათვის იღვწოდი მუდამ და ულევად გასცემდი ადამიანურ სითბოს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

## ტარიელ ბლიაძის გახსენება

ზუსტად ერთი წელი გავიდა იმ ტრაგიკული შემთხვევიდან. ჩემო ტარიელ, შენმა სიკვდილმა გაუსაძლისი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვა. შენ ყველასათვის ცოცხლობდი



და ამიტომაც დააკლდი ყველას, შენს სისხლსა და ხორცს, შენს სამეგობროს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე შენ გვერდით იდგა.

სიცოცხლე გწყუროდა, მაგრამ განგებამ მხოლოდ 48 წელი გაიმეტა შენთვის, რომელიც კაცურად გალიე.

გაქრი უკვალოდ, უშვილძიროდ,... დარჩა მხოლოდ სახელი, შენი ვაჟკაცური სახელი, რომელიც ცხოვრების სავალ გზას მიადევილებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფის შენი სული.

*შენი და ფატი*

## ანტონ და ბექა იმნაძეების მონატრება



ჩემო პატარა ანგელოზებო, სადაცაა მიიწურება ზაფხული და მოდის ჩვენი ოჯახისთვის თავზარდამცემი სექტემბერი.

ჩემო პატარებო, როგორ გვენატრებით და გვაკლიხართ ყველას. ვაი რა ხანმოკლე გამოდგა თქვენთვის ეს წუთისოფელი. განგებამ მხოლოდ 11 და 10 წელი გარგუნათ, შვილო. ასე უცებ რატომ დაიფერფლა თქვენი ლამაზი სიცოცხლე? თქვენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდათ იგი? რისთვის დაუსვა წერტილი ღმერთმა თქვენს ამქვეყნად ყოფნას? ვაი რა მწარე და ტკივილიანი ყოფილა უთქვენობა.

ჩემო პატარებო, ჩემო შშიშრებო, რა მოგივიდათ დედა? თქვენ ხომ წყლის ძალიან გეშინოდათ, მაშ რა ძალამ წაგიყვანათ იმ დასაქცევ ზღვაზე? რატომ იქ არ შეგეშინდათ და სახლში არ გამოიქეცით?

ჩემო პატარა, ჩემო ჭკვიანო და ამაყო ბექა, მოგიკვდეს დედა, შენ ხომ შენს უბედურ ძმას არ უღალატე და მისთვის სიცოცხლე გასწირე. ჩემო პატარებო, თქვენ იყავით ყველაფერი ჩემთვის ახლა კი... რაღაა ჩემი სიცოცხლე უთქვენოდ. თანდათან ვრწმუნდები იმაში, რომ შვილმკვდარი და მით უმეტეს, შვილებმკვდარი დედისათვის ყველაზე დიდი სასჯელი სიცოცხლე ყოფილა, მაგრამ ვაი ამ სიცოცხლეს, შვილებო, თქვენ ხომ ძალიან პატარები იყავით იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. ნუთუ ამ ქვეყნად არაფერი არსებობს, რომ ასეთი პატარები სასიკვდილოდ არ გაიმეტოს. რატომ უღალატეთ, შვილო, თქვენს საფიცარ დაიკოს? რატომ ჩამოაცილეთ ფრთები? ის ხომ თქვენით ამაყობდა. ჩემო ჭკვიანებო, თქვენ ხომ ყველა გიყვარდათ, განსაკუთრებით თქვენი უბედური ბებო, მაშ რატომ არ დაუფასეთ თქვენთვის დაუღალავი შრომა? ის ხომ თქვენით ცოცხლობდა ახლა კი... დაუტოვეთ მოუშუშებელი ტკივილი და ცრემლი. რატომ არ შეიბრალეთ თქვენი უბედური მამა? ის ხომ თქვენით ხარობდა. ყველასათვის მეხის გავარდნას გავდა თქვენი სიკვდილის ამბავი. ყველამ მწარე ტკივილით განიცადა თქვენი უბედურება. უსაზღვროდ დიდი პატივი გცათ მეზობლებმა, თქვენმა სკოლამ, დირექტორმა ქადაგიძემ, მასწავლებლებმა, მშობლებმა და თქვენმა პატარა კლასელებმა, ოი როგორი მწარე იყო მათთვის თქვენი სიკვდილი. ყველა დალოცეთ, შვილო, თქვენ ხომ ძალიან კეთილები იყავით. მეტი რაღა დაგვრჩენია თქვენს უბედურ მშობლებს და ყველას, ვანთებთ სანთლებს და ვლოცულობთ, რომ ცათა სასუფეველში დაიმკვიდროთ მარადიული ბინა.

*თქვენი უბედური მშობლები, და, ბებო, დეიდა, მამიდა და თქვენი დათო ბიძია.*

## გიური ჯიქიას ხსოვნას!



ჩემო ძვირფასო გიო! 5 სექტემბერს 40 დღე სრულდება, რაც დამტოვე მარტოდმარტო. გაუსაძლისია შენი „ლალიკოსათვის“ უშენოდ არსებობა. მიკვირს, როგორ გადავიტანე 28 ივლისს ის საზარელი დილა. ალბათ შენთვის დახმარების გაწევის ინსტინქტმა გამაძლებინა, მაგრამ სულ ტყუილად გქონია ჩემი იმედი. იმ წუთში ვერაფრით გიშველე.

ჩემო სათაყვანო, ღმერთს მხოლოდ უზადო გარეგნობით არ ჰყავდი დაჯილდოებული (რამდენჯერ მიგრძნია მამაკაცებიც კი როგორ გამოგაყოლებდნენ ხოლმე თვალს), დახვეწილი გემოვნების, დიდი შინაგანი კულტურის, ზედმიწევნით ერუდირებული და მრავალმხრივ განვითარებული, ხელოვნების, პოეზიის და სამშობლოს ტრფიალი იყავი. ძალიან მიჭირს გიური წარსულ დროში შენზე საუბარი. დავდივარ, დავეძებ ოთახებში, სათუთად ვაგროვებ შენს ჩანაწერებს, ნივთებს, ტანსაცმელს ვეფერები და ცრემლებით ვასველებ. არადა, როგორ ვერ იტანდი ჩემს ცრემლებს. 2 მეტრიან, სპორტული აღნაგობის კაცს ბავშვივით სათუთი გული გქონდა.

ყველას ძალიან დასწყვიტე გული, ჩემო სიხარულო. ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, რომლებიც ახლა ცდილობენ მე შემიმსუბუქონ უშენობა.

შენთვის სულიერი ღირებულებები ყოველთვის მატერიალურზე მაღლა იდგა, ამიტომაც ამბობდი, ჩემი განძი ჩემი სამეგობროაო.

ჩემო ზნემაღალო ადამიანო, უფალს ვევედრები დაგიმკვიდროს ადგილი ცათა სასუფეველში. მე ყველაფერს გავაკეთებ ამისათვის.

გემშვიდობები პერიფრაზით ვინა დელმარის დრამიდან: გიური! „გახსოვდეს ძალიან ბედნიერი ვიყავი შენს ხელში, ყოველ საათს, ყოველ წუთს მეტისმეტად ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ შენი ცოლი ვიყავი, ყოველთვის, ყოველთვის თავი მომწონდა და ვამაყობდი შენით, ძვირფასო“.

*შენი მეუღლე ლალი*

## გივი კოტუას გახსენება



28 აგვისტო! ეს მესამე მარიამობაა უშენოდ, რომ ვხვდებით. ამ წმინდა დღეს უფალმა ინება, რომ ღვთისმოსავი, ალალი კაცისთვის სასუფეველი მიეჩინა მარადიულ სამყაროში.

შენს მიწაწყლიდან იძულებით მოწყვეტილმა დიდი დარდი ატარე გულით და ამას ვერ გაუძლო შენმა ამაყმა გულმა. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი უშენობისა.

წლები გადის და უფრო მძიმდება უშენობით გამოწვეული ტკივილი, დრო არ ყოფილა თურმე ყველაფრის მკურნალი.

კურთხეული იყოს ყველა სანთელი, რომელიც შენს სახელზე აინთება.

შენმა სიძემ მსოფლიო ალაპარაკა, ოლიმპიური ოქროს მედალოსანი გახდა. იქნებ შენი სული უნათებდა მას ამ გზას კვარცხლბეკისაკენ.

*მეუღლე ციალა ჩიკაშვილი, შვილები ირინა თეა სიძეები თემურ ჯანჯღავა, გიორგი ასანიძე და შვილიშვილები*

## კლდიაშვილი ციური

დედის მონატრება

ჩვენო საყვარელო დედა. გავიდა ერთი ტკივილიანი წელიწადი, რაც უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი.

თითქოს გრძნობდი რაც გველოდა და ჩვენ გვანუგეშებდი, გვიბარებდი, რა უნდა გაგვეკეთებინა.

შენი ტკბილი სიტყვა აკლია ყველას, ვისაც იცნობდი და ვინც გიცნობდა.

ცრემლები გვადგება თვალებზე და



ი-ა ვარდებით შეგამკეთ, დედა
უ-რიცხვად დაგეცა საფლავზე ცრემლები
რ-ამდენი სითბო და სანთელი ინთება
ი-ყავ ნათელში, დედა!

*შენი ოჯახი*

## მინდია კობახიძე

ტკივილიანი მონატრება საშინელებაა. ამ მონატრებით ვცხოვრობთ შენი ახლობლები, ჩვენო მინდია. 2 წლის წინ მარიამობა დღეს წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. ძალიან უჭირს შენს საყვარელ დედას უშენოდ, რომლისთვისაც ნუგეშის მიცემაც გვიჭირს. ან რა ნუგეში შეიძლება მისცე 26 წლის ვაჟკაცის დამკარგავ დედას. ალბათ რჩეულთაგან შენც ერთ-ერთი იყავი ღმერთმა რომ წაგიყვანა. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული და მსუბუქი, შენს გულზე დაყრილი მიწა.



## მიტუშა კაპანაძის გახსენება

ძვირფასო მამა, 12 წელია, რაც უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს.

12-ჯერ უშენოდ დარეკილი 1-ლი სექტემბრის ზარი, საშინელი ტკივილი... ცრემლიანი მოგონებები... ყველას ენატრები ოჯახის წევრებს, მაგრამ შორსა ხარ.

ისევ მოვა შემოდგომა, ისევ ჩამოკრავს პირველი ზარი, ტკბილად მოგიგონებენ შენი კოლეგები, იზეიმებენ სასწავლო წლის დაწყებას, მაგრამ უშენოდ. „მენატრები“.

1-ელ სექტემბერს ზარის წკრიალს, ბავშვთა ჟრიამულს, ალბათ შენ უფრო ხალისობდი ყველაზე ტკბილად, დაულოცავდი სკოლის კედლებში მოსულს, ნაბიჯებს, ეხლა ვერც ხედავ ტკბილო გამზრდელო, საფლავში გძინავს.

მსუბუქი იყოს შენს გულმკერდზე დაყრილი მიწა, გზას გინათებდეს ჩვენგან ანთილი კელაპტრის შუქი. დაბადების დღეს მოგილოცავ, ჩემო მამიკო, ძლიერ შორსა ხარ – სიყვარულის მეტს ვერაფერს გჩუქნი.

*ლია კაპანაძე*

## გიორგი (გიგა) კაჭარავას!



მშობლებისთვის – ტანჯვის გვირგვინო...

დისთვის – ტკივილო...

კლასელებისთვის – ტრაგიკულად დაღუპულო ძმავ, მეგობარო, მწარე სინანულო.

რატომ გამოგვაკლდი? დაგეძებთ და კვალს შენს ახალგაზრდა საფლავთან მივყავართ. მუხლმოყრილი გეფუსფუსებით ცრემლიანი თვალებით. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული, რომელიც გვჯერა ზეცაში რბის, ჩვენ კი გვენატრები, რაც ძალიან ტკივილიანია, სევდიანია – გიორგი.

ჩვენთვის დანაკლისო. დაგვიჯერე, სადაც ჩვენ გავივლით შენიც ემჩნევა კვალი. გვენატრები გოგა!!!

*მოგონებებით თვალცრემლიანი თანაკლასელები და მაყვალა მასწავლებელი*

## დავით ხარაბაძის ხსოვნა

ჩვენო საყვარელო ბიძია, უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან არა ხარ.

უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები.

*რძალი შურა ლეჟავა, შენი ძმისშვილები ქეთინო და ლილი ხარაბაძეები ოჯახებით*



## აბესალომ (ბესო) გაბედავას

„სამი წელია, რაც შენ წახვედი,
ჩვენს თვალზე, ძმაო, არ შრება ცრემლი, ყველგან დაგეძებთ, ვერსად გპოულობთ, მაინც ჯიუტად გელით და გელით..“

5 სექტემბერი ავადმოსაგონარი დღეა ჩვენთვის. სამი წელია იმ ავბედითი დღიდან, როცა 42 წლის ასაკში მოულოდნელად გაჩერდა შენი გული. გული – რომელიც უსაზღვროდ დიდ სითბოსა და სიყვარულს იტევდა.

სამი წელია, რაც მუდმივ ტკივილსა და მწუხარებაში ვცხოვრობთ. თავს ვერ ვიკლავთ, თორემ ღვთისგან ბოძებული სიკვდილი, ჩვენთვის ნეტარება იქნებოდა.

რაც დრო გადის, სევდა უფრო მძაფრდება, უშენობა მეტისმეტად მტკივნეული და აუტანელი ხდება. წამებაა ის სიცოცხლე, რასაც უშენობა ჰქვია...

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო მოურჩენელო სევდავ და ტკივილო.

*ოჯახი*

## აბესალომ (ბესო) გაბედავას მონატრება

გავიდა უკვე 3 ტკივილიანი წელი, ბესო, შენს ოჯახს და ახლობლებს ძალიან უძნელდებათ უშენოდ. შენ ხომ ყოველმხრივ რჩეული იყავ, შენი ბუნებით, ვაჟკაცობით და კაცურკაცობით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. გიგონებთ გულისტკივილით.

*ნოდარი ბეჭვაიას ოჯახი.*

## მამუკა ბიძინაშვილი და ანიჩკა გენგაშვილი





ჩემო საყვარელო ადამიანებო

მარიამობის დღესასწაულის მილოცვა გაზეთის ფურცლებიდან და თქვენს სამუდამო სასუფეველთან ყვავილების მოტანით მიხდება. სანთელს აგინთებთ და თქვენს ნათელში ყოფნას შევევედრები უფალს. განსაკუთრებით მოუარე ბებო შვილიშვილს. მამუკა, ძნელია უშენოდ ყოფნა, გვენატრები ყველას და ეს მონატრება დიდი ტკივილია ჩვენთვის.

*თქვენი ხათუნა*

## გია ცაგარეიშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო გია, ტანჯვითა და წამებით გაილია ათი უმძიმესი წელი რაც, ჩვენთან არა ხარ. ამ ხნის განმავლობაში არ გვქონია ისეთი წუთი, რომელიც გაორებული ფიქრით არ იყო გაჯერებული ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი შენზე ფიქრია, ჩვენო სამუდამო ტკივილო, ჩვენ მხოლოდ ის გვასულდგმულებს, რომ ყოველი გასული წუთი შენთან გვაახლოებს, რომ იცოდე როგორ გვჭირდება შენი გამჭრიახი გონება და რჩევა, ჩვენო ვაჟკაცო. ბევრია ჩვენს ცხოვრებაში ისეთი საკითხები, რომელიც მხოლოდ შენი გადასაჭრელი იქნებოდა. შენი საბა უკვე დიდი ბიჭია. იგი ალბათ მალე გაანალიზებს ყველაფერს და ისე განსჯის როგორც შენ გაგიხარდებოდა და გვკადრებოდა. 13 თებერვალს 35 წლის გახდი, ვაი რომ არ დაგვცალდა ერთად აღგვენიშნა ეს დღე. უზომოდ გვენატრები გვაკლიხარ და გვიყვარხარ, ჩვენო ვაჟკაცო.

*შენი საყვარელი მშობლები, შურა ბებო, დაიკო ნინო და დეიდა ქეთინო ოჯახებით*

## შოთიკო უღრელიძის მონატრება



თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფელში, ეს სიკვდილია – მოულოდნელი თავზარდამცემი ტრაგედია. ასე იყო 6 თვის წინ, როცა შევიტყვეთ უფროსი შვილი აღარ გყავთო. თავის სამ მეგობართან ერთად დედათა დღე აღუნიშნავთ და სახლში მომავლებს ვაკესაბურთალოს გზაზე დაუღამდათ. ექვსი თვეა შვილო არ გვინახავს შენი მშვიდი, ღიმილიანი, ბედნიერი სახე. არ გვსმენია შენი ჭკვიანური მიზნები მომავალზე. შენ ხომ თბილის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე სწავლობდი. უბედურმა შემთხვევამ 20 წლის ასაკში გამოგვტაცა შენი თავი ხელიდან.

ვაი, შენს დედ-მამას! უშენოდ ყველაფერმა აზრი დაკარგა. შენით ვამაყობდით. ყველა შემოგვენატროდა. დღეს კი უბედური დედ-მამა გავხდით ასეთი შვილის დაღუპვის გამო... ყოველდღე ვანთებთ სანთლებს, ვლოცულობთ შენი სულის უკვდავსაყოფად და გვჯერა, რომ ცათა სასუფეველში დაიმკვიდრე მარადიული ბინა.

*შენი უბედური დედ-მამა და ძმა მირზა*

## მირიან გედეხაურის მონატრება



მირიან, ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ შენი გასახსენებელი სტრიქონების დაწერა მომიწევდა. 3 სექტემბერი ის უბედური დღეა, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა ჩვენს ცხოვრებას. რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი.

ღმერთს ვერ შევცოდავ, მაგრამ მაინც რა უღვთო იყო შენი სიკვდილი. ობლობით გაზრდილისათვის მასაც დაენანა სიკეთე. ძალიან ადრე დამთავრდა შენი „წუთისოფლის“ სტუმრობის ჟამი და მარადიულ სამყაროს შეუერთდი.

26 წლის ვაჟკაცს, დედამ დაგიხუჭა სამუდამოდ თვალები, მას შემდეგ დრო ნელ-ნელა გვაშორებს შენთან და გაუსაძლისს ხდის მონატრებას.

წახვედი დედის ერთადერთი სიხარული, იმედი. წახვედი და უმძიმესი დარდი და ტკივილი დაგვიტოვე, რომელსაც დრო ვერაფერს შველის. ვერ შევეჩვიე უშენობას, ტკივილი არ მშორდება. უსაზღვროდ მენატრები. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, არ დაგივიწყებთ, არც შენ და არც შენს ადგილსამყოფელს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი და მარინა*

## ზაური ვარაზანაშვილის მონატრება



9 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. ვაი ამ დღეს, რომ უშენოდ მეორედ ვხვდებით. მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ლამაზ-ლამაზ ყვავილებს, აგინთებთ წმინდა სანთლებს შენი სულის უკვდავსაყოფად.

15 აპრილი ხომ სიყვარულის დღეა. რა მწარეა ჩვენთვის ამ დღის გახსენება! ამ დღეს ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელად გამოგვტაცა ხელიდან შენი თავი. ამ დღეს გაჩერდა შენი კეთილი გული, გული, რომელიც უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. ძალიან სატანჯველია, რომ ნაადრევად წახვედი სიცოცხლით აუსრულებელი, მაგრამ ჩვენ ვამაყობთ შენით, რომ იცხოვრე კაცურად, კაცური კაცის სახელი დატოვე, ერთი აქ ამ ქვეყნად და მეორე თან წაიღე იქ, სამუდამო სასუფეველში.

მამა! უშენოდ ყოფნა ძალიან გვიჭირს. რაც დრო გადის შენდამი მონატრება უფრო უსაზღვრო ხდება. გვენატრება შენი სიცილი შენი ხმის გაგონება და ლამაზი სახის დანახვა. ჩვენო საყვარელო პაპა! ბედისწერამ შენ არ გაღირსა ჩვენი გაზრდა, დავაჟკაცება. პირობას ვდებთ, გავიზრდებით და ვიქნებით უფრო კარგები, უფრო ლამაზები, ვიდრე შენ გინდოდა.

ჩემო ზაურ! მეორე წელია თვალზე ცრემლი არ შემშრობია. მოგვიკვდი ტანჯული სიკვდილით. შენმა საყვარელმა ავტომანქანამ მსხვერპლად შეგიწირა. ისე გაგწირა, რომ სიკვდილის წინ ერთი სანუგეშო სიტყვაც ვერ გითხარით, შველაც ვერ გვთხოვე. ისე წახვედი, ისე დაგვშორდი, რომ არ გველირსა შენი ლამაზი სახის დანახვა.

შენ არასოდეს არ დაგივიწყებთ. ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის.

*შენი ოჯახი*

მეუღლე ლამარა ფაჟავა, შვილები ნანი ნანავა-კალანდია, მაია ნანავა, სიძე ბორის კალანდია, შვილიშვილები გიორგი და ეკა კალანდიები, ირაკლი ფიფია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (ჟორა) სამსონის ძე ნანავა.**

**დაკრძალვა:** 31 აგვისტო 16 სთ-ზე ქ. ზუგდიდი, მარცხენა სანაპირო №63

„კვირის პალიტრის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გიორგი კალანდიას ოჯახს ბაბუის გარდაცვალების გამო.

დედა იზოლდა, მამა ვლადიმერი, ძმა დიმიტრი, ბიძა თემური, ბიძაშვილი მარიამ იაშვილები, ბიცოლა მადონა ესვანჯია, მამიდა ნათელა, ბებია ელენე, ბიძა ნუგზარი, დეიდა გულიკო გრძელიძეები, მამიდაშვილები და ბიძაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა



**ნინო ვლადიმერის ასული კაჭარავა**

**პანაშვიდი** 30/VIII, 4 სთ. **გამოსვენება** 31/VIII, 3 სთ საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიიდან



მეუღლე ნელი ქერქაძე, შვილები: თემური, არჩილი, შვილიშვილები გიორგი, ნელი, მარიამი, ელენე, რძლები მერი აბრამიშვილი, ქეთი გოგუაძე, მერი დვალიშვილი, დები მერიკო, ცისანა, ძმა ნოდარ ბალათურიები, სიძე გიგლა დუმბაძე, ცოლის და ირა, ცოლისძმა დიზი ქერქაძეები, დისშვილები ავთო, დათო, ზურიკო, ძმისშვილები ბადრი, ნუნუკა ოჯახებით, მძახლები: თინა დოქსოპულო, რუბენ აბრამიშვილი იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**გივი გიორგის ძე ბალათურია**

**პანაშვიდი** 30/VIII 17 სთ-ზე.
**დაკრძალვა** 31/VIII 15სთ-ზე.
თბილისი:კოსტავას 72. II სადარბაზო.

# უცხოპლანეტელებს დედამიწაზე სიკეთე მოაქვთ...



— თქვენს გაზეთში ხშირად ვკითხულობ, რომ უცხოპლანეტელი არსებები ჩვენში სხვადასხვა დროს ბევრს უნახავს და ამანაც გამაბედვინა ამ ამბის მოყოლა, — მითხრა ბატონმა ბორისმა და განაგრძო, — ახალგაზრდობაში ძალიან ვიყავი გატაცებული ტურიზმით. 1972 წლის ზაფხულში ორ მეგობართან ერთად დასავლეთ საქართველოში ვმოგზაურობდი — ტყიბულიდან ამბროლაურში გადავედით, იქიდან — სვანეთში ვაპირებდით წასვლას და დასასვენებლად მდინარე რიონის ხეობაში კარვები გავშალეთ.

კარგად მახსოვს, 13 აგვისტო იდგა. მოწმენდილ ცაზე მირიადი ვარსკვლავი კიაფობდა. ვიწექი, შევყურებდი ზეცას და მეგონა, მეც ვარსკვლავებს შორის ვტრიალებდი. უცებ მსუბუქი თავბრუსხვევა დამეწყო... ძილბურანში ვიგრძენი, რომ ვიღაც იყო ჩემ გვერდით. შიში არ მიგრძნია, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მეგონა და შევეხმიანე — გურამ, შენა ხარ-მეთქი?

არ მიპასუხა. თვალი გავახილე. დავინახე, ჩემ წინ უჩვეულო არსება ჩაცუცქულიყო. ჯერ დათვის ბელს მივამსგავსე და მოვეფერე კიდევაც — აქ საიდან გაჩნდი, ბაჯბაჯა-მეთქი. წამოვჯექი. „სტუმარმა" უკან დაიხია და მივხვდი, დათვი კი არა, ჯუჯა ადამიანისნაირი არსება მომჩერებოდა.

ჯუჯა ხმას არ იღებდა, პირის ადგილზე ერთი ბეწო ჭრილი ჰქონდა, ზოგჯერ მოამრგვალებდა და პატარა ხვრელი უჩნდებოდა...

ცისკენ აიხედა და როცა მეც მივაყოლე თვალი, ხელით მოძრავი, შორეული ვარსკვლავი დამანახვა... ოთხი თითი ჰქონდა, ყველა თანატოლი და კოტიტა...

ცნობისმოყვარედ მივაჩერდი და ვკითხე, — ვინა ხარ და რას მთხოვ-მეთქი.

გულზე ვერცხლისფერი ძეწკვით პატარა ყუთი ეკიდა. ტანთ ელასტიკური ტყავის სამოსი მჭიდროდ შემოტმასნოდა. თავიც იმავე „ტყავით" ჰქონდა გაკრული და ციყვივით პატარა ყურები უჩანდა. გადატკეცილ სახეზე საოცრად ლამაზი, დიდი, წყლიანი, სევდიანი შიშჩამდგარი თვალები უბრიალებდა.

მომიახლოვდა, გულზე დაკიდებული ყუთიდან მავთული ამოსწია და მაჯაზე მომახვია, იქ, სადაც პულსი ფეთქავს. წინააღმდეგობას არ ვუწევდი, თუმცა კი შიში მქონდა. ცოტა ხანში თბილმა ტალღამ დამიარა სხეულში და ყურებში გაბმული წივილი გავიგონე — „პი-იი-ი"... არა, ეს ბგერები სიტყვებად არ გადაქცეულან, ისე მივხვდი, ტვინით ვიგრძენი, რომ გაყოლას მთხოვდა...

მონუსხულივით გავყევი უკან, მდინარისკენ წამიყვანა. მთხოვა, წყლის მეშინია და გადამიყვანეო. ახლომახლო ხიდი არ იყო, მაგრამ ცურვა კარგად ვიცოდი, მდინარეც არ იყო მაინცდამაინც ღრმა. პატარა ბავშვივით შევისვი ბეჭზე და წყალში შევედი. აეროდრომივით მოტიალებულ მინდორზე გავედით. მიწაზე რომ ჩამოვსვი, ისევ ცისკენ გაიშვირა ხელი და „ვიგრძენი", მირჩია — რაც შეიძლება მალე წადი, უკან არ მოიხედო, შენთვის ასე სჯობსო... ამის შემდეგ შემხსნა ის წვრილი მავთული მაჯიდან და ზურგი მაქცია. მივხვდი — არ უნდა მეურჩა. გადმოვცურე მდინარე და ბანაკში დავბრუნდი. ჩემს თანამგზავრებს დაბანგულივით ეძინათ...

ჩავძვერი ისევ საძილე ტომარაში. უცებ მდინარის გაღმა უჩვეულო სინათლემ მომჭრა თვალი — თითქოს იმ შუაღამეში კაშკაშა მზეს გამოეჭყიტოს! არ დავბნეულვარ, ზურგჩანთიდან ფოტოაპარატი ამოვიღე და რამდენიმე კადრი გადავიღე. საოცარი სანახავი იყო იმ შუქით განათებული მდინარე და მთები... მერე შუქი ნელ-ნელა გაბაცდა და გაქრა. წყვდიადი ჩამოწვა.

გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ სამწუხაროდ, არც ერთი სურათი არ გამოვიდა, ყველა ადრე გადაღებული კადრიც გაფუჭდა და ფირი გადასაგდები გახდა უჩვეულო დასხივების გამო...

მეორე დღეს ისეთი საშინელი თავის ტკივილი აგვიტყდა სამივეს, გზაც ველარ გავაგრძელეთ, დაღლილობის და სიმძიმის შეგრძნება გვტანჯავდა. შევშინდი — რადიაციული დასხივება ხომ არ მივიღეთ-მეთქი. დაფეთებულებმა ავიკარით გუდა-ნაბადი და სვანეთის ნაცვლად თბილისში გამოვიქეცით.

თანამგზავრებს მოვუყევი, რაც ღამით თავს გადამხდა. თან დაიჯერეს, თან არა, თუმცა რაღაც უჩვეულო რომ მოხდა ჩვენს თავს, ვერც ამას უარყოფდნენ...

რადგან ჩვენი უჩვეულო მდგომარეობა მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა, ექიმთან მივედით და სერიოზული გამოკვლევა ჩავიტარეთ. მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები აღმოგვაჩნდა სისხლში...

ასე რომ, 1972 წელს 13 აგვისტოს რაჭის მთებში უცხოპლანეტელებს შევეყარე და „ვარსკვლავებიდან ჩამოვარდნილ" უცნაურ არსებას შინ დაბრუნებაში დავეხმარე.

**— რაიმე უჩვეულო უნარი არ შეგიძენიათ ან უცხოპლანეტელებს ხომ არ უცდიათ ურთიერთობა თქვენთან, როგორც „ძველ ნაცნობთან"?**

— სამწუხაროდ, არა... მას შემდეგ ძალიან დიდ დროს ვუთმობ ანომალიური მოვლენების კვლევა-შესწავლას...

...დავემშვიდობე ბატონ ბორისს და გულით ვუსურვე უცხოპლანეტელებთან შეხვედრა, რადგან ძალიან უნდა — არ მინდა ამ ამოუხსნელი ფენომენის დარდი საფლავში წავიყოლოო!...

არავინ უწყის, რა იყო და რომელ იდუმალ მოვლენებთან ჰქონდა საქმე ბატონ ბორისს, საიდან მოვიდა ის თვალსევდიანი კაცუნა, ან რა სადარდელი ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ იქ, იმ შორეულ პლანეტაზეც, ჩვენთვის უხილავ შრეებსა და განზომილებებშიც განიცდიან, დარდობენ და იმედი მაქვს, უდიდესი სიხარული და სიყვარულიც იციან, სიკეთე სურთ ჩვენთვის, თორემ არა მგონია, გაუჭირდეთ ადამიანების განადგურება...

საბედნიეროდ, ისინი მეგობრებად მოდიან და ყველანაირად გვაგრძნობინებენ, რომ ცუდი არ სურთ ჩვენთვის!..

***ინგა ჯაყელი***

ჩვენ გვწერენ

# სიმდიდრის მცველი სარკიდან



ზაფხულის სიცხეს გავერიდეთ და ქობულეთთან ახლოს ვიქირავეთ ბინა მე და ჩემმა ქმარ-შვილმა. მეუღლემ სამსახური ვერ მიატოვა, ხან ჩამოდიოდა, ხანაც თბილისში ბრუნდებოდა. უმეტესად ბავშვებთან მარტოს მიხდებოდა ყოფნა. რაღაც საშინელი წინათგრძნობა მქონდა და ღამით ვერ ვიძინებდი. არ ვიცი, რა მაწუხებდა, ბავშვები გვერდიდან არ მცილდებოდნენ, ზღვაში უჩემოდ არამც და არამც არ შევიდოდნენ, ამისი არ მეშინოდა. დიასახლისი მშვენიერი ადამიანი იყო. ვერ ვხვდებოდი, რა მაფორიაქებდა.

ვისაც კერძო სახლში უცხოვრია, იცის, რომ იქ სხვანაირად ისმის პატარა გაფაჩუნებაც კი. წვიმაც სულ სხვანაირად ხმაურობს სახურავზე. ამიტომ ზოგჯერ უცნაურ ხმაურს თუ გავიგონებდი. მერე და მერე დავაკვირდი და მივხვდი, რომ ამ ხმაურში იყო რაღაც საიდუმლო, რომელიც ძილს მიფრთხობდა და თავგზას მიბნევდა. ერთ ღამეს კიდევ გავიგონე რაღაც უცხო ხმა, წამოვდექი. გადავწყვიტე, გამეგო, საიდან მოდიოდა ხმაური და ალალბედზე მივყევი მას.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი კარს, მით მკვეთრად მესმოდა წყვეტილი სისინი, წკაპუნი, თითქოს სადღაც, ძალიან შორს, ხის კარი ჭრიალებდა. ფარანი ავანთე და შეშინებულმა იატაკს დავუწყე თვალიერება. პირველი, რაც მოვიფიქრე, ოთახში შემოპარული ქვეწარმავალი იყო... ვერაფერი ვნახე. მეორე დილით მისხალ-მისხალ დავათვალიერე ჩვენი ოთახი. არც ხვრელი იყო სადმე, არც იატაკი იყო ამოტეხილი, არც არანაირი საეჭვო არსება მინახავს.

დიასახლისს რომ შევჩივლე, შეიშმუშნა — აბა, რა გითხრა, შვილო, შენ პირველი ხარ, ამას რომ ამბობო. გულმა რეჩხი მიყო. მივხვდი, რაღაცას მიმალავდა.

როცა ღამით ისევ გავიგონე ნაცნობი ხმა, წამოვხტი, ხალათი მოვიცვი და პირველ სართულზე დაშვება მოვინდომე. დიასახლისი მინდოდა გამეღვიძებინა და ფაქტის წინაშე დამეყენებინა. აჩქარებით გავუარე კართან ჩამოკიდებულ, ყალბი მარგალიტებით მოოჭვილ ძველ სარკეს და უცებ თავზარდაცემული შევჩერდი... სარკეში ვიღაც იყო!

დიახ, სარკიდან შუახნის თეთრპერანგიანი კაცი მიყურებდა. ცდილობდა, რაღაც ეთქვა და სწორედ იმ საოცარ ხმებს გამოსცემდა. მუხლი მომეკვეთა, ხომ არ მელანდება-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ გამოსახულება ისეთი მკაფიო იყო, ყელიდან საშინელი ხმა აღმომხდა. მთელი სახლი ფეხზე დადგა. სინათლე აინთო, ოთახში აქოშინებული დიასახლისი შემოვარდა, კარი სასწრაფოდ მიხურა და ჩემ წინ მუხლებზე დაეცა:

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია! — მითხრა ჩვეული სითბოთი. ბავშვები ლოგინზე წამომსხდარიყვნენ და შეშფოთებულები მიყურებდნენ. ისინი შემებრალა, ხმამაღლა ვთქვი, — ცუდი სიზმარი ვნახე-მეთქი და როცა ბავშვებს ჩაეძინათ, დიასახლისს ვეცი: — ეს რა ვნახე, მომეჩვენა, თუ სარკეში მართლა ვიღაც იყო?

აქვითინებულმა ქალმა ხელები სახეზე აიფარა:

— შვილო, როგორ შეგეშინდა! უკვე მეოთხე წელია ასეთ უბედურებაში ვცხოვრობ, ხსნა კი ვერა და ვერ ვიპოვე. ჩემთვისაც გაუგებარია, ეს რატომ ხდება. სარკე ძველია, დეიდაჩემისეული, ის ყოველთვის აქ გვეკიდა, მაგრამ არასოდეს არაფერი შეგვინიშნავს. ოთხი წლის წინ კი, მოულოდნელად, სარკეში უცნობი გამოჩნდა... პირველად ის ჩემმა ვაჟმა შენიშნა, ღმერთმა აცხონოს მისი სული, გაფითრებული გვიყვებოდა ოჯახის წევრებს... არ დავუჯერეთ. ერთი კვირის თავზე სარკე ეზოში გადააგდო, თან ყვიროდა: — მომაშორეთ ეს საშინელებაო! იმ ღამით გულის შეტევით გარდაიცვალა და აღმოჩნდა, რომ სარკის ყოველი გადაგდების მცდელობა ასეთი უბედურებით მთავრდებოდა, ან უნდა გარდაცვლილიყო ვინმე, ან კატასტროფაში მოხვედრილიყო. რა ვქნა, შემრჩა ეს სარკე. თუ ხელს არ ვახლებთ, მაშინ ყველაფერი კარგადააო.

— მაინც ვინ უნდა იყოს ის კაცი? — ვკითხე დაბნეულმა.

— დეიდაჩემის ქმარს ჰგავს, მდიდარი კაცი იყო, თავის ქონებას თავს დაჰკანკალებდა... ოთხი წლის წინ დეიდა გარდაიცვალა, მისი ნივთები მე მხვდა წილად და... სარკეშიც ეს კაცი გაჩნდა, რომელიც უკმაყოფილო სახით ალბათ თავის ქონებას დარაჯობს... შიშით ვერც სარკეს და ვერც იმ ძვირფასეულობას ვერ ვეხებით.... მართალი ყოფილა, შვილო, შენი შრომით ნაშოვნს არაფერი სჯობს... იქნებ ასე იმიტომაც დავისაჯე, რომ ყმაწვილქალობიდანვე გულში მსიამოვნებდა, უშვილო მდიდარი დეიდა რომ მყავდა.. მისი ქონება კი დამრჩა, მაგრამ ხომ ხედავ, ისევ ხელმოკლედ ვცხოვრობ, სხვისი სხვისად რჩება...

მეორე დღესვე დავბრუნდი თბილისში, რაც ვნახე — არასოდეს დამავიწყდება.

***ლაურა ქელიძე, თბილისი***

# სიზმრის ფასი

სუსტი, კაფანდარა გოგო ადრე გათხოვდა, ორი შვილი შეეძინა და მას შემდეგ თავის ტკივილი დასჩემდა, ექიმებმა ვერაფერი გაუგეს, წამლებით კი გვარიანად გაჭყიპეს, მაგრამ უშედეგოდ — სატკივარი ვერ განკურნეს. სოფლის ექიმბაშებსაც მიაკითხა. ათასგვარი ბალახის ნახარში ასვეს, კვლავ უშედეგოდ, გატანჯულმა წმინდა გიორგის სახელობის სოფლის ეკლესიაში მოუხშირა სიარულს, სანთლებს ანთებდა და უფალს შველას სთხოვდა.

ერთხელ ძილში თეთრად შემოსილი ულამაზესი მანდილოსანი გამოეცხადა.

— შვილო, მაია, ღმერთმა შეისმინა შენი ვედრება, დილით რომ ადგები, ბალიშის ქვეშ ლორთქო ბალახს ნახავ, უჩუმრად შეჭამე და გეშველება, — დაარიგა და გაქრა. უმალვე გამოეღვიძა, სასთუმალი მოუთმენლად გადასწია და, ჰოი, საკვირველებავ, ხასხასა, ახალდაკრეფილი ბალახის სიმწვანემ შემოანათა. მაშინვე აკრიფა, ცნობისმოყვარეობით დააკვირდა, ბლუჯა-ბლუჯა პირში ჩაიტენა და ლამის დაუღეჭავად გადაყლაპა...

შუადღემდე ხმა არავისთვის გაუცია. კალთაზე ხელჩაჭიდებული პატარები ათას რამეს ეკითხებოდნენ, დედა კი დუმდა.

უბანში ხმა გავარდა — მაია დამუნჯდაო და მეზობლის ქალები ეზოში შემოლაგდნენ, ის კი ხმაგაკმენდილი დაბორიალებდა და მეზობლების შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებდა.

— უი, მართლა ფინთად არის, შელოცვა თუ უშველის, — ვიშვიშებდნენ ქალები.

ნაშუადღევს იგრძნო — თავის ტკივილი აღარ აწუხებდა, გაიბადრა და მეზობლებს შეუტია:

— რას გადამეკიდეთ, ქალებო, — ხმა ამოიღეო... უკვე აღარაფერი მაწუხებს, — და დაწვრილებით მოუყვა სიზმარი. მას შემდეგ თავი აღარ წამოსტკივებია, მხოლოდ ესაა, რომ ველმინდვრებში მის გადამრჩენ ბალახს დღენიადაგ დაეძებს და ვერ პოულობს...

***კარლო ხარატიშვილი***

# ორ სამყაროში ვცხოვრობ...



რამდენჯერაც ავად გავხდებოდი, იმდენჯერ ერთსა და იმავე გარემოში ვხვდებოდი...

არ ვიცი, როდის ვნახე პირველად ის საოცარი მხარე, რომელშიც თურმე მე ისევე ვცხოვრობ, როგორც აქ, საქართველოში. ოღონდ იქ XVIII საუკუნის ამბებში ვარ ჩართული, აქ — XXI საუკუნისაში. თავიდან რას მივხვდებოდი, რას ნიშნავდა ჩემი ჩვენება — ვთამაშობდი თბილისში და ვთამაშობდი იქაც მინდორში. ირგვლივ ახლობელი ადამიანები ტრიალებდნენ, მელაპარაკებოდნენ. ყველაფერი მესმოდა, რასაც მეუბნებოდნენ, თუმცა ენის ჟღერადობა სულ სხვა იყო. ქართულს ოდნავაც არ ემსგავსებოდა. მახსოვს, სიცხით გათანგული იმ სამყაროში ვთამაშობდი. გამოჯანმრთელებულმა რამდენჯერაც მოვინდომე, რომელიმე სიტყვა მაინც აღმედგინა იმ ენიდან, ბურანში რომ ვლაპარაკობდი, ვერ შევძელი. ცხოვრება კი იქაც ისევე გრძელდებოდა, როგორც რეალობაში. რომ წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ჩემს თავს უცნაური რამ ხდებოდა.

ასაკთან ერთად დაკვირვების უნარი მომემატა. გავაცნობიერე, რომ მეორე ცხოვრებაში საქართველოსაგან განსხვავებულ ლანდშაფტში ვცხოვრობდი, ტილოს სამოსი მეცვა, ჩემს შეყვარებულ გოგონას კი კოჭებამდე კაბა... იყო ჩემს ხილვებში კიდევ ერთი ტანსრული კაცი, რომელიც სიყვარულში მეცილებოდა. ძალიან განვიცდიდით მე და არიტა (მხოლოდ ეს სახელი მახსოვს ჩემი ხილვებიდან), ისე ვნერვიულობდით და ისე გვეშინოდა არავის დავეშორებინეთ ერთმანეთისათვის, რომ წონაში კლებაც კი დავიწყე. აქ, ამ რეალურ ცხოვრებაშიც ავადმყოფური იერი დამედო. ექიმი ჩემს სატკივარს რას გაუგებდა, ვინ მიშველიდა?

გასულ კვირას დიდი უსიამოვნება შემემთხვა. ისევ ავად გავხდი. ხილვისას სწორედ იმ ახმახს დავუპირისპირდი და კინაღამ ვემსხვერპლე კიდეც. მსხვილი მათრახი გადმომიჭირა, შუბლი გამისკდა, სისხლი გულისპირზე ჩამომდიოდა... არიტა კი სასოწარკვეთილი გარბოდა მშველელის დასაძახებლად. დილით მართლაც თავგაჩეხილმა გავიღვიძე. შუბლზე მუქად მეტყობოდა ნაჭდევი, სხეული დალილავებული მქონდა. ჩემმა ძმამ რომ დამინახა — რაღა დროს შენი ჩხუბია, ვინ გაგალამაზაო, ხომ ვერ ვეტყოდი, სადღაც ძილბურანში თუ ხილვების სამყაროში მცემეს-მეთქი, ან დამიჯერებდა კი? კიდევ ერთი რამ მაშინებს: ჩემი ცხოვრება რაღაცით ყოველთვის ეხმიანება იმ მეორე ცხოვრებას. აქაც შეყვარებული მყავს, აქაც გვყავს ხელის შემშლელი. ორივე ცხოვრებაში ერთნაირად მიყვარს, ერთნაირად ვიბრძვი.

ალბათ გამორჩეული ვარ და უნდა შევეგუო ორ სამყაროში ერთდროულად არსებობას.

***ჯუმბერ ორკოდაშვილი***

**„საზალდო-სალაღო" გვერდის პასუხები**

I. ა) — 4); ბ) — 2); გ) — 1); დ) — 5); ე) — 3); ვ) — 6)/

II. **გამოცანები:**

ა) ფანქარი; ბ) ბუ.

III. **ვარდი**

IV. **აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — დ); 3) — ბ); 4) — ბ); 5) — ა); 6) — დ); 7) — დ).

# დადა და მისი სამოცდაექვსი შვილი



არაბთა გაერთიანებული საამიროების მკვიდრი დადა აბდერაჰმანი ახლახან გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა და სავსებით სამართლიანადაც. იგი ყველაზე ნაყოფიერი მამაკაცია მსოფლიოში — ამას წინათ, რიგით სამოცდამეექვსე შვილი შეეძინა.

თვით ამ ქვეყნისთვისაც კი, სადაც მრავალცოლიანობა დაშვებულია, იშვიათობად ითვლება ასეთი რეკორდი. დადას უფროსი ვაჟი 28 წლისაა, უმცროსი კი სულ ერთი კვირისა. 55 წლის დადამ თერთმეტჯერ იქორწინა სხვადასხვა ქალზე. ზოგიერთს ხასიათის შეუთავსებლობის გამო გაეყარა, სხვებმა თვითონ მიატოვეს. ახლა დადას სამი ცოლი ჰყავს, მძღოლად მუშაობს და მთელ ხელფასს დიდი ჯალაბის შენახვას ახმარს. შვილები მამის სახლის მახლობლად, თხუთმეტ სახლში ცხოვრობენ და დღესასწაულებზე მამასთან იყრიან თავს. სხვათა შორის, მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ რეკორდსმენი მამის კისერზეა.

***ნიუ ზუიქი***

# მავნე რჩევები

ფრანგულმა ელექტროენერგეტიკულმა კომპანიამ სამსახურიდან დაითხოვა თანამშრომელი ქალი იმისთვის, რომ მან დაწერა წიგნი, თუ როგორ უნდა გაიტანოს თავი მოსამსახურემ ისე, რომ არაფერი გააკეთოს. წიგნი — „სიზარმაცის, ანუ უსაქმურობის ხელოვნება“ პაროდიაა იმ წიგნებისა, რომლებიც „წარმატების მიღწევას“ გვასწავლიან. საუბედუროდ, კორინ მაიეს (ასე ჰქვია წიგნის ავტორს) ბოსებმა წიგნის დახვეწილი იუმორი ვერ შეაფასეს. უკანასკნელი წვეთი შეიქნა რჩევა, რომელსაც ავტორი იძლევა წიგნის ბოლოს — „ბევრს არაფერს დაკარგავთ, თუ სამსახურში თითს თითზე არ დააკარებთ!“ და მკითხველებს ურჩევს, სამუშაოს ყველაზე უსარგებლო და უვნებელი სახე აირჩიონ — მაგალითად, ექსპერტობა, კონსულტანტობა ან მრჩევლობა...

***ლიბერასიონი***

# ანფასი, პროფილი და ნიუ



კანადაში უცხოელი სტრიპტიზიორი ქალებისთვის ახალი წესები შემოიღეს — ქალებმა, რომელთაც სამუშაო ვიზის მიღება სურთ, ოფიციალურ დოკუმენტებს თან უნდა დაურთონ შიშვლად გადაღებული ფოტო. სამუშაო ვიზის მისაღებად ადრე ეგზოტიკურ მოცეკვავეებს (ასე უწოდებენ თავს სტრიპტიზიორები) მხოლოდ სამედიცინო შემოწმება, ადრინდელი სამსახურებიდან ცნობები და საკონსულოში გასაუბრება მოეთხოვებოდათ. ახლა კი პროცედურა ძალიან გართულდა. ისინი, რომლებიც წარმარტებით გაივლიან „ტესტს“, საიმიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკებს წარუდგენენ პოლიციის ცნობებს იმის დასტურად, რომ დანაშაული არასოდეს ჩაუდენიათ და ჯანმრთელები არიან.

ამბობენ, რომ ახალი წესების შემოღების შემდეგ საიმიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკებს თავის მოსაფხანადაც არ სცალიათ — დღეში რამდენიმე ასეულ ანკეტას ამოწმებენ.

***შპიგელი***

# ხარბები და იდიოტები

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოს ბანდიტებმა იდიოტიზმისა და სიხარბის უპრეცედენტო მაგალითი უჩვენეს „კოლეგებს“ — ერთ-ერთი ფაბრიკის მეპატრონე მოიტაცეს და გამოსასყიდად სულ... 700 ათასი დოლარი მოითხოვეს. გატაცებულმა იმარჯვა და მალე გაექცა გამტაცებლებს. შინ რომ დაბრუნდა, ბანდიტებმა დაურეკეს. შენი ვერაგობით აღშფოთებული ვართო, უთხრეს და.. მიყენებული მორალური ზარალის კომპენსაცია მოსთხოვეს. ზარალი ბანდიტებმა 11.500 დოლარად შეაფასეს, მაგრამ შევაჭრების შემდეგ თანხის ნახევარს დაჰყაბულდნენ. ფაბრიკის მეპატრონემ პოლიციას შეატყობინა მომხდარი და ხარბი ბანდიტები სწორედ იმ ადგილას აიყვანეს, სადაც მათ ფული უნდა მიეღოთ.

***ოჯი***

# მომღერალი ლარნაკი



სილამაზის და ყოველგვარი სიმბოლიზმის მოყვარულმა იაპონელებმა მოიფიქრეს, თუ როგორ გაახარონ ყვავილები ისე, რომ მათ არა მარტო თვალი, არამედ სმენაც დაატკბონ.

კორპორაცია „ლეტსის“ სპეციალისტებმა გამოიგონეს განსაკუთრებული ლარნაკი. მასში მოათავსეს მაგნიტური კოჭი, მავიბრირებელი ელემენტი და მიუერთეს პლეიერს. შედეგად — ლარნაკში ჩაწყობილი ყვავილები ამოძრავდნენ და თავისებურ დინამიკებად იქცნენ.

მეცნიერების აზრით, უკეთ იჟღერებენ სქელფოთლებიანი ყვავილები, მაგალითად, ორქიდეა ან ფიკუსი.

იაპონელები კი იმ აზრისანი არიან, რომ სასიამოვნოა ნებისმიერი ყვავილის მოსმენა. ფერს, სუნს, გემოს, რომლითაც ყვავილი გვატკბობს, ახლა ბგერაც დაემატა.

***ვოკრუგ სვეტა***

# პარიკი პატარძალსაც ვერ უშველის

50 წლის ეგვიპტელმა პროფესორმა ახალშერთული ცოლისგან 90 ათასი დოლარი მოითხოვა იმისათვის, რომ ქალმა მოატყუა.

ქორწილის პირველ ღამეს პროფესორი პატარძალს მშვენიერ თმაზე ვნებიანად მოეფერა და... კინაღამ გაგიჟდა, როცა ხელში პარიკი შერჩა, ქალის თავს კი მთვარის შუქზე ლაპლაპი გაუდიოდა. შეშფოთებულმა მეუღლე დილით ატირებული წაათრია სასამართლოში.

— ერთადერთი, რაც მასში მხიბლავდა, მისი მშვენიერი თმა იყო!.. — ჩიოდა სასამართლოში ქმარი, — წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როცა თმის ნაცვლად მუჭში პარიკი შემრჩა(!).

როგორც გაირკვა, გოგონას თმა ჯერ კიდევ ბავშვობაში დასცვივდა სერიოზული ავადმყოფობის გამო და მას შემდეგ პარიკი აღარ მოუშორებია. შეყვარებულისთვის კი თავისი ნაკლის თქმა ვერა და ვერ მოახერხა...

***მეგაპოლის ექსპრესი №29***

# შეყვარებულს საჩუქრად... ხანძარი



28 წლის ბერლინელმა შეყვარებულმა ყმაწვილმა გადაწყვიტა სტუმრად მიწვეული გოგონასთვის სიურპრიზი დაეხვედრებინა. სიურპრიზი ადვილი მოსაწყობი არ იყო: უნდოდა თავისი სახლის იატაკზე დაენთო ასი სანთელი უზარმაზარი გულის ფორმით, თანაც კომპოზიციის ცენტრში გამოისახებოდა სიტყვები — „მე დავიწვები შენთვის“. მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. მომზადების პროცესში შეყვარებულმა წააქცია რამდენიმე სანთელი და გაჩნდა საშინელი ხანძარი. დაიწვა არა მარტო ახალგაზრდა კაცის საცხოვრებელი, არამედ სახლის მეორე ნაწილიც და ცეცხლი ახლომდებარე ხეებსაც მოედო. თუმცა შეყვარებული ბიჭი ყველაზე მეტად იმან გაანაწყენა, რომ ვერ მოასწრო რჩეულისთვის თავისი შედევრის ჩვენება. — საშინელებაა! ხანძრის გაჩენამდე ვერ მოვიდა! მე კიდევ ვერ შევძელი იმის გადაღება, რაც მისთვის მოვამზადე. მე ხომ ასე ვოცნებობდი, ფოტო გადამეღო მისთვის ცეცხლმოდებული გულის ფონზე! — ტირილით განუცხადა ხანძრის გამჩაღებელმა პოლიციელებს. ზარალი 50 ათას ევროდ შეფასდა. გოგონას რეაქციაზე გერმანული მასმედია არაფერს აცხადებს.

***დენგი №29***

# აზღუდი ათასი წლისაა

ადრეულ შუა საუკუნეებში, როცა ევროპაში მაღალი საზოგადოების ქალები მკერდს ბინტით „იხვევდნენ“, ჩინელი მოდის მიმდევარი ქალები მჭიდრო აზღუდებს ატარებდნენ.

ჩინელმა არქეოლოგებმა მონღოლეთის მახლობლად, ერთ-ერთ სამარხში ოქროსფერი აზღუდი აღმოაჩინეს, რომელიც ლაოს სახელმწიფოს არსებობის პერიოდს განეკუთვნება. ლიტერატურული ცნობარის თანახმად, ის გაკეთებულია X ს-ში მომთაბარე მონღოლების ტომ კიდონში.

მეცნიერების მიერ ნაპოვნი ქალის ტუალეტის ეს უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი კონსტრუქციით არაფრით განსხვავდება მსგავსი ტიპის თანამედროვე ნაწარმისაგან. აზღუდი შეკერილია თხელი აბრეშუმისგან, აქვს ბრეტელები და თასმები წელზე. არქეოლოგები მხოლოდ იმით არიან შეწუხებული, რომ ორივე სამკერდე ჯამის სარჩულის ქსოვილი პრაქტიკულად დაფერფლილია.

***ეხო პლანეტი №30***

# გერმანიაში ძაღლების ბუნტმა იფეთქა



გერმანიის სენატი აპირებს გამოსცეს კანონი, რომელიც აკრძალავს ძაღლების გასეირნებას ქალაქის პარკებში და თანაც — უსაყელუროდ. ამ კანონმა ისე აღაშფოთა ძაღლების პატრონები, რომ მათ ოთხფეხა მეგობრებთან ერთად ქალაქ ჰამბურგში დიდი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს.

ქალაქში რეგისტრირებულია 37.000 ძაღლი, რომელთა პატრონები წელიწადში 150-150 ევროს იხდიან; სამაგიეროდ, „უმცროსი ძმების“ უფლებების დაცვასაც მოითხოვენ.

მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს კანონს — მშობლებს არ უნდა ეშინოდეთ, შვილებს ძაღლები დაგვიკბენენ ან პატარები მათ ფეკალიებში ამოითხუპნებიან, გვინდა, ბავშვებმა თამამად და უშიშრად ისეირნონ პარკებშიო, — აცხადებენ ისინი.

სენატის გასაკვირად, გაირკვა, რომ ძაღლები ყველაზე მეტად ჰყვარებიათ მიუნხენში. იქაურ 2.500 ძაღლს შეუძლია ბედნიერად, თავისუფლად ინავარდოს სპეციალურად მათთვის განკუთვნილ სტადიონებზე და მოისაქმოს ძაღლების ბიოტუალეტებში.

ბერლინი ძაღლების მთავარი ქალაქია. იქ 100.000 მურაა რეგისტრირებული. მათ ნება აქვთ, ითამაშონ პარკებში, მაგრამ აუცილებლად საყელურებით და უსათუოდ პატრონებთან ერთად.

ფრანკფურტში ძაღლით შესვლა იკრძალება ორ პარკში და კანონის დამრღვევი 75 ევროთი დაჯარიმდება.

ლაიფციგში ძალაში შედის ახალი კანონი, რომლის თანახმადაც, პატრონმა უნდა აწმინდოს თავისი ოთხფეხა მეგობრის ექსკრემენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაიხდის ჯარიმას — 35 ევროს.

***ჯენტე***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნ | ო | ა | ზ | ი | უ | | ზ | ნ | | ი | ე | ი | ი | ი | მ | | ი | | ე | ლ | რ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გოგა ხაინდრავას სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**ჩ.** ცხვრის მწყემსი, მეცხვარე; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** ამაღლებული სცენა, სადაც მომღერლები გამოდიან; **ნ.** მუსლიმანური ლოცვა; **თ.** თავის ქალას ზედა ნაწილი; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** ქრისტიანული წესით ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის“ ავტორი; **თ.** რა ჰქვია ზურაბ ლაფერაძის პერსონაჟს ფილმში „ღვინის ქურდები“; **ა.** სიმინდის სამშობლო; **დ.** ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტი; **ა.** სამხედრო ნადავლი; **რ.** გერმანელი მფრინავის გვარი, რომელმაც საკუთარი თვითმფრინავი მოსკოვში, წითელ მოედანზე დასვა; **მ.** ოტელოს წარმომავლობა; **ო.** საბავშვო თამაშობა ერთგვარი, მიყოლებით ჩაკუზულ ამხანაგებზე რიგ-რიგობით გადახტომა; **ი.** სურვილი, მადა, ნდომა; **წ.** ფეხის წინა ნაწილი მუხლიდან კოჭამდე; **ყ.** უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი, ღობე; **ე.** ქალის სახელი, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი: **თ.** ფელამუში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დუქანი; **ა.** აკვანი; **ი.** იმედი; **ს.** საყდარი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ერნესტო; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ერთაოზი; **კ.** კრუიზი; **ვ.** ვაიმარი; **ი.** იორდანე; **რ.** რიყე; **ი.** იკებანა; **ს.** სევანი; **პ.** პრაღა; **ა.** ასთმა; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იაზონი; **ტ.** ტყემალი; **რ.** რეზერვი; **ი.** ისინდი; **ს.** საჩმო; **ფ.** ფავნი; **ე.** ელეგია; **რ.** რანგუნი; **ე.** ეშვი; **ბ.** ბრასი; **შ.** შურდული; **ი.** ისთვუდი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ქვეყანა თუ ირყევა, მიზეზი ჩვენ ვართ.**

# სხვის ჯიბეში ჩურჩხელა გკბილად ვერ დაგვაბერებს

## საქართველო — მამლუქები 4 : 5


ზურაბ ზვიადაური


გიორგი ასანიძე


რამაზ ნოზაძე


ნესტორ ხერგიანი

ოლიმპიური თამაშები სხვადასხვა ქვეყანას შორის ძალთა გამოცდისა და მედლების გადანაწილების არენაა. საკუთარი ქვეყნის ღირსებისა და პრესტიჟის დაცვა ამ უდიდეს ფორუმზე ყველა სპორტსმენის უპირველესი მიზანია. ალბათ ამიტომაც აქვს ოლიმპიურ მედალს გამორჩეული „ჟღერადობა“ და სისუფთავე. ბოლო ორმა ოლიმპიადამ (ატლანტის და სიდნეის) ქართველებს უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა. ეს თამაშები ჩვენთვის ვერ გამოდგა იღბლიანი და წარუმატებლადაც შეფასდა, მაგრამ ათენში, სულ ახლახან ჩატარებულმა ოლიმპიადამ დიდი სიხარული გვაჩუქა — ჩვენმა ორმა ათლეტმა — ზვიადაურმა და ასანიძემ ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი. ამას ხერგიანისა და ნოზაძის ვერცხლიც დაემატა და საქართველო საერთო მონაგარით აქ მონაწილე წამყვანი ქვეყნების მარაქაში გაერია. ოლიმპიური შედეგების კლასიფიკაციაში ოცეულის სიახლოვეს (ჯერჯერობით) ჩვენისთანა პატარა ქვეყნის გამორჩენა უდავოდ საამაყოა, მაგრამ საქართველოს გაცილებით მაღალი ადგილის დაკავება შეეძლო ოლიმპიურ რეიტინგში, სხვადასხვა მიზეზის გამო უცხო ქვეყნების სახელით მოასპარეზე ქართველ სპორტსმენებს ჩვენს გუნდში რომ ესასპარეზათ.

ამ პრობლემას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს და ერთ საგაზეთო სტატიაში მისი გასიგრძეგანება შეუძლებელია. მოგვიანებით ამ თემაზე აუცილებლად ვიმსჯელებთ, ახლა კი ელემენტარული სტატისტიკური მონაცემები შევაჯეროთ:

საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას 29 აგვისტოს მონაცემებით, საერთო გუნდურ ჩათვლაში 31-ე ადგილი უკავია. ჯერჯერობით-მეთქი, ვინაიდან ჩვენი გაზეთის სპეციფიკა სამწუხაროდ, არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ საბოლოო მონაცემები მოგაწოდოთ. მაშინ, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, სხვა ქვეყნის სახელით მოასპარეზე ათლეტებს ჯერ არ ჰქონდათ დამთავრებული ასპარეზობები. ამის მიუხედავად, საერთო სურათი დიდად არ იცვლება. მაშ ასე, საქართველო 2 ოქროს და 2 ვერცხლის მფლობელია. ქართველ მამლუქებს კი 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო უკვე მოპოვებული აქვთ. აქედან 1 ოქრო ჯარჯი ზვიადაურის (იმავე ილიადისის) სახელით მიითვალა საბერძნეთმა, 1 — უზბეკეთს მოუტანა სართიჭალელმა მოჭიდავემ ალექსანდრე დოხტურიშვილმა, ხოლო 1 ოქროც გერმანიას ბატუტზე მხტომელმა ანა დოლონაძემ შესძინა. ვერცხლი ყაზახების ყულაბაში შეიტანა გიორგი წურწუმიამ, ხოლო ბრინჯაო რუსებს მიუძღვნა ძიუდოისტმა თეა დონლუზაშვილმა. ყველა ამ სახეობაში და იმ წონით კატეგორიაში, სადაც ქართველმა მამლუქებმა მედლები მოიპოვეს, ეს „სუფთა“ ჯილდოებია ანუ ისინი ჩვენ მედლებში არ შეგვცილებიან. გამოდის, რომ ზემოთ ნახსენებ სპორტსმენებს ჩვენი სახელით რომ მიეღოთ მონაწილეობა, საქართველოს ექნებოდა 5 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი(!) თუკი ზვიადაურ-ილიადისის ოქროს საბერძნეთს ჩამოვაწერთ, მოპოვებული უმაღლესი სინჯის მედლების რაოდენობით მე-14 ადგილზე მყოფ მასპინძლებს ვუთანაბრდებით და უკან ვიტოვებთ ესპანეთს, შვედეთს, თურქეთს, კანადას, ბრაზილიას, ჰოლანდიას... ანუ იმ ქვეყნებს, რომელთაგან ზოგი ცხოვრების დონით გვისწრებს, ზოგი მოსახლეობის რაოდენობით, ზოგი კი ორივეთი ერთად. გერმანიასა და რუსეთზე არაფერს ვიტყვი, რადგან მათ ჩვენებურთა გარეშეც მაღალი ადგილები უჭირავთ. საბერძნეთი, როგორც უკვე გითხარით ზვიადაურ-ილიადისის ოქროთი გვისწრებს, ყაზახები წურწუმიას ვერცხლმა ოთხი ადგილით დააწინაურა, უზბეკებმა კი ერთადერთი ოქრო მოიპოვეს და ისიც ქართველი სპორტსმენის დამსახურებაა, რომელმაც მთელი 20 ერთეულით ასწია რეიტინგში თავისი ახალი გუნდი.

ახლა მეორე, უფრო დამაფიქრებელი გარემოება განვიხილოთ: საბერძნეთის სახელით ჯარჯი ზვიადაურმა 81კგ-ში იასპარეზა და თავისი მეტოქეები უბრალოდ გააცამტვერა, ამ წონაში ჩვენმა გია მამრიკიშვილმა პირველივე ორთაბრძოლა დათმო და ბრძოლას სტარტზევე გამოეთიშა...

ანტიკურ ჭიდაობაში 74 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ოქრო „უზბეკმა“ ალექსანდრე დოხტურიშვილმა დაისაკუთრა. სართიჭალელმა ფალავანმა ჯერ ოლიმპიური ჩემპიონი სამურგაშევი დასცა, ფინალში კი მსოფლიო ჩემპიონს და ოლიმპიურ პრიზიორს ჰანუკსელას სძლია. დოხტურიშვილი 2003 წელს გაუშვეს საქართველოდან. მაშინ ამ წონაში ხასაია ჰეგემონობდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ქართველ მწვრთნელთა რჩეულმა ლიცენზია ვერ მოიპოვა. მარცხი ხან ტრავმას გადააბრალეს, ხან მსაჯებს, მაგრამ ფაქტია, რომ ათენში 74კგ-ში მონაწილე არ გვყავდა, დოხტურიშვილზე კრინტი არავის დაუძრავს. სამაგიეროდ, თავად ალექსანდრემ აალაპარაკა მსოფლიო და ოქროს მედლის მფლობელი გახდა...

გერმანიის სახელით მოასპარეზე ანა დოლონაძემ ბრწყინვალედ იასპარეზა ბატუტზე ხტომაში და პირველობა არავის დაუთმო. ჩვენი რუსუდან ხოფერია ფინალშიც ვერ მოხვდა...

თეა დონლუზაშვილზე აღარაფერს ვამბობთ, რადგან ქალთა ძიუდოზე საქართველოში ლაპარაკიც წარმოუდგენელია...

გიორგი წურწუმიას ვერცხლი ანტიკურ ჭიდაობაში ყაზახებს ღვთის წყალობასავით მოევლინათ. ამავე წონაში მოასპარეზე ჩვენმა მირიან გიორგაძემ ჯგუფიდან გაღწევაც ვერ შეძლო...

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ბევრისმთქმელი ფაქტებია...

ახლა, მოკლედ იმაზეც, თუ როგორ მოხდა ამ სპორტსმენების „გამამლუქება“:

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ისეთი შავბნელი პერიოდიც გვახსოვს, როდესაც მოძმის ხელით გაყიდული ქართველთა ცრემლი ადუღებდა სტამბულის და თეირანის „შაითანბაზრებს“ და ეგვიპტის ალმოდებულ უდაბნოებს. ქართველი ჭაბუკები ყველაზე მამაც მეომრებად ყალიბდებოდნენ და მამლუქებად წოდებულნი მუსლიმანურ სამყაროს აზანზარებდნენ. ესეც მათი უკუღმართი ბედის გამოძახილი იყო, ძალით წაყვანილთ სხვა გზა რომ აღარ ჰქონდათ, თორემ ნებით საქართველოს მიწა-წყალს ძე-ხორციელი ვერ დაატოვებინებდათ...

საუკუნეების შემდეგ ახალი მამლუქების ხანა დაიწყო. ესეც ჩვენი უბედურებაა და ყველაზე გულსაკლავი ის არის, რომ დღეს უკვე ნებით მიდიან სხვა ქვეყნის დიდების სადარაჯოზე ქართველები. ასეთებს კი ყოველთვის დიდი ფასი ჰქონდათ უცხოთა კარზე...

თუმცა, სხვას რა მოვკითხოთ, როცა ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენივე სისხლის და ხორცის დაფასება?!

ჩვენივე უყურადღებობით ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს ცხოვრება სტამბულის ბაზრად ვუქციეთ და ამ ულმერთო ვაჭრობაში სამშობლოს გრძნობა მარტის თოვლივით ხელში ჩაგვადნა...

აქა-იქ უკვე გაისმის: — ვინც სხვა ქვეყნის სახელით იასპარეზა, მოღალატეები არიანო...

ძალიან მკაცრად ხომ არა ვსჯით მას, ვინც, სამშობლოში უსამართლოდ დაუფასებელმა და დაჩაგრულმა, თავისი წასვლით და ოლიმპიური მედლებით მავანთ თავისი სიძლიერე მაინც რომ დაუმტკიცა?!

გასაქცევი რა სჭირდა ჯარჯი ზვიადაურს, რომელიც წასვლამდე ტურნირს ტურნირზე იგებდა და თანაც ისე, რომ მეტოქეებს იოტისოდენა შანსს არ უტოვებდა?!

აკი თავად ძიუდოისტთა მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი აღიარებდა სინანულით: — ყველაზე უფრო ჯარჯიზე მწყდება გული, რადგან მას ბადალი არ ჰყავს და ათენში უეჭველად ჩემპიონი გახდებოდაო!..

მაინც გავუშვით?!.

ახლა კი მკერდში მჯიღს ვიცემთ და „სხვის“ მედლებს ჩვენს კოლექციას ვათვლით — დახე, სად ვიქნებოდით, ესენი რომ არ გაგვეშვაო!..

ძალიან ხომ არ დავაგვიანეთ, ბატონებო?!.

„გადაბრუნებული ურმის“ და საერთოდ, ქართული ანდაზების შინაარსის გაგების უნარი თუკი ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს, მწარე გაკვეთილიდან სასიკეთო დასკვნების გაკეთებაც არ უნდა გაგვიჭირდეს. ოლიმპოს მთიდან ჩინეთის კედელი უკვე კარგად ჩანს და ოთხი წლის შემდეგ, როცა პეკინი მიიღებს ოლიმპიურ ესტაფეტას, ეგებ იმაზე ვიზრუნოთ, რომ იქ მაინც სრულფასოვანი დელეგაციით წარვდგეთ და კვლავ სხვა ქვეყნების მატიანის მწერლები არ აღმოვჩნდეთ.

ამაზე ვიფიქროთ ყველამ, თორემ ქართველი მამლუქები რომ სწორუპოვარი მებრძოლები იყვნენ, ეს ოდითგან, ჩვენზე უკეთ, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა უწყოდნენ.

***P.S.* ისე კი, რომ არ ვთქვათ, არ შეგვიძლია: შესაძლოა უცხო ქვეყნის სახელით გამოხვიდე და მისი დროშაც ააფრიალო, მაგრამ შენი ქვეყნის მოქალაქეობაზე, ვინაობასა და წარმოშობაზე თუ უარს გათქმევინებენ, ასეთი მედალი, თუნდაც ოლიმპიური ოქრო, „დამქირავებელს“ უნდა მიუგდო და შეუბღალავი ღირსება ჩამოიტანო... სამშობლო ერთადერთია და ეს უნდა გვახსოვდეს ყველას...**


ჯარჯი ზვიადაური


ანა დოლონაძე



ალექსანდრე დოხტურიშვილი


გიორგი წურწუმია


თეა დონლუზაშვილი

გვერდი მოამზადა
ზვიად სეხნიაშვილმა

# ოლიმპიური თამაშები თანდათან კომერციის ტყვეობაში ექცევა

## „ზვიადაურის გამარჯვების შემდეგ კახეთის ყველა სოფელში საჭიდაო არენები აშენდება“

ათენის ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო, რომელიც შაბათს საბერძნეთის დედაქალაქში გახსნილ ქართულ სახლში ჩვენს ოლიმპიელებს და იქ მცხოვრებ ქართველებს შეხვდა.

პრეზიდენტმა ოლიმპიადის გამარჯვებულებს, პრიზიორებს და მათ მწვრთნელებს მიულოცა წარმატება და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ეს მედლები დიდი მიღწევაა — ჩვენ ყოველთვის ისეთი მოწინააღმდეგე გვყავდა, ვინც ასჯერ აღგვემატებოდა სიძლიერით, — დასძინა მიხეილ სააკაშვილმა, — შეხედავ და გგონია, რომ მათი ძლევა წარმოუდგენელია, მაგრამ მაგათ დამარცხებასაც ვისწავლით, მე ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ!.. ზვიადაურის გამარჯვების შემდეგ, დავრწმუნდი, რომ კახეთში, ყველა სოფელში უნდა აშენდეს საჭიდაო არენა. პირობას გაძლევთ, რომ ნიჭიერ სპორტსმენებს აღარსად გავუშვებთ და ნელ-ნელა წასულებსაც დავაბრუნებთ, საამისოდ მათ ყველა პირობას შევუქმნით!..

საბერძნეთში „კვირის პალიტრისა“ ჟურნალისტი დაჩი გრძელიშვილიც იმყოფებოდა, რომელსაც ათენში დავუკავშირდით და პრეზიდენტის გამოსვლაზე, ქართველ სპორტსმენებსა და ოლიმპიურ შთაბეჭდილებებზე კომენტარი ვთხოვეთ:

— ოლიმპიადა დამთავრდა და შედეგების დათვლის დროც დადგა. საქართველო კლასიფიკაციაში 30 სახელმწიფოს შორის ვიხილეთ მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის მედლების ჯამით, რაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ალბათ, ამით აიხსნება საქართველოს პრეზიდენტის ჩამოსვლა ათენში და ქართულ ოლიმპიურ დელეგაციასთან შეხვედრა, რომელიც საბერძნეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში გახსნილ ქართულ სახლში შედგა. ამ შეხვედრას ათენში მცხოვრები ქართველი მოსახლეობაც ესწრებოდა. საინტერესო ის იყო, რომ ყველაზე დიდი ოვაციებით შეხვდნენ 3-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს კახი კახიაშვილს. ალბათ სიმბოლური იყო, რომ ათენში განცდილი დამარცხების შემდეგ კახის ყველაზე უფრო ქართველი ხალხის გამხნევება სჭირდებოდა და თანაგრძნობის სიტყვები მისთვის არავის, არც მიხეილ სააკაშვილს არ დაუშურებია.

— **საქართველოს პრეზიდენტმა როგორ შეაფასა ჩვენი გამოსვლა ათენის ოლიმპიადაზე?**

— როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა: — საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არ არსებობს დაუმარცხებელი მოწინააღმდეგე როგორც პოლიტიკაში, ასევე სპორტშიც და ჩვენი ოლიმპიელების მოპოვებული 2 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი სწორედ ამის დასტურია. პრეზიდენტმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ სახელმწიფოს წვლილი ამ წარმატებაში ძალზე მოკრძალებულია და გამარჯვების მთავარი შემოქმედნი სწორედ სპორტსმენები და მათი მწვრთნელები არიან, რომლებმაც თავდაუზოგავი შრომით მოიმკეს შედეგები.

— **თავის გამოსვლაში პრეზიდენტი ხომ არ შეხებია ქართველი სპორტსმენების მიგრაციის პროცესს, რომლებიც სხვა ქვეყნების სახელით გამოდიან და მათი დროშის ქვეშ ადიან გამარჯვებულის კვარცხლბეკზე?**

— მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ ყველა ღონეს იხმარს სხვა ქვეყნებში წასული ჩვენი სპორტსმენების დასაბრუნებლად და სხვათა შორის, იქვე, დარბაზში მიიღო საამისო დასტური ოლიმპიური ჩემპიონების კახი კახიაშვილისა და გიორგი ასანიძის აღმზრდელის, ვანო გრიქუროვისგან. მოგეხსენებათ, ძალოსანთა მწვრთნელი აქამდე პოლონეთში მოღვაწეობდა და რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ განაცხადა, რომ ბრუნდება საქართველოში. სამწუხაროდ, შეხვედრაზე კახიაშვილის გარდა უცხო ქვეყნის სახელით მოასპარეზე არც ერთი ქართველი არ გამოჩენილა, მათ შორის, არც ჯარჯი ზვიადაური, ამდენად, ვერ გეტყვით, თუ რას ფიქრობენ ისინი საქართველოში დაბრუნების თაობაზე.

— **ხომ არ შეხვედრიხართ ელდარ კურტანიძეს ან მის მწვრთნელებს? საქართველოში დადის არცთუ უსაფუძვლო ხმები, რომ მოჭიდავეები გადაღლილები შეხვდნენ ოლიმპიადას. მანდ რით ხსნიან ამ წარუმატებლობას?**

— ელდარი კომენტარებზე უარს აცხადებს და ჯერჯერობით, არც გამოჩენილა. მან ირანელთან საკმაოდ თვითდაჯერებულად დაიწყო ჭიდაობა და უგებდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მარცხი განიცადა. აქ ასეთი აზრიცაა, რომ კურტანიძე ფიზიკურად „გადაიწვა“ — არსებობს ასეთი ტერმინი სპორტსმენებში, რაც გადაღლას ნიშნავს, ელდარი კი ბოლო დღეებში ინტენსიურად ვარჯიშობდა. არ გამორიცხავენ ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც, რადგან ელდარი თითქმის დარწმუნებული იყო ჩემპიონობაში და ვარაუდობენ, რომ გარკვეული უარყოფითი როლი ასეთმა განწყობამაც ითამაშა, თუმცა კურტანიძის სიძლიერესა და პროფესიონალიზმში ეჭვი დღესაც არავის ეპარება. უბრალოდ, სპორტია და ორთაბრძოლაში ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. ერთი კი აშკარაა, რომ ელდარის მარცხი დიდი მოულოდნელობა იყო და ქართულ დელეგაციას ძალიან დასწყვიტა გული.

— **დაჩი, ეს შენთვის პირველი ოლიმპიური თამაშებია, რომელსაც უშუალოდ ესწრები. როგორია შენი შთაბეჭდილებები?**

— მე მქონდა საუბარი ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან, რომლებსაც უკვე აქვთ წინა ოლიმპიადებზე დასწრების გამოცდილება. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ოლიმპიური თამაშები თანდათან კომერციის ტყვეობაში ექცევა. თუ წინათ უფრო მგრძნობიარე დამოკიდებულება იყო ამ თამაშებისადმი და წმინდა სპორტული ასპარეზობები იყო გაიდეალებული, დღეს ცოტა სხვა სიტუაციაა და არ ვიცი, ეს რამდენად ესადაგება ოლიმპიადას. ყველაზე თვალშისაცემი, რაც ჩემს ყურადღებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე იპყრობს, არის უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები. ახლაც, როცა გესაუბრებით, სტადიონზე მივდივარ და უკვე ორი კილომეტრი მაინც გამოვიარე ფეხით. გზა გადაკეტილი აქვთ პოლიციელებს და ვიდრე არენამდე მიხვალ, რამდენიმე კორდონმა უნდა შეგამოწმოს, მათ შორის, ძაღლებით და ვიდეოკამერებით აღჭურვილმა სამსახურმა.

ოლიმპიადა დამთავრდა!..

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები პრეზიდენტთან ერთად სამშობლოში ბრუნდებიან.

# ქართველ სპორტსმენებზე უცხოელები „ნადირობენ“

## სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად გაიზრდება სპორტის დაფინანსება



ხერგიანის, ზვიადაურისა და ასანიძის ოლიმპიური მედლების შემდეგ ქართველ გულშემატკივართა ყურადღება ანტიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გამოსვლებისკენ იყო მიპყრობილი. ჭიდაობის ქართული ტრადიციების გათვალისწინებით გვქონდა კიდეც იმედი, რომ ჩვენი ათლეტები ყველა სინჯის მედლით (ისიც არაერთით) გაგვახარებდნენ. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. „კლასიკოსებმაც“ და „ვოლნიკებმაც“ პირველი დღე სრული ფიასკოთი დაასრულეს. ანტიკური ჭიდაობის მეორე დღემ რამაზ ნოზაძის ვერცხლი მოგვიტანა. მთელი აქცენტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ელდარ კურტანიძეზე გადავიდა. ალბათ, ყველა ოქროს ელოდა მისგან და ასეთმა თვითდაჯერებამ, ვეჭვობ, რომ დადებითი როლი ითამაშა ელდარის გამოსვლაში. ჩვენი უპირობო ფავორიტი ოქროსთვის ბრძოლას ფაქტობრივად პირველი შერკინებიდანვე გამოეთიშა, როდესაც მინიმალური სხვაობით წააგო თავის უმთავრეს კონკურენტთან, ირანელ ალირეზა ჰეიდართან. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს, **გიორგი გაბაშვილს**, სწორედ მაშინ შევეხმიანეთ ათენში, როდესაც კურტანიძის გაუთვალისწინებელი მარცხის შემდეგ საკმაოდ ცუდ გუნებაზე იყო, მაგრამ ქართველ „მამლუქებზე“ და ჩვენი სპორტის მომავალზე კომენტარი მაინც ჩამოვართვით:

— **ბატონო გიორგი, ქართული დელეგაციის ბოლო იმედები ანტიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებზე იყო დამყარებული, რომელთაგან გაცილებით მეტს ელოდა გულშემატკივარი. როგორ შეაფასებდით მათ გამოსვლებს?**

— საქართველოს, დამოუკიდებლობის შემდეგ, ჭიდაობის ამ სახეობებში ბრინჯაოს მედლის მეტი არაფერი მოუგია ოლიმპიდაზე. ამდენად, ნოზაძის ვერცხლი ამ მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია. ანტიკურ ჭიდაობაში კიდევ გვქონდა წარმატების იმედი სხვა წონით კატეგორიებშიც, მაგრამ ზოგს არ გაუმართლა, ზოგმა შეცდომა დაუშვა და საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდნენ. მთლიანობაში თუ განვიხილავთ, მაინც დადებითად ვაფასებ „კლასიკოსთა“ გამოსვლას, რადგან ასეთი შედეგი წინა ორ ოლიმპიადაზე არ გვქონია.

რაც შეეხება თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, ალბათ, ხვდებით, კურტანიძის მარცხის შემდეგ როგორ ხასიათზე ვიქნებით. ელდარმა, პრაქტიკულად მოგებული შეხვედრა ბოლო წამებზე დათმო. ერთი შეცდომა და, ყველაფერი წყალში ჩაიყარა. დანარჩენებმაც ვერაფრით გამოიჩინეს თავი და უმედლოდ დავრჩით. სამწუხაროა...

— **საქართველოში უკვე გავრცელდა აზრი, რომ მოჭიდავეთა წარუმატებლობა არასათანადო მომზადებამ გამოიწვია. ზოგი მარცხის მიზეზად გადაღლილობას ასახელებს...**

— მე წარუმატებლობას ვერ დავარქმევდი ვერცხლის მედალს, რომელიც ანტიკურ ჭიდაობაში მოვიპოვეთ, ეს, უდავოდ წარმატებაა...

— **მაგრამ, ბატონო გიორგი, ნოზაძის გარდა 11 მოჭიდავე გავიდა ხალიჩაზე და ყველა მათგანი თუ არა, უმეტესობა მედლის კანდიდატი იყო...**

— მე ვიტყოდი, რომ მათ ოლიმპიადისთვის სრულფასოვანი მზადების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. შესაძლოა მწვრთნელთა მუშაობაში იყო არასწორი გათვლები, ან მზადების რომელიმე ეტაპზე შეცდომები იქნა დაშვებული. ფაქტია, რომ მოჭიდავეებისგან ბევრად მეტს ველოდით. ელდარ კურტანიძე ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატი იყო და შესაძლოა, იგი ფსიქოლოგიურადაც გადაიღალა წინასწარ გამოთქმული პროგნოზებისაგან. ვიმეორებ, კმაყოფილნი ვართ ვერცხლით, მაგრამ გამოგიტყდებით, ოქროს მედალსაც ველოდით.

— **ჩვენი ერთი ვერცხლის ფონზე ცოტა სხვანაირად „ჩხრიალებს“ საქართველოდან წასული და სხვა ქვეყნის სახელით მოასპარეზე მოჭიდავეების მედლები, რომლებიც, წესით და რიგით, საქართველოს ყულაბას უნდა შემატებოდა...**

— ჩვენ ყველა ნიჭიერ სპორტსმენს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ ისინი საქართველოს სახელით გამოვიდნენ. მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სხვა ქვეყნების სახელით და რამდენადაც სასიხარულოა, იმდენად გულდასაწყვეტია ეს ფაქტი ჩვენთვის. ზოგი მათგანი უკვე დიდი ხნის წასულია საქართველოდან, მაგრამ ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მათ აქ ყველა პირობა შევუქმნათ და დავაბრუნოთ თავიანთ სამშობლოში.

— **ზოგიერთ მათგანს ისეთი კონტრაქტი ჰქონია დადებული, რომელიც გამორიცხავს შემდგომში მათი საქართველოს სახელით გამოსვლის შესაძლებლობას.**

— აუცილებლად შევისწავლით ამ პრობლემას და შეძლებისდაგვარად ვეცდებით მათ დაბრუნებას, მაგრამ ჩვენი პოლიტიკა უფრო სამომავლო პერსპექტივებზეა გათვლილი. დღეს საქართველოში ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენი გამოიკვეთა, რომლებზეც უკვე თვალი უჭირავთ უცხოელებს და რომ იტყვიან, მათზე „ნადირობენ“. ჩვენი უპირველესი მიზანიც ის იქნება, რომ იმედისმომცემი სპორტსმენები აღარ დავკარგოთ და მათ აუცილებლად საქართველოს სახელით იასპარეზონ. ჩვენ არ შევწყვეტთ მუშაობას უკვე წასული სპორტსმენების დასაბრუნებლად, მაგრამ ძირითადი აქცენტი ჩვენს ნიჭიერ მომავალ თაობაზე უნდა გადავიტანოთ, რათა ისინიც არ წავიდნენ.

— **სიდნეის ოლიმპიადასთან შედარებით უკვე იგრძნობა უკეთესობა. პირადად თქვენ რა შეგძინათ ათენურმა გამოცდილებამ და რა კორექტივებს შეიტანთ მომდევნო ოლიმპიადისთვის მზადების ციკლში?**

— ცხადია, რომ ქართულ სპორტს იმაზე უკეთესი პირობები სჭირდება, ვიდრე ამჟამად გააჩნია. მე ვგულისხმობ ინფრასტრუქტურას, ბაზებს, ფინანსებს. ძალიან კარგია, რომ კერძო ინიციატივები ჩაერთო ამ საქმეში. სახელმწიფოს მხრიდანაც აუცილებლად უნდა გაიზარდოს დაფინანსება და პრიორიტეტები მიენიჭოს სპორტის იმ სახეობებს, სადაც წარმატების მეტი შანსი გაგვაჩნია. ამ მხრივ ცდას არ დავაკლებთ და თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, გაცილებით მეტს მივაღწევთ მომდევნო ოლიმპიადაზე.

*რუბრიკა მოამზადა ზვიად სეხნიაშვილმა*



## №34 (412) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო რეიტინგის თემა იყო „ქალები“. კითხვას — **„ყველაზე მეტად რითი აფასებენ დღევანდელი მამაკაცები ქალებს?“** — 536-მა რესპონდენტმა უპასუხა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 213 ქალისა და 318 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

წინა რეიტინგის შედეგებმა გვიჩვენა, რომ დღევანდელი ქალების თვალში მამაკაცები უპირველესად ფინანსებით, შემდეგ — ერთგულებითა და კარგი გარეგნობით ფასობენ.

აი, რაც შეეხება მამაკაცებს, მათთვის განმსაზღვრელი პირველ რიგში ქალის გარეგნობა ყოფილა — რესპონდენტთა 46%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური — 8 ქულით, აღსანიშნავია, რომ მინიმალური — 1 ქულა მას მხოლოდ ერთმა მკითხველმა დაუწერა.

**6,94** საშუალო ქულით გარეგნობა პირველ ადგილზეა.

ისევე როგორც ქალებთან, მამაკაცებთანაც ერთგულება მეორე ადგილზეა — საშუალო ქულაა 6,07.

დღევანდელ ქალებს კიდევ ერთ აუცილებელ მოთხოვნას უყენებენ მამაკაცები — ეს პატიოსნებაა. საინტერესოა, რომ წინა რეიტინგში მათთვის (მამაკაცებისთვის) პატიოსნება მხოლოდ „მეექვსეხარისხოვანი“ იყო.

და კიდევ ერთი — ხასიათს ზუსტად ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ მამაკაცებიც და მანდილოსნებიც — ორივე რეიტინგში „ხასიათი“ მეოთხე ადგილზეა.

როგორც ჩანს, რჩეული ქალბატონის მეგობრების წრე, აქ ჩამოთვლილ ღირსებათა შორის, ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ მამაკაცებს. საინტერესოა, რომ არც გემოვნებასა და ინტელექტს ანიჭებენ ისინი დიდ უპირატესობას...

აღსანიშნავია, რომ შედეგებში სქესობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება არ დაფიქსირებულა.




საპრიზოს ზუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 64 წლის **გუგული მელძაძე,** 65 წლის **გენო მშვენიერაძე,** 34 წლის **ლაშა ყურაშვილი** და 39 წლის **თამაზ კარიჭაშვილი**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 1-ელ სექტემბერს, 17 საათზე.

## №35 (413) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას»**.

№35 (413) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 1-ელი სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 სექტემბრის 13 საათამდე.

©თბილისი

[illegible]

თემა №35(413) — რუსი მოღვაწეები

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე ანტიქართულად განწყობილი რუსი მოღვაწე** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

N 35(413) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | იური ლუჟკოვი — მოსკოვის მერი | |
| 2 | ვლადიმირ ჟირინოვსკი — ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე | |
| 3 | იგორ ივანოვი — უშიშროების საბჭოს მდივანი | |
| 4 | ვლადიმირ პუტინი — რუსეთის პრეზიდენტი | |
| 5 | დიმიტრი როგოზინი — სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე | |
| 6 | სერგეი ივანოვი — თავდაცვის მინისტრი | |
| 7 | ვლადიმერ ჩხიკვიშვილი — რუსეთის ელჩი საქართველოში | |
| 8 | სვიატოსლავ ნაბზდოროვი — ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების სარდალი | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, არის თუ არა გამჭვირვალე პრივატიზაციის პროცესი?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### ყველაზე გავლენიანი ადამიანები დღევანდელ საქართველოში

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 1 158 |
| 2. | ზურაბ ჟვანია | 395 |
| 3. | ბადრი პატარკაციშვილი | 281 |
| 4. | ნინო ბურჯანაძე | 276 |
| 5. | ირაკლი ოქრუაშვილი | 225 |
| 6. | კახა ბენდუქიძე | 32 |
| 7. | გიორგი ბარამიძე | 26 |
| 8. | ბიძინა ივანიშვილი | 10 |
| 9. | კობა დავითაშვილი | 9 |
| 10. | ჯორჯ სოროსი | 8 |

თქვენ უნდა დაგესახელებინათ მაქსიმუმ სამი პიროვნება. პირველ ადგილზე დასახელებულ პიროვნებას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე — ორი, ხოლო მესამეზე — ერთი ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა რეიტინგი.

*ყველაზე გავლენიანი ადამიანების გამოვლენაში 432-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა*

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— დრო მოვა და ჩემს ქუჩაზეც აყვავდება...

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში, „ფოტოანტიკვარში“ გამოქვეყნებული პატარა ბიჭუნა თავად გვეუბნება: — თბილისის ქუჩებში ისევ პატარას მეძახიანო...

გაზეთის მკითხველი ამ მინიშნებამ რატომღაც დააბნია და მხოლოდ 1%-მა ამოიცნო ამ ბიჭუნაში დედაქალაქის ახალგაზრდა პრემიერი **ბიძინა ბრეგაძე,** თუმცა თბილისის თემატიკისგან მაინცდამაინც შორს არ წასულან. დასახელებულთა შორის არიან: ზურაბ ჭიაბერაშვილი — 6%, უფროსი თაობისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი მომღერალი სულიკო კოროშინაძე, პოპულარული სიმღერის „ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა პატარას“ შემსრულებელი — 3,6%, აგრეთვე, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, დეპუტატი ვასილ მაღლაფერიძე და... ასლან აბაშიძე.





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ბიძინა ბრეგაძე, 2,5 წლის



## უკომენტაროდ

## ეს იცოდით?..

*** ინგლისის დედოფლის – ანას დაგრეხილი ფეხები გახდა დიზაინერების შთაგონების წყარო, შეექმნათ ავეჯის ახალი სტილი.

*** ძველეგვიპტელი მოდის მიმდევარი ქალბატონები დილაობით თავზე არომატიზებულ ქონის ნაჭერს იდებდნენ. მზეზე ქონი დნებოდა და ლამაზმანების თმა თანდათან იჟღინთებოდა სურნელოვანი ნივთიერებით.

*** მამაკაცის მომრგვალებულცხვირიანი ფეხსაცმელი მოდაში შემოვიდა XV საუკუნის ბოლოს. ამ სიახლის დამფუძნებელი იყო საფრანგეთის მეფე შარლ VIII, რომელსაც ფეხებზე 6-6 თითი ჰქონდა.

6/IX

☾

**უკანასკნელი მეოთხედი**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტრიბუნა; 4. დილოგია; 6. ნეონი; 7. აგორა; 8. ატოლი; 9. ირისი; 10. ანგარი; 13. სტატუა; 16. ამირა; 18. აპრიორი; 19. გრიფიტი; 20. ამალა; 22. აგამია; 23. სიბილა; 25. შკოდა; 27. აბაკა; 28. ტრიკო; 29. ვისკი; 30. აგარაკი; 31. ალგებრა.

**შვეულად:** 1. ტარანტელა; 2. ანდამატი; 3. ლოკომოტივი; 4. დინამიტი; 5. ამპუტაცია; 11. გირჩა; 12. რიონი; 14. ტაიმი; 15. ტვინი; 16. აია; 17. აგა; 21. აპოკალიფსი; 22. ავსტრალია; 24. აპლიკაცია; 25. შვარტოვი; 26. ანატომია.









**თარაზულად:** 1. ფრანგული ღვინო; 4. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 6. ირანის ფულის ერთეული; 7. მიმართულების მაჩვენებელი; 8. მხარე საქართველოში; 9. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 10. შხამიანი გველი; 13. ქარიშხალი ზღვაზე; 16. ცეცხლგამძლე კარადა; 18. სუნამოს ჭურჭელი; 19. თავდები პირი ან დაწესებულება; 20. ზღვის დიდი კიბო; 22. სიკვდილისწინა მდგომარეობა; 23. ინდისხურმა; 25. დროის 7-დღიანი მონაკვეთი; 27. ეგვიპტის დედაქალაქი; 28. ცურვის სტილი; 29. დიდი ფასის მქონე; 30. სახელმწიფო აფრიკაში; 31. უაზრობა, შეუსაბამობა.

**შვეულად:** 1. საჭმლის დამზადების ოსტატობა; 2. მუზეუმი სანქტ-პეტერბურგში; 3. სამკურნალო წიგნი; 4. ტბა სამხრეთ ამერიკაში; 5. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი; 11. მუზეუმი მადრიდში; 12. ფოლადის ბაგირი, გვარლი; 14. ადამიანის სხეული, ტანი; 15. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ერთეული; 16. სუსტი ქარი; 17. ნაცვალსახელი; 21. რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში; 22. რუსი მომღერალი ქალი; 24. ორგანიზმის შეუვალობა დაავადებების მიმართ; 25. ქართველი მომღერალი და მსახიობი; 26. კანონის ან გადაწყვეტილების გაუქმება.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*





## ვის რამდენს უხდიან





ვარსკვლავებს „აწუხებთ" ან ჰონორარების სიდიდე, ან უზომო ამბიციები. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ტომ კრუზი, რომელსაც ნებისმიერი ფილმისათვის მოაქვს წარმატება. ამიტომაც ფილმის „მისია შეუსრულებელია" მესამე ნაწილისათვის მას გადაუხადეს 45 მილიონი. კამერონ დიასის ჰონორარები საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ფილმში „ჩარლის ანგელოზები", ამიტომ ფილმში „ხუმრობისათვის დიკთან და ჯეინთან" მონაწილეობისათვის, რომელიც მომავალ წელს გამოვა ეკრანებზე, კამერონი მიიღებს 30 მილიონს. ნიკოლ კიდმანს შეუძლია საერთოდ აღარ ითამაშოს ფილმებში. კინოსტუდია „დისნეიმ" 90 მილიონი დოლარი შესთავაზა მხოლოდ ხმისათვის, რომელიც გაიჟღერებს 7-სერიიან მულტფილმში. არნოლდ შვარცენეგერს ძალიან გაუმართლა, ვინაიდან ტერმინატორის როლი შეეძლო ეთამაშა მხოლოდ მას და სხვას არავის. პროდიუსერებმა მისი ნიჭი 30 მილიონად შეაფასეს.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(35) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№35 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 2 სექტემბერს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".